

## თავი V

### სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამების შესრულება

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1.1. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

- მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რომელთა უზრუნველყოფაც ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;
- საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობების, მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტის, ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა, ასევე შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის/სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დანამატის დაფინანსება პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, სამედიცინო პერსონალის დანამატების დაფინანსება - ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის - პენსიის ერთმაგი ოდენობით. მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50% ანაზღაურება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის), მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ სთ ელექტროენერჯის საფასურისა.

1.1.1. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით; ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა სახელმწიფო პენსია ქალებისათვის 60 წლის, ხოლო მამაკაცებისათვის – 65 წლის ასაკის მიღწევისას და სახელმწიფო კომპენსაცია სხვადასხვა კატეგორიისათვის (სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თაღარიგში დათხოვნილ პირთათვის, პროკურატურის სისტემიდან

დათხოვნილი მუშაკებისათვის, უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირთათვის, მოსამართლეთათვის და სხვა);

- სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 719.5 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 720.4 ათასზე მეტი პირი, მარტში - 721.2 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 722.7 ათასზე მეტი პირი, მაისში - 723.3 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 724.6 ათასზე მეტი პირი, ივლისში - 726.0 ათასზე მეტი პირზე, აგვისტოში - 727.5 ათასზე მეტი პირზე, სექტემბერში - 729.2 ათასზე მეტი პირზე, ოქტომბერში - 730.8 ათასზე მეტი პირი, ნოემბერში - 731.8 ათასზე მეტი პირი, დეკემბერში - 732.1 ათასზე მეტი პირი, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა იანვარში - 21.1 ათასზე მეტი პირზე, თებერვალში - 21.2 ათასზე მეტი პირზე, მარტში - 21.3 ათასზე მეტი პირზე, აპრილში - 21.4 ათასზე მეტი პირზე, ხოლო მაის-ივნისში - 21.5 - 21.5 ათასზე მეტი მიმღებზე, ივლის - აგვისტოში - 21.6-21.6 ათასზე მეტი პირზე, სექტემბერში - 21.7 ათასზე მეტი პირზე, სექტემბერ - დეკემბერში - 21.7 ათასზე მეტი პირზე (თითოეულ თვეში);

სულ ამ მიზნით მიმართულ იქნა 1 685.9 მლნ ლარი.

#### 1.1.2. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 35 02 02)

- საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 469.2 ათასზე მეტი, თებერვალში - 445.5 ათასზე მეტი, მარტში - 430.8 ათასზე, აპრილში - 425.1 ათასზე მეტი, მაისში - 437.9 ათასზე მეტი, ივნისში - 449.0 ათასზე მეტი, ივლისში - 457.0 ათასზე მეტი, აგვისტოში - 461.3 ათასზე მეტი, სექტემბერში - 459.6 ათასზე მეტი, ოქტომბერში - 457.5 ათასზე მეტი, ხოლო ნოემბერ - დეკემბერში 455.8 - 455.8 ათასზე მეტი;
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია იანვარში 1 171 პირს, თებერვალში - 986 პირს, მარტში - 1 125 პირს, აპრილში - 1 038 პირს, მაისში - 969 პირს, ივნისში - 1 142 პირს, ივლისში - 954 პირს, აგვისტოში - 1 288 პირს, სექტემბერში - 1 212 პირს, ოქტომბერში - 1 090 პირს, ნოემბერში - 1 186 პირს, ხოლო დეკემბერში - 1 145 პირს;
- დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იანვარში შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა 220.8 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 230.1 ათასზე მეტი პირი, მარტში - 230.4 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 230.5 ათასზე მეტი პირი, მაისში - 229.0 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 230.1 ათასზე მეტი პირი, ივლისში - 229.0 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში - 228.9 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში - 229.6 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში - 229.7 ათასზე მეტი პირი, ნოემბერში - 229.0 ათასზე მეტი პირი, ხოლო დეკემბერში - 228.9 ათასზე მეტი პირი;
- რენტეგრაციის შემწეობა იანვარში გაიცა 446 ბავშვზე, თებერვალში - 440 ბავშვზე, მარტში - 438 ბავშვზე, აპრილში - 434 ბავშვზე, მაის-ივნისში - 430-430 ბავშვზე, ივლისში - 428 ბავშვზე, აგვისტოში - 421 ბავშვზე, სექტემბერში - 426 ბავშვზე, ოქტომბერში - 436 ბავშვზე, ნოემბერში - 430 ბავშვზე, ხოლო დეკემბერში - 440 ბავშვზე;
- სოციალური პაკეტი იანვარში გაიცა 167.3 ათასზე მეტი პირზე, თებერვალში - 167.1 ათასზე მეტი პირზე, მარტში - 167.0 ათასზე მეტი პირზე, აპრილში - 167.3 ათასზე მეტი პირზე, მაისში - 166.6 ათასზე მეტი პირზე, ივნისში - 166.7 ათასზე მეტი პირზე, ივლისში - 166.8 ათასზე მეტი პირზე, აგვისტოში - 166.7 ათასზე მეტი პირზე, სექტემბერში - 166.6 ათასზე მეტი პირზე, ოქტომბერ - ნოემბერში 166.1 - 166.1 ათასზე მეტი პირზე, ხოლო დეკემბერში - 166.0 ათასზე მეტი პირზე;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ 2017 წლის იანვარში შეადგინა 28.3 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 28.0 ათასზე მეტი პირი, მარტში - 27.8 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 27.6 ათასზე მეტი პირი, მაისში - 27.4 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 27.3 ათასზე მეტი პირი, ივლისში - 27.2 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში - 27.1 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში - 27.0 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში - 26.9 ათასზე მეტი პირი, ნოემბერში - 26.8 ათასზე მეტი პირი, ხოლო დეკემბერში - 26.6 ათასზე მეტი პირი;

- შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით იანვრის თვეში დახმარება მიიღო 1 048 პირმა, თებერვალში - 1 040 პირმა, მარტში - 1 031 პირმა, აპრილში - 1 022 პირმა, მაისში - 1 023 პირმა, ივნისში - 1 019 პირმა, ივლისში - 1 016 პირმა, აგვისტოში - 1 006 პირმა, სექტემბერში - 1 001 პირმა, ოქტომბერში - 993 პირმა, ნოემბერში - 987 პირმა, ხოლო დეკემბერში - 986 პირმა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ფულადი სოციალური დახმარება მიიღო იანვარში 10.9 ათასამდე პირმა, თებერვალში - 11.2 ათასამდე პირმა, მარტში - 11.0 ათასზე მეტმა პირმა, აპრილში - 11.2 ათასამდე პირმა, მაისში - 11.1 ათასზე მეტმა პირმა, ივნისში - 11.3 ათასამდე პირმა, ივლისში - 11.3 ათასზე მეტმა პირმა, აგვისტოში - 11.4 ათასამდე პირმა, სექტემბერში - 11.4 ათასზე მეტმა პირმა, ოქტომბერში - 11.4 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო ნოემბერ - დეკემბერში 11.5 - 11.5 ათასზე მეტმა პირმა;
- „9 მაისის - ფაშინოშვიტის გამარჯვების 72-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ (592 პირი) მიიღო ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულმა (291 პირი) - 300 ლარის ოდენობით.

სულ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ დახმარებაზე მიმართულ იქნა 646.6 მლნ ლარი.

### 1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია:

- „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამის“ ფარგლებში იანვარში მომსახურება გაეწია 1 010 ბენეფიციარს, თებერვალში - 990 ბენეფიციარს, მარტში - 966 ბენეფიციარს, აპრილში - 873 ბენეფიციარს, მაისში - 862 ბენეფიციარს, ივნისში - 867 ბენეფიციარს, ივლისში - 868 ბენეფიციარს, აგვისტოში - 865 ბენეფიციარს, სექტემბერში - 859 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 879 ბენეფიციარს, ნოემბერში - 887 ბენეფიციარს და დეკემბერში - 892 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 506 ბენეფიციარს, თებერვალში - 522 ბენეფიციარს, მარტში - 520 ბენეფიციარს, აპრილში - 516 ბენეფიციარს, მაისში - 532 ბენეფიციარს, ივნისში - 536 ბენეფიციარს, ივლისში - 527 ბენეფიციარს, აგვისტოში - 402-ს, სექტემბერში - 541 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 879 ბენეფიციარს, ნოემბერში - 887 ბენეფიციარს და დეკემბერში - 892 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში - 274 ბენეფიციარს, თებერვალში - 288 ბენეფიციარს, მარტში - 341 ბენეფიციარს, აპრილში - 674 ბენეფიციარს, მაისში - 668 ბენეფიციარს, ივნისში - 728 ბენეფიციარს, ივლისში - 745 ბენეფიციარს, აგვისტოში - 127 ბენეფიციარს, სექტემბერში - 791 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 751 ბენეფიციარს, ნოემბერში - 477 ბენეფიციარს, დეკემბერში - 301 ბენეფიციარს;
- „დღის ცენტრების პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 1 578 ბენეფიციარს, თებერვალში - 1 609 ბენეფიციარს, მარტში - 1 603 ბენეფიციარს, აპრილში - 1 624 ბენეფიციარს, მაისში - 1 613 ბენეფიციარს, ივნისში - 1 651 ბენეფიციარს, ივლისში - 1 624 ბენეფიციარს, აგვისტოში - 1 017 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 629 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1 589 ბენეფიციარს, ნოემბერში - 1620 ბენეფიციარს, ხოლო დეკემბერში - 1599 ბენეფიციარს, მათ შორის:
  - ✓ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შემთხვევაში: იანვარში - 477 ბენეფიციარს, თებერვალში - 495 ბენეფიციარს, მარტში - 491 ბენეფიციარს, აპრილში - 499 ბენეფიციარს, მაისში - 497 ბენეფიციარს, ივნისში - 501 ბენეფიციარს, ივლისში - 476 ბენეფიციარს, აგვისტოში - 200 ბენეფიციარს, სექტემბერში - 476 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 438 ბენეფიციარს, ნოემბერში - 453 ბენეფიციარს, დეკემბერში - 449 ბენეფიციარს;

- ✓ შშმ ბავშვების შემთხვევაში: იანვარში – 591 ბენეფიციარს, თებერვალში – 590 ბენეფიციარს, მარტში – 585 ბენეფიციარს, აპრილში – 597 ბენეფიციარს, მაისში – 586 ბენეფიციარს, ივნისში – 613 ბენეფიციარს, ივლისში – 619 ბენეფიციარს, აგვისტოში – 456 ბენეფიციარს, სექტემბერში – 614 ბენეფიციარს, ოქტომბერში – 618 ბენეფიციარს, ნოემბერში – 623 ბენეფიციარს, დეკემბერში – 607 ბენეფიციარს;
- ✓ 18 წლისა და მეტი ასაკის შშმ პირების შემთხვევაში: იანვარში – 463 ბენეფიციარს, თებერვალში – 477 ბენეფიციარს, მარტში – 479 ბენეფიციარს, აპრილში – 480 ბენეფიციარს, მაისში – 482 ბენეფიციარს, ივნისში – 491 ბენეფიციარს, ივლისში – 484 ბენეფიციარს, აგვისტოში – 361 ბენეფიციარს, სექტემბერში – 491 ბენეფიციარს, ოქტომბერში – 485 ბენეფიციარს, ნოემბერში – 496 ბენეფიციარს, დეკემბერში – 497 ბენეფიციარს;
- ✓ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების შემთხვევაში: იანვარ-თებერვალში – 47-47 ბენეფიციარს, მარტი-აპრილში – 48-48 ბენეფიციარს, მაისში – 48 ბენეფიციარს, ივნისში – 46 ბენეფიციარს, ივლისში – 45 ბენეფიციარს, აგვისტოში მომსახურება არ განხორციელებულა, სექტემბერში – 48 ბენეფიციარს, ოქტომბერში – 48 ბენეფიციარს, ნოემბერში – 48 ბენეფიციარს, დეკემბერში – 46 ბენეფიციარს;
- „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებულ მომსახურებათა შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა: იანვარში – 75 , თებერვალში – 89, მარტში – 52, აპრილში – 226, მაისში – 187, ივნისში – 247, ივლისში – 544, აგვისტოში – 165, სექტემბერში – 518, ოქტომბერში – 470, ნოემბერში – 338, დეკემბერში – 179, მათ შორის:
  - ✓ სავარძელ-ეტლებით (მექანიკური) უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში – 29, თებერვალში – 23, მარტში – 18 შემთხვევა, აპრილში – 85 შემთხვევა, მაისში – 55, ივნისში – 73 შემთხვევა, ივლისში – 58, აგვისტოში – 20, სექტემბერში – 22, ოქტომბერში – 50, ნოემბერში – 42, დეკემბერში – 24;
  - ✓ სავარძელ-ეტლებით (ელექტრო) უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში იანვარში – 5 შემთხვევა, თებერვალში – 3 შემთხვევა, მარტში – 2 შემთხვევა, აპრილში – 18 შემთხვევა, მაისში – 9 შემთხვევა, ივნისში – 20 შემთხვევა, ივლისში – 12 შემთხვევა, აგვისტოში – 5 შემთხვევა, სექტემბერში და ოქტომბერში ეტლები არ გაცემულა, ნოემბერში – 9 შემთხვევა, დეკემბერში – 22 შემთხვევა;
  - ✓ საპროთეზო – ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში – 30, თებერვალში – 55, მარტში – 20, აპრილში – 114, მაისში – 104, ივნისში – 122, ივლისში – 100, აგვისტოში – 34, სექტემბერში – 39, ოქტომბერში – 42, ნოემბერში – 65, დეკემბერში – 43;
  - ✓ ყავარჯნებით, ხელჯობ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯობებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში – 6, თებერვალში – 3, მარტში – 7, აპრილში – 4, მაისში – 12, ივნისში – 23, ივლისში – 7, აგვისტოში – 1, სექტემბერში – 6, ოქტომბერში – 7, ნოემბერში – 6, დეკემბერში – 4 ;
  - ✓ კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარში – 5, თებერვალში – 5, მარტში – 5, აპრილში – 5 შემთხვევა, მაისში – 7, ივნისში – 9 , ივლისში – 11, აგვისტოში – 11, სექტემბერში – 8, ოქტომბერში – 5, ნოემბერში – 18, დეკემბერში – 43;
  - ✓ სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარ – ივნისში აპარატი არ გაცემულა, ივლისში – 356 შემთხვევა, აგვისტოში – 94, სექტემბერში – 443, ოქტომბერში – 366, ნოემბერში – 198, დეკემბერში – 43;
- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 317 ბენეფიციარს, თებერვალში – 322 ბენეფიციარს, მარტში – 323 ბენეფიციარს, აპრილში – 318 ბენეფიციარს,

მაისში - 312 ბენეფიციარს, ივნისში - 305 ბენეფიციარს, ივლისში - 302 ბენეფიციარს, აგვისტოში - 310 ბენეფიციარს, სექტემბერში - 314 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 309 ბენეფიციარს, ნოემბერში - 311 ბენეფიციარს, დეკემბერში - 321 ბენეფიციარს;

- „სათემო ორგანიზაციების პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 217 ბენეფიციარს, თებერვალში - 219 ბენეფიციარს, მარტში - 220 ბენეფიციარს, აპრილში - 222 ბენეფიციარს, მაისში - 225 ბენეფიციარს, ივნისში - 224 ბენეფიციარს, ივლისში - 228 ბენეფიციარს, აგვისტოში - 239 ბენეფიციარს, სექტემბერში - 244 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 245 ბენეფიციარს, ნოემბერში - 247 ბენეფიციარს, დეკემბერში - 244 ბენეფიციარს;
- „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 168 ბენეფიციარს, თებერვალში - 214 ბენეფიციარს, მარტში - 145 ბენეფიციარს, აპრილში - 149 ბენეფიციარს, მაისში - 159 ბენეფიციარს, ივნისში - 145 ბენეფიციარს, ივლისში - 154 ბენეფიციარს, აგვისტოში - 145 ბენეფიციარს, სექტემბერში - 158 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 169 ბენეფიციარს, ნოემბერში - 178 ბენეფიციარს, დეკემბერში - 163 ბენეფიციარს;
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 56 ბენეფიციარს, თებერვალში - 52 ბენეფიციარს, მარტში - 56 ბენეფიციარს, აპრილში - 57 ბენეფიციარს, მაისში - 56 ბენეფიციარს, ივნისში - 56 ბენეფიციარს, ივლისში - 60 ბენეფიციარს, აგვისტოში - 62 ბენეფიციარს, სექტემბერში - 67 ბენეფიციარს, ნოემბერში - 65 ბენეფიციარს, დეკემბერში - 65 ბენეფიციარს;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 108 ბენეფიციარს, თებერვალში - 121 ბენეფიციარს, მარტში - 124 ბენეფიციარს, აპრილში - 116 ბენეფიციარს, მაისში - 110 ბენეფიციარს, ივნისში - 116 ბენეფიციარს, ივლისში - 124 ბენეფიციარს, აგვისტოში - 115 ბენეფიციარს, სექტემბერში - 156 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 111 ბენეფიციარს, ნოემბერში - 110 ბენეფიციარს, დეკემბერში - 129 ბენეფიციარს;
- „მინდობით აღზრდის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 1 356 ბენეფიციარს, თებერვალში - 1 373 ბენეფიციარს, მარტში - 1 390 ბენეფიციარს, აპრილში - 1 403 ბენეფიციარს, მაისში - 1 417 ბენეფიციარს, ივნისში - 1 427 ბენეფიციარს, ივლისში - 1 441 ბენეფიციარს, აგვისტოში - 1 440 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 445 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1 448 ბენეფიციარს, ნოემბერში - 1 465 ბენეფიციარს, დეკემბერში - 1 448 ბენეფიციარს;
- „ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში იანვარ-აპრილში ბენეფიციართა მომსახურება არ განხორციელებულა მაისში მომსახურება გაეწია 6 ბენეფიციარს, ივნისში - 6 ბენეფიციარს, ივლისში - 13 ბენეფიციარს, აგვისტოში - 13 ბენეფიციარს, სექტემბერში - 6 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 11 ბენეფიციარს, ნოემბერში ბენეფიციართა მომსახურება არ განხორციელებულა, დეკემბერში - 5 ბენეფიციარს;
- „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში - 39 ბენეფიციარს, თებერვალში - დეკემბერში 40-40 ბენეფიციარს;
- „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარი - დეკემბერში თითოეულ თვეში 7-7 ბენეფიციარს.

#### 1.1.4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 35 02 04)

პროგრამის ფარგლებში:

- ✓ სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა პენსიის დანამატი იანვარში მიიღო - 63.5 ათასზე მეტმა პირმა, თებერვალში - 63. 9 ათასზე მეტმა პირმა, მარტში - 64. 2 ათასზე მეტმა პირმა, აპრილში - 64. 4 ათასზე მეტმა პირმა, მაისში - 64. 5 ათასზე მეტმა პირმა, ივნისში - 64. 7 ათასზე მეტმა პირმა, ივლისში - 64.9 ათასზე მეტმა პირმა, აგვისტოში - 65.0 ათასზე მეტმა პირმა, სექტემბერში - 65.2 ათასზე მეტმა პირმა,

ოქტომბერში - 65.4 ათასზე მეტმა პირმა, ნოემბერში - 65.8 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო დეკემბერში - 65.8 ათასზე მეტმა პირმა;

- ✓ სოციალური პაკეტის დანამატი იანვარში მიიღო - 12.4 ათასამდე პირმა, თებერვალში - 12.5 ათასამდე პირმა, მარტში - 12.6 ათასამდე პირმა, აპრილში - 12.7 ათასამდე პირმა, მაისში - 12.7 ათასამდე პირმა, ივნისში - 12.7 ათასზე მეტმა პირმა, ივლისში-12.8 ათასამდე პირმა, აგვისტოში-12.8 ათასამდე პირმა, სექტემბერში -12.8 ათასამდე პირმა, ოქტომბერში - 12.7 ათასზე მეტმა პირმა, ნოემბერში - 12.8 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო დეკემბერში - 12.9 ათასზე მეტმა პირმა;
- ✓ ელექტროენერჯის შეღავათი გავრცელდა იანვარში 53.6 ათას აბონენტზე თებერვალში - 53.8 ათასამდე აბონენტზე, მარტში - 54.1 ათასამდე აბონენტზე, აპრილში - 58.3 ათასზე მეტ აბონენტზე, მაისში - 62.9 ათასამდე აბონენტზე, ივნისში - 69. 2 ათასამდე აბონენტზე, ივლისში - 72.0 ათას აბონენტზე, აგვისტოში - 74.4 ათასამდე აბონენტზე, ოქტომბერში 77.0 ათასზე მეტ აბონენტზე, ნოემბერში- 71.2 ათასზე მეტ აბონენტზე, დეკემბერში - 70.3 ათასზე მეტ აბონენტზე;
- ✓ სამედიცინო პერსონალის დანამატი იანვარში მიიღო 1 474 ექიმმა და ექთანმა, თებერვალში - 1 457 ექიმმა და ექთანმა, მარტში - 1 463 ექიმმა და ექთანმა, აპრილში - 1 471 ექიმმა და ექთანმა, მაისში - 1 479 ექიმმა და ექთანმა, ივნისში -1 480 ექიმმა და ექთანმა, ივლისში - 1479 ექიმმა და ექთანმა, აგვისტოში -1484 ექიმმა და ექთანმა, სექტემბერში - 1482 ექიმმა და ექთანმა, ოქტომბერში - 1 488 ექიმმა და ექთანმა, ნოემბერში - 1 488 ექიმმა და ექთანმა და დეკემბერში - 1 487 ექიმმა და ექთანმა.

სულ ამ მიზნით მიმართულ იქნა 41.9 მლნ ლარი.

## 1.2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
  - ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
  - ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
  - ✓ სსიპ - „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“
- ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;
  - გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია; მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება. ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები და სხვა) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
  - მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ასევე, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი;
  - ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება; ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

- საექიმო სპეციალობის მამიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში.

#### 1.2.1. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების 656.0 ათასზე მეტი შემთხვევა, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების - 253.8 ათასზე მეტი, გეგმური ქირურგიული მომსახურების - 97 ათასამდე, კარდიოქირურგიის - 3.5 ათასზე მეტი, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის 41.1 ათასზე მეტი, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურების - 1 1817 შემთხვევა, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის - 50.9 ათასი შემთხვევა, გეგმური ამბულატორიის 3.2 ათასზე მეტი შემთხვევა.

სულ ამ მიზნით მიმართულ იქნა 706.1 მლნ ლარი.

#### 1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

განხორციელდა მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით, იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებები.

##### 1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

- „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში სხვადასხვა სახის სკრინინგული კვლევა ჩატარდა 57.0 ათასზე მეტ ბენეფიციარს, მათ შორის: ძუძუს კიბოს სკრინინგი - 22.4 ათასზე მეტ, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (Pap-ტესტი) - 21.8 ათასამდე, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 6.0 ათასზე მეტს, პროსტატის კიბოს სკრინინგი - 6.5 ათასზე მეტ, ხოლო კოლონოსკოპიური სკრინინგი - 201 ბენეფიციარს და კოლონოსკოპიური სკრინინგი მორფოლოგიით 18 ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებულ სკრინინგის პილოტის კომპონენტში კვლევა ჩატარდა 917 ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი 74 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია 1-6 წლის ასაკის 1 283 ბავშვს; მათ შორის ჩატარდა ნევროლოგის კონსულტაცია, ძილის დარღვევების კვლევა - 1 283, ნეიროფსიქოლოგიური კვლევები - 1 233, ეპილეფტოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური კვლევები - 74;
- „ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში სულ გამოკვლეულ იქნა 2 359 პაციენტი, პირველადი ეპილეფტოლოგიური სკრინინგი ჩატარდა - 2 359 პაციენტს, პირველადი სკრინინგი-ნევროლოგის კონსულტაცია ჩატარდა - 2 359 პაციენტს, 2 109-ს ჩატარდა მეორადი ეპილეფტოლოგიური სკრინინგი, 1 664-ს ელექტროენცეფალოგრაფიული სკრინინგი, 1 614-ს - ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, ხოლო 1 713-ს ეპილეფტოლოგიური დასკვნითი დიაგნოსტიკა
- დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტის კომპონენტის ფარგლებში პირველადი სკრინინგი ჩატარდა 553 ბენეფიციარს; დაფიქსირდა განმეორებითი კვლევის 1 425 შემთხვევა.

### 1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

- რუტინული ვაქცინაციის კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის მართვადი ინფექციებისგან დაცვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარებულია: ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ (სამშობიარო –1 წლამდე ასაკი) 51.0 ათასზე მეტი აცრა (141 400 დოზა), ჰეპატიტი „B“ საწინააღმდეგოდ (სამშობიარო–1 წლამდე ასაკი) 50.4 ათასზე მეტი აცრა (52 423 დოზა), პოლიომიელიტის საწინააღმდეგოდ (2 თვე–15 წლამდე ასაკი) 103.3 ათასამდე აცრა (183 284 დოზა), ჰეპსა ვაქცინით (დყტ+ჰეპB+ჰიბ+იპ) (2 თვე–2 წლამდე ბავშვები) 149.0 ათასზე მეტი აცრა (149 667 დოზა), დიფთერია, ტეტანუსის საწინააღმდეგოდ (1–6 წელი) ჩატარებულია 52.0 ათასამდე აცრა (77 059 დოზა), ტეტანუსი–დიფთერიის საწინააღმდეგოდ (7–14 წელი) 30.7 ათასზე მეტი აცრა (46 620 დოზა), წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგოდ (1–14 წელი და უფროსი) ჩატარებულია 107.0 ათასზე მეტი აცრა დაიხარჯა 128 945 დოზა წყვ ვაქცინა, როტას საწინააღმდეგოდ (12–24 კვირა) ჩატარებულია 81.5 ათასზე მეტი აცრა (82 872 დოზა), პნევმოკოკური ვაქცინით (2 თვე–2 წლამდე) ჩატარებულია 140.2 ათასზე მეტი აცრა (163 307 დოზა); ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგოდ (9 წლის გოგონები) ჩატარებულია 2 350 აცრა.
- სპეციფიკური შრატების და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვის კომპონენტის ფარგლებში ანტიდიფთერიული შრატი დახარჯულია 22 კომპლექტი, დიფთერიის 8 შემთხვევა უკუგდებულია, ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი (ადამიანის) – გახარჯულია 91 ფლაკონი, დაფიქსირებულია ტეტანუსის 5 შემთხვევა, გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი - გახარჯულია 21 ფლაკონი, ანტიბოტულინური შრატი გახარჯულია: „A“ ტიპი – 5, „B“ ტიპი – 6, „E“ ტიპი - 5 ფლაკონი, დაფიქსირებულია ბოტულიზმის 8 შემთხვევა, ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა გაუკეთდა - 490 ბენეფიციარს;
- ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში ანტირაბიული იმუნოგლობულინი მოხმარდა 9.8 ათასზე მეტ ბენეფიციარს, რაზეც დაიხარჯა 23 238 ფლაკონი იმუნოგლობულინი, ანტირაბიული ვაქცინით აცრა ჩაუტარდა 52.0 ათასზე მეტ ბენეფიციარს, გაიხარჯა 173 796 ვაქცინა; ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა;
- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მიღებული მედიკამენტების, შპრიცების, ვაქცინებისა და შრატების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

### 1.2.2.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

- განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების რეგიონებიდან/რაიონებიდან შედეგების 17% გადამოწმება (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) ცენტრის ლაბორატორიაში და აგრეთვე პრეპარატების ხარისხის რეგულარული კონტროლი. სულ შემოსული 244 პრეპარატიდან, ყველა მათგანის შედეგი იყო უარყოფითი; მალარიოგენულ ტერიტორიებზე ფუნციონირებადი სჯდ ცენტრების მიერ გამოკვლეულ იქნა მალარიაზე საექმო კლინიკური ნიშნების მქონე 1455 ავადმყოფის სისხლი, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მალარიის 8 შემთხვევა შემოტანილი აფრიკული ქვეყნებიდან;
- მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკის და კონტროლის გაუმჯობესების კომპონენტის ფარგლებში, მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად, მალარიოგენული ტერიტორიების დამუშავების მიზნით, 14 მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გადაეცა ინსექტიციდები და შესაბამის სეზონებში (I ეტაპი - მაისი-ივნისი; II ეტაპი - აგვისტო-სექტემბერი) განხორციელდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების დამუშავება. I- II ეტაპზე დამუშავდა 1 450 000 მ<sup>2</sup> ფართობი, რაც დასახული მიზნის 92%-ს შეადგენს;



- ნოზოკომიური ინფექციების ეპიდემიოლოგიის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 555 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა რაც დასახული მიზნის 47.4%-ს შეადგენს; გამოკვლეული კლინიკური ნიმუშებიდან იდენტიფიცირებულ იქნა ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი 149 პათოგენი;
- ვირუსული დიარეების კვლევის ფარგლებში სულ განხორციელდა მწვავე დიარეის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ 0-14 წლის ბავშვთა 192 შემთხვევის ფეკალის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევა და შედეგად დადებითი გამოვლინდა: როტავირუსზე – 17 ნიმუში, ნოროვირუსზე -27, ადენოვირუსზე - 5 ნიმუში და WHO პროექტში ჩართული საყრდენი ბაზიდან მოწოდებული 231 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგად ნოროვირუსზე დადებითი გამოვლინდა 29, ხოლო ადენოვირუსზე - 19 ნიმუში.

#### 1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

- პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში განხორციელდა 77.1 ათასზე მეტი დონაცია, მათგან 44.6 ათასზე მეტი იყო კადრის (რეგულარული) დონორი, 10.0 ათასზე მეტი ნათესავი და 21.6 ათასზე მეტი - უანგარო დონორი. დონორის სისხლის ნიმუშების კვლევისას საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა აივ-ინფექცია/შიდსზე სავარაუდო დადებითი 68 შემთხვევა, „C“ ჰეპატიტზე სავარაუდო - 660, „B“ ჰეპატიტზე - 546, ხოლო სიფილისზე კვლევისას - 313 სავარაუდო შემთხვევა.

#### 1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

- პროგრამის ფარგლებში 5 საწარმოებში ჩატარდა ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური კვლევები;
- მომზადდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტები:
  - ✓ „შრომის უსაფრთხოების ნორმები სამთო - მომპოვებელი საწარმოებისათვის“;
  - ✓ „ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ“ (საფუძველი: ევროპული რეგულაცია (EC) N1272/2008 - CLP/GHS);
  - ✓ „ქიმიური პროდუქციის ნიშანდება და ეტიკეტირება“;
  - ✓ მიმდინარეობდა მუშაობა ტექნიკური რეგლამენტის პროექტზე „ინფრაბგერა სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიებზე“.

#### 1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა - 20.0 ათასამდე შემთხვევა (18 760 ბენეფიციარი);

#### 1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

- დაფიქსირდა 37.6 ათასზე მეტი ამბულატორიული მომსახურების შემთხვევა, მომსახურება გაეწია 19.2 ათასზე მეტ პაციენტს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია 1.8 ათასზე მეტ პირს და დაფიქსირდა 84.0 ათასზე მეტი საწოლდღე;
- ლაბორატორიული კონტროლის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 41.1 ათასზე მეტი ბაქტერიოსკოპული კვლევა, სადიაგნოსტიკო კვლევა -20.0 ათასზე მეტი, ხოლო ქიმიოკონტროლი - 21.0 ათასამდე, ჩატარებული ბაქტერიოლოგიური (კულტურალური) კვლევების რაოდენობა - 13.7 ათასამდე, ანტიბიოტიკომგრძობელობა I რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ - 2.5 ათასამდე, ანტიბიოტიკომგრძობელობა II რიგის ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატების მიმართ - 763; GeneXpert აპარატით ჩატარებული კვლევების რაოდენობა - 18.4 ათასამდე;
- პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობაში ჩაერთო 2 686 ტბ პაციენტი;

- 2 833-მა სენსიტიურმა პაციენტმა მიიღო ფულადი წახალისება (მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის) გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამიდან რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით;
- 634-მა MDR პაციენტმა მიიღო ფულადი წახალისება მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის;
- საკვლევი ნიმუშის/ნახველის ფოსტის მეშვეობით რეფერალის განხორციელებაზე, 2013 წლიდან პილოტურად სამი რეგიონიდან (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, ფოთი), ხოლო 2016 წლის მარტიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით, ტუბდაწესებულებებიდან განხორციელდა საკვლევი მასალების ტრანსპორტირება ლაბორატორიებში ბიოუსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. ქვეყნის მასშტაბით სულ განხორციელდა 5 416 ამანათის ტრანსპორტირება;
- ხარისხის კონტროლის მიზნით, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა როგორც სამოქალაქო სექტორის, ასევე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ლაბორატორიულ ქსელში პრე და პოსტ ლაბორატორიული კვლევების პროცესის მონიტორინგი და კვლევის შედეგების შერჩევითად გადამოწმება;
- ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ლაბორატორიული კონტროლისა და ნახველის ლოჯისტიკის კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო სახარჯი მასალებისა და ტესტ-სისტემების გარკვეული ნაწილის დაფინანსების ვალდებულება გლობალური ფონდიდან გადმოვიდა სახელმწიფო პროგრამაში, პროგრამისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებიდან (აღნიშნული მასალების ნაწილის შესყიდვა განხორციელდა 2017 წელს);
- ორი მრავალპროფილური დაწესებულების ბაზაზე დაინერგა (2015 წლის სექტემბრიდან) FAST სტრატეგია (GeneXpert აპარატებით კვლევა), საანგარიშო პერიოდში, GeneXpert კვლევით დადებითი შედეგი გამოვლინდა გამოკვლეულ პირთა 12%-ში. 15 ერთეული GeneXpert აპარატი გადაეცა 15 მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებას.

#### 1.2.2.8 აივ ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 02 08)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების 48.0 ათასამდე შემთხვევა (მომსახურებით ისარგებლა 4.0 ათასზე მეტმა პირმა), ხოლო სტაციონარული მომსახურების 712 შემთხვევა (519 ბენეფიციარი);
- ჩატარდა 43.8 ათასზე მეტი სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა 677 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 596. ასევე ჩატარდა 35.3 ათასზე მეტი ტესტის წინა და 35.2 ათასზე მეტი ტესტის შემდგომი კონსულტაცია, 684 კვლევა იმუნობლოტინგის მეთოდით და 83 კონფირმაციული კვლევა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით;
- ჩატარდა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტაცია და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - გამოკვლეულ იქნა 6 138 პატიმარი. ქვეყნის მასშტაბით გამოვლინდა აივ ინფექციაზე საეჭვო 9 შემთხვევა და კონფირმაციული მეთოდით დადასტურდა - 8 (0.13%);
- აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობა ჩაუტარდა 2 686 პაციენტს;
- ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე 2496 პაციენტის აივ ინფექციაზე კვლევისას გამოვლინდა 15 სავარაუდო დადებითი შემთხვევა, კონფირმაციული კვლევისას დადებითი შედეგი დაფიქსირდა 14 შემთხვევაში (0.6%);
- ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების (ინმ) და მათი სქესობრივი პარტნიორების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ქვე-კომპონენტის ფარგლებში სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 1 443 ინმ-ს და მათ 723 სქესობრივ პარტნიორს. ინმ-ში გამოვლინდა 90 სავარაუდო და 88 დადასტურებული შემთხვევა, ხოლო ინმ-ის სქესობრივ პარტნიორებში 29 სავარაუდო და 23 დადასტურებული შემთხვევა (5,12%);

- სექს-მუშაკების, მათი კლიენტების და მსმ-ების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ქვეკომპონენტის ფარგლებში გამოკვლეულია 1710 პირი, გამოვლინდა 111 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 106 შემთხვევა (6,2%);
- ჰეპატიტების მქონე პაციენტების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული - გამოკვლეული იქნა 14165 პაციენტი, მათგან გამოვლინდა 54 სავარაუდო შემთხვევა, აივ ინფექცია დაუდასტურდა 51 -ს; (0,4%)
- აივ-ინფექციაზე/შიდსზე საექვო კლინიკური ნიშნების მქონე პაციენტების და აივ-ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე კონსულტაცია, ნებაყოფლობით გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - გამოკვლეულ იქნა 16987 პირი, მათგან გამოვლინდა 303 სავარაუდო და დადასტურდა - 261 შემთხვევა; (1,5%)
- ტანდემ ტესტირების ფარგლებში: ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის, ზოგადი პოპულაციისათვის ჩატარებული სკრინინგების რაოდენობა - 2432, მათ შორის სავარაუდო დადებითი 3. ცენტრის ლაბორატორიების მიერ ჩატარებული სკრინინგების რაოდენობა - 11 047, მათ შორის სავარაუდო დადებითი შემთხვევა - 79;
- გასულ წელთან შედარებით მცირედით გაიზარდა ჰეპატიტების დიაგნოზის მქონე პაციენტების, აივ ინფექციაზე კვლევების რაოდენობა. 2016 წლის განმავლობაში აივ ინფექციაზე სკრინინგი ჩატარდა 14 038 პაციენტს, ხოლო 2017 წლის განმავლობაში კი - 14 345 ჰეპატიტის დიაგნოზის მქონე პაციენტს;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა აივ-ინფექცია/შიდსზე საექვო კლინიკური ნიშნების მქონე პაციენტების და აივ-ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - ქვეკომპონენტის ფარგლებში მიმართვიანობა „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში“. 2016 წლის განმავლობაში ამ ქვეკომპონენტში აივ-ინფექციაზე სკრინინგი ჩატარდა 13884, ხოლო 2017 წლის განმავლობაში კი 16987 პირს;
- 2016 წელთან შედარებით მომატებულია მაღალი რისკის ჯგუფის პირთა და მათი კონტაქტების მოძიებითი სამუშაოების, აივ ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით - ქვეკომპონენტის ფარგლებში კვლევების რაოდენობა. 2016 წელს -1200 კვლევა, 2017 წელს კი - 1558.

#### 1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)

- ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 146.3 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილლანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 52.0 ათასზე მეტი ახალშობილი (53.6 ათასზე მეტი შემთხვევა);
- გენეტიკური პათოლოგიების გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 4.0 ათასამდე ორსულის სკრინინგული გამოკვლევა;
- პროგრამის ფარგლებში ინფექციებზე კომბინირებული ტესტ-სისტემებით („B“ და „C“ ჰეპატიტი, სიფილისი, აივ ინფექცია/შიდსი) გამოკვლეულ ორსულთა რაოდენობა შეადგენს 47.6 ათასამდე ორსულს, „B“ ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე სწრაფი-მარტივი ტესტ-სისტემებით გამოკვლეულ ორსულთა რაოდენობა შეადგენს 1.5 ათასზე მეტ ორსულს, სიფილისის სწრაფი მარტივი ტესტებით ორსულობის მესამე ვიზიტზე სკრინინგი ჩატარდა 27 298 ბენეფიციარს. „B“ ჰეპატიტზე დაკონფირმირდა 722 სისხლის ნიმუში (დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა - 657), ხოლო სიფილისზე - 150 სისხლის ნიმუში (დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა - 51, საექვო - 3), „B“ ჰეპატიტის იმუნოგლობულინი გაუკეთდა 782 ბენეფიციარს. აივ-ინფექცია/შიდსზე საექვო შემთხვევის რაოდენობაა - 34 (უარყოფითი შედეგი - 18, დადასტურებული - 16 (61%); 5 ორსულს (ახალგამოვლენილი შემთხვევები) დაუდასტურდა ინფექცია, დარეგისტრირდა და ამჟამად იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო ერთ ორსულზე მიმდინარეობს მიდევნება);

- სმენის სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში ქ. თბილისის სამშობიარო სახლებში პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 22.5 ათასზე მეტ ახალშობილს. სმენის მეორადი სკრინინგი ჩაუტარდა 1 210 ახალშობილს, ასევე ტიმპანომეტრია ჩაუტარდა 1 210 ახალშობილს, კომპიუტერული აუდიომეტრული გამოკვლევა - 4 ახალშობილს. გამოვლენილ იქნა ევსტაქიტის 28 შემთხვევა, ექსუდაციური ოტიტი - 3, ატრეზია - 3, დაუნის სინდრომი - 1 და სმენაჩლუნგობის (IV ხარისხის) – 2;
- სამშობიარო სახლებთან (რუსთავი, გორი, თელავი) გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა - 3 662 ახალშობილი;
- დაფიქსირდა მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის 614 შემთხვევა (567 ბენეფიციარი);
- დედათა სიკვდილობის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით (32) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (23) და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების თვალსაზრისით გაუარესება არ დაფიქსირებულა.

#### 1.2.2.10 ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 02 10)

- ჩანაცვლებითი თერაპიით მომსახურება გაეწია 7.5 ათასზე მეტ ბენეფიციარს (დაფიქსირდა 60 040 შემთხვევა), ხოლო სტაციონარული დეტოქსიკაციითა და რეაბილიტაციით ისარგებლა 570 პაციენტმა (დაფიქსირდა 7 300 ათასზე მეტი შემთხვევა) ;
- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურებით ისარგებლა 427-მა პირმა (დაფიქსირდა 2 800 ათასზე მეტი შემთხვევა).

#### 1.2.2.11 ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)

- განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის (მ.შ. ტრენინგები პჯდ სპეციალისტებისათვის თამბაქოსათვის თავის ხანმოკლე კონსულტაციების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ტექნიკის სწავლებაზე გადამზადდა 301 პჯდ სპეციალისტი; თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დარღვევების იდენტიფიკაციასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების წარმომადგენლების ტრენინგი (გადამზადდა შსს-ს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 100-მდე წარმომადგენელი); თამბაქოს ცხელი ხაზის ოპერატორების ტრენინგი კონსულტირების თანამედროვე მეთოდოლოგიის შესახებ;
- ჩატარდა თამბაქოს მოხმარების აკრძალვის/შეზღუდვის განხორციელების ობსერვაცია შერჩევითი პრინციპით შერჩეულ დაწესებულებებსა (სამედიცინო, საგანმანათლებლო, საჯარო, სახელმწიფო კერძო და სამასპინძლო დაწესებულებები) და სავაჭრო ობიექტებში თბილისსა და სხვადასხვა რეგიონის დიდ ქალაქებში;
- ეროვნული რაოდენობრივი კვლევა (KAP) თამბაქოსა და მასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების და ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა 2 481 ადამიანი. კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება შემდგომი ინტერვენციების დასაგეგმად მოსახლეობის ქცევითი ფაქტორების გავრცელების მოდიფიცირების მიზნით და საბაზისო მონაცემთა მისაღებად, რომელიც საფუძვლად დაედება ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამის (ან/და ნებისმიერი ინტერვენციის) შეფასების სისტემას შემდგომში; კვლევის დროს ასევე განხორციელდა მასალების გავრცელება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ქვეყნის მასშტაბით. კვლევის პირველადი ანალიზი გაკეთებულია, მიმდინარეობს კვლევის ანგარიშის სრულყოფა.
- მომზადდა ინტერაქტიული ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაცია ჯანმრთელობის ხელშეწყობის თემატიკაზე, რომლის მიზანია ჯანმრთელობის საკითხებზე და ჯანმრთელობის ქცევით რისკ-ფაქტორებზე საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხების და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.
- პროგრამის ფარგლებში მომზადდა ანტენატალური მეთვალყურეობის მობილური აპლიკაცია;

- ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაციისა და გაძლიერების კომპონენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის ქვეკომპონენტის ფარგლებში ჩატარდა თვისობრივი კვლევა 13 ფოკუს ჯგუფში თბილისში შემდეგ მიმართულებაზე ფოკუსირებით: დედათა და ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობა; მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სტიგმის, დისკრიმინაციისა და სოციალურ იზოლაციის დამღევის ხელშეწყობა; მენტალური პრობლემების პრევენცია, დროული გამოვლენა და მართვა დარგის სპეციალისტებისა და პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ: მომზადდა თვისობრივი კვლევის საბოლოო ანგარიში რეკომენდაციებით. კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის საგანმანათლებლო კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

#### 1.2.2.12 C ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 12)

- დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 35.5 ათასზე მეტმა პირმა;
- სკრინინგული კომპონენტის ფარგლებში C ჰეპატიტის სკრინინგის ელექტრონულ ბაზაში, აღნიშნული და სხვა პროგრამებით C ჰეპატიტზე საანგარიშო პერიოდში დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა სულ შეადგენს 746.7 ათასამდე ბენეფიციარს (მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 37.7 ათასზე მეტი -5%) მათ შორის:
  - ✓ C ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში - ცენტრის ლაბორატორიებისა და გამსვლელი ბრიგადებით - 42.5 ათასამდე ბენეფიციარი, მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 8 953 (21.2 %); ამბულატორიული დაწესებულებების მიერ - 205.6 ათასამდე ბენეფიციარი, მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 12 922 (6.3%);
  - ✓ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამით ჩატარდა 43.1 ათასამდე ორსულის სკრინინგული კვლევა, მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 243 (0.6%);
  - ✓ უსაფრთხო სისხლის პროგრამის ფარგლებში, დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით - 76 769 დონორი, მათგან საექვო დადებითი აღმოჩნდა 792 (1.0%);
  - ✓ სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 378.8 ათასამდე ჰოსპიტალიზებულ პაციენტს, მათ შორის საექვო დადებითი შედეგი გამოვლინდა 14 521 შემთხვევაში (3.8%).

#### 1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

- პროგრამის ფარგლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობა უზრუნველყოფილია სპეციალიზებული დახმარებით, დიაბეტიტ დაავადებული პაციენტები მკურნალობითა და მედიკამენტებით; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტები დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით; ინკურაბელური პაციენტები მკურნალობითა და მედიკამენტებით; იშვიათი დაავადებები პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით; სასწრაფო სამედიცინო დახმარებით, სამედიცინო ტრანსპორტირებითა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით; რეფერალური დახმარებით; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმებით;
- არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის დაცვა ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, მათთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე (მათ შორის პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო-გადაუდებელ შემთხვევებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

#### 1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 385 ბავშვმა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 92 პაციენტმა, ხოლო ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურებით - 19.9 ათასზე მეტმა პაციენტმა;

- ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 561 პაციენტს; ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა 92 ბენეფიციარს; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურებით ისარგებლა 128 ბენეფიციარმა.
- ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ფარგლებში მომსახურება ჩაუტარდა 4.7 ათასამდე ბენეფიციარს, ხოლო ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტით ისარგებლა 105 - მა პირმა, დაფიქსირდა 35 381 საწოლ/დღე.

#### 1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

- შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით ისარგებლა 1 016 პაციენტმა (10 903 შემთხვევა);
- სპეციალიზებული აბულატორიული დახმარების კომპონენტით ისარგებლა 5.1 ათასზე მეტმა პაციენტმა (5 128 შემთხვევა).

#### 1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 15.3 ათასამდე შემთხვევა და პროგრამით ისარგებლა 126-მა ბენეფიციარმა.

#### 1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

- პროგრამის ფარგლებში ჰემო და პერიტონეული დიალიზით მკურნალობის პროგრამაში ჩართული იყო 3.0 ათასზე მეტი პაციენტი, სულ დაფიქსირდა ჰემოდიალიზის 339.1 ათასამდე სეანსი, პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფის 1.0 ათასზე მეტი შემთხვევა და ისარგებლა 115 პაციენტმა;
- დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 20 შემთხვევა;
  - განხორციელდა ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა.

#### 1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

- ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 19.9 ათასზე მეტი ვიზიტი, 894 პაციენტს გაეწია შესაბამისი მომსახურება;
- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 10.4 ათასზე მეტი საწოლ-დღე, მომსახურება გაეწია 997 პაციენტს.

#### 1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

- სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 532 ბავშვს (835 შემთხვევა);
- ამბულატორიული მომსახურება გაეწია - 203 ბავშვს (1 392 შემთხვევა);
- ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 225 პაციენტს, დაფიქსირდა 5.8 ათასზე მეტი შემთხვევა.

#### 1.2.3.7 სასწრაფო - გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

- სამედიცინო ტრანსპორტირება-რეფერალური დახმარება გაეწია 17.9 ათასამდე პაციენტს.
- ცენტრის მართვაში არსებული 219 ბრიგადის მეშვეობით განხორციელდა 740 000-მდე გამოძახების შესრულება; სამთო-სათხილამურო სეზონთან დაკავშირებით 1 ბრიგადა დაემატა დაბა გუდაურში, ხოლო 2 ბრიგადა - „საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის მზაობის უზრუნველყოფა/შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადის თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა“ პროგრამის მიზნებისათვის; გარდა ამისა, ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით საჭიროებისამებრ მოხდა 3 ბრიგადის დამატება ანაკლიისა და შაორის მომავლის ბანაკებში, სოფელ ომალოსა და სოფელ მანავში, ხოლო 3 ბრიგადა დაემატა ანაკლია-განმუხურში.;
- ცენტრის მართვაში არსებულ, ეროვნულ სასწავლო ცენტრში გადამზადება გაიარა 1 734 თანამშრომელმა, საიდანაც გადამზადებულ ექიმთა რაოდენობამ შეადგინა 501, ექთნების - 665, ხოლო მძღოლების - 568 ერთეული შეადგინა.

#### 1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

- სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა). ასევე გათვალისწინებულია სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის;
- პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული იყო 1 209 სოფლის ექიმი და 1 448 ექთანი; პროვაიდერების ჩათვლით: 1 278 ექიმი და 1 541 ექთანი.

სულ ამ მიზნით გადარიცხულ იქნა 25.0 მლნ ლარი.

#### 1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 12.4 ათასზე მეტი შემთხვევა, მომსახურება გაეწია 9.0 ათასზე მეტ პაციენტს.

#### 1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

- პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულიად გამოკვლეულ იქნა 18.3 ათასზე მეტი წვევამდელი. ჩატარდა 1 586 წვევამდელის დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა.

#### 1.2.3.11 ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 03 11)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა. აღნიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფილია 13 010 ბენეფიციარი.

#### 1.2.4 დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

- საანგარიშო პერიოდი დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამაში ჩართული 28 მაძიებელი აგრძელებს სწავლას;

#### 1.3 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი“;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა მათი ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; სამინისტროს მოსამსახურეთა საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; ტარდებოდა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი, ასევე შასაბამისი ღონისძიებები ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის მიერ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის განხორციელდა ამბულატორიული (27 952 თანამშრომელი) და სტაციონარული მომსახურება (1 593 თანამშრომელი);
- შესყიდულ იქნა სამედიცინო ქვედანაყოფების მარაგები;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და კომპანია „Otto Bock HealthCare GmbH“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სამწლიან საგარანტიო მომსახურებას X-3 პროთეზებზე;
- 47 საპროთეზო-ორპედიული მომსახურება ჩატარდა 36 დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეს;
- მაცხვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო სამსახურში ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი გაიარა 112-მა დაჭრილმა/დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ და 82-მა ოჯახის წევრმა. ასევე, ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსი გაიარა აღმოსავლეთ უკრაინის ანტიტერორისტულ ოპერაციებში უკრაინის ეროვნული გვარდიის 26-მა დაშავებულმა სამხედრო მოსამსახურემ და 11-მა ოჯახის წევრმა;
- ჩატარდა სამხედრო სამსახურში, სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფებში მისაღები კანდიდატების, მისიაში წამსვლელი, მისიიდან დაბრუნებული პირადი შემადგენლობის ფსიქოლოგიური შერჩევა/მონიტორინგი, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სუიციდის პრევენციის ფარგლებში ფსიქოლოგიური შემოწმება, დაჭრილ/დაშავებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია (სულ 9 273 პირი);

#### 1.4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;



- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

#### 1.4.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01 01)

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება.

#### 1.4.2 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 02)

- მიმდინარეობდა სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი. პროგრამის ფარგლებში, პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის შესწავლა განხორციელდა 170 შემთხვევაში (159 სამედიცინო დაწესებულებაში), ხოლო სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულ იქნა 358 შემთხვევაში. სალიცენზიო, სანებართვო და ტექნიკური რეგლამენტის პირობებისა და სავარაუდო უკანონო საექიმო/სამედიცინო საქმიანობა შემოწმდა 360 შემთხვევაში (360 სამედიცინო დაწესებულებაში);
- სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციით, შენიშვნა მიეცა 208 სამართალდამრღვევს, საქმე შეწყდა 10 შემთხვევაში. დაჯარიმდა - 620 სამართალდამრღვევი;
- პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ განხილულ იქნა 305 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი: 207 ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება“, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით შეუჩერდა 93 ექიმს, აქედან: 1 თვით - 37 ექიმს, 2 თვით - 43 ექიმს, 3 თვით - 12 ექიმს, 4 თვით - 1 ექიმს;
- სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია გაიცა 13 სამედიცინო დაწესებულებაზე, ხოლო უარი ეთქვა 4 სამედიცინო დაწესებულებას;
- განხილულ იქნა დიპლომისშემდგომი მზადების განხორციელების უფლების მქონე/მამიებლის (სამედიცინო დაწესებულება/სასწავლებელი) 173 სააკრედიტაციო განაცხადი;
- სულ გაცემულია 83 ნებართვა ავტორიზებულ აფთიაქზე და ფარმაცევტულ წარმოებაზე. შეტყობინების საფუძველზე რეალიზაციის უფლება მიეცა 1 394 აფთიაქს. გაუქმდა 1 261 ფარმაცევტული დაწესებულება. შეტყობინების საფუძველზე რეალიზაცია შეწყვიტა 2 059-მა ფარმაცევტულმა დაწესებულებამ. ნებართვის გაცემეზე უარი ეთქვა 12 ავტორიზებულ აფთიაქს და 2 ფარმაცევტულ წარმოებას;
- მომზადდა და გაიცა 357 წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი, მათ შორის იმპორტზე: ნარკოტიკულ საშუალებების - 41; ფსიქოტროპული ნივთიერებების - 143; პრეკურსორების - 143, ხოლო ექსპორტზე ფსიქოტროპული ნივთიერებების - 9;
- ფარმაცევტული პროდუქტის ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია გაიარა 500-მა ფარმაცევტულმა პროდუქტმა; ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია გაიარა 1 063-მა პროდუქტმა. გაკეთდა 1 546 განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანის შეტყობინება. უარი ეთქვა შეფუთვა-მარკირებით შემოტანის 68 შეტყობინებას;
- კონტროლის ღონისძიებების შედეგად ჩამორთმეული იქნა 299.0 ათასამდე ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა) აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევით არსებული ფარმაცევტული პროდუქტი;
- 71 დაწესებულებაში შემოწმდა შშმ სტატუსის მინიჭების მართლობიერება. განმეორებით გამოკვლევაზე გადაიგზავნა სულ 526 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, გადამოწმებაზე არ

გამოცხადდა 49 შშმ პირი, სტატუსი არ დაუდგინდა 21 შშმ პირს, სტატუსი დაუდასტურდა 428 შშმ პირს, სტატუსი შეეცვალა 28 შშმ პირს;

- 48 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი ლაბორატორიული ანალიზისთვის გადაეგზავნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

#### 1.4.3 დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)

- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- მიმდინარეობდა ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა;
- განხორციელდა ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მიმდინარეობდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა.

#### 1.4.4 სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)

- მიმდინარეობდა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებისა და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების განახლება და კომპეტენციის ფარგლებში მართვა;
- სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;
- ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის წარმოება;
- განხორციელდა მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მონიტორინგი.

#### 1.4.5 სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 05)

- ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მოქმედებდა ცხელი ხაზი, რომლის მომსახურებით ისარგებლა 70-მა მოქალაქემ;
- ტრეფიკინგის მსხვერპლებს გაეწიათ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება, მათ შორის: თავშესაფრით მომსახურება – 7 პირს, ფსიქოლოგიური - 7 პირს, სამედიცინო - 5 პირს, კანონიერი ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა – 10 პირს, კომპენსაცია -1 პირს;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მიმდინარეობდა საინტეგრაციო პროგრამები;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებით და სხვა სერვისებით მომსახურების კომპონენტის ფარგლებში:
  - ✓ თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა ოჯახში ძალადობის 128-მა სრულწლოვანმა და 17-მა არასრულწლოვანმა, ასევე - 162-მა დამოუკიდებელმა პირმა; მოქმედებს ხუთი თავშესაფარი: ქ. თბილისში, ქ. გორში, ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში და ქ. სიღნაღში;

- ✓ მსხვერპლებს გაეწიათ შემდეგი სახის დახმარებები: სამედიცინო – 129 ბენეფიციარს, ფსიქოლოგიური – 210 ბენეფიციარს, იურიდიული დახმარება – 111 ბენეფიციარს, ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 115 მოქალაქეს;
- ✓ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოში წარსადგენად მომზადდა 32 განცხადება, წარმომადგენლობა გაეწია 32 ბენეფიციარს. განქორწინება, ალიმენტის დანიშვნისა და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით მომზადდა - 12 სარჩელი, ქონებრივ დავასთან დაკავშირებით მომზადდა 4 სასარჩელო განცხადება და წარმომადგენლობა გაეწია 7 ბენეფიციარს, სისხლის სამართლის საქმეზე წარმომადგენლობა განხორციელდა – 10 ბენეფიციარზე;
- ✓ მოქმედებს 24 საათიანი ცხელი ხაზი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 2 135- მა მოქალაქემ;
- განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (186 ბენეფიციარი), ხანდაზმულთა (172 ბენეფიციარი) და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა (99 ბენეფიციარი) მოვლა-პატრონობის, კვების, პირველადი სამედიცინო მომსახურების, დღის და სადღეღამისო მომსახურების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები;
- სატელევიზიო სივრცეში განთავსდა ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სარეკლამო ვიდეო რგოლი;
- ჩვილ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლების, შშმ და ხანდაზმულთა პანსიონატების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

1.4.6 საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 06)

- პროგრამის ფარგლებში რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (გარდა თბილისისა) უზრუნველყოფილი იქნა მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- უზრუნველყოფილ იქნა ცენტრის რაიონული მომსახურების ბრიგადების მიერ მიღებული და შესრულებული გამოძახებები. ინფორმაცია დამუშავდა და ხდებოდა მისი ყოველდღიური ანალიზი;
- საგანგებო სიტუაციების დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის დროულად აღმოჩენილ იქნა ადეკვატური სამედიცინო მომსახურება;
- ცენტრის საკუთრებაში არსებული, ეროვნულ სასწავლო ცენტრის ბაზაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების გადასამზადებელი კურსი გაიარა ცენტრის მართვაში არსებული სამედიცინო პერსონალმა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

1.5. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი

- დაფინანსდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ რუხში მშენებარე მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები (ნაწილობრივი დაფინანსება);
- დასრულდა სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დაფინანსდა ორი მშენებარე ობიექტების გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები და ასევე ორი მშენებარე ობიექტის კომუნალური მომსახურების ხარჯები;
- დაფინანსდა ქ. თბილისში ტუბერკულოზის ეროვნული სათავო/რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობა (თანადაფინანსება);
- სსიპ-საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირებისათვის შექმნილ იქნა 10 ერთეული რეანიმობილი, 22 ერთეული ახალი 4 ერთეული

მეორადი მაღალი გამავლობის სპეციალიზებული ავტომანქანა; განხორციელდა ამ მანქანების აღჭურვა სამედიცინო აპარატურით, მათ შორის ახალშობილთა სატრანსპორტო კიუვეებითა და სუნთქვის აპარატებით, ასევე სპეციალიზებული ფორმები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებისთვის და პერსონალისთვის;

- მესტიის მუნიციპალიტეტის შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანებისათვის“ შესყიდული იქნა მაღალტექნოლოგიური ენდოსკოპიური (ლაპარასკოპიული) აპარატი;
- განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროებისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში (იაღლუჯი) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტის მშენებლობა;
- სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდასა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ფუნქციონირებისათვის შესყიდული იქნა თანამედროვე სტაციონარული რენტგენის დანადგარი-მაღალტექნოლოგიური რადიოგრაფიულ-ფლუოროსკოპიული კომპიუტერიზებული სისტემა;

#### 1.6 სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 54 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

- ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისათვის, საქართველოს შეიარაღებული ძალების 28 სამხედრო მოსამსახურის ოჯახს გადაეცათ სახელმწიფო ჯილდოები;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების 34 სამხედრო მოსამსახურის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის მიზნით მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია;
- ვეტერანთა ღვაწლის, დამსახურებისა და პატივისცემის გამოხატვის მიზნით, ასი წლის და ას წელს გადაცილებულ ვეტერანებს, დაბადების დღესთან დაკავშირებით გადაეცათ, სამახსოვრო საჩუქრები;
- სამსახურისა და ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ორგანიზებით, დაბა ვაზიანის ამბულატორიაში კომპაქტურად ჩასახლებულ ვეტერანებსა და მათი ოჯახის წევრებს ჩაუტარდათ უფასო სამედიცინო გამოკვლევები და კონსულტაციები, ხოლო ქვეყნის მამტაბით 61 შშმპ ვეტერანს გადაეცა ეტლ-სავარძელი;
- 604 გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახზე გაიცა ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება 500 ლარის ოდენობით.
- 1940 ბენეფიციარს სამსახურის ბიუჯეტიდან დაუფინანსდა მედიკამენტები, ოპერაციული მკურნალობა და სხვადასხვა სამედიცინო კვლევები.
- დედის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შვილებისა და შვილიშვილების ნახატების კონკურსი, ნახატების გამოფენა, კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით;
- ომისა და სამხედრო ძალების შვილებისა და შვილიშვილებისთვის მოეწყო სპორტულ-ინტელექტუალური ტურნირი „მხიარული არდადეგები“;
- რეგიონში მცხოვრებ ვეტერანებს და მათი ოჯახის წევრებს ჩაუტარდათ უფასო გამოკვლევები „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან“, ააიპ „ლაიონსების თვალის კლინიკასთან“, შპს „ლანცეტთან“ და შპს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრთან“ გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში;

- საქართველოს სხვადასხვა ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სოფლების ქუჩებსა და საჯარო სკოლებს ომში დაღუპული გმირების სახელები მიენიჭა;
- საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოეწყო სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები;
- სამსახურის ორგანიზებით ქ. კიევიდან გადმოსვენებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს გარდაცვლილი აბესალომ ალექსიძის ნეშტი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და საერთაშორისო სამხედრო მისიებში დაღუპული ქართველი სამხედროების ხსოვნის უკვდავსაყოფად, „გავერთიანდეთ ბორჯომის ტყის აღსადგენად“ აქციის ფარგლებში, სამსახურის მიერ ბორჯომის ეროვნულ პარკში 2008 წლის ომის შედეგად განადგურებულ ტერიტორიაზე, ვეტერანთა ხეივნის გაშენების მიზნით, დაირგო კავკასიური ფიჭვის ნერგები;
- ვეტერანებისთვის სამედიცინო ჰოსპიტალის აღდგენის მიზნით თავდაცვის სამინისტროსგან სამსახურს გადმოეცა ფართი, რაც ხელს შეუწყობს ვეტერანების სამედიცინო მომსახურების სრულყოფას;
- შშმ მკლავჭიდელ ვეტერანს დაუფინანსდა მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის ხარჯები. მოპოვებულ იქნა ვერცხლის მედალი;
- აგვისტოს ომში დაღუპული გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად ამპუტანტ ვეტერანთა შორის მოეწყო ფეხბურთის ტურნირი და გათამაშდა „აფხაზეთის გარდამავალი თასი“;
- მონაწილეობა იქნა მიღებული დაბა წალვერში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში;
- მოეწყო ქართველი და უკრაინელი მეზრძოლების ფოტოგამოფენა „ისინი საქართველოსა და უკრაინისთვის იბრძოდნენ“;
- მოძიებულ და შეგროვებულ იქნა შესაბამისი მასალები სამსახურის ვებ - გვერდისა და ბროშურა „ვეტერანი“-სთვის.
- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე მემორიალური კომპლექსების, საძმო სასაფლაოების და უცხო ქვეყნის ჯარისკაცის საფლავების აღრიცხვის და საინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით;
- განხორციელდა ჰოსპიტალური და რეაბილიტაციის პროგრამები;
- შემუშავდა საქართველოში მომქმედი ბიზნესის მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის მსურველ ვეტერანთა საინფორმაციო ბაზა.
- ა(ა)იპ „FESR“-თან, ვეტერანების სახელმწიფო სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის გაწერილი გრაფიკის შესაბამისად, ჩატარდა ბიზნეს-გეგმებისა და პროექტების შექმნის პრაქტიკული სწავლება.
- გატარდა რიგი ღონისძიებები ვეტერანების რეგისტრაციის ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღრიცხვიანობის გაუმჯობესების მიზნით და გეგმიურად განხორციელდა მონაცემთა ბაზების რეზერვული ასლების მომზადება.
- მომზადებულ იქნა რიგი საკანონმდებლო ინიციატივები ვეტერანების და მათი ოჯახის წევრთა სოციალური პირობების გაუმჯობესების შესახებ.
- გაფორმდა მემორანდუმები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების შეღავათიანი პირობებით მომსახურებაზე.
- საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებაში ცვლილების განხორციელებით საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის უფლებას მოიპოვეს - 4 578 პირი (იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს მათთვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნაზე უარის თქმის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი).
- ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით გადამოწმდა: ომში დაღუპულის ოჯახის წევრის - 3 128 პირის ანკეტა-განაცხადი, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - 155 პირის ანკეტა - განაცხადი და მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე - 1 252 პირის ანკეტა - განაცხადი;

- შუამდგომლობა გაეწია ადგილობრივ და ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებთან ერთჯერადი მატერიალური დახმარების და ჯანდაცვის სერვისების მისაღებად 1915 ვეტერანს.
- სრულად დაიწყო ფუნქციონირება საქართველოს მასშტაბით რეგიონალურმა სამსახურებმა და ვეტერანებისთვის გაუმჯობესდა მომსახურება და ინფორმირებულობა.

## 1.7 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

- დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის ფარგლებში საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით 834-მა დამსაქმებელმა წარმოადგინა 5 711 სამუშაო ადგილი, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებელთან გაიგზავნა 2 469 სამუშაოს მაძიებელი (თბილისში - 882, რეგიონებში - 1587) სულ საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 399 პირი;
- შრომის ბაზარზე ქვევის წესების გაცნობის მიზნით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ყველა რაიონულ განყოფილებაში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური და ჯგუფური ზოგადი კონსულტირებები. ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 5 187 სამუშაოს მაძიებელმა; ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 1 068-მა სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის: იძულებით გადაადგილებული პირი - 141, შშმპ - 9, ქალი - 832; ასევე კარიერის დაგეგმვის მომსახურება ჩაუტარდა 493 სამუშაოს მაძიებელს (თბილისსა და საქართველოს ექვს რეგიონში: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, იმერეთი, აჭარა). მათ შორის ქალი - 296, იძულებით გადაადგილებული პირი - 54, შშმ პირი - 7;
- დამსაქმებელთან შეხვედრის შედეგად მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა მოიძიეს 134 ვაკანსია შშმ პირთათვის. საქართველოს მასშტაბით მათ განახორციელეს 270 პირველადი შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან. 7 რაიონულ განყოფილებაში (2016 წლიდან დღემდე) 519 შშმ პირს გაეწია მხარდაჭერითი მომსახურება (შესაბამისად შეივსო პროფესიული პროფილი), მათ შორის მხარდაჭერითი მომსახურება, 2017 წელს მიიღო 385-მა შშმ პირმა (თბილისი - 150, რეგიონი-235);
- მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების მიერ საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 42 შშმ პირი. აქედან 13 - თბილისში, 15 - აჭარაში, 6 - შიდა ქართლში, 3 - გურიაში, 3 - კახეთში და 2- იმერეთში;
- 177 შშმ პირთან ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტირება (2016 წლის მეორე ნახევრიდან დღემდე), აქედან, 2017 წელს 142 შშმ პირს, რომლის დროსაც მათ შეუდგინეს პირადი რეზიუმე (CV).
- 2016 წლის სუბსიდირების პროგრამაში ჩართული 19 ბენეფიციარიდან 2017 წლის 1 იანვრიდან შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 11 ბენეფიციარს, ხოლო სტაჟირების პროგრამის დახმარებით დასაქმდა 5 ბენეფიციარი; საანგარიშო პერიოდში ასევე, სუბსიდირების პროგრამაში ჩაერთო 23 დამსაქმებელი და 53 შშმ პირი. დასაქმებულია 22 შშმ პირი;
- 2017 წლის ივნისში HR hub-ისა და studentjob.ge-ის ინიციატივით, ჩატარდა სტუდენტური საზაფხულო დასაქმების ფესტივალი „Job Fest 2017“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 79-მა დამსაქმებელმა და 900-ზე მეტმა 18-დან 29 წლის ასაკის სამუშაოს მაძიებელმა;
- ჩატარდა დასაქმების 14 ფორუმი თბილისსა და რეგიონებში (ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი), სადაც მონაწილეობა მიიღო 5 947-მდე სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 2 500-მდე ვაკანსია, დასაქმდა 731 სამუშაოს მაძიებელი;

- შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით ქვეყნის მასშტაბით შემოწმდა 165 კომპანიის 287 ობიექტი. შემოწმების შედეგად დამსაქმებლებს გადაეცათ წერილობითი რეკომენდაციები გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ. „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის წესი“-ს ფარგლებში საქართველოს მასშტაბით შემოწმდა 113 კომპანია (6 არაგეგმიური);
- შრომის პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვის თაობაზე ტრენინგი ჩატარდა საქართველოს ფეროშენადნობთა ასოციაციის 20 წარმომადგენელს, თბილისში საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის 15 თანამშრომელს, ხაშურის რაიონის სოფელ გომი-ს თანამშრომლებს, LTD „Black Sea Group“-ის 20 წარმომადგენელს;
- საანგარიშო პერიოდში სისტემაში დარეგისტრირდა 63.3 ათასზე მეტი სამუშაოს მაძიებელი. სისტემაში საშუალოდ მომსახურების გაწევის მიზნით დამსაქმებლების მიერ წაროდგენილი იქნა 5 711 სამუშაო ადგილი, მათ შორის სისტემაში დარეგისტრირებული 1 080 სამუშაო ადგილი;
- პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო 2 497 სამუშაოს მაძიებელი, სრული კურსი ორივე კომპონენტში გაიარა 2259 სამუშაოს მაძიებელმა, 2018 წლის 1 მარტის მდგომარეობით ორივე აქტივობის შედეგად დასაქმებულია 592 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 12 შპს პირი. დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა სრული კურსის გადამზადებულებიდან 26%;
- გამოკვლეულია და აღრიცხულია 18 უბედური შემთხვევა;
- საანგარიშო პერიოდში მომზადება-გადამზადების პროგრამის 2016 წელს კურსდამთავრებულთა განმეორებითი მონიტორინგის შედეგად დადასტურდა დამატებით 332 ბენეფიციარის დასაქმება;
- საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის პროექტი.

1.8 შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

- განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაშავებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა დისპანსერიზაცია, სამკურნალო-სამედიცინო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;
- დადგენილი წესით ჩატარებულ იქნა სამხედრო-საექიმო კომისიები.

1.9 ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 57 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი

- სოლიდარობის ფონდმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწია სიმსივნით დაავადებული და სისხლმზადი ორგანოს დაავადებების მქონე ბავშვსა და 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდას (ჯამში 202, ახალი შემთხვევა - 119 აღნიშნული მხარდაჭერა მოიცავდა:
  - ✓ სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტს ფარგლებს გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის დაფინანსებას საქართველოში 95 შემთხვევა);
  - ✓ ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მომსახურებას საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში და ასევე ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსებას როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ 107 შემთხვევა;
- განხორციელდა 482 საჯარო უწყების 100 000-ზე მეტი თანამშრომლის ყოველთვიური ინდივიდუალური დონაცია, 75 თანამშრომლობითი მემორანდუმის ფარგლებში საჯარო და კერძო სექტორში ინოვაციური დაფინანსების ინიციატივების გააქტიურება, 8 საქველმოქმედო შემოქმედებითი პროგრამა, ასევე ინდივიდუალური ინიციატივის ფარგლებში დონაციები.

## 2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

### 2.1 საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში წარდგენილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
- ამოქმედდა ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული სამართალდარღვევისთვის ჯარიმების აღსრულების ახალი წესი, კერძოდ, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით საფოსტო გზავნილის გაგზავნამდე სამართალდამრღვევს ჯარიმის შესახებ ეგზავნება ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების, ან აპლიკაციის საშუალებით;
- „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები, რომლებიც 20 ივნისიდან უსასყიდლოდა განთავსდა არხებზე: „იმედი“, „ჯიდიეს“, „მაესტრო“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. ასევე, მომზადდა 200 000 საინფორმაციო ბუკლეტი და მთელი ქვეყნის მასშტაბით კანონის ამოქმედებამდე მძღოლებს დაურიგდა;
- „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყნის“ პროექტის ფარგლებში, განხორციელდა შს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტების მიერ 1 300 ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერის შესყიდვა (მ.შ. შინაგან საქმეთა სამინისტრო - 100 კამერა).
- საანგარიშო პერიოდში სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრში:
  - ✓ დაინერგა NEC სახის ამოცნობის ანალიტიკური პროგრამა და შეძენილი იქნა პროგრამის 400 ლიცენზია;
  - ✓ დაინერგა ISS სახელმწიფო ნომრის ამომცნობი პროგრამა (ANPR);
- პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით სამინისტრომ შეიძინა 1 800 ლიცენზია ANPR.
- პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ფარგლებში, დანაშაულის და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ეფექტური პრევენციის, ასევე ავტო-საგზაო შემთხვევების



დროს დაშავებულთა რაოდენობის შემცირების მიზნით, 2017 წლის 1 ნოემბრიდან, ავტომატიზებული რეჟიმში ამოქმედდა „ჭკვიანი“ ვიდეოკამერების სისტემა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ავტომატურად დააფიქსიროს 5 სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ასევე, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე მოეწყო 11 საშუალო სიჩქარის კონტროლის სექცია, „სექციური რადარების საშუალებით ხდება გზის შესაბამის მონაკვეთზე ავტოსატრანსპორტო საშუალების საშუალო სიჩქარის დადგენა;

- ინფორმაციის ურთიერთმიმოცვლის გზით, ქვეყანაში არსებული მიგრაციის მონაცემების დამუშავების გაუმჯობესებისა და სანდო და განახლებული სტატისტიკის წარმოების, მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესების, მიგრაციული ტენდენციების მონიტორინგისა და ანალიზის, აგრეთვე, ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის დახვეწის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს შორის გაფორმდა სამმხრივი უწყებათაშორისი მემორანდუმი „მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის მიზნებისათვის მონაცემთა მოცულობის განსაზღვრის და მიწოდების წესის თაობაზე“;
- შსს ვებ-გვერდის, სოციალური ქსელების, ასევე ერთჯერადი აქციების საშუალებით, ყოველდღიურ რეჟიმში, მიმდინარეობდა საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე საქმიანობებისა და სიახლეების შესახებ;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სოციალური კამპანიის „შენი გულისთვის, შენი უსაფრთხოებისთვის“ ფარგლებში მოეწყო იმიტირებული უსაფრთხო ქალაქი (ბათუმი, ახალციხე, პანკისი და ახმეტა), სახელწოდებით „ეს ჩემი ქალაქია“;
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ადგენს დნმ-ის კოდის შეგროვების წესს, დნმ-ის კოდის ნიმუშისა და პროფილის 83 შენახვის ვადებს, დნმ-ის კოდის მონაცემთა გამოთხოვის საფუძვლებს და პირობებს, ინდივიდის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიებს;
- განხორციელდა შემდეგი სამუშაო შეხვედრები:
  - ✓ კიბერ დანაშაულის კუთხით გამოცდილების გაზიარების მიზნით, ქ. ტალინში ვიზიტად იმყოფებოდნენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები;
  - ✓ იტალიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კარაბინიერთა კორპუსის დელეგაციის ვიზიტი;
  - ✓ ქ. ლისაბონში, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლების ვიზიტი FIEP-ის კომისიის ფარგლებში;
  - ✓ სასწავლო ვიზიტები გერმანიაში, ნიდერლანდებში და ავსტრიაში, რომლებიც მიზნად ისახავდა ქართული მხარის მიერ მსხვილმასშტაბიანი მუსიკალური ფესტივალების (Nature One, Mysteryland, „Donauinselfest“) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას;
  - ✓ იორდანის ჰაშიმიტური სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟანდარმერიის დელეგაციის ვიზიტი;
  - ✓ მოლდოვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი;
  - ✓ ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის დელეგაციის ვიზიტი;
  - ✓ ავსტრიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი;
  - ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ქალაქ ჰააგაში, ევროპოლის შტაბ-ბინაში ევროპის პოლიციის უფროსების ყოველწლიურ შეხვედრაზე;
- სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე დაკავებულია 53 პირი, სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის დაკავებულია 111 მოქალაქე, ხოლო გადაკვეთის მცდელობაზე დაკავებულია 92 პირი;
- საქართველოს საზღვაო სივრცეში დაფიქსირდა 469 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ შეადგინა 2.1 მლნ ლარი. ამასთან, საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის ოკუპირებულ მონაკვეთზე გამოვლენილ იქნა დარღვევის 64 ფაქტი;

- ჩატარდა სამაშველო ოპერაციები ზღვაზე, გადარჩენილია 32 ადამიანი, დახმარება გაეწია 67 მცურავ საშუალებას;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებს ჩაუტარდათ სასწავლო კურსები, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი ადმინისტრაციული შენობების მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, მათ შორის:
  - ✓ ქ. ხონში, სოლომონ მეორის ქ. N9-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე ხონის პოლიციის რაიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები (დასრულდა);
  - ✓ ქ. ახალქალაქში, აღმაშენებლის ქ. N5-ში მდებარე სამხარეო პოლიციის ტერიტორიაზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო-სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (დასრულდა);
  - ✓ ქ. თბილისში გულუს ქ. N10-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამშვები პუნქტის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები (დასრულდა);
  - ✓ ქ. ბათუმში გრიშაშვილის ქ. N17-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის აჭარის საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის შენობა-ნაგებობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები (დასრულდა);
  - ✓ ქ. თბილისში, გულუს ქ. N10-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები (დასრულდა);
  - ✓ ქ. თბილისში, პოლიციის ქ. N10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო და ახალი ავტოფარების სამშენებლო სამუშაოები (დასრულდა);
  - ✓ ქ. თბილისში პოლიტკოვსკაიას ქ. N11ა-ში არსებული სპორტული მოედნის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური ჭიშკრის სარემონტო სამუშაოები, სათდარიგო შესასვლელი ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები და ქ. თბილისში ქიზიყის ქ. N5-ში მდებარე დასაცავ ობიექტებზე სათვალთვალო კომპიუტერების სარემონტო და გამაგრებითი სამუშაოები (დასრულდა);
  - ✓ ქ. თბილისში, ი. ცურტაველის ქ. N29-ში შსს ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული საკონტროლო გამშვები პუნქტის (57 კვმ) მოწყობის, ყაზარმის სარემონტო სამუშაოების და ქ. თბილისში, კ. ჩალაძის ქ. N1-ში მდებარე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის და ტერიტორიაზე გადახურული ფარდულის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ქ. ზუგდიდში, სოხუმის ქ. N1-ში მდებარე, პოლიციის სამმართველოს შენობის სარემონტო სამუშაოები, ქ. ზუგდიდში, სოფელ ანაკლიაში მდებარე პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები, ქ. ზუგდიდში, ბერანძის ქ. N9-ში მდებარე გდდ-ს ტერიტორიაზე ავტოფარების სამშენებლო სამუშაოები და თამარ მეფის ქ. N146-ში მდებარე, პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
  - ✓ ქ. ზუგდიდში, გორის ქ. N3-ში მდებარე, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოები;
  - ✓ ყაზბეგის რაიონის სოფელ გუდაურში მდებარე შსს ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. დუშეთში რუსთაველის ქ. N62-ში მდებარე შსს მცხეთა - მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონული სამმართველოს შენობაში, დაბა თიანეთში რუსთაველის ქ. N7-ში მდებარე შსს მცხეთა - მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თიანეთის რაიონული სამმართველოს შენობაში და დაბა სტეფანწმინდაში ალ. ყაზბეგის ქ. N5-ში მდებარე შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონული სამმართველოს შენობაში სარემონტო სამუშაოები (დასრულდა);

- ✓ ქ. რუსთავში, ფიროსმანის ქ. N15-ში მდებარე შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის შესასვლელის კედლის მოწყობის და ჭიშკრის მოწყობის სამუშაოები (დასრულდა);
- ✓ ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. №5-ში შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის II სამმართველოს I განყოფილების I ქვეგანყოფილების დასაცავ ტერიტორიაზე ოთხი ერთეული სათვალთვალო კომპიუტერული მოწყობის სამუშაოები (დასრულდა);
- ✓ ქ. თბილისში, ქიზიყის ქ. N5-ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის შეიარაღების სამმართველოს სახელოსნო-საწყობის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ დასრულდა დუშეთის რაიონში სოფ. ოძისში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალგორის რაიონული სამმართველოს საოკუპაციო საზღვრის გამტარ პუნქტზე სველი წერტილის მოწყობის და სასადილოს სარემონტო სამუშაოები, ქ. გორში, მშვიდობის ქ. N2-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოები და ქ. გორში, სუხიშვილის ქ. N2-ში მდებარე შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო და შენობის ცენტრალური შესასვლელი კიბის მოპირკეთების სამუშაოები (დასრულდა);
- ✓ ქ. თბილისში, ნოე რამიშვილის ქ. N38-ში მდებარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიაზე სპორტული მოედნის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისში, გულუას ქ. N6-სა და N8-ს შორის მდებარე შსს ბალანსზე რიცხულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზა - რკინა-ბეტონის კარკასის დასრულების სამშენებლო სამუშაოები და ავტოსადგომის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;
- ✓ N2 სამმართველოს (ახალციხე) N2 სასაზღვრო სექტორის „ვალეს“, N3 სასაზღვრო სექტორის (ჭარალი) მშენებლობა, N5 სამმართველოს (ლაგოდეხი) N7 სასაზღვრო სექტორის (ომალო) ბლოკ პოსტ "დიკლო"-ს სველი წერტილის მშენებლობა, სექტორი ვალეს კაპიტალური რემონტი (დასრულდა);
- ✓ BOMS-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ვალე - კარწახი, სარფი-კირნათის სასაზღვრო სექტორების და მილარი, ფიროსმანი, საბათლო, სულდას სასაზღვრო სექტორების ელექტროფიცირება;
- ✓ სასაზღვრო სექტორებზე ახალსოფელი, სადახლოს გაზიფიცირება (დასრულდა);
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში სავენტილაციო სისტემების მოწყობის სამუშაოები (დასრულდა);
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში შემავალ დანაყოფებში (ატოცი, კნოლევო, დვანი და წაღვლი) საპირფარეოების სამშენებლო სამუშაოები (დასრულდა);
- ✓ სოფ. კარალეთში, ქ. თბილისში, ქ. ზუგდიდში და გარდაბნის რაიონ სოფელ კრწანისში (იალლუჯა) მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტებზე სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები (დასრულდა);
- ✓ შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის გორის, საგარეჯოს, მარნეულის, სიღნაღის, ხაშურის, დუშეთისა და ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორების სარემონტო სამუშაოები;
- ✓ შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის (სამსახური) (ქ. გორი) ახალქალაქის დროებითი მოთავსების იზოლატორის სარემონტო სამუშაოები.
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდა სავენტილაციო სისტემების სამუშაოები;
- განახლდა სამინისტროს მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

## 2.2 თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- დამტკიცდა „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი 2017-2020“. დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სტრუქტურული, ინსტიტუციური და ოპერატიული განვითარების მიმართულებებს;
- შემუშავდა „თეთრი წიგნი 2017-2020“, რომელიც განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ამოცანებს 2017-2020 წლებისათვის.
- შემუშავდა „თავდაცვის ტრანსფორმაციის იმპლემენტაციის გეგმა 2017-2020“, რაც ხელს უწყობს სტრატეგიულ დოკუმენტებში გაწერილი რეკომენდაციების ეფექტიანად განხორციელებას;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:
  - ✓ მრავალეროვნული სწავლებები „AGILE SPIRIT-17, „NOBLE PARTNER 17“, „RAPID TRIDENT-17“ და „SEA BREEZE-17“;
  - ✓ სწავლებები: „SABER GUARDIAN 17“, „IEL MILU-17“, „REGEX -17“, „DRAGON 17“, „Cambrian Patrol – 2017“, „კავშირი-2017“, „ღირსეული პასუხი 2017“;
  - ✓ სწავლებები (საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთი) „ETERNITY-17“ და „CAUCASIAN EAGLE-17“;
- უწყებათაშორისი სწავლებები (CMEP) „კოლხიდა-17“, „ინფო-17“, სამეთაურო-სამტაბო სწავლება „დიდგორი-17“;
  - ✓ რქბ ასეულის საბაზისო სწავლება;
  - ✓ დაზვერვის საველე სიტუაციური სწავლება;
- ჩატარდა შემდეგი კონფერენციები:
  - ✓ სწავლება „REGEX 18“ IPC საწყისი დაგეგმვა;
  - ✓ სწავლება „Combined Resolve-2018“ IPC საწყისი და ძირითადი დაგეგმვა;
  - ✓ სწავლება „TRIDENT JOUST 17“ FPC საბოლოო დაგეგმვა;
  - ✓ სწავლება „Dynamic Front-18“ FPC საბოლოო დაგეგმვა;
  - ✓ სწავლება "EFES-18" ძირითადი დაგეგმვის კონფერენცია;
  - ✓ სწავლება "WIKING-18" ფინალური დაგეგმვის კონფერენცია;
- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში გაიმართა კონფერენცია თემაზე „საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელება“. ასევე, გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ მისიაში გასაგზავნ 2 490-მდე სამხედრო მოსამსახურეს ჩაუტარდა სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ;
- სამინისტროს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალში (SEDM) ;
- ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ქ. ბრიუსელში, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, სადაც განხილული იყო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ძირითადი საკითხები. ასევე, საქართველოში გაიმართა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის სინქრონიზაციის სამუშაო შეხვედრა (SNGP Synchronization Workshop) და ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი;
- გაიმართა ნატოს შემდგომი ვიზიტი საქართველოში, რომლის მიზანი იყო 2017 წლის ყოველწლიური ეროვნული პროგრამის შეფასება;
- საანგარიშო პერიოდში „ვენის 2011 წლის დოკუმენტის“, „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ და რეგიონალური ვიზიტის ფარგლებში „ღია ცის“ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები და ინსპექცია/შეფასებითი ვიზიტები;
- საანგარიშო პერიოდში 3 ქვეყანასთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ხელი მოეწერა 7 შეთანხმებას და გაფორმდა 10 საგრანტო შეთანხმებას;

### 2.3. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- პენიტენციური სისტემის სრულყოფისათვის და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, მიმდინარეობს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამავე მიზნით გრძელდება ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

#### 2.3.1. პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 01)

- პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 1 565 მონაწილე, მათ შორის 71 არასრულწლოვანი და 177 ქალი მსჯავრდებული;
- ზოგად განათლების პროგრამაში დაფიქსირდა 102 მსჯავრდებულის მონაწილეობა, ხოლო უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამით სარგებლობდა 29 მსჯავრდებული;
- ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 1 875 მონაწილე, მათ შორის 263 არასრულწლოვანი და 279 ქალი მსჯავრდებული;
- კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ინტელექტუალურ და შემეცნებით შეხვედრებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში ჯამურად დაფიქსირდა 2 830-მდე მონაწილე;
- დასაქმების პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 850 მსჯავრდებული, მათ შორის 95 ქალი. მსჯავრდებულები დასაქმებულები არიან სამეურნეო სამსახურში, სილამაზის სალონებში, დასაქმების მინიკერებსა და საწარმო საქმიანობაში (სამკერვალო და პურის საცხობი), ასევე ინდივიდუალურ საქმიანობაში (ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია);
- პენიტენციურ სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 3-ჯერადი კვებითი მომსახურება სხვადასხვა საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის, კვებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;
- მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, პენიტენციური დაწესებულებების საზოგადოებრივ მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 194.0 ათას მომსახურებაზე მეტი;
- პენიტენციური დეპარტამენტის, პენიტენციური დაწესებულებების სპეციალური წოდების მქონე, სოციალური სამსახურის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით.

#### 2.3.2. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 01 02)

- მიმდინარეობდა პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურების მომარაგება მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით;
- ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა 55.2 ათასამდე სკრინინგული გამოკვლევა, მათ შორის 2 531 ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულზე და 197 არასრულწლოვანზე. „DOTS“, „DOTS+“ მკურნალობის პროგრამაში ახალჩართულთა რაოდენობამ შეადგინა 52, ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა და არასრულწლოვანთა ჩართვის შემთხვევა არ დაფიქსირებულა;

- აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით ჩატარდა 7.1 ათასამდე სკრინინგი (მათ შორის ქალი - 350, არასრულწლოვანი - 24). აივ-ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 11 ახალი პაციენტი აღნიშნულ დაავადებებზე დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია;
- C და B ჰეპატიტებზე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ჩაუტარდათ 5.0 ათასზე მეტი სკრინინგი. C ჰეპატიტის ანტივირუსული მკურნალობის კურსში ჩაერთო 1 068 ბრალდებულ/მსჯავრდებულ, მათ შორის 14 ქალი და არცერთი არასრულწლოვანი;
- სხვადასხვა პროფილის მოწვევული ექიმ-სპეციალისტების მიერ, ბრალდებულ/ მსჯავრდებულებს გაეწიათ 39.7 ათასამდე კონსულტაცია. ბრალდებულ/მსჯავრდებულებს მიერ სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის 4.3 ათასამდე, ხოლო სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში 3.5 ათასამდე შემთხვევა დაფიქსირდა.

### 2.3.3. პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 03)

- პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით:
  - ✓ სისტემის ყველა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებში მიმდინარეობდა/ჩატარებულ იქნა სხვადასხვა მიმდინარე და კაპიტალური სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები: მათ შორის ერთი დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულ სასადილო-სამზარეულო შენობას ჩაუტარდა კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ორი პენიტენციური დაწესებულების გარშემო დასრულდა ბუფერული ზონის ღობის მავთულხლართით მოწყობის კაპიტალური სამუშაოები და 4 დაწესებულებაში დასრულდა და 2-ში მიმდინარეობდა დაწესებულების მიმდებარედ ბუფერული ზონის ტერიტორიების მოსწორების სამუშაოები;
  - ✓ პენიტენციური სისტემის ხუთი დაწესებულება აღიჭურვა სხვადასხვა ტიპის სკანერებითა და მეტალო-დეტექტორებით, 6 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო სისტემის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მონტაჟი, ხოლო პენიტენციური სისტემის ორ დაწესებულებაში დასრულდა პერიმეტრის დაცვისა და კონტროლის სისტემის მიწოდება-მონტაჟის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა 2012 წლის ზაფხულში დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში.

### 2.4 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (პროგრამული კოდი 31 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
- მიმდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა, უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;
- გრძელდებოდა კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი
- ხორციელდებოდა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.

## 2.5 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

- მიმდინარეობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა კონსულტაციები საგანგებო მართვის გეგმების დანერგვის უზრუნველყოფის საკითხებზე;
- შეძენილია მაშველების ყოველდღიური უნიფორმა, სამაშველო აღჭურვილობა და წყალში ყვინთვისთვის საჭირო აღჭურვილობა;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა სააგენტოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- ჩატარებულ იქნა შესაბამისი სამუშაოები საქართველოს მასშტაბით წარმოქმნილი ტყის ხანძრების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით;

## 2.6 საერთაშორისო ოპერაციები (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- საანგარიშო პერიოდში ავღანეთში, გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიის (RSM) ფარგლებში, შეერთებული შტატების კონტინგენტის შემადგენლობაში იმყოფებოდა ეროვნული გვარდიისა და სამხედრო პოლიციის ოცეულებით გაძლიერებული ქვეითი ბატალიონი, ხოლო გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიის (QRF COY, GDP RSM) ფარგლებში, გერმანიის კონტინგენტის შემადგენლობაში - პირველი ბრიგადის სადაზვერვო ასეული. განხორციელდა გეგმიური როტაციები;
- ნატოს რეაგირების ძალების (NRF) შემადგენლობაში იმყოფებოდა მე-12 ბატალიონის პირველი ქვეითი ასეული, ხოლო მე-12 ბატალიონის მესამე ასეული გადიოდა მომზადებას, რათა ოპერატიულ შესაძლებლობათა კონცეფციის შეფასებისა და ანალიზის (OCC E&F) პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს მეორე ეროვნული დონის (SEL-2) შეფასებაში; აღნიშნული ასეულის ბოლო შეფასების შემდეგ მოხდება ასეულის სერთიფიცირება ნატოს რეაგირების ძალებში მონაწილეობისათვის;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში (EUTM RCA) და მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვინელ მისიაში (EUTM Mali);

## 2.7 გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პროკურატურა

- სასჯელს განრიდებულ იქნა 14-დან 18 წლამდე ასაკის 475 არასრულწლოვანი, 18-დან 21 წლამდე ასაკის 435 და 21 წლის ზემოთ ასაკის 1 652 სრულწლოვანი პირი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ მომსახურება გაეწია 9 913 პირს;
- წარმოდგენილ იქნა (კონფერენციის ფორმატში) 2014-2016 წლებში პროკურატურის მიერ ნარკოტიკულ დანაშაულზე განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ამსახველი ანგარიში და წამალდამოკიდებულების გამომწვევი მიზეზების შესახებ პრობაციონერებთან ჩატარებული კვლევის შედეგები;

- „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში, საერთო ჯამში ჩატარდა 556 ღონისძიება, მათ შორის 318 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური და 42 კულტურულ-საგანმანათლებლო შინაარსის, 17 სპორტული სახის ღონისძიება და 29 სხვადასხვა სახის სოციალური აქტივობა. სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულების პრევენციის მიზნით ჩატარებული კამპანიის, ასევე, დაზარალებულთა კვირეულის ფარგლებში განხორციელდა 150 ღონისძიება; აღნიშნულ ღონისძიებებში სულ მონაწილეობდა 28 000-ზე მეტი პირი;
- ჩატარდა ანტინარკოტიკული კამპანიის კვირეული საჯარო სკოლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა შეხვედრები საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. პროკურორებმა წარმოადგინეს პრევენტაცია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამომწვევი მიზეზების კვლევის შედეგებისა და ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მავნე ზეგავლენის შესახებ;
- ჩატარდა კამპანია „არ დაარღვიო საგზაო მოძრაობის წესები“, რომლის ფარგლებში პროკურორებმა მოსახლეობასთან, მოსწავლეებსა და სტუდენტებთან სატრანსპორტო დანაშაულების პრევენციის მიზნით საინფორმაციო შეხვედრები გამართეს და წარადგინეს პრევენტაცია, რომელიც მოიცავდა სატრანსპორტო დანაშაულების და ადმინისტრაციული გადაცდომების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს, ფოტო-ვიდეომასალას. ამავე კამპანიის ფარგლებში ჩატარდა მუსიკალურ-თეატრალიზებული ფლემშობები, იმიტირებული შემთხვევის ადგილის გამოძიება, ვიზიტი საჯარიმო ავტოსადგომზე. საქართველოს 9 ქალაქში შემოქმედებითად მოიხატა ზებრა გადასასვლელი;
- აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პროკურატურის წარმომადგენლებმა მთაწმინდის პარკში კულტურულ-გასართობი ღონისძიებით უმასპინძლეს აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდებს; საქართველოს მთავარ პროკურატურაში ორჯერ გაიმართა აუტისტური სპექტრის და ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, გაუმასპინძლდნენ ბავშვებს;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირების ხელშეწყობის მიზნით არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე ჩატარდა 6 მულტიდისციპლინური სამუშაო შეხვედრა, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პროკურორებთან ერთად ჩართულნი იყვნენ მოსამართლეები, სოციალური მუშაკები და მედიატორები. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზებულ პროკურორებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისა და განრიდების/მედიაციის საკითხებზე. სწავლება განხორციელდა 7 ჯგუფისათვის. პროექტი გაერო-ს ბავშვთა ფონდთან (UNICEF), ევროკავშირსა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდა;
- პროკურორებისა და გამომძიებლების 2 ჯგუფისათვის ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თემაზე, რომელსაც ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) წარმომადგენლები უძღვებოდნენ. 3-დღიანი ინტენსიური სწავლების ფარგლებში განხილულ იქნა: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ცნება, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირება, მიკერძობის ფაქტორები, საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩო, მოტივის მტკიცებულება. შემუშავდა და მომზადდა საქართველოში არსებულ გამოწვევებზე მორგებული სასწავლო პროგრამა და მასალები პროკურორებისათვის;
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის თემაზე ჩატარდა 6 ტრენინგი. 4-დღიანი ტრენინგების ფარგლებში, მონაწილეებმა გაიარეს თეორიული და პრაქტიკული მომზადება. ტრენინგები აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა;
- ევროკავშირთან თანამშრომლობით, პროკურორებისთვის სამართლებრივი მართლწერის საკითხებზე განხორციელდა 11 ტრენინგი, რომლის მიზანია სამართლებრივი მართლწერის ერთიანი სტანდარტის დანერგვა და საპროცესო დოკუმენტების შედგენის ხარისხის ამაღლება;
- სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) თემაზე ჩატარდა 11 ტრენინგი, რომელთა ფარგლებშიც, სწავლება გაიარეს პროკურორებმა, სისტემის გამომძიებლებმა და სტაჟიორებმა. დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე



ჩატარებული 11 სასწავლო აქტივობის ფარგლებში სწავლება გაიარეს როგორც სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის მენეჯერებმა, ისე პროკურორებმა, სისტემის გამომძიებლებმა და სტაჟორებმა. ტრენინგები ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით ხორციელდებოდა;

- წამებისა და არასათანადო მოპყრობის გამოძიების მეთოდების თემაზე განხორციელდა 2 სასწავლო აქტივობა. ტრენინგები ევროკავშირსა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით ჩატარდა;
- საქართველოს პროკურატურის მენეჯერებისა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის წარმომადგენლებს სწავლება ჩატარდა დაზარალებულის და მოწმის საკითხებზე. აქცენტი გაკეთდა ისეთ ძალადობრივ დანაშაულებზე, როგორცაა ოჯახში ძალადობა, ტრეფიკინგი და ბავშვთა ექსპლუატაცია. კონფერენცია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით ჩატარდა. ამასთან, განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ხორვატიაში, რომელშიც ჩართული იყვნენ კოორდინატორები და მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პროკურორები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან კომუნიკაციის თემაზე განხორციელდა 1 სასწავლო ღონისძიება. სწავლებაში ჩართულნი იყვნენ პროკურორები და გამომძიებლები. სწავლების პროცესში მონაწილეები გაეცნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხებს, ადგილობრივ კანონმდებლობას, საერთაშორისო სტანდარტებსა და ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ტრენინგი ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით განხორციელდა;
- კიბერდანაშაულის გამოძიებისა და ელექტრონული მტკიცებულების თემაზე ჩატარდა 5 ტრენინგი, რომელიც ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან და აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტთან (DOJ) თანამშრომლობით განხორციელდა;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით პროკურორებისა და გამომძიებლებისათვის დამატებით ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემატიკაზე: ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება, კორუფცია, საერთაშორისო თანამშრომლობა, სავაჭრო საიდუმლოების დაცვა და აღსრულება, ფინანსური, ეკონომიკური, ნარკოტიკული, ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები და ა.შ.;
- პროკურატურის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ინგლისური ენის (იურიდიული ინგლისური) შემსწავლელ კურსს გადის 8 ჯგუფი;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის შიდა რესურსის გამოყენებითა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სულ განხორციელდა 162 სასწავლო ღონისძიება, რომლებშიც 2 300-ზე მეტი მსმენელი მონაწილეობდა.

## 2.8 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- ინფრასტრუქტურული განვითარებისა და უზრუნველყოფის კუთხით სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 75 ობიექტზე, ასევე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა 115 ობიექტზე, ხოლო სამშენებლო სამუშაოები - 48 ობიექტზე.

## 2.9 სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი 29 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“;

✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;

✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;

✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;

✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;

- ✓სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

- განხორციელდა ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხება, შეფასება, უტილიზაცია, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო, საწარმო-ტექნოლოგიური სამუშაოები, ჰუმანიტარული განაღმვითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა, კოორდინაცია და სხვა;
- მიმდინარეობდა მუშაობა: სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის სამუშაო მზადყოფნაში მოყვანაზე; ტყვიამრფევევით აღჭურვილი სტაბილიზებული დისტანციური მართვის მოდულის შექმნაზე, პროექტების შემუშავება 60 მმ და 82 მმ ნაღმებზე და GM120 ნაღმტყორცნზე, ტრაქტორების შეჯავშნაზე (დამზადდა 2 ცალი 12.7 მმ დიარმერის კომპლექტი), სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანის მოდერნიზაციაზე;
- მომზადდა შშს-სასაზღვრო პოლიციის 5, 10 და 20 კაციანი კარგების საკონსტრუქტორო დოკუმენტაცია;
- თავდაცვის მიზნებისათვის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა 13 მნიშვნელოვანი გვირაბისა და ერთი გალერეის აზომვითი სამუშაოები. დადგინდა ზუსტი კოორდინატები და შეირჩა, საჭიროების შემთხვევაში, მათი მწყობრიდან გამოყვანის ოპტიმალური პარამეტრები. აზომვითი სამუშაოები ჩატარდა და კლასიფიკაცია მიეცა 15 ხიდს;
- ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გაწმენდისთვის და საფლოტაციო აპარატის აერაციის ოპტიმიზაციისათვის, გამოცდილ იქნა სამი ტიპის აერატორი. დადგენილია კამერის აერაციის პარამეტრები. ჩატარდა ექსპერიმენტები, როგორც ხელოვნურად დაბინძურებულ, ასევე რეალურ ჩამდინარე წყლებზე.
- თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ სსსტც „დელტას“ დავალებით სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის მიერ შესრულებულ იქნა 64 სხვადასხვა ტიპის სამუშაო: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, ტოპო-აზომვითი სამუშაოები და მომზადდა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების საპროექტო დოკუმენტაცია;
- მიმდინარეობდა სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების მზის ენერგიაზე მომუშავე სისტემების შესწავლა და დამზადება, მზის ენერგიაზე მომუშავე საკვები დანადგარის დამზადება, მზის ენერგიაზე მომუშავე ხილის საშრობი დანადგარის პარაბოლური სარკეების კონსტრუქციის გაუმჯობესება, ალუმინით დაფარვის ტექნოლოგიის დახვეწა;
- მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ: სამთო ინჟინერიაში, გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში, მანქანათმშენებლობის სფეროში, გამოყენებითი ოპტიკის სფეროში, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში, მიკრო და ნანოელექტრონულ ტექნოლოგიაში.

## 2.10 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური

- საგამომიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე, რამაც ხელი შეუწყო სამსახურის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აამალა გამომიების ხარისხი;
- საგამომიებო სამსახურის თანამშრომელთა გარკვეული ჯგუფი მიწვეულები იყვნენ დიდ ბრიტანეთში შემოსავლებისა და საბაჟო სამსახურის მიერ დაგეგმილ სემინარში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში სამსახურის წარმომადგენლები გაეცნენ, თუ როგორი მეთოდებით ებრძვის ბრიტანეთის საბაჟო სამსახური შემოსულ კონტრაბანდას;
- გერმანიის მხარის მიწვევით ჩატარდა ვიზიტი ქ. ტირიში ხარისხის უზრუნველყოფის სემინარზე

დასასწრებლად. მონტენეგროს ქ. ბუდვაში ევროსაბჭოს თაღლითობასთან ბრძოლის კოორდინაციის სამსახურის ორგანიზებით დაგეგმილ სემინარში (თემა „თაღლითობის აღმოჩენა და გამოვლენა“) მონაწილეობა მიიღეს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა;

- ესტონეთში, ქ. ტალინში თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახურის ორგანიზებით დაგეგმილ რიგით 22-ე კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო თანამშრომელთა გარკვეულმა ჯგუფმა;
- ბულგარეთისა და პოლონეთის რესპუბლიკებში საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა გარკვეულმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს გაცვლით პროგრამაში (CEPOL);

2.11 ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა ასევე მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ტვირთების დაცვა-გაცილება და ინკასაცია;
- გაუმჯობესდა AES Intellinet ტექნიკური და პროგრამული მომსახურება;
- შეძენილ იქნა ხელშეკრულების მართვისა და ანალიტიკური ინფორმაციის ამოღება-დამუშავების ელექტრონული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა;
- გარემონტდა 134 ცალი საგუმაგო ჯიხური, ნაწილობრივ განახლდა ბალანსზე რიცხული ავტომანქანები, ასევე ნაწილობრივ გარემონტდა დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა;
- სოფელ ლისში აშენდა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის, მცხეთის რაიონული სამმართველოს, ლისის განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობა;
- მოეწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თანამშრომლების მემორიალი, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არიან დაიღუპულნი;
- კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ ქობულეთის შენობას.

2.12 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს NATO-ს გონივრული თავდაცვის პროექტის „მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გაცვლის პლატფორმის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში; ასევე, ნატოს „გონივრული თავდაცვის“ განათლებისა და ტრენინგ-პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში;
- ბიუროს წარმომადგენლებმა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლებისთვის, ასევე აღმოსავლეთ სარდლობის ქვედანაყოფებსა და ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ჩაატარეს მომხმარებლებისათვის კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსი;

- შედგა შეხვედრა ნატო-ს ძირითადი ჯგუფის, თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების ნდობის ფონდის და ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენლებთან კიბერთავდაცვის მიმართულებით ნატო-საქართველოს თანამშრომლობის, ერთობლივი პროექტებისა და პერსპექტიული მიმართულებების განხილვის მიზნით;
- ბიუროს წარმომადგენლებმა ნატოს კიბერსწავლება “Cyber Coalition”-ის პარტნიორი ქვეყნების ტურში. ასევე ლიტვის მხარესთან თანამშრომლობის ფარგლებში ნატოს კოოპერაციული კიბერთავდაცვის ცენტრის მიერ ორგანიზებულ კიბერსწავლება “locked Shields”-ში ლიტვის გუნდის შემადგენლობაში;
- განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს 4 ერთეული ქსელური ეკრანის სამწლიანი ლიცენზიების შესყიდვა;
- განხორციელდა ტექტიკური და არატექტიკური რადიოსადგურების აკუმულატორებისა და ანტენების, ასევე ქსელური და სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფის საშუალებების შესყიდვა და ქვედანაყოფებზე გადანაწილება;
- შემუშავდა GDPR-ის პროგრამით გათვალისწინებული ქვედანაყოფების კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების საშუალებებით დაკომპლექტების მონიტორინგი არსებული გეგმის მიხედვით;
- ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამსახურისთვის შესყიდულ იქნა კომპიუტერული ტექნიკისა და დისკური შემნახველები.

### 2.13. სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

- ოზურგეთში ფუნქციონირება დაიწყო გურიის პრობაციის ბიუროს ოფისმა, რომელიც მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ოფისში ფუნქციონირებს პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური თერაპიის ოთახები, ოფიცერთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგის კაბინეტები. ვიდეოპაემნის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ დაამყარონ პირდაპირი ვიზუალური და ხმოვანი კავშირი პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებთან;
- ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაერთო 3 566, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში - 356, საზოგადოებრივ – კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობდა - 723 და დასაქმდა 108 პირობით მსჯავრდებული;
- დაემატა ორი ახალი ვიდეოპაემნის წერტილი ამბროლაურსა და ოზურგეთში, სააგენტოს ბიუროების უმეტესობა უზრუნველყოფილია აღნიშნული სერვისის მიწოდებით;
- განახლდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან;
- კომისიური წესით ჩატარებული განხილვების შესაბამისად 558 პრობაციონერს ვადაზე ადრე, მოეხსნა პირობითი მსჯავრი და გაუუქმდა ნასამართლეობა, ხოლო 328 - ს აღუდგა ჩამორთმეული უფლებები.

2.14 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა სამუშაოები საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების, კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობის, ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების, აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიმართულებით.

## 2.16 დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი
- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროექტის ფარგლებში:
  - ✓ ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებლად შესაბამისი სამედიცინო მომსახურება მიიღო 112 ბენეფიციარმა; ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მომსახურება მიიღო 29 ბენეფიციარმა, მათ შორის, პროექტის ფსიქოლოგის მიერ 18 ბენეფიციარმა, ხოლო სხვა პარტნიორი ორგანიზაციების ფსიქოლოგიური მომსახურებით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა; იურიდიული მომსახურება მიიღო 105 ბენეფიციარმა, მათ შორის, პროგრამის იურისტის იურიდიული კონსულტაცია – 93 ბენეფიციარმა, სხვა მხარდამჭერი და კონტრაქტორი ორგანიზაციების იურიდიული მომსახურება მიიღო 12 ბენეფიციარმა;
  - ✓ საგანმანათლებლო სასწავლო კურსები გაიარა 84 ბენეფიციარმა; ინგლისური ენის კურსები გაიარა 70 ბენეფიციარმა; ტრენინგები გაიარა 136 ბენეფიციარმა;
  - ✓ ბენეფიციართა ბიზნესინიციატივების ხელშეწყობ საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 28 ბიზნესიდეა, ხოლო პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით - 52 ბიზნესიდეა;
  - ✓ პროგრამის ცხელ ხაზზე განხორციელდა 544 ზარი;
  - ✓ სპორტულ/კულტურულ/გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩაერთო 90 მონაწილე;
  - ✓ უფასო სამგზავრო ბარათი დაუმზადა 79 ბენეფიციარს;
  - ✓ ტატუს მოცილების პროგრამით ისარგებლა 31 ბენეფიციარმა;
  - ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდა 7 ბენეფიციარი, ხოლო სარეაბილიტაციო კურსის გავლის შედეგად 56 ბენეფიციარი დასაქმდა დამოუკიდებლად.
- დანაშაულის პირველი დონის პრევენციის მიმართულებით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში სულ 7 807 უნიკალური მონაწილე ჩაერთო, მ.შ.:
  - ✓ „ორი თაობა“ – სკოლის მოსწავლეების მოხალისეობრივი ჩართულობა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის საქმიანობაში - ჩაერთო 177 უნიკალური მონაწილე, მათ შორის, განრიდების პროგრამის მონაწილეები;
  - ✓ „მოხალისე“ – პროექტი გულისხმობს ტრენინგურსის გავლის შემდეგ ახალგაზრდების მოხალისეობრივ ჩართულობას იუსტიციის სახლების საქმიანობაში - ჩაერთო 778 უნიკალური მონაწილე;
  - ✓ ბუღინგის წინააღმდეგ მიმართული კამპანია – მარნეულში, გურჯაანში, თელავსა და სოფ. ვარდისუბანში ჩატარდა ტრენინგები, შეხვედრებს 154 ადგილობრივი 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდა დაესწრო;
  - ✓ „ლიდერთა სახლი“ – ჩატარდა ტრენინგები თიანეთში, ყვარელში, გურჯაანსა და ზუგდიდში, სადაც უნიკალურ მონაწილე ახალგაზრდათა რაოდენობამ შეადგინა 159. ბათუმში ჩატარდა რამდენიმე დოკუმენტური ფილმის ჩვენება/დისკუსიის მიზნით შეხვედრა, რომელსაც 31 ახალგაზრდა დაესწრო. ქალაქ გორში გაიმართა „იმიტირებული სასამართლო პროცესი“, ჩაერთო 51 მოსწავლე. პროექტის „პროფესიული არჩევანი“ ფარგლებში შეხვედრები გაიმართა პროკურორსა და სოციალურ მუშაკთან ქალაქ გორში, რომელსაც 47 მოსწავლე დაესწრო;

- ✓ გორში, გურჯაანში, თელავში, მეჯვრისხევში, ბათუმში, ბორჯომსა და თელავში პროექტის „ახალგაზრდებთან მომუშავე ტრენერები“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგების ციკლი „ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“, ჩაერთო 262 უნიკალური მონაწილე. თბილისის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლებში ჩატარდა ახალგაზრდების ჩართულობის ამბლები მიზნით სხვადასხვა ფორმატის ტრენინგები/სემინარები, დაესწრო 823 უნიკალური მონაწილე. მარნეულში, ნუკრიანში, მესტიამი, ფოთში, ზუგდიდში, ლაგოდეხში, ყვარელში და გურჯაანში ჩატარებულ არაფორმალურ აქტივობებში ჩაერთო 302 უნიკალური მონაწილე; „წიგნის კლუბის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებს საქართველოს მასშტაბით ჯამში 259 უნიკალური მონაწილე დაესწრო;
- ✓ „იმიტირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი“ – ჩაერთო 257 უნიკალური მონაწილე და „ლიტერატურული ვიქტორინა“ – ჩაერთო 167 უნიკალური მონაწილე;
- დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულებით მოემსახურება გაეწია 503 არასრულწლოვანს (337 გოგო და 166 ბიჭი), მათ შორის იყო 139 მიუსაფარი ბავშვი. მიმდინარეობდა შემდეგი პროექტები/ღონისძიებები:
  - ✓ „ზღაპართერაპია“ – ჯგუფური თერაპია, რომლის დროსაც გამოყენებულია მითოდრამას მეთოდი. განკუთვნილია იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 14 წელი და/ან მათი გონებრივი განვითარება ჩამორჩება მათ ბიოლოგიურ ასაკს. ტრენინგის სრული ციკლი მოიცავდა ოთხ შეხვედრას და მასში ჩართული იყო 50 ბენეფიციარი;
  - ✓ „გოგონათა კლუბი“ – ცხოვრებისეული სირთულეების მქონე მოზარდი გოგონებისთვის, მიზანია 14-დან 18 წლამდე გოგონებში ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მომავალში დაეხმარება მათ ჯანსაღ, ძლიერ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. კლუბში ჩართული იყო 199 ბენეფიციარი;
  - ✓ „არტთერაპია“ – თერაპიული ხასიათის დახმარების გაწევა გარდატეხის ასაკის მქონე პირებისთვის. მასში ჩართული იყო 44 ბენეფიციარი;
  - ✓ „პიროვნული განვითარების ტრენინგი მოზარდებისათვის“ – ჩაერთო 39 არასრულწლოვანი;
  - ✓ „კარიერული განვითარება“ – პროექტი ხელს უწყობს მასში ჩართული მე-10, მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლეების მიერ გააზრებული არჩევანის გაკეთებას საკუთარი მომავლის დაგეგმვის კუთხით. ტრენინგურსი თითო ჯგუფისთვის ორთვიანია და მასში სულ 48 არასრულწლოვანი მონაწილეობდა;
  - ✓ ადამიანის უფლებათა თვე – მიზანია, ბავშვებს მიეწოდოს მეტი ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ და ისეთი უნარებით აღჭურვოს, რომ მათ საკუთარი უფლებებისა და პოზიციის დაცვა შეძლონ. მასში ჩართულია 34 არასრულწლოვანი;
  - ✓ შპს „ანტრე 2008“-ის და სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საკვები უსასყიდლოდ სულ 2 310 სოციალურად შეჭირვებულ არასრულწლოვანს გადაეცა;
  - ✓ ადრეული პრევენცია განათლების სიტემში – მიზანია, სკოლის პედაგოგების ინფორმირება ბავშვის ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ბავშვის იდენტიფიცირებისა და შემდგომ გადამისამართების (რეფერირების) საკითხებში. ჩატარდა 12 შეხვედრა, დაესწრო 170 პედაგოგი;
  - ✓ „მშობელთა სკოლა“ – პროგრამა ჩატარდა ზრუნვის სისტემებში ზრუნვის სისტემის პერსონალის გაძლიერებისთვის. 5 შეხვედრას დაესწრო 37 მონაწილე;
  - ✓ „ბავშვთა უფლებები“ – მიზანია, ბავშვებს მიაწოდოს მეტი ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ და, ასევე, გააცნობიერონ საკუთარი ვალდებულებები. პროექტი განხორციელდა 5-ჯერ, დაესწრო 75 მონაწილე.
- განრიდებულ იქნა 21 წლამდე 910 პირი, რომელთაგან 334-ის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაციის კომპონენტი და შედგა 267 მედიაციის კონფერენცია;

- გაერო-ს ბავშვთა ფონდსა და სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრს შორის, 2016 წელს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის – „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა განრიდების პროგრამების გაძლიერების გზით“ – ფარგლებში, ჩატარდა ექვსი ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა იმერეთის, სამცხე ჯავახეთის, შიდა ქართლის, აჭარა-გურის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და თბილისის მასშტაბით განრიდებისა და მედიაციის განხორციელებაში ჩართული პროფესიონალებისათვის (პროკურორები, სოციალური მუშაკები/პრობაციის ოფიცრები, მედიატორები). აღნიშნულ ტრენინგებს/სამუშაო შეხვედრებს ესწრებოდნენ მოსამართლეებიც;
- დასრულდა სამი საგრანტო პროექტი: პროექტში „ყოფილ მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა ტატუს მოშორების გზით“ ჩაერთო 31 ყოფილი პატიმარი; პროექტში „ინოვაციები ინტეგრაციისთვის“ ჩაერთო 26 ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვი; პროექტის „ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება საჭიროებათა კვლევისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების გზით“ ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომლის შედეგებიც გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტს;
- სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრსა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ინფორმაციული ტექნოლოგიების 3 სხვადასხვა მიმართულებით (Front End, Python, IT პროექტების მართვა) ხდებოდა დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის სამმართველოს ბენეფიციარების გადამზადება - კურსები წარმატებით გაიარა 16-მა ბავშვმა;
- დასრულდა ინგლისური ენის მოკლევადიანი კურსები სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარებისთვის (40 ბენეფიციარი).

## 2.17 სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

- სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;
- მიმდინარეობდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;
- დასრულდა ქ. მცხეთაში მდებარე ბაზის სასაწყობე მეურნეობისა და საოფისე ნაწილის სარემონტო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შესამუშავებლად;
- გაგრძელდა მუშაობა ნორმატიული დოკუმენტების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

## 3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

### 3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მიმდინარეობდა არსებული გზების და ხიდების რეკონსტრუქცია;
- განხორციელდა არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების-მოდერნიზაციის, მოვლა-შენახვის და ზოგ შემთხვევაში ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების სამშენებლ-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

### 3.1.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (25 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

- მიმდინარეობდა საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;
- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

### 3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი - 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

- „საავტომობილო გზების რეაბილიტაცია“:

- ✓ მიმდინარეობდა ახალი ასფალტობეტონის საფარის მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნული ნაგებობების რეაბილიტაცია;
- ✓ 30 გარდამავალ ობიექტზე (2016-2017 წლები) დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ 32 ახალ ობიექტზე დაიწყო და დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 163.1 კმ, ხიდი - 34;
- ✓ აშენებული 10 ახალი ხიდი.

- „საავტომობილო გზების პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში“:

- ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, საავტომობილო გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემისა და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ✓ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6 000 კმ-მდე საავტომობილო გზებზე მიმდინარეობდა შეკეთების და ზამთრის პერიოდში შენახვის სამუშაოები.

- „სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები“:



- ✓ სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით, 2 გარდამავალ ობიექტზე (2016-2017 წლები) დასრულდა სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები;
  - ✓ 8 ახალ ობიექტზე დაიწყო და დასრულდა სამუშაოები, სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით
  - ✓ 3 ახალ ობიექტზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
- „სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები“:
    - ✓ დასრულდა სამუშაოები 6 გარდამავალ ობიექტზე (2016-2017 წლები);
    - ✓ 20 ახალ ობიექტზე დაიწყო და დასრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები;
    - ✓ 4 ახალ ობიექტზე მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.
  - „თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალი საავტომობილო გზის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები“:
    - ✓ დასრულდა ფოლადის ბაგირებით საავტომობილო გზის შემოფარგვის, საგზაო ნიშნების მოწყობის და 8 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოები.
  - „ქ. ქუთაისი (ნიკეას ქუჩა) - გეგუთის კვანძის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია“:
    - ✓ დასრულდა 4 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
  - „დედოფრავის გვირაბის მშენებლობა“:
    - ✓ დასრულდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
    - ✓ მიმდინარეობდა გვირაბის სამშენებლო სამუშაოები.
  - „ბაღდათი-აბასთუმნის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია“:
    - ✓ მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სატენდერო პროცედურები.
  - „სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა“:
    - ✓ მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
    - ✓ საავტომობილო გზის 11.6 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობაზე გაფორმდა ხელშეკრულება.
  - „ზემო იმერეთი (საჩხერე) - რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა“:
    - ✓ მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.
  - „სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა“:
    - ✓ დასრულდა მოსამზადებელი, სამობილიზაციო და საავტომობილო გზის აღდგენა-დაკვალების სამუშაოები;
    - ✓ მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის და მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები.
  - „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (WB)“:
    - ✓ გარდამავალ ობიექტზე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (ჭიათურა-პერევისა-სვერი-თვალუეთი-გეზრული საავტომობილო გზის კმნ+700-კმ13+700 და კმ17+200-კმ20+500 მონაკვეთი);
    - ✓ მიმდინარეობდა „PBC“ ობიექტებზე მოვლა-შენახვის და სარეაბილიტაციო სამუშაოები;
    - ✓ დასრულდა 16 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

- ✓ გაფორმდა ხელშეკრულება ადგილობრივი მნიშვნელობის ნატანები-შრომა-ურეკის საავტომობილო გზის კმ1-კმ18 მონაკვეთის აღდგენით სამუშაოებზე.
- „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (WB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 გარდამავალ ობიექტზე (2016-2017 წლები);
  - ✓ 11 გარდამავალ ობიექტზე (2016-2017 წლები) დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის (გურჯაანის შემოვლითი) საავტომობილო გზის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები, ხოლო ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ6-კმ15 მონაკვეთზე, სამშენებლო სამუშაოების დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
  - ✓ დასრულდა 45.5 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
  - ✓ აშენდა 2 ახალი ხიდი.
- „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (WB)“:
  - ✓ შედეგსა და შესრულებაზე დაფუძნებული კონტრაქტის (OPRC) ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულებები ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის (ლოტი 1) კმ16+00-კმ25.5, ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის (ლოტი 2) კმ25.5-კმ32, ხიდისთავი-ატენი-ბოშურის საავტომობილო გზის კმ12.4-კმ22.5, თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზის კმ1-კმ30, ჭრებალო-ნიკორწმინდის საავტომობილო გზის (ლოტი 1) კმ1+00-კმ14+600 და ჭრებალო-ნიკორწმინდის საავტომობილო გზის (ლოტი 2) კმ14+600-კმ25+800 მონაკვეთების პროექტირებაზე და რეაბილიტაცია-მშენებლობაზე;
  - ✓ მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამობილიზაციო სამუშაოები.
- „ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (Kuwait Fund)“:
  - ✓ დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის მონაკვეთის განსახლების სამოქმედო გეგმის (ლოტი 2 კმ0+000-კმ17+380) და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის განახლება;
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები.
- „მდინარე დებედაზე ხიდის მშენებლობა (EBRD)“:
  - ✓ სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმდა ხელშეკრულება.
- „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხარაგაულის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (ADB)“:
  - ✓ გაფორმდა ხელშეკრულება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის ძირულა-მოლითის კმ0+000-კმ24+620 მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაზე;
  - ✓ მიმდინარეობდა მოსამზადებელი, სამობილიზაციო და განსახლების პროცედურები.
- „საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებები“:
  - ✓ დასრულდა ქსელური აპარატურის შეძენა (I ლოტი) და ქსელზე კამერების ტერმინაციისათვის სპეციალური ყუთების შეძენა (III ლოტი);
  - ✓ დასრულდა ელექტროენერჯის ქსელის გაყვანის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვა;

- ✓ გაფორმდა ხელშეკრულებები ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის კაბელის მონტაჟის სამუშაოებზე (II ლოტი) და საკომუნიკაციო ოთახების (სასერვეროების) მოწყობის სამუშაოებზე (V ლოტი);
- ✓ გაფორმდა ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობ-ანალიტიკურ-პროგრამულ უზრუნველყოფასთან თავსებადი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების სრული კომპლექტაციის შესყიდვაზე.

### 3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა (პროგრამული კოდი - 25 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (რუისი-აგარა) დამატებითი დაფინანსება (WB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორების სერთიფიკატის მომზადება.
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (აგარა - ზემო ოსიაური) (WB)“:
  - ✓ დასრულდა სადრენაჟე სისტემის, გრუნტის, ბეტონის კიუვეტების, საგზაო ნიშნების და ადგილობრივ საავტომობილო გზებზე ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის აგარა-ზემო ოსიაური კმ114-126 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ თბილისი-სენაკი-ლესელიძის ნატახტარი-რუისის მონაკვეთზე გარემოს გაუმჯობესების სამუშაოების ფარგლებში დასრულდა: სადრენაჟე არხების მოწყობის სამუშაოები, ფერდების პროფილირება და მცენარეული ფენით შევსება, პროექტით განსაზღვრულ ადგილებზე ხეების დარგვის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი, მიწის ვაკისის და სადრენაჟო სისტემების მოწყობის სამუშაოები.
  - ✓ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის განათების სამუშაოების ფარგლებში:
  - ✓ დასრულდა ბურღვითი სამუშაოები, განათების ბოძების ფუნდამენტების მოწყობის მიზნით;
  - ✓ დასრულდა კაბელების, განათების ბოძების ფუნდამენტების მოწყობის და სანათების მონტაჟის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა საავტომობილო გზის საფარის ქვეშ, ჰორიზონტალური ბურღვითი და კაბელებისათვის გარსაცმების მოწყობის სამუშაოები;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (EIB, WB)“:
  - ✓ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების შესყიდვების სახელმძღვანელობის მიხედვით, დასრულდა სატენდერო პროცედურები და გაფორმდა გამარჯვებულ კომპანიებთან ხელშეკრულებები;
  - ✓ მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები და განსახლების პროცედურები.
- „ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა (ADB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა ხიდებზე ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოები (ლოტი 2);
  - ✓ N9 ხიდზე (სიგრძე - 1 180 მ) დასრულდა რკინა-ბეტონის ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონების მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობდა რიგელებისა მონოლითური უჭრკოჭოვანი მალის ნაშენის მოწყობის სამუშაოები;

- ✓ დასრულდა N1 გვირაბის რკინა-ბეტონის თაღის მუდმივი მოკეთების სამუშაოები და მიმდინარეობდა გვირაბის ელექტრო მოწყობილობებით აღჭურვა;
- ✓ N2 გვირაბზე დასრულდა მიწის ექსკავაციის სამუშაოები და მიმდინარეობდა გვირაბის რკინა-ბეტონის ფუნდამენტის, თაღის, გვერდულების, ლითონის მრუდხაზოვანი ძელების, მიწის ვაკისის, ასფალტობეტონის საფარისათვის საფუძვლის, ასფალტობეტონის, ქვესაფუძვლის, ფერდების გამაგრების და გაბიონის კედლების მოწყობის სამუშაოები;
- „ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB, AIIB)“:
  - ✓ მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები;
  - ✓ დასრულდა სატენდერო პროცედურები და გაფორმდა ხელშეკრულებები სამშენებლო სამუშაოებზე და საკონსულტაციო მომსახურებაზე.
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (JICA)“:
  - ✓ ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ0-კმ15.2 მონაკვეთზე დასრულდა 4-ზოლიანი 14 კმ საავტომობილო გზის მშენებლობა;
  - ✓ დასრულდა მიწის ვაკისის, წყალგამტარი მიწების, მიწისქვეშა გასასვლელებისა და სადრენაჟე სისტემების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ აშენდა 2 ახალი ხიდი;
  - ✓ დასრულდა ცემენტობეტონისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ქუთაისის შემოვლითი გზის (კმ0-კმ17.3) განათებაზე მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ქუთაისი-სამტრედიის გზის (კმ0-კმ15.4) მონაკვეთზე დასრულდა სანათების მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ქუთაისი-სამტრედიის გზის (კმ15.4-კმ24.0) მონაკვეთზე დასრულდა სანათების მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის (კმ0-კმ15.2) მონაკვეთის განათების სამუშაოების ფარგლებში 0კმ-14კმ-ზე დასრულდა: ბურღვითი სამუშაოები, განათების ბოძების ფუნდამენტების მოწყობის მიზნით; საავტომობილო გზის საფარის ქვეშ, ჰორიზონტალური ბურღვითი, კაბელებისათვის გარსაცმების, ბოძების მოწყობის, კაბელების და სანათების მოწყობის სამუშაოები;
- „სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU)“:
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 1) კმ0-კმ11.5 მონაკვეთზე შეწყდა ხელშეკრულება;
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 2) კმ11.5-კმ30 მონაკვეთზე მიწის ვაკისის მოწყობის მიზნით, მიმდინარეობდა არსებული ზედაპირის მზიდუნარიანობის გასამლიერებელი ღონისძიებები. მიწის ვაკისის, რკინა-ბეტონის წყალგამტარი მიწებისა, მიწისქვეშა გასასვლელების და ხიდებზე რკინა-ბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 3) კმ30-კმ42 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მოსამზადებელი, სამობილიზაციო და აღდგენა-დაკვალვის სამუშაოები;
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი 4) კმ42-კმ51.6 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, რკინა-ბეტონის წყალგამტარი მიწებისა, მიწისქვეშა გასასვლელების, სადრენაჟე სისტემების ბეტონის და გრუნტის არხების მოწყობის სამუშაოები;

### 3.2 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- მიმდინარეობდა, როგორც 2017 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე, 2017 წელში დაწყებული ახალი პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგების, წყალარინების და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. პროექტების დაფინანსება ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), ევროკავშირის (EU), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ჰოლანდიის მთავრობის (ORET), აზიის განვითარების ბანკის (ADB) და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან.

#### 3.2.1 ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET) (პროგრამული კოდი - 25 04 01):

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- ქალაქ ქობულეთში, აშენებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობა.

#### 3.2.2 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU)“ (პროგრამული კოდი - 25 04 02):

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- მიმდინარეობდა ქალაქის და მუნიციპალიტეტების: წნორის, სიდნადის, წალკის, ქ. ოზურგეთის, ტყიბულის, ახმეტის, ქარელის, საგარეჯოს, ბოლნისის, ხობის, ზესტაფონის, ლაგოდეხის და თელავის სოფელ კურდღელაურის წყალსადენის სისტემების რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის და სოფლების: სენაკის, ლიკანისა და წაღვერის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია;
- პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობდა განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება.

#### 3.2.3 საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (SIDA)“ (პროგრამული კოდი - 25 04 03):

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- მიმდინარეობდა ქალაქების თელავის და წყალტუბოს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები;
- პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობდა განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება.

3.2.4 ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) (პროგრამული კოდი - 25 04 04):

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

- პროექტი REG-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა დამატებითი სექციის სამუშაოები, კერძოდ: 7 ჭაბურღილზე და ღროულის საფილტრ სადგურზე (ნოსირი 2-ის ფარგლებში);
- პროექტი REG-02 ფარგლებში, დასრულდა ანაკლიის წყალარინების გამწმენდ ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობდა მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობის და 2 რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები;
- პროექტი URE-01 ფარგლებში, ურეკში მიმდინარეობდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა, კერძოდ: წყალარინების და წყლის ქსელების, რეზერვუარი N1-ის და სატუმბი სადგურის მშენებლობა, 6 ჭაბურღილის და წყალარინების 119 ჭის მოწყობის სამუშაოები;
- პროექტი URE-02 ფარგლებში, მიმდინარეობდა ქალაქ ურეკის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ასევე, მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, კერძოდ: ადმინისტრაციული შენობა, მსხვილი და წვრილი ნაწილაკების მფილტრავი ნაგებობები, ქვიშის აერირებული კამერა, აერირებული ავზი, სავენტილაციო სადგური, საბოლოო დაღეკვის ავზი, ლამის სატუმბი სადგური, გადინების გამზომი კამერა, ლამის გამასქელებელი, ლამის გაუწყლოების ნაგებობა, ლამის შესანახი შენობა, საოპერაციო შენობა, ელექტრო ენერჯის და გათბობის ნაგებობა;
- პროექტი KUT-01 ფარგლებში (II ფაზა), მიმდინარეობდა ქალაქ ქუთაისში რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა;
- პროექტი ZUG-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა ქალაქ ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, კერძოდ: გამანაწილებელი ქსელის, ბაშის რეზერვუარის, ინგირის სატუმბი სადგურის და 6 ჭაბურღილის მშენებლობა;
- პროექტი ZUG-02 ფარგლებში, მიმდინარეობდა პროექტის განახლება და წყალარინების მილების მოწყობა;
- პროექტი POT-01 ფარგლებში, დასრულდა სატენდერო პროცედურები და გაფორმდა ახალი ხელშეკრულება;
- პროექტი POT-02 ფარგლებში, დასრულდა სატენდერო პროცედურები და გაფორმდა ახალი ხელშეკრულება;
- პროექტი TBI-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სათაო ოფისის სამშენებლო სამუშაოები;
- პროექტი JVARI-01 ფარგლებში, ჯვარში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით, დასრულდა დეტალური პროექტის მომზადება და მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- პროექტი ABA-01 ფარგლებში, დასრულდა სატენდერო პროცედურები და გაფორმდა ახალი ხელშეკრულება;
- პროექტი REG-03a ფარგლებში, დასრულდა სატენდერო პროცედურები და გაფორმდა ახალი ხელშეკრულება.

3.2.5 რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 04 06):

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

- ონის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ონის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დასრულდა „ჟიჟორეთის“ სათავო ნაგებობაზე ჰორიზონტალური წყალმიმღების და საფილტრი სადგურისათვის კოაგულაციის (ალუმინის სულფატი) სისტემის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში დიცსა და წითელუბანში (გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები) წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქალაქ გურჯაანში 80 საცხოვრებელი კორპუსის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და წყალმომარაგების შიდა სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი);
- ახალციხის მუნიციპალიტეტში, საბაგირო სადგურის დასახლებაში მიმდინარეობდა, წყალარინების ქსელის სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში წყლის ხელოვნური რეზერვუარის (მოცულობით დაახლოებით 100 000 მ<sup>3</sup>) მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ხონის წყალარინების გამყვანი კოლექტორის მოწყობის ეტაპი;
- დასრულდა საპროექტო მომსახურების შესყიდვა, დაბა აგარაში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის;
- მიმდინარეობდა საპროექტო მომსახურების შესყიდვა, დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალში წყალარინების ქსელის სარეაბილიტაციო და გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოებისთვის;
- მიმდინარეობდა საპროექტო მომსახურების შესყიდვა, ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა ადიგენში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის;
- მიმდინარეობდა საპროექტო მომსახურების შესყიდვა, დუშეთის მუნიციპალიტეტში წყალარინების ქსელის სარეაბილიტაციო და გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოებისთვის;
- მიმდინარეობდა საპროექტო მომსახურების შესყიდვა, ხაშურის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების-წყალარინების სისტემების და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დეტალური პროექტირებისათვის.

### 3.2.6 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB)“ (პროგრამული კოდი - 25 04 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- დასრულდა ქ. თერჯოლის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია.

### 3.2.7 ქუთაისის წყალარინების პროექტი (EIB, EPTATF)“ (პროგრამული კოდი - 25 04 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- მიმდინარეობდა სახედამხედველო და რედიზაინის კონსულტანტი კომპანიის შერჩევის პროცედურები.

### 3.3 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

- მიმდინარეობდა, როგორც 2017 წლამდე დაწყებული პროექტების განხორციელება, ასევე 2017 წელს დაწყებული ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა მუნიციპალური და კულტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების, ნაპირსამაგრი, კულტურული, ტურისტული, საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. აღნიშნული პროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის (WB), აზიის განვითარების ბანკის (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), საფრანგეთის მთავრობის და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან.

#### 3.3.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი - 25 03 01)

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში, მიმდინარეობდა ადგილობრივი მნიშვნელობის 1.2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და წყალარინების სისტემის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა;
- დასრულდა წყალსადენის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის: ნორიო, მარტყოფი, ახალსოფელი, ვაზიანი და ახალი სამგორი;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტაბაკინში მიმდინარეობდა „ტაბაკინის წმინდა გიორგის“ სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი 2.7 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სათაფლიის აღკვეთილის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა, ტყიბულის მუნიციპალიტეტში ცხრაჯვართან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ადგილობრივი მნიშვნელობის ლენტეხი-ფაყი-სკალდის საავტომობილო გზის გაწმენდისა და მდინარე ლასკადურას ბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა;
- დასრულდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის ცენტრის კეთილმოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ზესტაფონის, ვანის, ხონის და ცაგერის მუნიციპალიტეტში მცირე სკვერისა და დასასვენებელი პარკის მოწყობისათვის, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ხონის მუნიციპალიტეტის წყალტუბო-ცაგერის საავტომობილო გზის მე-15 კმ-დან მეძილეთი-გორდი-ნოლას საავტომობილო გზის, მდინარე ცხენისწყალზე და მდინარე მეჭიაზე სახიდე გადასასვლელების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მცხეთის მუნიციპალიტეტში, დასრულდა სოფელ წეროვანში სკოლასთან 1.3 კმ-იანი და სოფლის საბავშვო ბაღთან 0.7 კმ-იანი მისასვლელი გზების სამშენებლო სამუშაოები;



- დასრულდა, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნადოკარი-ხევსურთსოფელის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა სოფლებში (კოშკა, დიცი, ქვეში და ზარდიანთკარი), ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წაღვლელის, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის და კნოლევის მაგისტრალური და წყალგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია-მშენებლობა;
- დუშეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა რომკა-არხოტის უღელტეხილი-სოფელ ამლას 28 კმ-იანი საავტომობილო გზის მონაკვეთისა და სოფლების ახიელი-ჭიმლას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა კობი-გუდაურის საბაგრო გზის დიზაინი და მშენებლობა (ლოტი 1);
- დასრულდა ფოკას დედათა მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა, ქარელის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ყინწვისი-გვერძინეთი-ტყემლოვანა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საზღვარი გზის რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით, დასრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში, დასრულდა დასასვენებელი კომპლექსისათვის საშუალო წნევის გაზსადენის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ხობის მონასტერი“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში დასრულდა არსებული ქუჩების რეაბილიტაცია;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში დასრულდა არსებული ქუჩების (ჩაქვის ცენტრიდან სასტუმრო ოაზისამდე 2 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების სანიაღვრე სისტემის მოწყობა) რეაბილიტაცია;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში დასრულდა ქუჩების და ტროტუარების რეაბილიტაცია;
- დასრულდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში „ჯინო ველნეს გრუპი“-ს დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისათვის, გაზმომარაგების, წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- დასრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფელ მირაშხანთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (ოზურგეთის წარმომადგენლობა) ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია;
- ატენში მდებარე სიონის ტაძრის სამონასტრო კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის დასრულდა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მფლობელობაში არსებული შენობის (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N5) რეაბილიტაცია;
- დასრულდა დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაცია;
- სოფელ ასურეთში XIX საუკუნის გერმანული მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების ეკლესიისა და სამი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის მიზნით, დასრულდა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის (ბროწეულას დასახლება) შიდა საავტომობილო გზის პროექტირება;
- მიმდინარეობდა რეგიონალური ინოვაციების ჰაბისა და ინოვაციების ცენტრის ტიპიური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

- მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, მიმდინარეობდა საცურაო აუზის ტიპური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მუნიციპალიტეტებში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, დასრულდა გამოყოფილი მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩის N3-ში მდებარე საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის აღდგენითი-სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა წყნეთი-ბეთანიის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

### 3.3.2 მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (პროგრამული კოდი - 25 03 02)

- მიმდინარეობდა თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის 6.8 კმ-იანი მონაკვეთის მოდერნიზაცია (II მონაკვეთი);
- ქალაქ თბილისში, დასრულდა (გაიხსნა) მეტროპოლიტენის მეორე ხაზის გაგრძელება და მეტროსადგური „უნივერსიტეტის“ მშენებლობა;
- ქალაქ ბათუმში, მიმდინარეობდა 1 750 მ-ზე ნაპირდამცავი ნაგებობის და სანაპირო ზოლის მოწყობა;
- მიმდინარეობდა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებული განსახლება;

### 3.3.3 რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 03)

- ქალაქ თელავში დასრულდა ბატონის ციხის რეაბილიტაცია (მუზეუმი და ტერიტორია) (ფაზა 2);
- დასრულდა ბატონის ციხის მუზეუმისათვის საოფისე ავეჯის, კომპიუტერებისა და ელექტრო ტექნიკის შეძენა;
- დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების: ნინოწმინდისა და დავით გარეჯის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ფაზა 2);
- ბატონის ციხის არქიტექტურული კომპლექსისათვის, დასრულდა ვიზიტორთა მართვის გეგმის განვითარება და ექსპოზიციის მოწყობა;
- ქალაქ თელავში ბატონის ციხის კომპლექსის, ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოებისათვის, დასრულდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კონდოლოში შპს „ჯიველისთვის“ ელექტრომომარაგების ხაზის მოწყობის მიზნით, დასრულდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა 40 შენობის რეაბილიტაცია სოფელ დართლოში (ფაზა 2);
- დასრულდა სოფელ ომალოს წყლის მიწოდების სისტემის გაუმჯობესება და სოფელ ომალოში სასტუმრო „სამზეო“ -ს წყალარინების და წყლის სისტემის მოწყობა;
- სოფელ ზემო ომალოში დასრულდა სანიაღვრე სისტემის მოწყობა;
- მიმდინარეობდა დავით გარეჯის ლავრის მონასტერში არსებული საყრდენი კედლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ყოვლადწმინდაში დასრულდა წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- კახეთის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ტურისტული სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის საკონსულტაციო მომსახურება;
- დასრულდა ინტერნეტის ინფრასტრუქტურის მოწყობა შუამთის კარიბჭისათვის;
- სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების (PPI) კომპონენტის ფარგლებში, შერჩეული კომპანიების ობიექტებისათვის, მიმდინარეობდა 4 ჭაბურღილის, 1 წყალარინების გამწმენდი

ნაგებობის და 1 სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

- დასრულდა კომპანიების ობიექტებთან მისასვლელი საავტომობილო გზის და საავტომობილო გზის გარე განათების მოწყობისათვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა;
- მიმდინარეობდა კახეთის და იმერეთის მუნიციპალიტეტისთვის ტურიზმის, მარკეტინგის და პრომოუშენის, ონლაინ დაფარვის და დანიშნულების მართვის ოფისების საკონსულტაციო მომსახურება;

### 3.3.4 რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 04):

- მიმდინარეობდა ქალაქ ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქცია (ფაზა 3), არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვის და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ქალაქ ვანის 2.2 კმ-იანი საავტომობილო გზების რეაბილიტაციისათვის მიმდინარეობდა მიმდებარე ინფრასტრუქტურის დეტალური დიზაინის მომზადება და სერვისების აღწერის სამუშაოები;
- დასრულდა კაცხის სამონასტრო კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის, მამათა საცხოვრებლისა და მომლოცველთა სახლის რეკონსტრუქციისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა კაცხის სვეტთან კელიების და მომსახურების შენობის მშენებლობა;
- დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობის და სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები (გელათის (ფაზა I), კაცხის და უბისას მონასტრების);
- მიმდინარეობდა იმერეთის მუნიციპალიტეტში ტურისტული სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის საკონსულტაციო მომსახურება;

### 3.3.5 რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB)“ (პროგრამული კოდი - 25 03 05)

- მიმდინარეობდა გერგეთში სოფლის 1.8 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და სამებამდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის განახლება;
- დასრულდა დარიალის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე პარკირებისა და მონასტრის რეზიდენციამდე მისასვლელი 0.5 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა დუშეთის პარკის რეაბილიტაცია;
- იუნესკოს რეკომენდაციების შესაბამისად, დასრულდა მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქციისათვის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- დაბა სტეფანწმინდაში დასრულდა ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაცია (ფაზა I);
- მიმდინარეობდა მცხეთის კინოთეატრის შენობის არქეოლოგიურ მუზეუმად ადაპტაციის სამუშაოები;
- დასრულდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა საფარას მონასტერთან;
- ხერთვისის ციხის კომპლექსთან მიმდინარეობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- მიმდინარეობდა ბაკურიანის ცენტრალური ბილიკის მოწყობა;
- გაფორმდა ხელშეკრულება ვანის ქვაბებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე და უსაფრთხოების ზომების განხორციელებაზე;
- მიმდინარეობდა ვარძიის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- გაფორმდა ხელშეკრულება ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხისჯვარის დამაკავშირებელი 7.6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე;
- მიმდინარეობდა მიტარბის საბაგრომდე მისასვლელი 2.9 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და დიდველზე ავტოსადგომის გაფართოებისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;

- მიმდინარეობდა ბორჯომის კავალერიის შენობის მუზეუმად ადაპტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენთან მისასვლელი 7.4 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დაბა აბასთუმანში მდებარე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ევგენი ხარამის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, დასრულდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ზედაზენის მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის და ავტოსადგომის მოწყობის მიზნით, დასრულდა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- ზარზმის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების მიზნით, მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

### 3.3.6 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF)“ (პროგრამული კოდი - 25 03 06)

- დასრულდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფელ მეორე სვირისა და „სადგურ სვირის“ დამაკავშირებელი 7.2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დაბა მესტიაში მიმდინარეობდა „ლეო ფილფანის“ სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია;
- ქალაქ ქობულეთში, მიმდინარეობდა ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა 1 ხიდის რეაბილიტაცია და 3 ხიდის მშენებლობა;
- მიმდინარეობდა სოფელ მატანის სპორტული კომპლექსის და 1.1 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ქალაქ კასპში, დასრულდა სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია;
- ქალაქ გორში, დასრულდა 10 მინი მოედნის რეაბილიტაცია;
- ქალაქ ხაშურში, მიმდინარეობდა თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე N7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ქალაქ თელავის წყალარინების კოლექტორის რეაბილიტაცია;
- გურჯაანის მუნიციპალიტეტში დასრულდა სოფელ ბაკურციხის კულტურის კლუბის რეაბილიტაცია;
- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, მიმდინარეობდა ტექნიკური დახმარება პროექტების ციკლის მართვაში, სივრცით დაგეგმარებაში, აქტივების მართვასა და ძირითადი კაპიტალდაზღვრვების დაგეგმვაში;

### 3.3.7 საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB)“ (პროგრამული კოდი - 25 03 07)

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასრულდა სოფელ ჭაქვინჯისა და ნარაზენის 10.3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასრულდა წალენჯიხა-ნაკიფუ-ლეწურწუმე-ჩხოროწყუს 9.2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა წალენჯიხის N1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
- მარტვილის მუნიციპალიტეტში დასრულდა ონოლია-ნაჯახაოს 5 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სერგიეთში საფეხბურთო სკოლის რეკონსტრუქცია და ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობა;

- აბაშის მუნიციპალიტეტში დასრულდა სოფელი წყემის 8.3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა „თუთარჩელა“-ს შენობაში მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მოწყობა;
- ქალაქ ფოთში, დასრულდა (მშვიდობის ქუჩა) სატუმბი სადგურის მშენებლობა;
- დასრულდა ხონის მუნიციპალიტეტის ივანდიდი-პატარა ჯიხაიშის 3.5 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტში ბამგნარის უბანში რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფელ იანეთის ცენტრალურ გზამდე, დასრულდა 4.5 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტების სოფლების, როხის და სალომინაოს 3.5 კმ-იანი საავტომობილო გზის ორი მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სოფელ როდინაულის სასოფლო 15 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- საჩხერის მუნიციპალიტეტში დასრულდა სოფელ ჭორვილა-საირხის 10 კმ-იანი საავტომობილო გზაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა და მიმდინარეობდა წყალსადენის მოწყობა;
- გაფორმდა ხელშეკრულება სოფლების ჩიხის და გორისას (საჩხერის მუნიციპალიტეტი) ადმინისტრაციულ ერთეულებში შემაგალი სოფლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობაზე;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტში დასრულდა ჭიათურა-სკინდორის 6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქალაქ ტყიბულის N1 საბავშვო ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია;
- მიმდინარეობდა ღვანკითის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ღორემა-ბაზალეთის 10.8 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- თიანეთის მუნიციპალიტეტში დასრულდა არჩილის მონასტერთან 6.3 კმ და ჟებოტის ამალეების 1.2 კმ კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზების რეაბილიტაცია;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მიმდინარეობდა წმინდა გიორგის უბნის საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ბუკისციხე-ზემო სურების 16.6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასრულდა ასკანა-მშვიდობაური-ბახვის 7 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და მიმდინარეობდა დაბა ლაითურის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- გურჯაანის მუნიციპალიტეტში დასრულდა სოფელ ვაზისუბნის 1.6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- თელავის მუნიციპალიტეტში დასრულდა არსებული უსახელო ხევის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ქალაქ თელავში, დასრულდა „თელავის ხევი“-ს რეაბილიტაცია;
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაქირში, დასრულდა 1 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- გორის რკინიგზის სადგურის დასახლებაში დასრულდა არსებული ქუჩების და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა გორის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტების კონფლიქტისპირა სოფლებისთვის წყლის 17 ჭაბურღილის მოწყობა;
- დასრულდა ახალციხის ქუჩების გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის წყალსადენის და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;
- წალკის მუნიციპალიტეტში დასრულდა სოფელ განთიადი-დარაკოვი-არწივანი-კუმის დამაკავშირებელი 7.6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დაბა სტეფანწმინდაში მიმდინარეობდა სპორტული კომპლექსის რეკონსტრუქცია;

- წყნეთში, გურამიშვილის ქუჩის N4, N5, N6 და N7-ის მიმდებარედ, დასრულდა სანიაღვრე კოლექტორის მოწყობა;
- მდინარე ვერეს კალაპოტში, მიმდინარეობდა ნატანდამჭერი 3 ნაგებობის მოწყობა;
- მიმდინარეობდა 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული წყნეთი-სამადლოს და წყნეთი-ახალდაბის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (დიზაინი და მშენებლობა);
- ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის N83-ის მიმდებარედ, დასრულდა გამოფიტული და დაშლილი კლდოვანი ქანების ჩამოშლის პროცესების აღსაკვეთად ჩასატარებელი სამუშაოები;
- ქალაქ თბილისში დასრულდა „მზიურის“ ტერიტორიაზე მდინარე ვერეს ნაპირსამაგრი საყრდენი კედლის მშენებლობა;
- მიმდინარეობდა მდინარე ვერეს კალაპოტის ფორმირების სამუშაოები;
- სოფელ ახალდაბაში დასრულდა საყრდენი კედლის მოწყობა.

3.3.8 ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი (Government of France) (პროგრამული კოდი - 25 03 09)

- ჭიათურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა არსებული ძველი საბაგირო სადგურებისა და საბაგირო-სატრანსპორტო სისტემების სადემონტაჟო სამუშაოებისა და ახალი რევერსიული გონდოლებიანი საბაგიროს სამონტაჟო და შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები.

3.3.9 სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები“ (პროგრამული კოდი - 25 03 11)

- მიმდინარეობდა საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ 117 - კმ 119 (კვარიათი-სარფი) მონაკვეთის (ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ) აღდგენა-გამაგრების და ქვის ცვენისაგან დაცვის და ფერდობების გამაგრების სამუშაოები.

3.3.10 მთის კურორტებზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 25 03 15)

- დაიწყო გუდაური-კობის საბაგირო გზის მშენებლობა.

3.4 ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის ანაკლიის ტერიტორიაზე (სამოქმედო გეგმის ფარგლებში) კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა - კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადდა ანაკლიის განსახლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმის ფარგლებში განისაზღვრა ინვესტორისათვის ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით გადასაცემი 340 ჰა მიწის ნაკვეთი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოსყიდულ იქნა 413 მიწის ნაკვეთი და ექსპროპრიაციის შედეგად სახელმწიფოს საკუთრებად დარეგისტრირდა 18 მიწის ნაკვეთი.

3.5 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
- „500 კვ ეგზ წყალტუბო - ახალციხე - ტორტუმი“, „ჩრდილოეთის რგოლი ეგზ (I ფაზა)“ და „გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება“ პროექტებზე მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების სამუშაოები.
- 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა „ჯვარი-წყალტუბო“ პროექტზე: დასრულებულია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და წინასწარი დიზაინი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში შესათანხმებლად წარდგენილია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, წარმოდგენილია განსახლების პოლიტიკის დოკუმენტი.
- მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზზე „ქსანი-სტეფანწმინდა“ და 220კვ ელექტროგადამცემი ხაზზე ჯვარი-ხორგა პროექტის მიმდინარე მშენებლობის პროგრესი შეადგენს დაახლოებით 80%-ს.
- დასრულდა 220კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობის პირველი ფაზის („ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი) მშენებლობა და დაიწყო მეორე ფაზის („შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთი) პროექტის განხორციელება.
- ქვესადგურ „ზესტაფონში“ დასრულებულია 250 მგვარ რეაქტორის მშენებლობა.

### 3.5.1 რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი (პროგრამული კოდი 36 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
- 500 კვ ეგზ წყალტუბო - ახალციხე - ტორტუმი (KfW) პროექტის ფარგლებში:
  - ✓ საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან „ფიტნერი“, 500 კვ ეგზ წყალტუბო - ახალციხე - ტორტუმი (KfW) პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის მომზადებაზე, ხოლო კომპანია „ესელართან“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაზე.
  - ✓ მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების სამუშაოები. წარმოდგენილია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის ანგარიშების წინარე ვერსიები. ომზადდა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასების ანგარიშები და გაეგზავნა KfW-ს შესათანხმებლად.
  - ✓ 250 მგვარ რეაქტორი ქ/ს ზესტაფონში (EBRD, EC, KfW): რეაქტორის ინსტალაცია და ტესტირება დამთავრებულია. გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

### 3.5.2 საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (პროგრამული კოდი 36 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
- 500 კვ ეგზ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KfW) პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული 247 ფუნდამენტიდან დამონტაჟებულია 205 ანძის ფუნდამენტი, მიმდინარეობს 2 ფუნდამენტის მოწყობის პროცესი. აწყობილია და დამონტაჟებულია 188 ანძა, მიმდინარეობს 4 ანძის აწყობის პროცესი. გრძელდება ხაზის გაჭიმვის პროცესი, დასრულებულია 47 კმ ხაზის სამონტაჟო

სამუშაოები და მიმდინარეობს 1.3კმ. ხაზის სამონტაჟო სამუშაოები. 500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 95 კმ-ია. ასევე, მიმდინარეობდა განსახლების გეგმის განხორციელება.

- ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) პროექტის ფარგლებში:
  - ✓ 500კვ ეგხ-ის „კავკასიონი“ შეჭრა (ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 8 კმ.) - პროექტით გათვალისწინებული 21 ფუნდამენტიდან მოწყობილია 20, აწყობილი და დამონტაჟებულია 17 ანძა, მიმდინარეობს სადენის მონტაჟის სამუშაოები და სადენის გაჭიმვა ანძებს შორის. სადენი გაჭიმულია 3.4 კმ-ზე. ასევე დამონტაჟდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი ენგურიდან პირველ ანძამდე.
  - ✓ 220კვ ეგხ-ის ჯვარი-ხორგა (ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 60 კმ.) - პროექტით გათვალისწინებული 170 ფუნდამენტიდან დამონტაჟებულია 148. ყველა ანძის ნაწილი ჩამოსულია, აწყობილია 47 ანძა.

### 3.5.3 220კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (პროგრამული კოდი 36 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

- დასრულდა პროექტის I ფაზის მშენებლობა: „ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი - დამონტაჟდა 144 ანძა და გაიჭიმა ახალი 53 კმ სიგრძის 20 კვ-იანი ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი. გაიცა პირობითი დასრულების სერტიფიკატი.
- პროექტის II ფაზაზე („შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთი) მიმდინარეობდა დიზაინის განახლება/გადამოწმება და მოსამზადებელი სამუშაოები, პროექტით გათვალისწინებული ხაზის სიგრძე - 95 კილომეტრი. მიმდინარეობდა ანძების საძირკვლების მშენებლობა, ანძებთან მისასვლელი გზების მოწყობა-მშენებლობა და გეოლოგიური კვლევები ანძების პოლიგონებზე, სადენების გაჭიმვა.
- საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორის განვითარების შეფასება (WB) პროექტის ფარგლებში გაფორმებულია კონტრაქტი ტენდერში გამარჯვებულ საკონსულტაციო კომპანიასთან და დაიწყო მუშაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ ანგარიშებზე. საანგარიშო პერიოდისათვის წარმოდგენილია „საწყისი ეტაპის ანგარიშის“ საბოლოო ვერსია.

### 3.5.4 ჩრდილოეთის რგოლი ეგხ (I ფაზა) (EBRD, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

- საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან „ფიხტნერი“ ჩრდილოეთის რგოლი ეგხ (I ფაზა) პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის მომზადებაზე, ხოლო კომპანია „ესელართან“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაზე.
- მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების სამუშაოები. წარმოდგენილია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის ანგარიშების წინარე ვერსიები. დასრულების ეტაპზეა პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის პროცესი. მომზადდა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასების ანგარიშები და გაეგზავნა KfW-ს შესათანხმებლად.

### 3.5.5 500 კვ ეგხ ჯვარი-წყალტუბო (WB) (პროგრამული კოდი 36 03 05)



პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

- გაფორმებულია ხელშეკრულებები პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მოსამზადებლად კონსულტანტთან Fichtner GmbH & Co. KG, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად კონსულტანტთან DG Consulting Ltd.
- დასრულებულია და წარმოდგენილია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და წინასწარი დიზაინი; მიღება-ჩაბარება გაფორმდა 2017 წლის 6 სექტემბერს.
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში წარდგენილ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესათანხმებლად.
- განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი წარმოდგენილია.
- გაფორმდა ხელშეკრულება კონსულტანტთან - GOPA-International Energy Consultants GmbH. - მშენებელი კონტრაქტორის შესარჩევად სატენდერო დოკუმენტაციისა და დეტალური დიზაინის მომზადებაზე; მიმდინარეობდა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

3.5.6 გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 36 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

- საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან „ფიხტნერი“ „გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება“ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის მომზადებაზე, ხოლო კომპანია „ესელართან“ - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაზე.
- მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების სამუშაოები. წარმოდგენილია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის ანგარიშების წინარე ვერსიები. დასრულების ეტაპზეა პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის პროცესი. მომზადდა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასების ანგარიშები და გაეგზავნა KfW-ს შესათანხმებლად.

3.6 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

- საქართველო წარმოდგენილ იქნა 25 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე: „FITUR“ (მადრიდი); „Adventur Litexo“ (ვილნიუსი); „EMITT“ (სტამბული); „Holiday Fair-Brussels“ (ბრიუსელი); „Balttour“ (რიგა); „IMTM“ (თელ-ავივი); „ITB“ (ბერლინი); „COTTM“ (პეკინი); „UITT“ (კიევი); „KITF 2017“ (ალმა-ატა); „AITF 2017“ (ბაქო); „ATM“ (დუბაი); „CTF 2017“ (თბილისი); „IMEX 2017“ (ფრანკფურტი); „KOTFA“ (სეული); „JATA“ (იაპონია); „OTDYKH 2017“ (რუსეთი); „TTG-Incontri“ (რიმინი); „WTM London“ (ლონდონი); „TT Warsaw“ (ვარშავა); „IBTM Barcelona“ (ბარსელონა); „Expo Batumi“; „Go Winter Expo“ (პელსინკი); „Ski and Snowboard Show“ (ლონდონი); „IBTM Arabia“ (აბუ დაბი);

- მოეწყო 116 პრეს და გაცნობითი ტური სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნებისათვის და 31 პრეს ტური ქართველი ჟურნალისტების მონაწილეობით შიდა ტურიზმის განვითარებისათვის;
- შეიქმნა ზამთრის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ვიდეო-რგოლი და საპრომოციო ვიდეო-რგოლი მე-6 მემილიონე ტურისტის აღსანიშნავად, რომელიც გავრცელდა ინტერნეტ-სივრცეში და მოჰყვა ძალიან დიდი დადებითი გამოხმაურება;
- განხორციელდა ზამთრის ონლაინ მარკეტინგული კამპანია 19 ქვეყანაში (სომხეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, რუსეთი, ყაზახეთი, ბელორუსი, გერმანია, იტალია, პოლონეთი, ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, თურქეთი, ბაჰრეინი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები), ზაფხულის ონლაინ მარკეტინგული კამპანია 14 ქვეყანაში (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, თურქეთის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, გერმანია, ისრაელი, ლიტვის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა და პოლონეთი) და 4 ქვეყანაში (ყაზახეთში, უკრაინაში, რუსეთში და ბელარუსში) სატელევიზიო რეკლამა. დაიბეჭდა სტატიები და განთავსდა სხვადასხვა ტურისტული მიმართულების საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში, დაიწყო და მიმდინარეობდა ინტერნეტ-კამპანია tripadvisor-ზე;
- განხორციელდა ინტერნეტ სარეკლამო კამპანია სამი ქვეყნის პლატფორმაზე (Expedia Germany, Expedia UK, Expedia.com (USA)), სარეკლამო კამპანიები Discovery-ზე, BBC-სისა და Euronews-ზე და ადვერტორიული რეკლამა ჟურნალ Traveler Magazine-ში;
- ორგანიზებულ იქნა ქართული და უცხოური ტურ-ოპერატორების (სლოვენია, ირანი, იაპონია, საუდის არაბეთი, ინგლისი) შეხვედრები „B2B“ ფორმატში;
- რუსთაველის თეატრში გაიმართა რიგით მესამე დაჯილდოების ცერემონიალი „Welcome to Georgia National Tourism Awards“;
- გაიმართა პრეზენტაციები/საქმიანი შეხვედრები ტურიზმის სფეროში მოღვაწე კომპანიებთან;
- ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები („გიდების უნარ-ჩვევები“; „მარკეტინგის და გაყიდვების მხარდაჭერა“; „აგროტურისტული ობიექტების მართვა და მომსახურების უნარ-ჩვევები“; „საბაზისო ინგლისური ენის კურსები“; „მართვის უნარ-ჩვევები“; „ღვინის გიდის უნარ-ჩვევები“; „სასტუმროს მომსახურების უნარ-ჩვევები“; „სასტუმროს მენეჯერების მართვის უნარ-ჩვევები“; „სასტუმროს პრობლემური სიტუაციების მართვა“; „გიდების ტრენინგთა ტრენინგი“; „ტურიზმის არსი და საფუძვლები“), სადაც გადამზადდა 1 318 ადამიანი;
- „ღვინის გზის პროექტის“ ფარგლებში რეგიონებში დამონტაჟდა საგზაო-საინფორმაციო მაჩვენებლები (აჭარა -10, გურია - 2, იმერეთი - 15, სამეგრელო - 3, რაჭა ლეჩხუმი ქვემო სავანეთი - 14 , სამცხე -1 , მცხეთა-მთიანეთი - 8, ქვემო ქართლი-4, შიდა ქართლი - 7, თბილისის შემოგარენი- 3), ხოლო კახეთის რეგიონის ღვინის გზის ინფრასტრუქტურის მოწყობის (საგზაო მანიშნებლების დაყენების) სამუშაოებს ჩაუტარდა ექსპერტიზა. მიმდინარეობდა ღვინის გზის ახალი ობიექტების საგზაო-საინფორმაციო ნიშნების დამონტაჟების საპროექტო სამუშაოები (41 მარნისათვის);
- განხორციელდა გრემის მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიური გამოკვლევა და მომზადდა ტოპოგრაფიული რუკა,
- მიმდინარეობდა შიდა და ქვემო ქართლის სამთო საფეხმავლო ბილიკების კვლევა;
- მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში მთის კურორტებზე დამონტაჟდა სასურათე ჩარჩოები (სოფელი შატილი, თეთნულდის მთა, კოხტა, მიტარბი და შაორის წყალსაცავი);
- მომზადდა ტურისტული პროდუქტის კატალოგები: „საქართველოს გერმანული მემკვიდრეობა“, „შიდა ქართლის ღვინის გზა“, „შიდა ქართლის სასკოლო ტურები“ და „შიდა ქართლის კულტურული ობიექტები“;
- შშმპ-თვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დასრულდა სამუშაოები წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის, წყალტუბოს პარკისა და მიმდებარე ტერიტორიაზე;
- პრობლემების მოგვარების მიზნით ტურისტებისათვის მოქმედებდა ცხელი ხაზი, მიმდინარეობდა პრობლემების მონიტორინგი და Viber-ის/Whatsapp-ის საშუალებით ხორციელდებოდა მათთვის ინფორმაციების მიწოდება. ფუნქციონირებდა „Online Chat“-ი და 24 საათის განმავლობაში

ხორციელდებოდა შემოსული ზარების მონიტორინგი, ნებისმიერი პრობლემის ანალიზი და შემდგომი რეაგირება;

- ადმინისტრაციის ინიციატივით გაიმართა: აჭარისა და კახეთის რეგიონების სასტუმროებში ფასდაკლებების კვირული „Discount Week“, სათხილამურო ტურნირი „ნიამორი“, სპორტული ღონისძიება „ვარძის სათავგადასავლო ტურნირი“, „ველომარათონი“ გუდაურსა და ბაკურიანში, კულტურული ღონისძიება „პანკისობა“ პანკისის ხეობაში, „მწვანე მუნიციპალიტეტის ოქროსფერი შემოდგომა“ თიანეთში, ზამთრის სეზონის გახსნის ღონისძიება მესტიაში;
- განხორციელდა სამთო-სათხილამურო კურორტების მიწოდების მხარის შესწავლა (ბაკურიანი, გუდაური და მესტია);
- დასრულდა მუშაობა „შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად“ სახელმძღვანელოს მეორე გამოცემაზე. მიმდინარეობდა რედაქტირების სამუშაოები მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პუბლიკაციაზე „ტურიზმის სტრატეგიის საერთაშორისო რეკომენდაციები 2008“. მიმდინარეობდა მუშაობა ვორქშოპზე „შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვა“, რომელიც მიზნად ისახავს ტურიზმით დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიწოდებას ტურიზმის სექტორში არსებული სტატისტიკური მონაცემების შესახებ და აგრეთვე, თავიანთი საქმიანობის პროცესში მისი მოპოვებისა და გამოყენების გზების ჩვენებას;
- ყოველთვიურად ხორციელდებოდა საზღვრის კვეთის, განთავსების საშუალებებისა და საავიაციო ბაზრის სტატისტიკის დამუშავება და პრეზენტაციის/ანგარიშის ფორმატში წარდგენა ფართო საზოგადოებისათვის (საიტისა და სხვა საშუალებებით);
- მომზადდა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდზე განთავსდა 2016 წლის სტატისტიკური მიმოხილვა (ინგლისურ და ქართულ ენებზე) ტურიზმის სექტორში არსებული მდგომარეობის და ტურიზმის ხელის შეწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- ტურიზმის ადმინისტრაციის სტრუქტურაში არსებულ საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს შეემატა 3 წევრი, რის შედეგად ბიუროში გაწევრიანებულ ორგანიზაციათა რიცხვმა მიაღწია 44-ს (24 განთავსების ობიექტი, 18 DMC (Destination management company) ტურისტული კომპანია ფართო პროფილით და PCO (Professional congress organizer) ივენთ-კომპანია, 2 საგამოფენო სივრცე);
- ირანში გამართულ ტურისტული გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის მე-17 კონგრესზე საქართველო კენჭისყრის შედეგად არჩეულ იქნა მე-18 კონგრესის მასპინძელ ქვეყნად;
- განახლდა და დაიბეჭდა საქართველოს საქმიანი ტურიზმის „Meetings & Events“ კატალოგი;
- გურიის მუნიციპალიტეტში (შეკვეთილი, გრიგოლეთი და ურეკი) აღწერილ იქნა რეგიონში არსებული განთავსების და კვების ობიექტები;
- სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისა და ტელე-რადიო არხების საშუალებებით, შიდა და უცხოელ ტურისტებს ყოველთვიურად მიეწოდებოდა ინფორმაცია ადმინისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- ხელი მოეწერა: „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოსა და იორდანის მხარეთა თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებებს და „საქართველოს მთავრობასა და ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- მონაწილეობა იქნა მიიღებული ქ. მენდოზაში (არგენტინა) გამართულ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ღვინის ტურიზმის მეორე გლობალურ კონფერენციაში და აგრეთვე, ქ. სიემენში (ჩინეთი) გამართულ საერთაშორისო საინვესტიციო გამოფენაზე „CIFIT 2017“, სადაც ადმინისტრაციამ წარმოაჩინა საქართველოს ტურიზმის სფეროში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობები;
- ჩინეთის რესპუბლიკაში საქართველოს პოპულარიზაციის მიზნით, ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და საინფორმაციო სააგენტო „სინომედია“-ს შორის;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა რეგიონალური კონფერენციები, რომლებიც ეხებოდა ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო და შიდა ქართლში, აჭარაში და გურიაში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში;

- საქართველოს ტურისტული პოტენციალის გასაცნობად გაიმართა პრეზენტაციები/შეხვედრები ბაჰრეინში, კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში, ოსლოში, არაბთა გაერთიანებული საემიროებსა (60-მდე კომპანიასთან) და საუდის არაბეთში (ქ. ჯედაში, ქ. დამამსა და ქ. რიჰადში). აგრეთვე, მოეწყო პრეზენტაციები ასტანაში გამართულ „ASTANA EXPO 2017“ გამოფენაზე, ღონისძიებაზე „Georgia welcomes you“ ჰოლანდიაში, Turkish Airline-ის წარმომადგენლებთან ერთად ქ. ბელგრადში და სხვა;
- გაიმართა ქართული კულტურისა და გასტრონომიის დღეები ბერლინში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ამერიკის უმსხვილესი ტურისტული ასოციაციის ASTA-ს ყოველწლიურ კონვენცია/გამოფენაში, პრადში გამართულ „International Congress and Convention Association (ICCA)“-ის 56-ე კონგრესის, უზბეკეთში გამართულ „Central Asia Consultative Conference on Sustainable and Resilient Tourism Development along the Silk Route“-ის კონფერენციის და კიევში Google-ის მიერ გამართულ კონფერენციის მუშაობაში;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის ორგანიზებით, საქართველოში გაიმართა UNWTO-ს ევრაზიის მთის კურორტების მე-3 კონფერენცია;
- გაიმართა „National Geographic“-ის ახალი ჟურნალის პრეზენტაცია, სადაც საქართველო წარმოდგენილ იქნა როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყანა;
- 2017 წლის 26 ნოემბერს საქართველოში გასამართი საერთაშორისო კონკურსის „Junior Eurovision Song Contest“ პოპულარიზაციის მიზნით, ქ. კიევში „Eurovision Song Contest“-ის ფარგლებში განხორციელდა სარეკლამო აქტივობები და მოეწყო საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქვეყნის, პრეზენტაცია;
- ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებისათვის/ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის გაიმართა ინფო-ტურები ქუთაისში პირველ ბრენდირებულ სასტუმროში „Best Western Kutaisi“, ლაგოდეხის ნაკრძალის მიმდებარედ („ბლუზვილიჯში“) და სოფელ წინანდალში შპს „ვანფაბის“ ღვინის ბარ-მაღაზიაში;
- ღვინის გზის პროექტის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, დამონტაჟდა ღვინის ტურიზმის ობიექტების საგზაო საინფორმაციო მაჩვენებლები;
- ქ.თბილისში შეკეთდა არსებული საინფორმაციო-სარეკლამო მანათობელი ბილბორდები, ხოლო რეგიონებში (მესტია, გურჯაანი, ჩოხატაური) დამონტაჟდა მანათობელი კონსტრუქციები;
- განხორციელდა სამთო-საფეხმავლო ბილიკების მარკირება რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში (ჯამში მოინიშნა 270 კმ. ბილიკი) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მოინიშნა სალაშქრო-საფეხმავლო ბილიკები;
- რეგიონებში სისუფთავისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა საიტი [problems.georgia.travel](http://problems.georgia.travel), სადაც ყველა რეგიონის თვითმართველობა, გზების დეპარტამენტი, გარემოს ზედამხედველობის სამსახური და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ სხვადასხვა სახის პრობლემების გამოვლენას/წარმოჩენას. პრობლემების აღწერისა და შემდგომი რეაგირების მიზნით მონიტორინგი განხორციელდა ბახმაროს, გომის მთის და ბათუმის კურორტებზე;
- ხორციელდებოდა მონიტორინგი საქართველოში მოგზაურობის მსურველთათვის განკუთვნილ „რჩევებზე“, რომელიც განთავსებულია საქართველოში არსებული საელჩოების ვებ-გვერდზე;
- ქ. ქუთაისში გაიმართა კონფერენცია თემაზე „ტურიზმი ადგილობრივი განვითარებისთვის“;
- პროექტ „Check in Georgia“-ს ფარგლებში:
  - ✓ საზოგადოების და ადგილობრივი ტურისტების ინფორმირების მიზნით გაკეთდა გარე რეკლამები გასამართი ღონისძიებების შესახებ;
  - ✓ გაიმართა ფესტივალი „SOU 2017“ (ქ. თბილისში, Sofar Sounds-ის მეხუთე ლაივ კონცერტი), იაპონელი პოპ ვარსკვლავის კეიჩირო შიბუიას ვოკალოიდური ოპერა „დასასრული“, კვარტეტ „რონდანეს“ და ანსამბლ „მოდერნის“ კონცერტები, რეგიონალური ფესტივალი „ფუმეობის“ 8 ღონისძიება (მესტია, ასპინძა, გურია, ბორჯომი, ხაშური, რაჭა, იმერეთი და კახეთი), წინანდლის

ამფითეატრში ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის და ხატია ბუნიათიშვილის კონცერტი და აგრეთვე, ბათუმში საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალი „Ad Black Sea“;

- ✓ განხორციელდა ინტერნეტ კამპანია, რომელიც მოიცავდა ვებ-გვერდის და სოციალური მედიის (Facebook) მართვას. განხორციელდა რეკლამების განთავსება Youtube-ზე, რომელიც მოიცავდა გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ესტონეთის, შვეიცარიის, ლატვიის, ლიტვის და დიდი ბრიტანეთის ბაზრებს;
- ✓ საქართველომ უმასპინძლა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „საბავშვო ევროვიზიის“ რიგით მე-15 კონკურსს;
- სოფელ სნოში ოფიციალურად გაიხსნა პირველი პილიგრიმული სასტუმრო „სნო“ და 50-მდე ტურისტული კომპანიისათვის ჩატარდა საინფორმაციო ტური;
- დასრულდა ბაკურიანის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის სარემონტო სამუშაოები (შშმპ პანდუსი, გაზის მილის გადატანა, სახურავის შეცვლა), ქ. წყალტუბოში გაიხსნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განახლდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი და ქ. ქუთაისის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი გადავიდა ახალ მისამართზე;
- GIZ-ის დაფინანსებით დასრულდა საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- საინფორმაციო ცენტრებისათვის დაიბეჭდა საპრომოციო მასალა. ცენტრების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

### 3.7 მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი - 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
  - ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
  - ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.
- მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა.
  - მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტებისათვის ნაგავშიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების მიწოდება.

#### 3.7.1 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი - 25 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.
- დასრულდა ქალაქის ტყიბულის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის, ქალაქების ბორჯომის და წალკის, დაბების მანგლისის და ბაკურიანის ნაგავსაყრელის დახურვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
  - ქალაქ ბორჯომში, დასრულდა ბორჯომ-ბაკურიანისათვის ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
  - ზემო სვანეთისთვის, დასრულდა დაბა მესტიაში ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
  - განხორციელდა გადამტვირთი სადგურებისათვის კონტეინერის და ნაგავშიდი მანქანის შეძენა;
  - ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის მიზნით, განხორციელდა ნაგვის შემგროვებელი ავტომანქანის და ნაგვის კონტეინერის შეძენა;

- დაბა სტეფანწმინდის ნაგავსაყრელთან, დასრულდა მდინარე თერგის ნაპირსამაგრი გაბიონის აღდგენის სამუშაოები;
- დასრულდა ქალაქ ლანჩხუთის ნაგავსაყრელის დახურვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- დასრულდა დაბა ომალოს (თუშეთი) ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ნაგავსაყრელისათვის შეძენილი იქნა მუხლუხებიანი ექსკავატორ-დამტვირთველი;
- შემდგომში მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემის მიზნით, კონტეინერის შექმნაზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.

3.7.2 ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 02):

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

- მიმდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურება.

3.7.3 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD) (პროგრამული კოდი - 25 05 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- დასრულდა თვითმცლელი ნაგავშიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების მიწოდება საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის (ლოტი 1, ლოტი 2 და ლოტი 3).

3.8 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- გამართულ იქნა შეხვედრები საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური კომპანიების წარმომადგენლებთან.
- შეფასებულ იქნა საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებებით წარმოდგენილი, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის განსახორციელებელი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები.
- ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები.
- საანგარიშო პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი ჰესები.
- გამოცხადებულ იქნა ღია საერთაშორისო ტენდერი, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად თავისუფალ სალიცენზიო ბლოკებზე.
- შემუშავებული იქნა საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი კონცეფციის და ელექტროენერჯის სავაჭრო პლატფორმის შექმნა/დანერგვის ანგარიში.
- მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირების სამუშაოები.

- ანაზღაურებული იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარების მიერ, შესაბამის პერიოდებში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური.

### 3.8.1 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 36 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- გამართულ იქნა შეხვედრები საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური კომპანიების წარმომადგენლებთან. განხილულ იქნა ინვესტორი კომპანიების მხრიდან პოტენციური ელექტროსადგურების საინვესტიციო წინადადებები, მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები მემორანდუმების გასაფორმებლად (12 პროექტზე).
- შეფასებულ იქნა საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებებით წარმოდგენილი, განსახორციელებელი ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები და დაიწერა შესაბამისი დასკვნები (16 პროექტზე).
- გაფორმდა 45 ურთიერთგაგების მემორანდუმი (46 ელექტროსადგურის პროექტის განვითარება), ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 990 მეგავატია. ხელმოწერილი ელექტროსადგურის პროექტიდან 29 ჰიდრო, 10 მზისა და 7 ქარის ელექტროსადგურია, აქედან 7 პროექტი მშენებლობის ეტაპზეა, ხოლო დანარჩენები ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის სტადიაზე.
- შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ზე გაიცა გენერაციის ლიცენზია. ჰესის დადგმული სიმძლავრეა 47.48 მგვტ.
- საანგარიშო პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა 5 ახალი ჰესი: შუახევი ჰესი (დადგმული სიმძლავრე 178 მგვტ, ხელვაჩაური ჰესი (დადგმული სიმძლავრე 47 მგვტ, კინტრიში ჰესი (დადგმული სიმძლავრე 6 მგვტ, ნაბელავი ჰესი (დადგმული სიმძლავრე 1.9 მგვტ, შილდა 1 ჰესი (დადგმული სიმძლავრე 1.2 მგვტ).
- მიმდინარეობდა სხალთა ჰესების ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები. აღნიშნული პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე 140 მეგავატია.
- მესტიის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა „მესტიაჭალა 1“, „მესტიაჭალა 2“ და „ჯონოული 1“ ჰესების მშენებლობა. პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე 51.1 მეგავატია.
- მიმდინარეობდა მონიტორინგი ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირების 2016-2017 წლის გეგმის მიხედვით სამუშაოების შესრულების მიმდინარეობაზე.
- დასრულდა ენერგო-პრო ჯორჯიასთან შეთანხმებული გამრიცხველიანების გეგმის შესრულების მონიტორინგი.
- მიმდინარეობდა „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“ 2017-2027 გეგმის შესრულების მონიტორინგი.
- დანიის მთავრობის მხარდაჭერით დაიწყო „ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტიურობის ხელშეწყობის“ პროგრამა. დასრულდა ტენდერი, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამუშაო პროცესი.
- დასრულდა დაბალ ემისიებიანი განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა.
- მიმდინარეობდა ეროვნული ენერგეტიკული ენერგოეფექტიურობის სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტის ჩამოყალიბება.
- გამოცხადებულ იქნა ღია საერთაშორისო ტენდერი, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად თავისუფალ რვა სალიცენზიო ბლოკზე. გამოვლინდა

გამარჯვებული კომპანიები ხუთ სალიცენზიო ბლოკზე. კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების თანახმად, დასრულდა მოლაპარაკებები შესაბამისი პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების გასაფორმებლად 4 სალიცენზიო ბლოკზე.

- სისტემატიურად მიმდინარეობდა ლიცენზიანტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების ანალიზი, სისტემატიზაცია და ინფორმაციის კონტროლი.
- საანგარიშო პერიოდში შპს „ზდ ნავთობკომპანია“-ზე გაიცა ნავთობის გადამუშავების (კომპაუნდირება) საქმიანობის ლიცენზია.
- ჩატარდა გასვლითი შემოწმებები საქმიანობის ლიცენზიის მქონე საწარმოებში (შპს „გლობუსი“, შპს „ზდ ნავთობკომპანია“). გრძელდება ნავთობისა და გაზის ოპერაციების მიმდინარეობის ინსპექტირება და კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით.
- ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო დაჯარიმებულ იქნა შპს „ნაზვრევის ნავთობკომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში“, საერთო თანხით 3000 ლარი; ნავთობის გადამუშავების და რეალიზაციის ანგარიშგების ფორმის წარმოდგენლობის გამო, შპს „ბეგინ ენერჯი“ დაჯარიმებულ იქნა 1000 ლარის ოდენობით.
- შემუშავებულ იქნა საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი კონცეფციის და ელექტროენერჯის სავაჭრო პლატფორმის შექმნა/დანერგვის ანგარიში, რომელიც მოიცავს დღემდე არსებული დონორების და დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებების შედეგებისა და მოქმედი მარეგულირებელი აქტების შეჯამებას და მათი ანალიზის საფუძველზე შედგენილია ელექტროენერგეტიკული ბაზრის დანერგვის კონცეფცია.

### 3.8.2 მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 36 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

- დასრულდა მშენებლობა მცხეთის მუნიციპალიტეტში (მუხათგვერდი), სენაკის მუნიციპალიტეტში (შუა ნოსირი და ნოსირი), დუშეთის მუნიციპალიტეტში (ჭართალი, მენესო, სონდა), ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (ალავერდი); ქარელის მუნიციპალიტეტში (სოფელი მოხისი), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში (ჯაპანა, ქვიანი, ჭყონაგორა, ჩოლობარგი, ნიგოთი), ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში (ბაისუბანი, პატარაგორი, გელათი, განათლება, ზემო მსხალგორი, ქვემო მსხალგორი). საგარეჯოს მუნიციპალიტეტში (უჯარმა), ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (სოფელ ასკანა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (ჯაფარაული და ისლარი), ყვარლის მუნიციპალიტეტში (საბუე), ხაშურის მუნიციპალიტეტში (აგარები, ახალსოფელი, დიდი სატივე და პატარა სატივე), ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (ნაცატუსა და ურთა), მარტვილის მუნიციპალიტეტში (ვედიდკარი), ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (წვერმაღალა), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში (წყალწმინდა), გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ფოლადაანთკარი), კასპის მუნიციპალიტეტში სოფლები (ახალქალაქი, ზემო ჩოჩეთი და ზემო ხანდაკი, მეტეხი, გომი, ნიაბი) გორის მუნიციპალიტეტი (ზერთი), ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (წესი), ონის მუნიციპალიტეტში (სორი).
- მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (დაბლაციხე); სენაკის მუნიციპალიტეტში (თეკლათი, ახალსოფელი, საგვარამიო), თელავის მუნიციპალიტეტში (ლალისყური, ფშაველა, ლაფანყური), ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (შამგონი), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (ბუკისციხე), თერჯოლის მუნიციპალიტეტში (დელტასუბანი).
- გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი სოფლების: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ასკანის N1 ქუჩის და ტრასის გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვით მიზნით.



- დასრულდა თელავის მუნიციპალიტეტში ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის გაზიფიცირების პროექტირება და მიმდინარეობდა საამშენებლო სამუშაოების ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების შერჩევა/შეფასება.

3.8.3 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, გაზგამანაწილებელი კომპანია „სოკარ ჯორჯიაგაზის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 15 მაისამდე და 2017 წლის 15 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე პერიოდში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება. მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ 12.8 მლნ მ<sup>3</sup> შეადგინა.
- საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ანაზღაურებული იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2015 წლის 15 ოქტომბრიდან 2016 წლის 15 მაისამდე და 2016 წლის 15 ოქტომბრიდან 2017 წლის 15 მაისამდე პერიოდში, შეღავათის ზემოთ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება, სულ 844 ათასი ლარის ოდენობით. მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ 2 მლნ მ<sup>3</sup> შეადგინა.

3.9 ენერჯეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს „ენგურჰესი“

- მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანისა და სადგურების საიმედოობის ამაღლებისათვის.
- სადაწნო გვირაბის კონკრეტული ავარიული უბნების დადგენისა და შემგომი სამუშაოების დაგეგმვისათვის თებერვალში მოხდა ენგურჰესის გაჩერება, რეზერვუარის დონის დაწევა, სადაწნო გვირაბის დაცლა და სრული ინსპექტირება.
- ჩატარდა საერთაშორისო ტენდერი სამუშაოების დიზაინის, საამშენებლო ტენდერებისა და სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელებისთვის დამოუკიდებელი საინჟინრო კომპანიის შესარჩევად და გამარჯვებულ საინჟინრო კომპანიასთან გაფორმდა კონტრაქტი.
- დასრულდა ვარდნილჰესის რეაბილიტაციის სამუშაოები.

3.10 საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;

✓ ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი

- ზუგდიდის ტექნოპარკის, ბაღდათის, ხარაგაულისა და ჭოპორტის ინოვაციების ცენტრების ბაზებზე ჩატარდა ყოველკვირეული ვორქშოპები („Little Bits“-ის, „Code.org“-ის და „Lego Robotics“-ის ვორქშოპები), სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები (საოფისე პროგრამები, 3D მოდელირება, „როგორ მუშაობს ფაბ-ლაბი“, „როგორ შევქმნათ სტარტაპი“ და სხვა) და ენის კურსები (ინგლისური და ფრანგული) უახლესი ტექნოლოგიებით და ალგორითმებით შექმნილი უცხო ენების შესასწავლი ონლაინ პლათფორმის „www.lingwing.com“ გამოყენებით;
- გაიმართა სამდღიანი ღონისძიება „ინოვაციების დღეები ზუგდიდში“, რომლის მიზანი იყო ინოვაციების შესახებ ცნობადობის ამაღლება, სტარტაპებისა და საერთო სამეწარმეო ბიზნეს გარემოს შექმნა და ახალგაზრდა დამწყები ბიზნესმენების წახალისება ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა სახელმწიფო პროგრამებში;
- ინოვაციების ლაბორატორია „ჯეოლაბთან“ თანამშრომლობითა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების ორგანიზაცია USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) მხარდაჭერით, საერთაშორისო ორგანიზაცია „ელვას“ მიერ განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდები ინოვაციური განვითარებისათვის“. პროექტის ფარგლებში ზუგდიდის ტექნოპარკის, ხარაგაულისა და ჭოპორტის ინოვაციების ცენტრების ბაზაზე ჩატარდა სატრენინგო კურსი 4 სხვადასხვა მიმართულებით (ინოვაციების მენეჯმენტი, მეწარმეობა, UX დიზაინი და ვებ-პროგრამირება) და გაიმართა ღონისძიებები (მეიქათონი, შემოქმედებითი იდეების მართონი), რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა შეძლეს ტრენინგებზე მიღებული ცოდნის დემონსტრირება (ტრენინგების ძირითად ფოკუსს ჯგუფს წარმოადგენდა 14-18 წლამდე ახალგაზრდები და ჯამში პროექტში მონაწილეობა მიიღო 200 - მდე ახალგაზრდამ);
- ჩატარდა: ტრენინგები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე გახსნილი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მენეჯერებისათვის; სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის სპეციალისტების გადასამზადებელი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით ყველა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის სპეციალისტებმა (რეგიონებიდან სპეციალისტების ჩართვა განხორციელდა დისტანციურად);
- „საქართველოში აუტოსორსზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით“ პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში სააგენტოს მიერ უკრაინულ ტრენინგ-ცენტრ „Skill Up“-თან ერთად ჩატარდა 73 ტრენინგი სხვადასხვა სასწავლო მიმართულებებით (Android, iOS, Front-End, Java, PHP, Python პროგრამირება, IT პროექტების მართვა, UX/UI დიზაინი და ხარისხის მართვა (QA)), რის შედეგად გადამზადდა 1 300 ბენეფიციარი;
- ახალი ტექნოლოგიების ლაბორატორია „ჯეოლაბთან“ (ქ. თბილისი) თანამშრომლობით ჩატარდა ვებ-პროგრამირების დისტანციური კურსები რეგიონების ინოვაციების ცენტრების ბაზაზე. სასწავლო პროგრამა მიმდინარეობდა ფრონტ ენდ პროგრამირებისა (HTML, CSS, JavaScript) და ბექ ენდ პროგრამირების (NET) მიმართულებებით. სამსაფეხურიანი სასწავლო კურსის პირველი საფეხური გაიარა 50-მა სტუდენტმა 4 მუნიციპალური ერთეულიდან. ვებ პროგრამირების სასწავლო კურსის მესამე ეტაპზე 6 ახალგაზრდა 4 რეგიონიდან სამუშაო პრაქტიკას გადიოდა ლაბორატორია „ჯეოლაბში“;
- ჯუნიორ ინოვაციების ლაბორატორიასთან თანამშრომლობით (რეგიონების ინოვაციების ცენტრების ბაზებზე) 10-16 წლამდე ახალგაზრდებისათვის ჩატარდა კურსები „Lego Mindstorms EV3“-ის რობოტების გამოყენებით. სასწავლო პროგრამის პირველ ნაწილში მონაწილეობა მიიღო 103-მა ახალგაზრდამ 4 მუნიციპალური ერთეულიდან;
- სააგენტოს ორგანიზებით ზუგდიდის ტექნოპარკში განხორციელდა სატრენინგო პროგრამა „როგორ დავიწყო სტარტაპი“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებებით („ინოვაციების და ტექნოლოგიების ინდუსტრიის მიმოხილვა“, „სტარტაპის შექმნის პირველი ნაბიჯები“ და სხვა). სატრენინგო პროგრამის დასკვნით ეტაპზე თბილისის

ტექნოპარკში გაიმართა 7 ფინალისტი გუნდის იდეების პრეზენტაცია (პროექტში მონაწილეობდა 26 ადამიანი);

- ზუგდიდის ტექნოპარკის, ქ. ბაღდათის, სოფ. ჭოპორტისა და დაბა ხარაგაულის ინოვაციების ცენტრების მომსახურებით ისარგებლა 1 723 ვიზიტორმა;
- გაიმართა დისტანციური პრეზენტაცია სსიპ-საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გრანტების (ინოვაციური იდეების პროტოტიპირებისათვის 5 000 ლარის ოდენობის გრანტი) შესახებ. პრეზენტაციას ესწრებოდა 77 ადამიანი ხარაგაულის, ბაღდათის, ჭოპორტის ინოვაციების ცენტრებიდან და ზუგდიდის ტექნოპარკიდან;
- საგრანტო პროგრამების ფარგლებში:
  - ✓ სააგენტოს მიერ დაფინანსდა 61 პროექტი (5 000 ლარამდე), მათ შორის 23 პროექტი პროტოტიპირების ხელშეწყობის მიმართულებით (მზის კოლექტორი - მზის ენერგეტიკული დანადგარი; Power Map - საქართველოს რუკის ფორმის მულტიფუნქციური სუვენირი; RehabGlove - ინტერაქციული ხელთათმანი; „Marathon Run“ პროტოტიპის შექმნა - ინოვაციური სარბენი აპლიკაცია სეტყვისაგან ვენახის დამცავი მოწყობილობის პროტოტიპი და სხვა);
  - ✓ დაფინანსდა ინოვაციების ხელშეწყობი 12 პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჰაკათონის, კრეათონის/მეიქათონის და სხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზებას თბილისსა და რეგიონებში. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო საერთო ჯამში 700 ადამიანმა და გამოვლინდა 25 გამარჯვებული გუნდი;
  - ✓ სამოგზაურო გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 26 ბენეფიციარი საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობისათვის;
- ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით, სტარტაპ საქართველოს 8 გამარჯვებული გუნდი გაემზავრა სილიკონის ველზე ვენჩორული ინვესტორების წინაშე საკუთარი ბიზნეს გეგმეგმების წარდგენის მიზნით;
- საქართველოში პირველ ტექნოლოგიურ პარკში:
  - ✓ ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის (კვირაში ორჯერ, მონაწილეობდა 376-ზე მეტი ადამიანი) სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის: „ლეგო რობოტიკის“ ვორქშოფი, „Little Bits“-ის ელექტრონული კონსტრუქტორის ვორქშოფი, „Elenco“ ელექტრონიკის საგანმანათლებლო ინსტრუქტორების გამოყენებით ვორქშოფები, 3D მოდელირების ტრენინგები, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის სპეციალისტების გადასამზადებელი ტრენინგი;
  - ✓ ტექნოპარკის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში დამზადდა 58 პროდუქტის პროტოტიპი;
  - ✓ „ბიზნეს ინკუბატორის“ პროგრამის ფარგლებში 2017 წლის მარტში დასრულდა ინკუბატორის პირველი ნაკადის ინკუბაციის პროცესი და მონაწილეებს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები. პროექტის მესამე ნაკადის ფარგლებში 8 გუნდმა დაასრულა პროტოტიპირების ეტაპი და დაიწყო ბიზნეს გეგმაზე მუშაობა. აღნიშნული მუშაობის პროცესში ინკუბატორის მონაწილეებმა გაიარეს ტრენინგები 12 მიმართულებით (მათ შორის: მარკეტინგის, ბიზნესის მოდელირების, ფინანსების, მენეჯმენტის და სხვა მიმართულებით) და კონსულტაციები მართვის აკადემიასთან. გარდა ამისა, პროექტის მესამე ნაკადის ფარგლებში ინოვაციური ბიზნეს იდეის მქონე 8 გუნდმა გაიარა ინკუბაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ტრენინგებს 10 მიმართულებით შემდგომში გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქტისა და კომპანიების შექმნის მიზნით;
  - ✓ „Startup Beats“-ის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა რეგულარული შეხვედრები, სადაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, მათ შორის წარმატებული სტარტაპერები გამოცდილებას უზიარებენ დამსწრე საზოგადოებას;
  - ✓ გაიმართა სხვადასხვა თემატიკის 117 ღონისძიება (მეწარმეობის ხელშეწყობის, შემეცნებითი და ბიზნეს ფორუმები ), სადაც მონაწილეობდა დაახლოებით 5 855 ადამიანი;

- თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის, ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ლაბორატორიებში საერთო ჯამში განხორციელდა 97 პროექტი;
- საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გაიმართა კონსულტაციები დონორთან, სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და განხორციელდა ქსელის ხელახალი დაგეგმარება/შეფასება საკონსულტაციო კომპანია „დეტეკონთან“ ერთად;
- მიმდინარეობდა ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის აუცილებელი საქონლის, სამუშაოების და გასაწევი მომსახურებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. შერჩეული იქნა მომსახურების გამწევი იურიდიული კომპანია და მასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე;
- პროექტ „სტარტაპ მეგობრულის“ ფარგლებში თანხმობა მიღწეულ იქნა 27 კომპანიასთან;
- ჩატარდა ინოვაციური სტარტაპ ბანაკის-ბუთექემფის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც 11 სტარტაპმა მიიღო აუცილებელი ცოდნა პროდუქტების ბაზარზე გატანისათვის საჭირო აქტივობების განსახორციელების შესახებ;

### 3.11 ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 24 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

- „Georgian National Innovation Ecosystem“ (GENIE) პროექტის ფარგლებში, ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით რეგიონებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შეირჩა 12 მუნიციპალიტეტი ინოვაციების რეგიონული ჰაბებისა და ინოვაციების ცენტრების გასახსნელად. შერჩეულ მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ინოვაციების ჰაბების/ცენტრებისათვის გამოყოფილი შენობების კონსტრუქციული მდგრადობის და სეისმომდებლობის კვლევა. აღნიშნული კვლევების შედეგად შერჩეული შენობებისათვის მომზადდა შიდა სივრცითი მოწყობის დიზაინერული პროექტები და ჰაბების/ცენტრების ბრენდინგის კონცეფცია. შემუშავდა ჰაბების/ცენტრების ავეჯის დიზაინი და სპეციფიკაცია;
- „ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის ფარგლებში:
  - ✓ შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტი, განხორციელდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის დიზაინზე და მიმდინარეობდა საბოლოო დოკუმენტის შეთანხმება მსოფლიო ბანკთან;
  - ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ელექტრონული კომერციის საპილოტე ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 50 მეწარმე თუმეტიდან. აღნიშნული ტრენინგი წარმატებით გაიარა 29 მეწარმემ, რომლებიც დაჯილდოვდნენ 150 ლარიანი ინტერნეტ-ვაუჩერით;
  - ✓ შემუშავდა „ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის ვებ-პორტალის ტექნიკური დავალების პროექტი;
- ინოვაციების სერვისების მიწოდების მიზნით, საქართველოს რეგიონებში 90-მდე მცირე და საშუალო საწარმოს ჩაუტარდა ინოვაციური პოტენციალის გამოსავლენი კვლევა;
- წილობრივი გრანტების პროგრამის ფარგლებში:
  - ✓ შემუშავდა წილობრივი გრანტების შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები. შემუშავდა ბენეფიციარის პროგრამული ანგარიშგების ფორმატები;
  - ✓ მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა წილობრივი გრანტის სახელმძღვანელოში და მის დანართებში;
  - ✓ შემუშავდა წილობრივი გრანტების ვებ-პორტალის ტექნიკური დავალება.

3.12 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი - 25 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

- განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაფინანსებული იქნა 832 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის: ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, წყალმომარაგების სისტემების, საბავშვო ბაღების და ა.შ. მშენებლობა-რეაბილიტაცია.
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შემუშავდა წინადადებები;
- სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში მიმდინარეობდა დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
- საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები;
- კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის ხელშეწყობა;
- მიმდინარეობდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- განხორციელდა საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის ღონისძიებების კოორდინაცია;
- მიმდინარეობდა საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღება;
- უფლებამოსილების ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, განხორციელდა საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა;
- USAID-ის პროექტთან „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (GGI) თანამშრომლობით და ცენტრის კოორდინაციით, შეფასდა სერვისების ეფექტიანობა (ე.წ. ბენჩმარკინგი) საქართველოს 15 მუნიციპალიტეტში. ასევე, მიმდინარეობდა მონაცემების შეგროვება, 2015 წელს მუნიციპალიტეტების მიერ მიწოდებული სერვისების ეფექტიანობის კრიტერიუმების შემცველი კითხვარების შესაბამისად, რომელიც მოიცავდა 3 სფეროს, კერძოდ: სკოლამდელი აღზრდა, მყარი ნარჩენების მართვა, საბიბლიოთეკო მომსახურება;
- სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების მოხელეთათვის, გაეროს განვითარების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ჩატარდა 6 ტრენინგები: პროექტის მართვა/კოორდინაცია,

სახელმწიფო შესყიდვები, სივრცითი მოწყობა, ინვესტიციების ხელშეწყობა რეგიონებში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში საინვესტიციო პროექტის მომზადების ეტაპები, რეგიონული განვითარება და სტრატეგიული დაგეგმვა;

- განისაზღვრა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის კონკრეტული ამოცანები და ძირითადი პრინციპები, რომელიც მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას: ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და ხარისხიანი სერვისების ადგილზე ხელმისაწვდომობა;
- საანგარიშო პერიოდში 27 მუნიციპალიტეტებმა დაამტკიცა წლიური სასწავლო გეგმები, რომლებიც (სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ) სისტემატიზებულია სწავლების სფეროების მიხედვით;
- მიმდინარეობდა ევროსაბჭოს ინიციატივით შემუშავებული პროექტის „ადგილობრივი ფინანსების ბენჩმარკინგის ინსტრუმენტების დანერგვის“ (II ფაზა) სამუშაოები.

### 3.13 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

- დამტკიცდა და ამოქმედდა ახალი საქართველოს სტანდარტები („ნახშირის შახტები, მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი“, „კარიერები, მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი“, „ამიაკის სამაცივრო დანადგარების მოწყობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნები“ და „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოება და მოხმარება. მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი“);
- შევიდა ცვლილებები საქართველოს მთავრობის დადგენილებებში („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“), რომლის მიხედვითაც ობიექტების ღირებულების მიხედვით განისაზღვრა მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემა და მოხდა მშენებლობის ნებართვის I სტადიის ადმინისტრაციული წარმოების ვადების შემცირება და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების დეტალური გაწერა;
- მომზადდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვით სამშენებლო საქმიანობის საექსპერტო შეფასება შეიძლება განახორციელონ აკრედიტებულმა ინსპექტირების ორგანოებმა;
- შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და შემოწმების აქტის ფორმების დამტკიცების შესახებ“ და ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- შემუშავდა ახალი მიდგომის ევროდირექტივის 2014/34/EU შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ფეთქებადსაშიშ გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ“, ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის შესახებ“ და ახალი მიდგომის ევრორეგულაციის N305/2011 შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი სამშენებლო პროდუქტების შესახებ“;
- ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, ბაზარზე ზედამხედველობის შესახებ ცნობიერების გაზრდისა და ოფიციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით, გაიმართა შეხვედრა საქართველოში არსებულ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებთან და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს შორის;

- საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის;
- მშენებლობისა და ტექნიკური უსაფრთხოების კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ დაიწყო V კლასის შენობა-ნაგებობების და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების გაცემა ელექტრონული ფორმით (გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე გაიცა 13 ნებართვა, სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენებაზე - 4 ნებართვა);
  - ✓ გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მშენებლობის 123 ნებართვა, შეთანხმდა IV კლასის 136 ობიექტი, მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა განხორციელდა 108 ობიექტზე, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 64 ობიექტი და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 75 ობიექტი;
  - ✓ გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 12 ნებართვა და შემოწმდა 1 427 მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი;
  - ✓ დაიწყო ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის განხორციელება. ახალი მიდგომის ევროკანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ ობიექტებზე შემოწმებულ იქნა 85 საქვაბე დანადგარი, 10 წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭელი და 20 წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა;
  - ✓ მიმდინარეობდა გეოინფორმაციული ბაზის ყოველდღიური განახლება სააგენტოში შემოსული სივრცითი მონაცემების მიხედვით, რომელიც ავტომატურ რეჟიმში აისახება გის-პორტალზე (350-მდე ობიექტის მონაცემები აისახა გეოინფორმაციულ სისტემებში და განახლდა ინფორმაცია 2017 წლამდე არსებულ ობიექტებზე);
  - ✓ შეიქმნა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პორტალი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირება და შესაბამისად თითოეულ ასეთ ობიექტზე ინფორმაციული სივრცის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოების მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ მონაცემებისა და ობიექტების მიმართ გატარებული სანქციების შესახებ ინფორმაციის ატვირთვა-შეგროვება;
  - ✓ დასრულდა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირებისთვის საჭირო სამუშაოები და მიმდინარეობდა აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ატვირთვა-შეგროვებისათვის საჭირო პორტალის შექმნა.

3.14 ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის ფარგლებში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, განხორციელდა მარაბდა - კარწახის მონაკვეთზე სარკინიგზო მაგისტრალის თოვლით დანამქვრისგან დამცავი დამატებითი ნაგებობების მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების (96 ერთეული მიწის ნაკვეთი) და აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული ერთწლიანი/მრავალწლიანი კულტურების საკომპენსაციო ღირებულებებით შეფასება. აღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან მიმდინარეობდა შეთავაზება/მოლაპარაკებები;

- გახორციელდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულალისში კერძო საკუთრებაში არსებული „ბაქო-თბილისი-ყარსის“ სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვა.

### 3.15 ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 20)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

- განხორციელდა ანაკლიის განვითარების კონსორციუმსა (ინვესტორი) და სახელმწიფოს შორის ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ საინვესტიციო ხელშეკრულებით დადგენილი სხვადასხვა ვალდებულებების შედეგად ინვესტორის მიერ განხორციელებული აქტივობების მონიტორინგი. ინვესტორის მიერ განხორციელდა 9 ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა, მათ შორის: დაგეგმვის კონცეფცია, ნიადაგის კვლევა, ტოპოგრაფიული კვლევა, ქარისა და ტალღის კვლევა, ტალღის აგიტაციის კვლევა, ჰიდრო და მორფო დინამიური მოდელირება, გემის მოძრაობის მოკლე დროში სიმულაცია, გარემოსდაცვითი საბაზისო კვლევა, ტრანსპორტის მოძრაობის შეფასების კვლევა;
- მოწონებულ იქნა ინვესტორი კომპანიის მიერ წარმოდგენილი გენერალური გეგმის გადამუშავებული ვერსია, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;
- მოწონებულ იქნა ინვესტორის მიერ წარმოდგენილი პორტის წინასწარი დიზაინი;
- ინვესტორის მომართვის საფუძველზე 2016 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის გაფორმებული ანაკლიის შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) საინვესტიციო ხელშეკრულებაში შევიდა 7 ცვლილება, რომლებიც ძირითადად ეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გადაწევას, მათ შორის რიგი ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთებების, საკონტინერო ტერმინალის ოპერატორისა და სასესხო ხელშეკრულებების შეთანხმების განხილვის გადავადებას.

## 4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

### 4.1 ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- ✓ სსიპ – ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა.

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სრულად იყვნენ უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსებით;
- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნა სქემის ეფექტიანი დანერგვის ხელშეწყობი ღონისძიებები



(საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, დამხმარე რესურსების შემუშავება, მასწავლებლის შეფასების ჯგუფებისათვის შესაბამისი ტრენინგების მომზადება და უზრუნველყოფა, სქემის მონიტორინგი);

- კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გადამზადებულ იქნენ საჯარო სკოლების მასწავლებლები, დირექტორები, პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- არაქართულენოვან სკოლებში კონსულტანტ-მასწავლებლებისა და დამხმარე მასწავლებლების ჩართულობით უზრუნველყოფილ იქნა ადგილობრივი კადრების პროფესიული განვითარება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილ იქნა მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო;
- მოსწავლეებისათვის ექსტრაკულაკულარული აქტივობების დანერგვით, საინტერესო და სახალისო სასწავლო გარემოს შექმნისა და სკოლების გაძლიერების მიზნით განხორციელდა პროექტი „თავისუფალი გაკვეთილები“ სპორტის, წიგნიერების, ხელოვნების/კულტურისა და ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით;
- განხორციელდა მოსწავლეთა საზაფხულო სკოლა/ბანაკები ხელოვნების, სპორტის, მეწარმეობის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით;
- საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეები და კერძო სკოლების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიის მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნენ სასკოლო სახელმძღვანელოებით;
- სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულებს მიეცათ ზოგადი განათლების მიღების, ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის შესაძლებლობა;
- განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობებისა და იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია;
- მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადები;
- განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილ იყვნენ საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით. ასევე, საკლასო ჟურნალებით უზრუნველყოფილ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს მიეცათ ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო და ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევების მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის შესაბამისი მომსახურება;
- უზრუნველყოფილია გალის რაიონის პედაგოგების გადამზადება და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება.

#### 4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

დაფინანსებულ იქნა ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 237 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

#### 4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

- პროგრამის „მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების (ტრენინგების)“ ფარგლებში ჩატარდა „მასწავლებელთა ეროვნული კონფერენცია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 114-მა მასწავლებელმა, ხოლო მომხსენებლის სტატუსით 47-მა. შვეიცარიაში სტაჟირება გაიარა თორმეტმა ფიზიკის მასწავლებელმა, დიდ ბრიტანეთში ცხრამეტმა ინგლისური ენის მასწავლებელმა, ავსტრიაში თორმეტმა გერმანული ენის მასწავლებელმა, საფრანგეთში ათმა ფრანგული ენის მასწავლებელმა. სხვასდასხვა საგნობრივი მიმართულებით პროფესიული გადამზადების ტრენინგები გაიარა 16 846-მა მასწავლებელმა;
- პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში მონაწილეობდა 65 უცხოეთიდან მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც გადამზადდნენ საქართველოს რეგიონების (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი, აჭარა, გურია, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) 68 საჯარო სკოლაში და თანამშრომლობდნენ 175 ადგილობრივ უცხოური ენის მასწავლებელთან და 5 000-მდე მოსწავლესთან.
- პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში 194 კონსულტანტ-მასწავლებელი განაწილებული იყო 10 რეგიონის 106 საჯარო სკოლაში. 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სწავლის საფასური დაუფინანსდა პროგრამის მონაწილე 7 მაგისტრანტს;
- პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების“ ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში გაგზავნილ იქნა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა სამი ჯგუფი: 118 კონსულტანტ-მასწავლებელი, 116 დამხმარე მასწავლებელი და 50 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი. პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი. ქართული ენის შემსწავლელ კურსში ჩართულ 460 მსმენელიდან საბოლოო შეფასება მიიღო 334 მსმენელმა, მათ შორის: A1 დონის - 55 მსმენელმა, A2 დონის - 171 - მა და B1 დონის - 108 მსმენელმა. ქართული ენის დისტანციურ სწავლებაში ჩართო 36 ქვეყანა, 225-მდე მოსწავლესთან ჩატარდა 1 300-მდე დისტანციური გაკვეთილი;
- პროგრამის „სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus)“ ფარგლებში 312 სკოლიდან ჩართული იყო 698 მასწავლებელი;
- პროგრამის „პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების“ ფარგლებში გადამზადდა პროფესიული სასწავლებლების 1 289 მასწავლებელი (პედაგოგიური კურსი I, II, III, IV და V მოდული), საწარმოში ტრენინგი „დასაწარმოებელი პროფესიული მიმართულებით“ გაიარა 500-ზე მეტმა მასწავლებელმა, „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების“ ფარგლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა ტრენინგ კურსი ჩატარდა საგნის მასწავლებლებისთვისა და ბიბლიოთეკარებისთვის. შეიქმნა ვიდეოგაკვეთილები სხვადასხვა ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებაზე. სულ გადამზადდა 6 570 მასწავლებელი;
- ჟურნალ „მასწავლებელში“ გამოქვეყნდა 8 სამეცნიერო სტატია, გამოიცა წიგნები: „პროფესიული უნარები“, „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის“, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, „გამჭოლი კომპეტენციები“, „როგორ გავხდე კარგი მშობელი“, „შეფასება, მასწავლებელი, მოსწავლე, გაკვეთილი“, „ინტერაქტიური მეთოდები სწავლებაში“, „სწავლების ფსიქოლოგია“ და „ლიტერატურის სწავლება“, ასევე გამოიცა და საქართველოს ყველა საჯარო სკოლასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაურიგდა ჟურნალ „მასწავლებლის“ ექვსი ნომერი.
- პროგრამის „მასწავლებელთა ზოგადი კომპეტენციების განვითარების“ ფარგლებში განხორციელდა პროექტი „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“, რომელშიც ჩართული იყო 8 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შეიქმნა/გადამუშავდა 15 არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსი როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურისთვის;
- ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა განათლების სფეროს 100 წარმომადგენელი აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნიდან. პროექტის „ინსტრუმენტები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვისათვის“ ფარგლებში ტრენინგები გაიარა 60-მდე პედაგოგმა, მომზადდა 80 ფილმი/სასწავლო რესურსი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების

შესახებ, სადაც ჩართული იყო 400-მდე მოსწავლე. პროექტის „ევროპა ჩემს გაკვეთილზე“ ფარგლებში მომზადდა ტრენინგმოდული და ჩატარდა ტრენინგები მასწავლებლებისთვის. ტრენინგები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიარა 3 000-მდე პედაგოგმა. დაიბეჭდა სახელმძღვანელო „ევროპა ჩემს გაკვეთილზე“ და ჩატარდა ამავე სახელწოდების ორი სამუშაო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროექტში ჩართულმა 119 პედაგოგმა და ტრენინგმა;

- პროგრამის „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დეცენტრალიზაცია“ ფარგლებში განხორციელდა სამი საგრანტო კონკურსი, რომლებიც მიზნად ისახავდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისათვის რეკომენდაციების შემუშავებას, სკოლაში საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების დახმარებით სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელებას და მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარებას მცირეკონტიგენტიან სკოლებში; სულ დაფინანსდა 10 პროექტი, სადაც ჩართული იყო 3 245 სკოლის მასწავლებელი და ადმინისტრაციის თანამშრომელი;
- პროგრამის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარება“ ფარგლებში ჩატარდა საჯარო სკოლის VII – XII კლასების ინგლისურის, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის და გეოგრაფის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები ზოგადპროფესიული უნარების სამ მოდულში და საგნობრივ მეთოდოლოგიაში. ჩატარდა სკოლის დირექტორთა და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ფასილიტატორთა ტრენინგები ლიდერობის აკადემია 2-ის 1 - 6 მოდულებში, აგრეთვე, ჩატარდა სკოლის დირექტორთა კონფერენცია-ფორუმი. სულ გადამზადდა 28 900 -ზე მეტი ბენეფიციარი.

#### 4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

- საგანმანათლებლო დაწესებულების 1 300 მანდატური უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 457 საჯარო, 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის განხორციელდა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონების 12 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების შეყვანა, სადაც ისინი ამ დრომდე არ იყვნენ წარმოდგენილები;
- შსს აკადემიაში მანდატურობის საბაზისო კურსი გაიარა 124-მა მანდატურობის კანდიდატმა, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგების მიერ ჩატარდა ტრენინგ-კურსები და გადამზადდა 121 მანდატურობის კანდიდატი;
- შემუშავებულ იქნა და დამტკიცდა „უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო“ (სკოლაში დარღვევათა და სხვადასხვა გადაუდებელ, კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქცია);
- საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეებში სპორტული აქტივობების ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გააზრებისა და მავნე ჩვევების პრევენციის მიზნით განხორციელდა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“, რომლის ფარგლებშიც სპორტულ ღონისძიებებში ჩართული იყო 442 საჯარო სკოლა და ჩატარდა 21 049 სპორტული აქტივობა, რომელშიც მონაწილეობდა 325 456-მდე მოსწავლე;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებისათვის აშშ-ს სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის (NASRO) წარმომადგენლების მიერ ჩატარდა ტრენინგი „სკოლაში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციული ღონისძიებების გატარების, მოძალადის გამოვლენისა და შესაბამისი ორგანოს დროულად ინფორმირებულობის საკითხები“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 101 ადამიანი;
- სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით გახორციელდა PH INTERNATIONAL-ის მანდატურებისა და სამართალდამცავების შეხვედრები ქ. ჯვარის N1, N2 და N3 საჯარო სკოლების მე-7 კლასის მოსწავლეებთან და კლასის დამრიგებლებთან.
- საპილოტე პროგრამის „ბავშვები, პოლიციელები და უსაფრთხოება“ ფარგლებში ჩართული იყო 12 საჯარო სკოლა და განხორციელდა ტრენინგები ქალაქ თბილისის N150, N23, N24, N18 საჯარო სკოლების,

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N1 და N3 საჯარო სკოლების მანდატურებისათვის;

- სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი, რუსთავი) რეფერირებული იყო 2 455 ბენეფიციარი. მათ შორის, 1 947 გადმომისამართდა სკოლიდან, ხოლო 508 ბენეფიციარმა თავისი სურვილით მიმართა ცენტრს შესაბამისი სერვისის მიღების მიზნით. გაგრძელდა ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევა იმ 377 ბენეფიციარისათვის, რომლებთანაც მუშაობა დაწყებულ იქნა გასულ წელს;
- ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში შეიქმნა მშობელთა ფსიქო-განათლების ჯგუფი, რომელსაც 10 მშობელი ესწრება და დაკომპლექტდა ბავშვთა თერაპიული ჯგუფები, რომელშიც ჩართული იყო 83 ბავშვი/მოზარდი;
- ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ განხორციელდა ბენეფიციართა გადამისამართება: ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოში - 4 ბენეფიციარი, სოციალური მომსახურების სააგენტოში - 15 ბენეფიციარი, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ცენტრში - 40 ბენეფიციარი, ნეირო განვითარების ცენტრში - 9 ბენეფიციარი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში - 16 ბენეფიციარი, ნევროლოგთან - 4 ბენეფიციარი, ფსიქიატრიულ დისპანსერში - 10 ბენეფიციარი, საოჯახო კრიზისული ინტერვენციის სამსახურში - 3 ბენეფიციარი, შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში - 2 ბენეფიციარი, საქველმოქმედო ფონდი „იალქანი“-ში - 2 ბენეფიციარი, ენდოკრინოლოგთან - 2 ბენეფიციარი, მეტყველების თერაპევტთან - 1 ბენეფიციარი. ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელდა 197 ვიზიტი, როგორც საჯარო, ასევე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- პროგრამის „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია“ ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა 18 საჯარო და 6 კერძო სკოლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 375-მა პედაგოგმა და ტრენინგი გაიარა ქალაქ თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 52 ფსიქოლოგმა;
- პროგრამის „მანდატურების გადამზადება სკოლის მოსწავლეებთან გაცნობითი-საინფორმაციო შეხვედრებისთვის“ ფარგლებში გადამზადებულია ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების 1 300 მანდატური;
- პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობა - გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების შემთხვევებში“ ფარგლებში სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში ტრენინგი ჩატარდა და გადამზადდა 59 დირექტორი/დირექტორის მოადგილე, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტრენინგი ჩატარდა და გადამზადდა 178 დირექტორი/დირექტორის მოადგილე. პროექტის ფარგლებში სულ გადამზადებულია საგანმანათლებლო დაწესებულების 1 300 მანდატური და საჯარო სკოლების 1576 წარმომადგენელი.

#### 4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

- „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების მეორე და მესამე ტურები. გამოვლინდა 124 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. წამახალისებელი სიგელებით დაჯილდოვდა 1 200-ზე მეტი მოსწავლე და 28 სკოლა. ასევე, ჩატარდა 2017-2018 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების პირველი ტური;
- „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამების“ ფარგლებში შესარჩევი ტურების შედეგად დაკომპლექტდა საქართველოს 5 ნაკრები გუნდი (ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ინფორმატიკასა და ბიოლოგიაში), რომლებმაც გაიარეს შესაბამისი მომზადება, მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ოლიმპიადებში და მოიპოვეს: 1 ოქროს, 4 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი, 1 საპატიო სიგელი; სასკოლო/ეროვნული გუნდების რეგიონალურ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მიზნით

დაფინანსდა 8 განაცხადი და შედეგად რეგიონალურ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოპოვებულ იქნა 3 ოქროს, 8 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედალი, 2 წამახალისებელი სიგელი;

- „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა ეროვნული ტურნირი ინფორმატიკაში. 3 ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენილია სამეულები და ათეულის 13 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებითა და დიპლომებით;
- „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში გამოვლინდა 2016-2017 სასწავლო წლის 1 856 ოქროს და 991 ვერცხლის მედალოსანი. 2015-2016 სასწავლო წლის მედალოსნებისთვის შესყიდულ იქნა 1 861 ოქროს და 1002 ვერცხლის მედალი. მოეწყო მედლის გადაცემის ცერემონიალები თბილისსა და ქუთაისში.

4.1.5 განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 05)

- განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები, რომლებიც სარგებლობენ სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურებით უზრუნველყოფილნი იყვნენ ხარისხიანი საკვებით, საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით, მედიკამენტებით და აღმზრდელების მომსახურებით.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

- 2017-2018 სასწავლო წლისთვის მოსწავლეებისათვის გადასაცემად შესყიდულია 2 669 ათასზე მეტი სახელმძღვანელო და რვეული, 81 რელიეფური ნახატი დაბეჭდილი დამხმარე სასწავლო მასალა;
- შეძენილ იქნა 332 ცალი ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც გადაეცა სსიპ - ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლას (302 ცალი) და სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლას (30 ცალი).

4.1.7 საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)

- „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ ფარგლებში დაბა ბაკურიანში მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების 935 მოსწავლისთვის განხორციელდა სამთო - სათხილამურო სპორტული სკოლა;
- საქართველოს მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების 3 000-მდე მოსწავლისთვის ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის ბაზაზე განხორციელდა საზაფხულო ბანაკი „ხელოვნება, სპორტი, მეწარმეობა“; 1 500-მდე მოსწავლისთვის - „კაჭრეთის საზაფხულო ბანაკი“, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისის“ ბაზაზე; 1 056-მდე მოსწავლისათვის - „მანავის საზაფხულო ბანაკი“, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე; 1 500 მოსწავლისთვის - „რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკი“, ქალაქ ქუთაისში, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ტერიტორიაზე; 1 500 მოსწავლისთვის „ეკობანაკი-2017“, ხელვაჩაურში სსიპ - სალიბაურის N2 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, ასევე განხორციელდა „მუსიკალური საზაფხულო სკოლა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30 მოსწავლემ და 20-მა მასწავლებელმა;

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

- ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით მიიმართა 3.1 მლნ ლარი.

#### 4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 09)

- ოთხმოც ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა სპეციფიურ გარემოში შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;
- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, N8 და N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის და N16 დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 12 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი, გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 10-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა, 9 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა დასძლია პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონე;
- 2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 2-მა არასრულწლოვანმა ბრალდებულმა მოსწავლემ, დაძლია ერთმა ბრალდებულმა მოსწავლემ;
- 2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 6 - მა ბრალდებულ/მსჯავრდებულმა მოსწავლემ და გამოცდები დაძლია 3-მა პატიმარმა მოსწავლემ;
- N11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფმა 16-მა მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში, წარმატებით დასძლია და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 13 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი.

#### 4.1.10 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (პროგრამული კოდი 32 02 10)

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება, საგნობრივი სასწავლო გეგმების რევიზია;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების ტრენინგ-მოდულის დახვეწის მიზნით, განხორციელდა მონიტორინგი და მომზადდა პირველადი ანგარიში;
- დასრულდა მუშაობა დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდამჭერ გზამკვლევებზე;
- საქართველოს სკოლებიდან შემოსული ტესტური დავალებების საფუძველზე მომზადდა ექსტერნატის ტიპის ტესტური დავალებები.

#### 4.1.11 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 11)

- უზრუნველყოფილია 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრში და 2017 - 2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში 1 234 საჯარო სკოლის 70 687 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია.

#### 4.1.12 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)

- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამაში ჩართული იყო 25 მსმენელი, რომელიც გამოცდა-გასაუბრების შედეგების საფუძველზე წარმატებით დაძლია 6-მა მსმენელმა, მათ შორის 2-მა ბენეფიციარმა დაამთავრა სწავლების ორივე ეტაპი, დარჩენილი 4 ბენეფიციარი გააგრძელებს სწავლებას პროგრამის მეორე ეტაპზე;
- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცათ 49 ცალი სახელმძღვანელო და 60 ცალი ცნობარი აბიტურიენტებისათვის. გალის რაიონის პედაგოგების საგნობრივი წვრთნის მიზნით, ზუგდიდში მივლენილ იქნა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც დაატრენინგეს 46 მასწავლებელი;
- „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში შესყიდულ იქნა 38 276 ცალი საკლასო ჟურნალი და მოთხოვნის შესაბამისად 38 038 ცალი დარიგდა საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო და კერძო სკოლაში;
- სკოლების მე-8 - მე-11 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის I, II და ფინალური შეჯიბრი. ინტელექტ-ჩემპიონატში მონაწილეობდა 21 700-მდე მოსწავლე. გამოვლინდა და დაჯილდოვდა 24 გამარჯვებული. I, II და III ადგილის მფლობელებს გადაეცათ განალებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ფულადი ჯილდოები;
- ჩატარდა კრეათონი საბავშვო შემეცნებითი ანიმაციური სერიალის განვითარებისთვის საუკეთესო, კრეატიული იდეების გამოსავლენად, გამოვლენილია გამარჯვებულები 2 მიმართულებით: სინოფსისი (შინაარსი, ამბავი) და გმირების, პერსონაჟების ვიზუალური მხარე - ესკიზები. გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ ფულადი პრიზები;
- ქვეპროგრამის „ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა“ ფარგლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე ჩატარდა ფოტო, სლოგანებისა და ვიდეო რგოლების კონკურსები. კონკურსში გამოვლინდა 6 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 19 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით;
- ჯანსაღი კვების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით თბილისის 10 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის შესყიდული იქნა ხილი (ვაშლი). სულ დარიგებული იქნა 256 800 ცალი ვაშლი;
- მოსწავლეებსა და მშობლებში ჯანსაღი კვებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კერძოდ, ლაბირინთ თეატრი, მართონი და სხვა სპორტული აქტივობები, ფერების ფესტივალი, ბიზნეს მართონი, ფლემზობი; ჩატარდა გამწვანების აქციები, საგანმანათლებლო ექსკურსიები ადგილობრივ საწარმოებში, სპორტულ-გასართობი აქტივობები, ფოტო, ესეებისა და ბლოგების კონკურსები ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე. აღნიშნულ აქტივობებში ჩართული იყო 1 500-მდე მოსწავლე. ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა ჯანსაღი ცხოვრების თემაზე ორგანიზებულ კონკურსებში გამარჯვებული 10 მოსწავლე;

#### 4.1.13 სკოლების საგრანტო დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 13)

- მოსწავლეებისათვის საინტერესო და სახალისო სასწავლო გარემოს შექმნისა და სკოლების გაძლიერების მიზნით განხორციელდა პროექტი „თავისუფალი გაკვეთილები“ სხვადასხვა მიმართულებით. სულ განხილულ იქნა 1 155 სკოლის 3 220-მდე განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 1 153 სკოლის 2 930 განაცხადი, მათ შორის სპორტის მიმართულებით - 754 პროექტი, წიგნიერების მიმართულებით - 637 პროექტი, ხელოვნება/კულტურის მიმართულებით - 735 პროექტი და ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით-804 პროექტი;

- 330-მდე სკოლაში (ძირითადად სოფელსა და დაბაში მდებარე მცირეკონტინგენტიანი სკოლები) შეტანილ იქნა სხვადასხვა სახის და ასაკობრივი კატეგორიისთვის განკუთვნილი სამაგიდო თამაშები;
- საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია CENN-თან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან, მაიკროსოფტთან და educare Georgia-თან თანამშრომლობით მომზადდა ინტელექტუალურ-შემეცნებითი მიმართულებით 5 პროგრამა, რომლებიც დაინერგა საჯარო სკოლებში. ამავე ორგანიზაციების თაოსნობით გადამზადდნენ პროგრამების განხორციელებაში ჩართული მასწავლებლები.

#### 4.1.15 ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულებების ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 15)

- ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულებები უზრუნველყოფილ იქნა ინტერნეტ კავშირით. ამ მიზნით სულ მიიმართა - 5.7 მლნ ლარი;
- WiFi სერვისი მოეწყო ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხებით ჩართულ მცხეთისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების სკოლებში, სულ 49 საჯარო სკოლა; ამასთან, განხორციელდა უსადენო (WiFi) ქსელის მოწყობა საქართველოს მასშტაბით 476 მცირეკონტინგენტიან საჯარო სკოლაში, ხოლო კომპანია მაიკროსოფტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში უსადენო ქსელი მოეწყო საქართველოს მასშტაბით 32 საჯარო სკოლაში.

#### 4.2. უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

- ჩატარებულია ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, მასწავლებლის საგნის, 2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები და პროფესიულ სასწავლებლებში მისაღები გამოცდები;
- სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტების მფლობელი სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნენ სწავლის დაფინანსებით, წარჩინებულმა სტუდენტებმა მიიღეს სტიპენდიები;
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით და/ან სტიპენდიით/საყოფაცხოვრებო ხარჯებისათვის საჭირო თანხით უზრუნველყოფილნი არიან პროგრამის ბენეფიციარები;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება დაუფინანსდათ სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მქონე სტუდენტებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს;
- „ვისწავლოთ საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში, დამყარდა ახალი კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელიც დაეხმარება ჩვენს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს გაზარდონ სწავლა-სწავლების ხარისხი;



- დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ჩეხეთის, ავსტრიის, იაპონიის, ესტონეთის, ლიტვის, უნგრეთის, ისრაელის, გერმანიის, პოლონეთის, აშშ-ს, ნიდერლანდების, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდა სტუდენტებს;
- ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მიზნით, მომზადდა სახელმძღვანელოები ენის ფლობის დონეების მიხედვით, რომლებიც განთავსდა ვებგვერდზე (geofl.ge) და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის;
- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციით.

#### 4.2.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

- ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები და საერთო სამაგისტრო გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდაზე დარეგისტრირდა 41 242 აბიტურიენტი და სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 28 176-მა, სახელმწიფო დაფინანსება გამოცდების შედეგების მიხედვით მოიპოვა 6 726-მა აბიტურიენტმა, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 13 437 სტუდენტმა და სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 9 969-მა, სახელმწიფო სამაგისტრო გრანტი მოიპოვა 895 სტუდენტმა;
- პრაქტიკოს მასწავლებელთა საგნის გამოცდაზე რეგისტრაცია გაიარა 27 263 მასწავლებელმა, გამოცდაზე გამოვიდა 20 203 მასწავლებელი;
- სკოლის გამოსაშვები გამოცდა ყველა საგანში ჩააბარა მე-12 კლასის 34 260-მა მოსწავლემ და მე-11 კლასის 31 319-მა მოსწავლემ;
- სტუდენტთა საგრანტო კორკურსის ფარგლებში განხორციელდა ჩატარდა გამოცდა, სადაც დარეგისტრირდა 3 738 სტუდენტი, გამოვიდა 2 886 სტუდენტი და გრანტი მოიპოვა/გაიუმჯობესა 300 -მა სტუდენტმა;
- პროფესიულ ტესტირებასთან დაკავშირებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ჩატარდა პროფესიული ტესტირება, დარეგისტრირდა 21 705 აპლიკანტი, გამოცდაზე გამოცხადდა 15 861 აპლიკანტი, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 11 083 აპლიკანტმა.
- სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო გამოკითხვის Teaching and Learning International Survey (TALIS) ფარგლებში ჩატარდა საცდელი კვლევის სავსე სამუშაოები 60 სკოლაში, შეირჩა და გადამზადდა 59 კოორდინატორი. კვლევა განხორციელდა ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში, მომზადდა მონაცემთა ბაზა და გადაეგზავნა საერთაშორისო კონსორციუმს. გაიწმინდა და დამუშავდა საცდელი კვლევის მონაცემთა საერთაშორისო, მათ შორის საქართველოს ბაზა, მომზადდა საცდელი კვლევის ანგარიში;
- სახელმწიფო შეფასება ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში (მე-9 კლასი) და ქართულში, როგორც მეორე ენა (მე-7 კლასი) ფარგლებში მომზადდა და გაიწმინდა ბაზები, გაკეთდა დავალებების ფსიქომეტრული და სტატისტიკური ანალიზები, ჩატარდა სტანდარტების დადგენის პროცედურა და ექსპერტულად დადგინდა მიღწევის საფეხურები;
- სკოლების შიდა შეფასებისა და განვითარების პროექტის ფარგლებში დასრულდა პროექტში მონაწილე დირექტორების შერჩევა, საერთაშორისო კონსულტანტმა პროექტის მონაწილე 15 დირექტორსა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩაუტარეს 3 დღიანი ტრენინგი სკოლის შიდა და გარე შეფასების შესახებ, დირექტორებს ჩაუტარდათ ტრენინგი სკოლის შეფასების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ვალიდობისა და სანდოობის საკითხებზე.

4.2.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 02)

- სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტების მფლობელი სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნენ სწავლის დაფინანსებით.
- პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში პრეზიდენტის სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით გამოეყო საქართველოს ათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700-მდე სტუდენტს;
- დაფინანსდა 4 სტუდენტი, რომლებმაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე განაგრძეს სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- პროგრამის „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსება“ ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სწავლება დაუფინანსდა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, წალენჯიხის, დუშეთის, ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ 45 სტუდენტს, ხოლო 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სწავლება დაუფინანსდა 880 სტუდენტს; 2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სწავლის დაფინანსების უფლება მოიპოვა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, წალენჯიხის, დუშეთის, ონის, საჩხერის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა 1 168 სტუდენტმა;
- „მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის“ ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სწავლება დაუფინანსდა 266 პირს. 2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სწავლის დაფინანსების უფლება მოიპოვა 472 პირმა;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა უცხო ქვეყნის 42 მოქალაქემ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა უცხო ქვეყნის 11 მოქალაქემ, რომლებიც საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა სხვადასხვა კატეგორიის 1 361 ბაკალავრმა და 92 მაგისტრანტმა;
- პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ ფარგლებში მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში, დამყარდა ახალი კონტაქტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელიც დაეხმარება ჩვენს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს გაზარდონ სწავლა-სწავლების ხარისხი. უცხოეული სტუდენტებისთვის გამარტივდა სავიზო პროცედურები. შეიქმნა ონლაინ პორტალი [www.studyingeorgia.ge](http://www.studyingeorgia.ge), სადაც მოხდება ონლაინ აპლიკაციების შევსება, აღნიშნულ პორტალზე განთავსდება ინფორმაცია, უცხოელი სტუდენტებისთვის საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული შესაძლებლობების შესახებ;
- ქვეპროგრამის „უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია“ ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია „უმაღლესი განათლების ხარისხის შეფასების განახლებული მიდგომები“, კონფერენციის საშუალებით მოხდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმირება ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებით შეფასების მიდგომებთან დაკავშირებით. შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან დაკავშირებით სახელმძღვანელოს პირველადი პროექტი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პილოტირების მიზნით შეირჩა 3 საპილოტე უნივერსიტეტი (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ) და სსიპ - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), რომლებთანაც გაფორმდა მემორანდუმი და მიმდინარეობს საპილოტე შეფასებისთვის მზადება;

- განხორციელდა ევროსტუდენტი VI - ის კვლევის მონაცემთა საბოლოო სტატისტიკური და ლოგიკური წმენდა საერთაშორისო კონსორციუმის მოთხოვნების შესაბამისად, ჩასწორდა და აიტვირთა შესაბამისი ცვლილებები საერთაშორისო ონლაინ ბაზაში, მომზადდა სპეციალური სამუშაო ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია 19 ქვეყნის შედარებითი შედეგები. მომზადდა თემატური ანგარიში იმ უცხოელი სტუდენტების შესახებ, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობენ. მომზადდა „ევროსტუდენტი VI ეროვნული პროექტის“ კვლევის საბოლოო ეროვნული ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაგეგმა და განახორციელა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი 20 ინგლისურენოვანი პროგრამის შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების, სტუდენტებისა და დამსაქმებლების მონაწილეობა;
- განხორციელდა 10 რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასება. შეფასებებში ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, ასევე მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ექსპერტებმა. ექსპერტთა ჯგუფების მიერ წარმოდგენილია დასკვნები, სადაც ასახულია მათი რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწას, ასევე დარგობრივი მახასიათებლების განვითარებას.
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სწავლა დაუფინანსდა და სტიპენდია გაიცა საქართველოში მყოფ 58 უცხოელ სტუდენტზე და მგზავრობის ხარჯები დაუფინანსდა ვანუატუელ ორ სტუდენტს. ამ მიზნით სულ მიიმართა 866.5 ათასი ლარი.

#### 4.2.3 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)

- შესრულდა და ვებგვერდზე geofl.ge განთავსდა A2+, B2 და B2+ დონის სახელმძღვანელო კომპლექტი „აღმართი“ (შემსწავლელის წიგნი, სამუშაო რვეული, მასწავლებლის წიგნი, აუდიო და ვიდეომასალა) დადა შესაბამისი დონეების საკითხავი წიგნი, ქართულის, როგორც უცხო ენის, მასწავლებლის თვითშეფასება (დამხმარე სახელმძღვანელო) და ინტერაქციული სავარჯიშოების კრებულები A1 და A2 დონეების შემსწავლელებისთვის; დასრულდა სავარჯიშოების შედგენა C1 დონის შემსწავლელებისათვის და დასრულდა შეფასების სისტემის შედგენა ქართულის, როგორც უცხო ენისათვის. ქართული ენის განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ლექსიკონს დაემატა B1.1 დონე (1000 ლექსიკური ერთეული);
- ქართული ენის დღისთვის მომზადდა ვიდეორგოლი „ქართული ენის სწავლება და პოპულარიზაცია უცხოეთში“ (ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე), შეიქმნა და დაიბეჭდა სასაჩუქრე მასალა უცხოეთში ქართული ენის პოპულარიზაციისთვის, რომელიც გაეგზავნა 20-ზე მეტი ქვეყნის საქართველოს საელჩოს;
- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ ქვეპროგრამაში ჩაბმული საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და მომსახურების გაწევაზე შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციით. კომპანიების მიერ სტუდენტებისთვის შემოთავაზებული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა 135 000-მდე სტუდენტს.

#### 4.2.4 სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი (პროგრამული კოდი 32 04 04)

- დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ჩეხეთის, ავსტრიის, იაპონიის, ესტონეთის, ლიტვის, უნგრეთის, გერმანიის, პოლონეთის, აშშ-ს, შვეიცარიის, საფრანგეთის, შვედეთის, დანიის, კანადის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, მალაიზიის, ირლანდიის, ფინეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებსა და ტრენინგ ორგანიზაციებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე სწავლა დაუფინანსდა 197 პირს;

- მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა კურსდამთავრებულთა 4 პროექტი, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ფარგლებში;
- სასტიპენდიო პროგრამის „Stipendium Hungaricum“-ის ფარგლებში უნგრეთის მთავრობის მიერ სხვადასხვა აკადემიურ საფეხურზე სწავლა დაუფინანსდა საქართველოს 63 მოქალაქეს.

#### 4.3. საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

- საჯარო სკოლის პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილ იქნენ პორტაბელური კომპიუტერებით;
- წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ კომპიუტერული ტექნიკით;
- დასრულდა ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა და რიგი საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;
- რიგი საჯარო სკოლები აღიჭურვა სასკოლო ავეჯითა და ინვენტარით. სკოლებს გადაეცათ ექიმის კაბინეტებისათვის სამედიცინო ინვენტარი;
- განხორციელდა 5 პროფესიული სასწავლებლის 6 შენობის სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დაფინანსება გადაეცა 7 უმაღლეს სასწავლებელს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და აღჭურვისთვის;
- დასრულებულია 7 რესურსცენტრის რეაბილიტაცია.

#### 4.3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 07 01)

- პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში შეძენილ იქნა 55 700 პორტაბელური კომპიუტერი და 55 537 ერთეული დარიგებულ იქნა საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლაში პირველკლასელი მოსწავლეებისათვის და მათი დამრიგებლებისთვის;
- I-III კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ 549 ერთეული კომპიუტერი;
- მასწავლებლებისა და წარჩინებული მოსწავლეებისათვის გასულ წელს შესყიდული პორტაბელური კომპიუტერებიდან დარიგდა 380 ერთეული კომპიუტერი. ასევე, შესყიდული 2 608 ერთეული პორტაბელური კომპიუტერიდან 2 543 ერთეული დაურიგდა საქართველოს მასშტაბით წარჩინებულ მოსწავლეებს.

#### 4.3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 01)

- დასრულებულ იქნა 7 საჯარო სკოლის (სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადის საჯარო სკოლა, სსიპ ქრისტინე ხარშილადის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის №61 საჯარო სკოლა, სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ

შუა ამაღლების საჯარო სკოლა, სსიპ მურთაზ ირემადის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა, სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ რომანეთის საჯარო სკოლა და სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა) მშენებლობა;

- სამშენებლო სამუშაოების წარმართვის მიზნით დაფინანსდა 6 საჯარო სკოლა (სსიპ სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ მარნეულის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლა, სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლა, სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენას საჯარო სკოლა და სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა);
- დასრულდა 10 საჯარო სკოლის (სსიპ - ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარის საჯარო სკოლა, სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანათის საჯაროს სკოლა, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანების N3 საჯარო სკოლა, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანების N1 საჯარო სკოლა, სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N15 საჯარო სკოლა და სსიპ -ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგეთის საჯარო სკოლა, სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მშვიდობაურის საჯარო სკოლა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაითურის საჯარო სკოლა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალისტემის საჯარო სკოლა) გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა 12 საჯარო სკოლაში გამაგრების სამუშაოები და აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით დაფინანსებულია 3 საჯარო სკოლა;
- სამედიცინო ოთახის მოწყობის სამუშაოები დასრულდა 25 საჯარო სკოლაში და ამ მიზნით დაფინანსდა 114 საჯარო სკოლა;
- დასრულდა გათბობის მოწყობის სამუშაოები 30 საჯარო სკოლაში და აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად დაფინანსდა 168 საჯარო სკოლა;
- დასრულდა სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები 59 საჯარო სკოლაში და აღნიშნული სამუშაოების წარმართვის მიზნით დაფინანსდა 41 საჯარო სკოლა;
- დასრულებულია 144 საჯარო სკოლაში, მათ შორის MCC პროგრამის ფარგლებში 19 საჯარო სკოლაში სრული და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები და ამავე მიზნებისთვის დაფინანსებულია 156 საჯარო სკოლა;
- შეცვლილია კარ-ფანჯრები 24 საჯარო სკოლაში და იგივე მიზნებისთვის დაფინანსდა 16 საჯარო სკოლა;
- სველი წერტილების მოწყობის მიზნით დაფინანსებულია 44 საჯარო სკოლა და განხორციელებულია 52 საჯარო სკოლაში აღნიშნული სამუშაოები;
- დასრულებულია დიდი დიდმის ახალი სკოლის საპროექტო დოკუმენტაციის და სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხაბუმეს თემის N3 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მომზადდა 25 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის საპროექტო დავალებები, 35 მცირეკონტიგენტის საჯარო სკოლის მშენებლობისთვის ესკიზური პროექტი და 564 საჯარო სკოლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო;
- 70 საჯარო სკოლისთვის გადაცემულია სამედიცინო აღჭურვილობა, ხოლო 65 საჯარო სკოლისთვის - სასკოლო ავეჯი;
- შეძენილ იქნა 546 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა“ და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კომპაქტით გათვალისწინებული სკოლების და ახალაშენებული სკოლების კომპიუტერებით უზრუნველსაყოფად (546 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი გადაეცა 54 საჯარო სკოლას);
- MCC-ის პროგრამის ფარგლებში დასრულებულია 27 საჯარო სკოლის შემოდგომის და ეზოს კეთილმოწყობის, წყალმომარაგების სისტემის უზრუნველყოფის, საკანალიზაციოს სისტემის მოწყობის სამუშაოები.

4.3.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 02)

- დასრულდა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღის“ მეორე კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯში „ფაზისი“ ლიფტის მოწყობის სამუშაოები და სოფელ ნოჯიხევში მდებარე სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია და ეზოს შემოღობვის სამუშაოები, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დაბა თიანეთში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის“ რეაბილიტაცია;
- დასრულებულია 9 პროფესიული კოლეჯის პროექტირება (სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი; სსიპ - პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“; სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“; სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“; სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“; სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“; სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (სენაკის პროფესიული განყოფილება და საერთო საცხოვრებელი); სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"; სსიპ - პროფესიული კოლეჯის „მოდუსი“);
- დასრულებულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“ და კასპის მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის პროექტირება;
- დაფინანსება გადაეცა 15 პროფესიულ კოლეჯს სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით;
- შეძენილი და გადაცემულია სამედიცინო მოწყობილობები 20 პროფესიული კოლეჯისათვის, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს „აისს“ გადაეცა ერთი ერთეული პორტაბელური და 44 ცალი სტანდარტული კომპიუტერი და სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს გადაეცა 24 ერთეული სტანდარტული პერსონალური კომპიუტერი.

4.3.2.3 უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 03)

- დაფინანსებულ იქნა 7 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და აღჭურვისთვის.

4.3.2.4 სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 04)

- დასრულდა 9 საგანმანათლებლო რესურსცენტრის (ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის, ახმეტის, თელავის, ლენტეხის, ონის, მესტიის, რუსთავის, ამბროლაურის და ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრები) სარეაბილიტაციო-საპროექტო სამუშაოები;
- დასრულდა 7 საგანმანათლებლო რესურსცენტრის (ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის, ზესტაფონის, ლენტეხის, ონის, ახმეტის, თელავის და რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრი) რეაბილიტაცია;
- განხორციელდა პროექტირება სსიპ -საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ნაწილობრივი რეაბილიტაციის მიზნით;

- სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის გადაეცა 172 ერთეული პლანშეტური კომპიუტერი;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით დაფინანსდა სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების და სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

#### 4.3.2.5 საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 05)

- გათბობის სისტემების რეაბილიტაციის მიზნით, დაფინანსება გამოყოფილ იქნა 35 საჯარო სკოლისთვის.

#### 4.4 ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (პროგრამული კოდი 32 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - GEORGIA)

- სრული რეაბილიტაცია ჩატარდა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებითა და ცდებისთვის საჭირო რეაგენტებით აღიჭურვა 30 საჯარო სკოლა შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში
- საქართველოს რეგიონებში ჩატარდა მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების პროფესიული განვითარების ტრენინგები, მოსწავლეთა ეროვნული და საერთაშორისო შეფასებები, ლიდერობის აკადემია 2-ის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგები 2 045 სკოლის დირექტორისა (171 არაქართულენოვანი დირექტორი) და 1 809 ფასილიტატორისათვის, ჩატარდა 200-ზე მეტი შეხვედრა; სამივე ზოგადპროფესიული კურსი დაასრულა 6 192 მასწავლებელმა, ხოლო საგნობრივი ტრენინგი (მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ინგლისური, გეოგრაფია და ინფორმაციული ტექნოლოგიები) 6 630 პედაგოგმა. სულ გადამზადდა 16 187 მასწავლებელი ზოგადპროფესიულ უნარებში და საგნობრივ მეთოდულში (1 549 მასწავლებელი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია). შეიქმნა სასკოლო შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს სკოლებში განმავითარებელი შეფასების დანერგვის ხელშეწყობას;
- სსიპ - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა სასკოლო სამეცნიერო ლაბორატორიული უსაფრთხოების ტრენინგ მოდული და ლაბორატორიის გამოყენების მეთოდური მოდული. ტრენინგი ორივე მოდულში ჩატარდა ფონდის მიერ რეაბილიტირებული 30 საჯარო სკოლის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლებს;
- კომპაქტის დაფინანსებით სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ეროვნული შეფასებები მე-9 კლასის მათემატიკაში, ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში. გამოქვეყნდა ანგარიშები და მოეწყო კონფერენცია რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონის 300-მდე პედაგოგმა, სკოლის დირექტორმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა, განათლების ექსპერტმა და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა;
- სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით უმასპინძლა საგანმანათლებლო შეფასების საერთაშორისო ასოციაციის 43-

ე კონფერენციას, რომლის მთავარი თემა იყო “შეფასება როგორც სოციალური ბერკეტი”. კონფერენციას 40 ქვეყნის 350-მდე უცხოელი და ადგილობრივი დელეგატი ესწრებოდა;

- დასრულდა პროფესიული განათლების განვითარების (PICG) საგრანტო კონკურსი და დაფინანსდა 10 საგრანტო განაცხადი საზღვაო, საინჟინრო, ტურიზმი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ავიაცია და სოფლის მეურნეობი მიმართულებით. მიმდინარეობდა პროექტების განხორციელება, რომლის ფარგლებში 8 კოლეჯის 25-მა პროგრამამ გაიარა ავტორიზაცია და მიღებული იქნა 606 სტუდენტი;
- პროფესიული განათლების განვითარების (PICG) გრანტის ფარგლებში განხორციელდა 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისათვის სასწავლო ლაბორატორიებისა და მასალების შექმნა;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ფარგლებში, ჩატარდა მცირე საგრანტო კონკურსის მე-2 რაუნდი და შეირჩა 10 პროექტი;
- ჩატარდა პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ფარგლებში ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მიერ დაფინანსებული 45 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გამოფენა, სადაც 400-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა მიიღო მონაწილეობა;
- სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს სამ პარტნიორ უნივერსიტეტში (თსუ, ისუ, სტუ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით განხორციელდა სტუდენტების მე-3 ნაკადის მიღება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებზე. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოში სამი მიღების შედეგად სწავლობს 390 სტუდენტი (22 უცხოელი), განხორციელდა განსაკუთრებით ნიჭიერ და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 180-მდე სტუდენტის სხვადასხვა ოდენობით დაფინანსება;
- საქართველოდან 56-მა პროფესორმა გაიარა პროფესიული განვითარების/გადამზადების პროგრამა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, კალიფორნიაში;
- ჩატარდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსი „STEM აკადემია“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში უნივერსიტეტის პროგრამებით დაინტერესებული უფროსკლასელებისათვის;
- დაიწყო ოთხსართულიანი საგანმანათლებლო ნაგებობის მშენებლობა ვაკეში, ჩოლოყაშვილის გამზირზე, რომელიც SDSU - საქართველოსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში ხორც იელდება. შენობაში, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი, განთავსდება SDSU - საქართველოს დამატებითი საკლასო ოთახები, სამუშაო სივრცეები და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ელექტრული ინჟინერიისა და სამშენებლო ინჟინერიის ლაბორატორიები;
- სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით ჩატარდა დასაქმებისა და სტაჟირების მეორე ფორუმი, სადაც საქართველოში მომუშავე 55-ზე მეტმა წამყვანმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ფორუმის შედეგად განხორციელდა დაინტერესებულ სტუდენტთა ვიზიტი საწარმოებში: ნატახტარი და საქართველოს ელექტროსისტემები. სტუდენტების დაახლოებით 45%-მა გაიარა სტაჟირება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში დასაქმდნენ ნახევარ განაკვეთზე;
- აშშ-ის საელჩოს სახელობითი სტიპენდიით დაჯილდოვდა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობისა და სოციალურად დაუცველი 6 სტუდენტი;
- 2016-2017 ათასწლეულის ინოვაციების კონკურსში საქართველოს 67 სკოლის 85-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, პროექტში ჩაერთო 271 მოსწავლე. შეირჩა 13 ფინალისტი გუნდი. კონკურსის ფინალში პირველ ადგილზე გასულმა გუნდმა „Smart Kids“ მონაწილეობა მიიღო NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში.



#### 4.5 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის გაიცა სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები;
- ჩატარდა საგრანტო კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესების გაღრმავების მიზნით ჩატარდა ერთობლივი საგრანტო კონკურსები;
- ორგანიზებულია და ჩატარებულია სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, საიუბილეო დღეები და სხვადასხვა ღონისძიებები;
- შემუშავებულია სხვადასხვა სამეცნიერო წინადადებები, გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები, გამოცემულია სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალები;
- ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენის, სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების პოპულარიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ჩატარდა „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017“.

##### 4.5.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 01)

- „გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ ფარგლებში დაფინანსდა 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 86 პროექტი და 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 111 პროექტი;
- „ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“ ფარგლებში დაფინანსდა 2014 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 10 პროექტი და 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 10 პროექტი;
- „მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში გამოვლინდა საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები: ინდივიდუალური (მობილობის) გრანტებში გამარჯვებული 35 პროექტი და ინსტიტუციურ (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები) გრანტებში გამარჯვებული 14 პროექტი, მათ შორის დაფინანსდა მობილობის გრანტების 34 პროექტი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების გრანტების 14 პროექტი;
- „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 22 მეცნიერი;
- „სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 5 პროექტი;
- „საკონფერენციო გრანტების“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 5 პროექტი;

- „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი “Rustaveli-DAAD”-ის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 18 ახალგაზრდა მეცნიერი;
- „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი“ ფარგლებში“ დაფინანსდა 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 34 პროექტი, 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 25 პროექტი და 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 23 პროექტი;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით, ღონისძიების „სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება უცხოეთში“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 17 პროექტი, 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტი;
- დოქტორანტურის სამეცნიერო პროექტების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2017 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 41 პროექტი, 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 57 პროექტი, 2014 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 23 ახალგაზრდა მეცნიერი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი;
- მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 6 პროექტი და 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 46 პროექტი;
- საგრანტო კონკურსის „საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ ფარგლებში დაფინანსდა 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი და 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი;
- პროგრამაში ”საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი” - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2014 წლის გამარჯვებული 1 პროექტი;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2 პროექტი;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ფოლკსვაგენის (VW) ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსი - გამოვლინდა და დაფინანსდა 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი.
- ერთობლივი კონკურსი ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში - დაფინანსდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა (CNRS) და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტის“ (The International Scientific Cooperation Project - PICS) გამარჯვებული 1 პროექტი, 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 10 პროექტი და ასევე, სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) 2017 წლის კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი, 2015 წლის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 6 პროექტი და 2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 1 პროექტი;
- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში (STCU) ერთობლივი კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 10 პროექტი და 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 10 პროექტი;
- დაფინანსდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის (JÜLICH) კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ერთობლივი 2014 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 ახალგაზრდა მეცნიერი, 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 1 ახალგაზრდა მეცნიერი, 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 ახალგაზრდა მეცნიერი და 2017 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 3 ახალგაზრდა მეცნიერი. ასევე, 20 ახალგაზრდა მეცნიერს დაუფინანსდა "საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის" კონცეფციის ფარგლებში იულიხის სამეცნიერო ცენტრში ლექციების (Quali-Start-Up) კურსზე დასწრების ხარჯები;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იულისის კვლევითი ცენტრს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმებული ერთობლივი ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო თსუ-ში პირველი SMART|EDM ლაბორატორიის დაფინანსება;
- „მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2017 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 5 პროექტი;
- მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ – ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის გრან-პრის მფლობელი 2 მოსწავლის სასწავლო-შემეცნებითი ტური ბრიტანეთში (ნოტინგემი), ჩატარდა 2017 წლის კონკურსი და გამოვლინდა საპრიზო ადგილებზე გასული პროექტები, რომელთა ავტორები (8 მოსწავლე) დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი, აგრეთვე გამოვლინდა გრან-პრის მფლობელი პროექტის ავტორები რომლებიც სასწავლო-შემეცნებითი ტურით საზღვარგარეთ გაემგზავრებიან 2018 წელს;
- დაფინანსდა ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მომწოდებელ კომპანი „ELSEVIER BV“- თან გაფორმებული ინფრასტრუქტურული განვითარებისა და განთავსების ხელშეკრულების ფარგლებში 2 ქართული ჟურნალის მომზადება და გამოცემა ELSEVIER BV-ის პლატფორმაზე. გამოიცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალი - “Transections of A. Razmadze Mathematical Institute” (Ivane Javakhishvili Tbilisi State University Andrea Razmadze Mathematical Institute E-journal) და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჟურნალი - „Annals of Agrarian Science“ (Georgian Agrarian University E-journal).
- სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდა და ფულადი ჯილდო გადაეცა გამარჯვებულ 5 მეცნიერსა და ერთ საუკეთესო სამეცნიერო კვლევით ჯგუფს.

#### 4.5.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 05 02)

- სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ გამოქვეყნდა 32 სტატია უცხოურ და 25 სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, გამოქვეყნდა 52 სამეცნიერო თეზისი საერთაშორისო ფორუმებში და 20 თეზისი საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის, გამოქვეყნებულია ერთი მონოგრაფია უცხოეთში და ერთი მონოგრაფია საქართველოში;
- ჩატარდა საერთაშორისო სკოლა „Cell Secretion: Structural, Molecular and Nanoscale levels“ და სტუდენტური კონფერენცია აგრეთვე, „ტვინის ცოდნის კვირეულის“ ფარგლებში ჩატარდა ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია, ცენტრის მიერ მოპოვებული იქნა ერთი საერთაშორისო სამეცნიერო გრანტი;
- ჩატარდა სამეცნიერო სხდომა და საერთაშორისო ქართულ-უკრაინული სემინარი „მემბრანული იონური არხები: სამომავლო პერსპექტივები“;
- ცენტრსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სეზონური სკოლა „უჯრედული სეკრეცია ნორმასა და პათოლოგიაში: ნევროლოგიური დაავადებებიდან დიაბეტამდე“, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 20 ახალგაზრდა მეცნიერი;
- „მეცნიერების და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში ცენტრის მიერ ჩატარდა „ინოვაციების გამოფენა“, სადაც წარმოდგენილი იქნა ცენტრის უახლესი სამეცნიერო მიღწევები, ახალი სამეცნიერო წიგნები, სახელმძღვანელოები, შრომათა კრებულები;
- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური, იმუნოლოგიური და ბიოლოგიური კვლევები, ახალი ბაქტერიოფაგების გამოყოფა და არსებული კოლექციის გამდიდრება, ბაქტერიოფაგების გამოყენება სხვადასხვა სამედიცინო და ვეტერინარული მიზნებით;

- შემოწმდა ინსტიტუტის კოლექციაში არსებული ფაგების ლითიური აქტივობა ახლადგამოყოფილ ბაქტერიულ შტამებზე, რომლებიც გამოყოფილია ინფექციური დაავადებების მქონე პაციენტებიდან და ინფიცირებული ფრინველებიდან;
- პასტერის ინსტიტუტში, ფაგების აღმოჩენის 100 წლისადმი მიძღვნილ ბაქტერიოფაგების საერთაშორისო კონფერენციაზე წარსადგენად, ელიავას ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ მომზადდა 9 თეზისი, ამდენივე პოსტერი და ერთი ზეპირი მოხსენება; სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობდა დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალების, ისტორიული დოკუმენტებისა და საბიბლიოთეკო წიგნების დიგიტალური ვერსიების დამზადება, მათი დაცვისა და შენახვის მიზნით საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები, ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია, ახალი ფონდებით შევსება, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული კატალოგების მომზადება;
- გაიმართა ივანე ჯავახიშვილის ალბომის „მასალები ძველი ქართული სამართლისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიისთვის“ და ალბომის „ძველი აღთქმის მინიატიურები ქართულ ხელნაწერებში“, წიგნის ქართული თარგმანის „დროსის წამების“, ბეჭდური და ელექტრონული ენციკლოპედიური ლექსიკონის „ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში“, პროექტის „სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი: ტრადიცია და ინოვაცია“, „მრავალთავის“ 25-ე ტომის, „ქართულ ხელნაწერთა ანდერძების მონაცემთა ბაზა“, „კალისტრატე ცინცაძე - 150“, „ქართული პალიმფსესტები კატალოგი-ალბომი, მონაცემთა ბაზის“, ტაო-კლარჯეთის მონაცემთა ბაზისა და კატალოგის და ორი სამეცნიერო-პოპულარული გამოცემის - „ხელნაწერი“ და „კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“ პრეზენტაციები, ასევე გაიმართა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პროექტის „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა (VI-VII ტომები)“ პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო ეპისტოლური მემკვიდრეობის VII ტომი;
- საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საზოგადოებას შესთავაზა საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამა „სიმართლე თებერვალზე“ (25 თებერვალი ემიგრანტული არქივების ფურცლებზე);
- ცენტრის მხარდაჭერით N5 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა ლექციები თემებზე: „ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი - სხვა ბიოგრაფია“ და „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერები“;
- ეროვნული სამოსის დღესთან დაკავშირებით მოეწყო ღონისძიება, სადაც გამოიფინა ცენტრის არქივში დაცული XIX საუკუნის ფოტოების ასლები და ხელნაწერებიდან ამოკრებილი მინიატიურების ასლები, სადაც ასახულია სამეფო შესამოსელი, სამხედრო შესამოსელი და სხვა;
- ჩატარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, საერთაშორისო კონფერენციები წმინდა მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი, აკად. ელენე მეტრეველის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, ილია აბულაძისადმი მიძღვნილი, „ტაო კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა“, კორნელი კეკელიძის იუბილესადმი მიძღვნილი „კორნელი კეკელიძე - 138“ და „საქართველო – ბიზანტია - ქრისტიანული აღმოსავლეთი“;
- გამოიცა და გამოსაცემად მომზადდა სამეცნიერო წიგნები: „ბიბლია (ძველი აღთქმა)“, „კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“, „დროსის წამების“ ქართული თარგმანი; „ძველი მეტაფრასული კრებულები“, „დიდი სანაქსარი“, „ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში“, ახალი „ქართლის ცხოვრება“ (ვახტანგისეული რედაქცია), „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, „ტაო-კლარჯეთი - ისტორიისა და კულტურის ძეგლები (კატალოგი)“, „თხზულებანი“, „მეფე თეიმურაზი, ქეთევანიანი“, „კალისტრატე ცინცაძე – 150“ (საიუბილეო კრებული). აგრეთვე, გამოიცა და გამოსაცემად მომზადდა სამეცნიერო-პოპულარული წიგნების სერია „ხელნაწერი“, „რუსთაველის ეპოქა“, „ფიროსმანზე და არა მხოლოდ“, ვახუშტი ბაგრატიონი. მომზადდა პერიოდული გამოცემა „მრავალთავი“ – ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 25-ე ტომი. მომზადდა და გამოქვეყნდა პუბლიკაციები და მოხსენებები საქართველოში: 20 მონოგრაფიული ნაშრომი, 1 სახელმძღვანელო, 2 კრებული, 84 სტატია, 98 მოხსენება, ხოლო უცხოეთში: 10 სტატია და 12 მოხსენება.

#### 4.5.3 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 03)

- ჩატარდა სამეცნიერო განყოფილებების სხდომები, სადაც წარმოდგენილი იყო 2016 წელს ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ 13 ანგარიში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის შესახებ 29 მოხსენება, ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს 6 სხდომა, სადაც განხილული იქნა 12 სამეცნიერო მოხსენება, გაიმართა სამეცნიერო შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატით;
- ჩატარდა საერთაშორისო კომფერენცია „მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში, ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები“, აგრეთვე ჩატარდა საიუბილეო სამეცნიერო კომფერენცია აჭარის ა/რ, ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ გორში. „მეცნიერებისა და ინოვაციები საერთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში ჩატარდა კომფერენცია თემაზე „აგრალური სექტორის საინჟინრო-ტექნიკური მომსახურების სრულყოფა“;
- აკადემიამ მოამზადა და გამოსცა პუბლიკაციები: „სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2016 წლის ანგარიში“, აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, 275 სამეცნიერო ნაშრომი, 4 სახელმძღვანელო, 208 სამეცნიერო სტატია, 28 მონოგრაფია, გამოიცა 12 რეკომენდაცია და 20-მდე ბროშურა.

#### 4.5.4 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 04)

- „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

#### 4.5.5 მეცნიერების პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 32 05 05)

- „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017“-მა მოიცვა 7 ქალაქი და ჩატარდა 300-მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება: კონფერენციები, უახლესი სამეცნიერო გამოცემებისა და პროექტების პრეზენტაციები და გამოფენები, სამეცნიერო-პოპულარული ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ვორკშოპები, ღია კარის დღეები, სამეცნიერო კაფეები, 46 გასვლითი ღონისძიება, 7 სამეცნიერო პიკნიკი, 8 არქეოლოგიური ექსპედიცია და სხვა;
- ფესტივალში მონაწილეობდა 23 უნივერსიტეტი, 13 სასწავლო უნივერსიტეტი, 5 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, ეროვნული და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები და 13 სხვადასხვა ტიპის ორგანიზაცია. უზრუნველყოფილი იქნა რეგიონებზე და გასვლით ღონისძიებებზე ტრანსპორტირება მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ღონისძიებებზე დასწრების ხელშეწყობის მიზნით ჯამში 87 სოფლიდან და ქალაქიდან, რომელთა შორის იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებები;
- ფესტივალის ფარგლებში ასევე ჩატარდა სამეცნიერო ჟურნალისტიკის სტუდენტური კონკურსი და სამეცნიერო თემაზე შექმნილი ფოტო ნამუშევრების კონკურსი.
- მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს სულ დაესწრო 10 000-მდე პირი.

#### 4.6. წვრთნა და სამხედრო განათლება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ✓ სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა;
- ✓ ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმია.
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ჩატარდა გამოსაშვები ჯგუფების საატესტატო გამოცდები, ლიცეუმში დაამთავრა 76-მა კადეტმა. აქედან უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 70 კადეტი, მათ შორის 35 - თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში. განხორციელდა ახალი ნაკადის მიღება. მიღებულ იქნა 126 კადეტი, მათ შორის 25 გოგო.
- ჩატარდა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი;
- განხორციელდა ვირტუალური სიმულატორების ცენტრის სამშენებლო სამუშაოები;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ განხორციელდა წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის საველე და გასვლითი სწავლებები;
- აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი დიდი ბრიტანეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების ინსტიტუტთან (RUSI);
- ჩატარდა რიგით მესამე საერთაშორისო კვირეული ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 სხვადასხვა ქვეყნის 14-მა სამხედრო სასწავლებელმა;
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ეროვნული თავდაცვის აკადემიის თანამშრომლებმა გაიარეს გადამზადების კურსები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ;
- ჩატარდა 2017-18 სასწავლო წლის მისაღები გამოცდები ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-სამტაბო კოლეჯში. ჩაირიცხა 45 მსმენელი, მათ შორის 13 მსმენელი სამაგისტრო პროგრამაზე;
- ჩატარდა 2017-18 სასწავლო წლის მისაღები გამოცდები ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო პროგრამებზე. ჩაირიცხა 71 იუნკერი;
- დასრულდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსი. კურსი წარმატებით დაასრულა 6-მა სამხედრო მოსამსახურემ, რომლებიც გადანაწილდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო საადრიცხვო სპეციალობების მიხედვით სპეციალიზაციის კურსებზე;
- განხორციელდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-სამტაბო კოლეჯში კურსდამთავრებულთა რიგით მეექვსე გამოშვება. სასწავლო კურსი დაასრულა და შესაბამისად დიპლომი გადაეცა 40 მსმენელს (40 უფროს ოფიცერს);
- განხორციელდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო სკოლის იუნკერთა მესამე გამოშვების ცერემონიალი. კურსი წარმატებით დაასრულა 85-მა ლეიტენანტმა და სამხედრო-საადრიცხვო სპეციალობების მიხედვით გადანაწილდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციალიზაციის კურსებზე;
- ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმიას რაგბის და კალათბურთის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ ჩემპიონატში;
- თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ორგანიზებით ჩატარდა 45 ღონისძიება (სასწავლო კურსები, ტრენინგები, სემინარები და კონფერენციები);
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემდეგი სწავლებები და კურსები:
  - საერთო საჯარისო ცენტრში ჩატარდა 128 კურსი, მათ შორის:
    - ✓ კაპიტნის საკარიერო სკოლაში - 18 კურსი.
    - ✓ მანევრის სკოლაში - 10 კურსი;

- ✓ საბრძოლო უზრუნველყოფის სკოლაში - 39 კურსი;
  - ✓ საბრძოლო მხარდაჭერის სკოლა - 49;
  - ✓ ავიაციისა და თავდაცვის სკოლაში - 12 კურსი;
  - საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში ჩატარდა შუალედური სამთო მომზადების ტაქტიკური და ტექნიკური 17 კურსი, მათ შორის:
    - ✓ PFP ფარგლებში - 6 კურსი;
    - ✓ სპეციალური ოპერაციების ძალებისთვის - 1 კურსი;
    - ✓ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისთვის (გდდ) - 5 კურსი;
    - ✓ უწყებრივი საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის - 5 კურსი;
  - ნატო საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრში (JTEC) სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მისაღებად მომზადდა - ორი ბატალიონი, ორი ასეული და ორი ოცეული; შეფასება გაიარა - 7 ასეულმა;
  - სერჟანტთა მომზადების ცენტრში ჩატარდა 6 კურსი, ხოლო საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ცენტრში - 3 კურსი.
- პროფესიული განვითარების სასწავლო კურსებში მონაწილეობის მიზნით, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსამსახურეთა მონაწილეობით, ქვეყნის გარეთ განხორციელდა 141 თანამშრომლის ვიზიტი, ხოლო ქვეყნის შიგნით სასწავლო კურსებში მონაწილეობა მიიღო 529 თანამშრომელმა.

#### 4.7 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;
  - ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
  - ✓ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
  - ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
- მიმდინარეობდა პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;
  - ხორციელდებოდა პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები;
  - გაიზარდა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი;
  - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადების მიზნით ჩატარდა ტრენინგები.

##### 4.7.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 03 01)

- საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილ იქნა ვაუჩერული, პროგრამული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით,;
- გაიზარდა დანერგილი მოდულური პროგრამების რაოდენობა და სწავლებაში ჩაშვებული იქნა 73 დასახელების 290 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა. მათ შორის, 7 დასახელების 14 პროგრამა

8 საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება დუალური მიდგომით, 61 საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდა ავტორიზებული მოდულური პროგრამები;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში 11 000-ზე მეტი სტუდენტი იღებდა სხვადასხვა პროფესიულ განათლებას, ამასთან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა შშმ/სსმ 250-მდე პირი;
- მიმდინარებდა ახალი შეფასების სტანდარტებითა და პროფესიული პროგრამებით სწავლება, გადამუშავდა და დამტკიცდა 123 პროფესიული სტანდარტი და შესაბამისი შეფასების სტანდარტი. დამტკიცდა 42 ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს;
- გადამზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების 1 914 მასწავლებელი და ადმინისტრაციის თანამშრომელი მოდულური პროგრამების დანერგვაში, სწავლება-შეფასების თანამედროვე მეთოდებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში (საწარმოებში), საერთაშორისო მობილობის მოსამზადებელი პროგრამის შემუშავებაში;
- MCA-ის დახმარებით შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 40-ზე მეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი და დაფინანსდა 17 სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების და 8 კერძო პროფესიული კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მოზარდებში შრომითი/პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული 200 პროექტი და 138 საჯარო სკოლის მე-7, მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეებმა გამოიმუშავეს შრომითი და პროფესიული უნარები.

#### 4.7.2 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 03 02)

- „მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლებაშეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 11 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას გამოეყო დაფინანსება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №2, №3, №5, №8, №11, №12, №14, №15, №16, №17 პენიტენციურ დაწესებულებებში მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩართულ ბენეფიციართა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული) რაოდენობამ შეადგინა - 1 044 ერთეული;
- პირობით მსჯავრდებულების, პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ჩატარების მიზნით დაფინანსება გამოეყო სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს „იბერია“, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ და სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, ქვეპროგრამის ფარგლებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა - 57;
- „ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა ან/და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ჩატარების მიზნით დაფინანსება გამოეყო სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „იბერიას“, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯს



„იკაროსს“, ა(ა)იპ -პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტს“ და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისს“. ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა 34 ბენეფიციარი.

#### 4.7.3 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 03)

- „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის“ B1+ დონის ფარგლებში დამტკიცდა ოთხი ახალი დარგობრივი მიმართულების (სამართალმცოდნეობა, ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტი, ფინანსები და შესყიდვები) პროგრამა, რომელიც სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ბაზაზე განხორციელდა საპილოტე რეჟიმში და გაიარა 40-მა მსმენელმა, მათგან წარმატებით დაასრულა 31-მა მსმენელმა;
- „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში მომზადდა B1+ დონის დარგობრივი მიმართულების - სამოქალაქო განათლება სახელმძღვანელო და A2+ დონის - დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის;
- გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა დარგობრივი მიმართულებების 6 სასწავლო სახელმძღვანელო;
- „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთის რეგიონი) სწავლა დაასრულა 3 247-მა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა;
- „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში შეიქმნა 246 სასწავლო ჯგუფი, მათ შორის 70 სოფელში შედგა 175 მობილური ჯგუფი, რომლებმაც რაიონული ცენტრიდან მოშორებული სოფლების მაცხოვრებელთათვის ადგილზე განახორციელეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ენას A1, A2 და B1 დონეზე დაეუფლა უცხო ქვეყნის 143 მოქალაქე, რომელთაც მინიჭებული აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად ცხოვრების უფლება (სომხეთის, სირიის, ეგვიპტის, უკრაინის, ერაყის, ტაჯიკეთის, ლიბანის, პაკისტანის, რუსეთის და იემენის მოქალაქეები);
- კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამის ფარგლებში 5 რეგიონულ სასწავლო ცენტრში სწავლა დაასრულა 6 ჯგუფმა და გადამზადდა 50 საჯარო მოხელე;
- ელექტრონული წიგნების სახლი „საბასა“ და ნატოს საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით სკოლის ათივე რეგიონულ სასწავლო ცენტრში გამოცხადდა ესეების „ჩემი ევროპული საქართველოს“ კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მდე მსმენელმა, მათგან საბას სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა 7 გამარჯვებული ესე.
- „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასწავლო პროცესი 6 დარგობრივი მიმართულებით. სულ ჩაირიცხა 89 მსმენელი, რომელთაგან პროგრამა წარმატებით დაასრულა 86-მა;
- „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა ტრენინგ-კურსები: ჩრდილო ატლანტიკური ინტეგრაცია - NATO-ს საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით; გენდერული თანასწორობა - გაეროს მოსახლეობის ფონდსა (UNFPA) და ორგანიზაცია WeCare-სთან თანამშრომლობით.

#### 4.8 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

პროგრამის განმახორციელებლები:

- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრი

- მიმდინარეობდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობით;
- ცვლილებები შევიდა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში“, შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები;
- დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი. ეტაპობრივად განხორციელდა ახლად შერჩეული ექსპერტების ტრენინგი და მომზადება. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტის მიერ ჩატარდა ექსპერტ-ტრენინგთა ტრენინგი;
- შემუშავდა და დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმა, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები, შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პროექტები;
- საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ტრენინგების ციკლი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში პროგრამის შემუშავებასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით;
- მომზადდა და განახლდა პროფესიული განათლების სისტემაში დღეისათვის არსებული საგანმანათლებლო რესურსების მატრიცა;
- განახლდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის კონცეფცია და მომზადდა დაწესებულებებისათვის კითხვარები;
- ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 28 სხდომა და მიღებული იქნა 114 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 81 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ავტორიზაციაზე უარი ეთქვა 3 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 5 დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 8 დაწესებულებას და წარმოება შეწყდა 17 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით;
- ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 11 სხდომა და მიღებულ იქნა 76 გადაწყვეტილება, მათ შორის, ავტორიზაცია მიენიჭა 9 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 21 გადაწყვეტილება, ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნა 12 გადაწყვეტილება, ავტორიზაციაზე უარი ეთქვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელ 4 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 3 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ავტორიზაციის გადაწყვეტილების ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 24 გადაწყვეტილება, ავტორიზაციის პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველსაყოფად განხორციელდა 48 ვიზიტი, მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა 28 გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტი;
- ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 11 სხდომა და მიღებული იქნა 33 გადაწყვეტილება, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 9 გადაწყვეტილება, წარმოება შეწყდა 11 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, ავტორიზაცია გაუუქმდა 1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გაეზარდა 4 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას;
- ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 18 სხდომა და მიღებული იქნა 76 გადაწყვეტილება, მათ შორის, აკრედიტაცია მიენიჭა 49 საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის

მინიჭებაზე უარი ეთქვა 8 საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაცია გაუუქმდა ერთ საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით წარმოება შეწყდა 16 საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, ცვლილება შევიდა 2 გადაწყვეტილებაში;

- საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე წარმოდგენილ იქნა 6 474 განცხადება და 6 374 დოკუმენტთან დაკავშირებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 9 422 დოკუმენტი. ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და შედეგად მომზადდა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების 10 392 დოკუმენტი;
- უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით, მომზადდა ცნობა 902 უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ;
- ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით, ან დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მომზადდა 369 გადაწყვეტილება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების/დადასტურებაზე უარის თქმის თაობაზე, ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე მომზადდა 18 გადაწყვეტილება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მოთხოვნით მომზადდა 11 გადაწყვეტილება;
- განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ენობრივი სისწორის შემოწმების მიზნით, ცენტრში შემოსული 175 დიპლომის ფორმებიდან ენობრივად შეთანხმდა 79 ფორმა;
- პროფესიული განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების მიზნით დაფორმირდა 48 ანალიზის დოკუმენტი, ამთავან 20 გარე ინიცირების ფარგლებში;
- უზრუნველყოფილ იქნა 57 ჩარჩო დოკუმენტის პროექტების შემუშავება, რომელშიც პროფესიული კვალიფიკაცია ნაცვლად დასაქმების პოზიციისა განისაზღვრა სწავლის სფეროებად. 57 ჩარჩო დოკუმენტის პროექტმა დაფარა 238 პროფესიული სტანდარტი და 146 ჩარჩო დოკუმენტი;
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ასახულ იქნა სწავლის სფეროდ ფორმულირებული 32 პროფესიული სპეციალიზაცია;
- 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობაზე პორტალის მომსახურებით ისარგებლა 2 357 -მა სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 2 083 -მა სტუდენტმა, ხოლო, 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობაზე პორტალის მომსახურებით ისარგებლა 5 691 -მა სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 4 955 -მა სტუდენტმა;
- დამუშავდა 1 000-მდე სამაგისტრო პროგრამის და 52 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციით განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, მათ შორის აკადემიურ საფეხურზე სტუდენტთა რაოდენობის, აქტიური სტუდენტთა რაოდენობის და 2016-2017 სასწავლო წლისათვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ მონაცემები;
- შემუშავდა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ინტეგრირებულ იქნა შემდეგი მოდულები: სასკოლო ტრანსპორტის, სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგის კითხვარი. განხორციელდა სისტემის შემადგენელი კომპონენტის „სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაცია“ მოდიფიცირება, ასევე, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის ორგანიზების და სასკოლო ბანაკების ორგანიზების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცესების ავტომატიზაციის მიზნით განხორციელდა სპეციალური მოდულების შემუშავება და მათი სისტემაში (eSchool) ინტეგრაცია;
- სკოლების საჯარო შეფასების სისტემის შემუშავების ფარგლებში, შეიქმნა შესაბამისი ვებგვერდი (skolebi.edu.ge) და შემუშავებულ იქნა აღნიშნულ ვებგვერდზე თავისუფალი გაკვეთილების, განხორციელებული ღონისძიებების, ფოტო/ვიდეო გალერეის განთავსებისა და ადმინისტრირების მოდულები. ასევე, თავისუფალ გაკვეთილებზე მოსწავლეების მიზმის, სისტემაში მშობლის რეგისტრაციის, ავტორიზაციის, თავისუფალი გაკვეთილის შეფასებისა და კომენტარების მოდულები. ვებგვერდზე თავისუფალი გაკვეთილების განთავსებისა და ადმინისტრირების სწავლების მიზნით, ორგანიზებულ იქნა თემატური ტრენინგები საგანმანათლებლო რესურსცენტრების

თანამშრომლებისათვის. ასევე, სისტემას დამატა ახალი მოდული –“სკოლები”, რომელიც მოიცავს სკოლების, დირექტორების, მოსწავლეების შედეგების, სხვადასხვა აქტივობების და ღონისძიებების შესახებ დამატებით ინფორმაციას;

- განხორციელდა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის, ჰორიზონტი 2020-ის ვებგვერდის რედიზაინი;
- შემუშავდა და დაინერგა პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა ([www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge)), რომელშიც განთავსდა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია;
- შემუშავდა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გადამოწმების სისტემა, რომლის მიზანია საქართველოს მასშტაბით გაცემული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვის უზრუნველყოფა, რაც დაინტერესებულ პირებს/სუბიექტებს შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერი ადგილიდან, ონლაინ რეჟიმში გადაამოწმონ განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის ფაქტი;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ცვლილებების შესაბამისად, განახორციელა მასწავლებელთა შეფასების ელ. სისტემაში სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალის მოდიფიცირება, ასევე გარე დაკვირვების ფუნქციონალის დამატება;
- შეიქმნა გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების განახლებული წესის შესაბამისად, მართვის სისტემამ განახორციელა შესაბამისი სისტემის შექმნა (შემუშავებულია სისტემის ძირითადი მოდულები) რომლის მეშვეობით პირველად გრიფირებაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის რეგისტრაცია/მიღება იწარმოებს ელექტრონულად, გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მეშვეობით: [www.grifireba.emis.ge](http://www.grifireba.emis.ge); აღნიშნულის მიზანია სახელმძღვანელოების გრიფირების მართვის ელექტრონიზაცია და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განახორციელა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემის (QMS) შემუშავება, რომელიც გამიზნულია პროფესიული, უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების ავტომატიზაციისათვის;
- სწავლა/სწავლების პროცესში საგანმანათლებლო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისათვის დაიწყო შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები. „მაიქროსოფტ საქართველო“-ს მიერ გადმოცემულ იქნა ელექტრონული სწავლების (eLearning) პლატფორმა, რომელიც განკუთვნილია ფართო საზოგადოების მოხმარებისთვის. პლატფორმაზე სასწავლო კურსების განთავსების შესაძლებლობა ექნება უნივერსიტეტებსა და კოლეჯებსაც. სერვისის გამოყენება უკვე შესაძლებელია მსურველთათვის და იგი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართზე: <http://teachereducation.ge/>;
- ქართული ენის დისტანციური სწავლების პროექტის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნა პროექტის მონაწილე მხარეებისთვის Office 365-ზე დაფუძნებული ონლაინ სასწავლო გარემოს მიწოდება, ვებ-გვერდ <http://distancelearning.mes.gov.ge> დეველოპინგი და მხარდაჭერა. მიმდინარე მონაცემებით, პროექტის ფარგლებში ჩართულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში მცხოვრები 250-მდე ბავშვი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დამღვევის მსურველთათვის ცენტრალიზებული გამოცდების ორგანიზება. პროგრამის ფარგლებში სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განახორციელა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის მოდიფიცირება. ექსტერნატის ცენტრალიზებული გამოცდები ჩატარდა 81 საჯარო

სკოლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 903-მა ბენეფიციარმა, ხოლო მეორე 37 საჯარო სკოლაში რომელშიც მონაწილეობა მიიღო 173 ბენეფიციარმა

- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის და მეტის გაცდენის გამო მოსწავლის ექსტერნად რეგისტრაციის მიზნით, უზრუნველყო სპეციალური სისტემის შემუშავება რომლის საშუალებით, წელს პირველად გაცდენების ექსტერნის გამოცდებზე მოსწავლეების რეგისტრაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა ელექტრონულად განახორციელეს;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო სკოლის საატესტატო გამოსაშვები გამოცდები (CAT), ჩატარდა VI-IX და VIII-X კლასების მოსწავლეთათვის ორგანიზებული ელექტრონული გამოცდები და პროფესიული განათლების მიღების მსურველთა ტესტირების ტექნიკური მხარდაჭერა;
- შემუშავდა და საპილოტე რეჟიმში დაინერგა (359 სკოლა) ელექტრონული ჟურნალის მოდული, რომელითაც შესაძლებელია დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მონაცემების აღრიცხვა და მათ საფუძველზე სკოლის მიღმა დარჩენის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა იდენტიფიცირება;
- უზრუნველყოფილი იქნა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება. რეგისტრაცია განხორციელდა სამ ეტაპად და რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში 2017-2018 სასწავლო წლისათვის საჯარო სკოლებში დარეგისტრირებულ მოსწავლეთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგენა - 51 280 მოსწავლე, ხოლო კერძო სკოლებში დარეგისტრირდა - 5 889 მოსწავალვე.

#### 4.9 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები;

- ხელი შეეწყო: ქვეყნის შიგნით და უცხოეთში გამართულ კონკურს-ფესტივალებში, მასტერკლასებში, ვორქშოფებში 200-მდე მოსწავლისა და სტუდენტის მონაწილეობას, სამხატვრო აკადემიის 24 სტუდენტის სწავლას პროფესიული განათლების პროგრამაზე და 1 დოქტორანტის სწავლას თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.
- დაფინანსდა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული 5 სტუდენტის სწავლა აშშ-ს ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში და ჯულიარდის სამუსიკო სკოლაში;
- სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობდა სსიპ ე. მიქელაძის სახ. სასწავლებელში ნ. ანდლულაძის სახელობის ახალგაზრდა ვოკალისტთა II საერთაშორისო კონკურსი;
- მიმდინარეობდა შესაბამისი ღონისძიებები მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით;
- უმაღლეს და სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლებში განხორციელდა 1 100-ზე მეტი ღონისძიება/აქტივობა, მათ შორის: სხვადასხვა მიმართულების კონცერტი - 438, მასტერკლასი/ვორქშოფი - 193, საერთაშორისო პროექტები - 121, კონფერენციები - 39, გამოფენები - 62, ერასმუს + მობილობის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები - 36, ღია ლექციები, შეხვედრები, სემინარები, პრეზენტაციები - 107, გამოცემები - 12, სპექტაკლები - 11, ფილმები - 4, კონკურსები/ფესტივალები - 72, შეხვედრები, საჯარო ლექციები, საღამოები - 36, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 10 სპექტაკლში. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 1 900-მდე მოსწავლემ.
- მონაწილეობა იქნა მიღებული კონკურსში „ახალგაზრდა ვირტუოზები“ (ბულგარეთი), ჰოროვიცის სახ. საერთაშორისო კონკურსში (კიევი), „მუსიკალური ფოიერვერკი ბადენ-ვურტენბერგში“ (გერმანია), „ქალაქის იდენტურობა და კვლევა“ (ფლორენცია).

- საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში მოსწავლეებმა მოიპოვეს: გრან-პრი - 2, I ადგილი - 3, II ადგილი - 4, III ადგილი - 2.
- გაიმართა ევროპის კონსერვატორიათა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეხვედრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში;
- დაიბეჭდა სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრების დამადასტურებელი მოწმობები;

4.11 სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- სპეციალური პროფესიული პროგრამების ბაზაზე მიმდინარეობდა სამინისტროში მისაღები და მოქმედი თანამშრომლების მომზადება/გადამზადება;
- მიმდინარეობდა სწავლებები როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამების „საპოლიციო რეგულირების სამართალი“-სა და „პოლიციის მაგისტრი“-ს ფარგლებში;
- განხორციელდა საარქივო მასალის დამუშავება და სკანირება, ფონდების დეტალური აღწერილობის მონაცემთა ბაზაში შეყვანა, საარქივო მასალების რესტავრაცია;
- დისტანციური სწავლების დანერგვის და გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები ქვეყნის მასშტაბით 10 რეგიონში სასწავლო ცენტრების გახსნასთან დაკავშირებით;
- საბაკალავრო სწავლების სრულყოფისა და განვითარების მიზნით, შექმნილ იქნა აკადემიის სამართლის სკოლის სტუდენტური ბაზების მართვის ელექტრონული სისტემის პაკეტი;
- აკადემიის 24 ინსტრუქტორს 3 ეტაპად ჩაუტარდათ „ტრენერთა ტრენინგი (TOT)“;
- შემუშავდა ანალიტიკოსთა მომზადების სასწავლო კურსი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგის კურსი, მესაზღვრე ოფიცერთა ტრენინგის კურსი;
- საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება /მომზადების კურსები და პროგრამები:
  - ✓ სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
  - ✓ დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
  - ✓ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი;
  - ✓ პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
  - ✓ პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა;
  - ✓ კიბერდანაშაულის და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავების სასწავლო კურსი და სხვა.

4.12 ინკლუზიური განათლება (პროგრამული კოდი 32 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

- თბილისისა და რეგიონების ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ შესაბამისი მომართვის საფუძველზე შეფასდა 940 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის შეფასდა 130 მეთორმეტეკლასელი სსსმ მოსწავლე და 165 მეთერთმეტეკლასელი სსსმ მოსწავლე; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა ფუნქციური და აკადემიური უნარების შეფასების და საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით მომსახურება გაეწია 99 აპლიკანტს. მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მხრიდან განხორციელდა 1 335 მოსწავლის/პირის შეფასება;
- სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლაში სენსორული (სმენა) დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის, ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის №166 საჯარო სკოლაში, სსიპ - მიხეილ გრუმეცკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლაში, სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიაში, სსიპ ქალაქ თბილისის N55 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლასა და სსიპ - ქალაქ ბათუმის №13 საჯარო სკოლაში აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლაში საშუალო, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თელავის №9 საჯარო სკოლაში სხვადასხვა ტიპის დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებდა ინტეგრირებული კლასები;
- სსიპ - ქალაქ თბილისის №147 საჯარო სკოლის მიერ უზრუნველყოფილია იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება;
- ქვეპროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“ ფარგლებში შეიქმნა „მოწყვლადი ჯგუფების ბავშვთა საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია, მათთან კომუნიკაციის და თანამშრომლობის სტრატეგიები“ სატრენინგო მოდული. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ექვსივე დღის/კრიზისულ ცენტრში ჩარიცხულ 101 ბენეფიციარს მიეწოდა სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება;
- 120 საჯარო სკოლაში განხორციელდა ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგი. აგრეთვე, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთან არსებულ დღის ცენტრებში (6 ცენტრი) ქვეპროგრამის „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა მიუსაფარი ბავშვებისთვის ტრანზიტული საგანმანათლებლო სერვისის მონიტორინგი;
- მომზადდა სსსმ მოსწავლეების ზოგადი განათლებიდან პროფესიული განათლების საფეხურზე ტრანზიციის სერვისის ტრენინგ-მოდული და პილოტირება განხორციელდა 3 საჯარო სკოლაში;
- შემუშავდა სსსმ მოსწავლეთა ზოგადი განათლების საფეხურიდან პროფესიულ განათლებაში ტრანზიციის ხელშეწყობის მოდელი და ტრენინგ-მოდული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მასწავლებლებისა და სპეციალისტებისთვის;
- „სოციალური ინკლუზიის ქვეპროგრამის“ ბენეფიციარებისა და საჯარო სკოლების მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით, კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად შეირჩა და დაფინანსდა საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი 8 პროექტი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სსსმ სტუდენტებისთვის შეიქმნა 28 აუდიო სახელმძღვანელო;
- სმენის დარღვევის მქონე (ყრუ) მოსწავლეების და სტუდენტების სრულფასოვანი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით მოძიებულ იქნა 1 500 ქართული ჟესტი;

- სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესის ეფექტიანი განხორციელებისა და მასწავლებლების მხარდაჭერის მიზნით დაიბეჭდა სხვადასხვა სახის (11 დასახელება) საგანმანათლებლო რესურსები რომელიც გადაეცა ყველა საჯარო სკოლას სადაც ირიცხება სსსმ მოსწავლე;
- ალტერნატიული სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებულია მე-IV კლასის პროგრამა ქართული ენასა და მათემატიკაში;
- სსიპ ქ. თბილისის N202-ე საჯარო სკოლა უზრუნველყოფილ იქნა დაფინანსებით მცირემხედველი მოსწავლეებისათვის პორტაბელური ვიდეო გამადიდებლების შესყიდვის მიზნით;
- მულტიდისციპლინური გუნდის წევრებისათვის ჩატარდა ინტერაქტიული ტრენინგი შეფასების ტესტების (VINELAND, EDDT და MWRATR) შინაარსის გაცნობის, მათი ჩატარების ტექნიკის დაუფლებისა და ინტერპრეტაციაში გარკვევის მიზნით, სულ გადამზადდა 14 მსმენელი;
- მომზადდა და ჩატარდა ქესტური ენის კურსები ყრუ პირებისა და უახლოესი სოციალური გარემოსთვის (მასწავლებელი, მშობელი, თანაკლასელი და სხვა.);
- განხორციელდა „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“ თბილისის მასპინძელ 10 საჯარო სკოლაში, რომლის მიზანიც იყო ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა რეგიონების სპეციალური მასწავლებლების პროფესიულ ზრდასა და კარიერულ წინსვლაში;
- სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 600-მდე ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იყო სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მათ განვითარებაზე ზრუნვა;
- ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამის ფარგლებში ორგანიზება გაეწია ტრენინგს: „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო კლასში“ დაესწრო 1 089 მსმენელი, „რთული ქცევის მართვა“ დაესწრო 492 მსმენელი, „გუნდური მუშაობის მნიშვნელობა სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში“ დაესწრო 142 მსმენელი, „ქესტური ენის კურსი მასწავლებლებისთვის“ I – III დონეები დაესწრო 70 მონაწილე, „მცირემხედველ მოსწავლეთა სწავლება“ დაესწრო 36 მონაწილე, „ბრაილის სისტემა და მისი სწავლების მეთოდიკა“ დაესწრო 38 მსმენელი, „მობილობა და სივრცეში ორიენტაცია უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის“ II დონე დაესწრო 40 მონაწილე, „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსის“ ფარგლებში ჩატარდა 6 მოდული და გადამზადდა 143 სპეციალური მასწავლებელი.

#### 4.14 სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (პროგრამული კოდი 58 00)

- ✓ განხორციელდა კვლევების ხელშეწყობა მეცნიერების მიმართულებების მიხედვით, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებების პროგნოზირება და რეკომენდაციების შემუშავება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისთვის, უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების სამეცნიერო მუშაობის ექსპერტიზა;
- ✓ მიმდინარეობდა მუშაობა ქართული ენის დოკუმენტირებული ისტორიული ლექსიკონის (თესაურუსის), ქართული წერილობითი წყაროების სანდო ლექსიკური ბაზების, ენციკლოპედიების „საქართველო“ (IV ტომი) და „ქართული კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ (I-III ტომები) შექმნასა და გამოცემაზე;
- ✓ ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ 2016 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშების ექსპერტიზა და მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2016 წლის ანგარიში;
- ✓ გამოქვეყნდა 2016 წელს საქართველოში უცხოური დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედეგების ანალიტიკური მიმოხილვა;
- ✓ გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ I-IV ტომი, მაცნეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერიის, მაცნეს ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების



სერიის პირველი და მეორე ნომრები, ჟურნალი „ბიომედიცინა“, „საქართველოს მათემატიკური ჟურნალი“, „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“.

4.15 იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
- ჩატარდა სოციალური უნარების, იურიდიული, ფინანსური და ინფორმაციული მიმართულებების სხვადასხვა ტრენინგები. ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის სულ 6 855 წარმომადგენელი. ასევე, ჩატარდა:
  - ✓ გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე;
  - ✓ პერსონალურ მონაცემთა ზამთრის სკოლა;
  - ✓ კონფერენცია თემაზე „ქალის როლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“;
  - ✓ ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში;
  - ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესი;
  - ✓ მიგრაციის სასწავლო კურსი სტუდენტებისა და საჯარო მოხელეებისთვის;
  - ✓ საჯარო ლექცია თემაზე: „თანამედროვე იურისტის როლი ადამიანის უფლებების სტრატეგიის საფუძველზე“;
  - ✓ ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტი საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში;
  - ✓ ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული;
  - ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვირაო სემინარები ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებისთვის;
  - ✓ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული;
  - ✓ კონფერენცია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა“;
  - ✓ კონფერენცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში.
- ტესტირების კოორდინაციის სამსახურის სერვისით ისარგებლეს როგორც იუსტიციის სამინისტროს, ისე მისი მმართველობის სფეროში მოქმედმა უწყებებმა და თვითმმართველმა ორგანოებმა, ასევე, სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებმა. საერთო ჯამში, ტესტირება გაიარა 6 079-მა პირმა; ტესტის შექმნის სამსახურმა შეასრულა 41 შეკვეთა, რისთვისაც შემუშავდა 1 476 ტესტური დავალება, შემოწმდა და განახლდა 1 048 ტესტური დავალება, ასევე, 52 კანდიდატის წერიითი ნაშრომები. ტესტური დავალებების შექმნასა და გადამოწმებაზე იმუშავა შესაბამისი სფეროს 25 ექსპერტმა;
- ყვარელში განხორციელდა 60 პროექტი, მონაწილეობდა 2 043 პირი.

4.16 მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.
- მიმდინარეობდა სამოსამართლო კანდიდატების (იუსტიციის მსმენელების) ერთი ჯგუფის სწავლება, პროფესიული მომზადება;

- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 56 ტრენინგი მოსამართლეებისთვის, ხოლო სასამართლოს სხვა მოსამსახურეთათვის - 33 ტრენინგი, ასევე განხორციელდა 3 გაერთიანებული ტრენინგი მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეებისთვის;
- მიმდინარეობდა ევროპის საბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით შემუშავებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით 2017 წლისთვის გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

4.17 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank) (პროგრამული კოდი 32 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, ჰიდრავლიკის და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების მიზნით UniCredit Bank Austria AG-სგან სესხის (7 მილიონი ევრო) გამოყოფასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა შესაბამისი პროცედურები.

4.18. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

- 1 აპრილისათვის დასრულდა სერტიფიცირების პროცესი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს იმ მოსამსახურეების, რომლებმაც სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდეგ განაგრძეს მუშაობა სამსახურში;
- სასწავლო ცენტრმა მოამზადა და განახორციელა 86 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1 540-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების - 1 203-მა, სსიპ - არასაკაპიტრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს -318-მა, სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის - 13-მ და სხვა უწყებების 6-მა წარმომადგენელმა. ამასთან, ელექტრონული ტესტირების პროგრამაში ტესტირება გაიარა 259-მა მსმენელმა, დადგენილი ქულობრივი ბარიერი გადალახა 251-მა მსმენელმა (97%);
- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 8 980 კაც/ტრენინგ/დღე.

4.19 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით

## ჩატარდა შემდეგი კურსები:

- ✓ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება (7 მსმენელი);
- ✓ საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები (11 მსმენელი);
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით) (6 მსმენელი);
- ✓ პროფესიული წერა და საქმიანი კომუნიკაცია (29 მსმენელი);
- ✓ საჯარო ფინანსების მართვა (7 მსმენელი);
- ✓ სტატისტიკა სოციალურ კვლევებში ანალიზი (17 მსმენელი);
- ✓ მონაცემთა ვიზუალიზაცია (15 მსმენელი);
- ✓ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი და ვიზუალიზაცია (11 მსმენელი);
- ✓ ტრენერთა ტრენინგი (34 მსმენელი);
- ✓ საგადასახადო კანონმდებლობა (19 მსმენელი);
- ✓ მოლაპარაკების წარმოება არგუმენტირებული მსჯელობა და დარწმუნების უნარ-ჩვევები (35 მსმენელი);
- ✓ პრეზენტაციის ჩატარებისა და მომზადების ტექნიკა (46 მსმენელი);
- ✓ ლიდერობა და მართვა (62 მსმენელი);
- ✓ გამოძიების დაგეგმვა და კიბერ-დანაშაულებების გამოძიება (55 მსმენელი);
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში (13 მსმენელი);
- ✓ სახელმწიფო შესყიდვები (36 მსმენელი);
- ✓ სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში (2 მსმენელი);
- ✓ მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა (19 მსმენელი);
- ✓ სასაწყობო საქმიანობის მართვა (20 მსმენელი);
- ✓ ლოგისტიკა (18 მსმენელი);
- ✓ მოგების გადასახადის რეფორმა (1 მსმენელი);
- ✓ რისკების მართვა (21 მსმენელი);
- ✓ საქონლის იდენტიფიცირება (20 მსმენელი);
- ✓ სტრატეგიული კომუნიკაცია (28 მსმენელი);
- ✓ Microsoft-ის სიახლეები (3 მსმენელი);
- ✓ Ms Excel პროფესიული კურსი დონე- Basic Intermediate (129 მსმენელი);
- ✓ პროექტების მართვა (17 მსმენელი);
- ✓ ტრანზიტის საერთო პროცედურების (CTC) კონვენციისა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემა (NCTS) (61 მსმენელი);
- ✓ დროისა და მიზნების მართვა (49 მსმენელი);
- ✓ ელექტრონული საბუღალტრო პროგრამა ორისი (9 მსმენელი);
- ✓ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (19 მსმენელი);
- ✓ სტრატეგიული ვაჭრობის და ექსპორტის კონტროლი (STEC) (18 მსმენელი);
- ✓ მუდმივი დაწესებულების კონცეფცია (20 მსმენელი);
- ✓ ორმაგი დაბეგვრის პრინციპები (80 მსმენელი);
- ✓ კრეატიული აზროვნება (15 მსმენელი);
- ✓ კონკურსი საჯარო სამსახურში (21 მსმენელი);
- ✓ სიღრმისეული კურსი Ms Word; Ms PowerPoint (14 მსმენელი);
- ✓ ორგანიზაციული კონფლიქტების მართვა (17 მსმენელი);
- ✓ მართვისა და კომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციები (21 მსმენელი);
- ✓ სერვის პლუსი (57 მსმენელი);
- ✓ საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორების სპეციალიზებული კურსი (34 მსმენელი);
- ✓ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტის იმპლემენტაცია (14 მსმენელი);

- ✓ ინგლისურ ენა (11 მსმენელი);
  - ✓ საგადასახადო დაბეგვრის ცალკეული ნორმები (1 მსმენელი);
  - ✓ სახელმწიფო შესყიდვების ცალკეული საკითხები (26 მსმენელი);
  - ✓ ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება ტრენინგი ჩატარდა 3 ეტაპად (34 მსმენელი);
  - ✓ არა ცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობა (46 მსმენელი);
  - ✓ საბაჟო კონტროლის პროცედურები კონტროლის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (15 მსმენელი).
- დაინტერესებული პირებისთვის (მათ შორის ფიზიკური პირებისთვის კერძო სექტორისა და სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა შემდეგი კურსები:
    - ✓ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება (4 მსმენელი);
    - ✓ ორმაგი დაბეგვრის პრინციპები (87 მსმენელი);
    - ✓ საგადასახადო კანონმდებლობა (104 მსმენელი);
    - ✓ საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები (59 მსმენელი);
    - ✓ ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში (1 მსმენელი);
    - ✓ სამუშაო შეხვედრები საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვაში (40 მსმენელი);
    - ✓ ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში (საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით) (45 მსმენელი);
    - ✓ საჯარო ფინანსების მართვა (25 მსმენელი);
    - ✓ სახელმწიფო შესყიდვები (8 მსმენელი);
    - ✓ ფინანსური ანალიზი ანგარიშგება მართვა (26 მსმენელი);
    - ✓ ღია ლექციები აკადემიაში მიმდინარე სასწავლო კურსებისა თუ ტრენინგების თემატიკიდან გამომდინარე (600 მსმენელი);
    - ✓ მოგების გადასახადის ახალი მოდელის გაცნობის სამუშაო შეხვედრები (240 მსმენელი);
    - ✓ საგადასახადო კანონმდებლობა და მოგების გადასახადის რეფორმა (16 მსმენელი);
    - ✓ სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში (78 მსმენელი);
    - ✓ საბიუჯეტო ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება (15 მსმენელი);
    - ✓ საბაჟო გაფორმება და პროცედურები (20 მსმენელი);
    - ✓ საბაჟო დეკლარირება და დეკლარირების ფორმები (16 მსმენელი);
    - ✓ მოგების გადასახადის რეფორმა (217 მსმენელი);
    - ✓ სასწავლო პროგრამებისა და მასალების რევიზია სწავლების მეთოდოლოგია (40 მსმენელი);
    - ✓ საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა (15 მსმენელი);
    - ✓ საგადასახადო ადმინისტრირება (55 მსმენელი);
    - ✓ საბიუჯეტო კლასიფიკაცია (13 მსმენელი);
    - ✓ საჭაერო ტვირთების კონტროლი (19 მსმენელი);
    - ✓ Microsoft-ის სიახლეები (23 მსმენელი);
    - ✓ პროგრამების ანალიზის დოკუმენტების შემუშავება-გადამუშავება (25 მსმენელი);
    - ✓ DB engineering & consulting GmbH-ის მიერ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგებისთვის ტრენინგები (74 მსმენელი);
    - ✓ საინვესტიციო პროექტების მართვა (90 მსმენელი);
    - ✓ ფინანსური მოდელირება ექსელში (30 მსმენელი);
    - ✓ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (14 მსმენელი);
    - ✓ ტრენინგთა ტრენინგი (10 მსმენელი);
    - ✓ ცვლილებები საქართველოს საგადასახადო და სისხლის სამართლის კოდექსში (480 მსმენელი);
    - ✓ საგადასახადო კანონმდებლობა და ბუღალტრული აღრიცხვა სამეწარმეო სუბიექტებში (19

- ✓ მსმენელი);
  - ✓ შიდა აუდიტის საფუძვლები (22 მსმენელი);
  - ✓ სისტემური აუდიტი (20 მსმენელი);
  - ✓ საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა/ანგარიშგება ორისის გამოყენებით (14 მსმენელი);
  - ✓ ავანსების დაბეგვრა დამატებული ღირებულების გადასახადით (102 მსმენელი);
  - ✓ საგადასახადო დაბეგვრის ცალკეული ნორმები (39 მსმენელი);
  - ✓ ინვენტარიზაციის საგადასახადო აღრიცხვა / ანგარიშგების ჩატარების წესი კერძო სექტორში (26 მსმენელი);
  - ✓ დღგ-ს ჩათვლა ძირითად საშუალებებზე საქონელსა და მომსახურებაზე (25 მსმენელი);
  - ✓ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) (138 მსმენელი);
  - ✓ არარეზიდენტი პირის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან და უკუდაბეგვრა (17 მსმენელი);
  - ✓ სამართლებრივი წერა (30 მსმენელი);
  - ✓ მოგების გადასახადის ახალი წესები და მასთან დაკავშირებული სიტუაციური სახელმძღვანელოების განხილვა (19 მსმენელი);
  - ✓ კორუფციისა და თაღლითობის პრევენცია (23 მსმენელი).
- საერთაშორისო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და სასწავლო კურსების განხორციელების (მათ შორის რეგიონალური) მიზნით ჩატარდა შემდეგი კურსები:
    - ✓ საგადასახადო კანონმდებლობა (1 მსმენელი);
    - ✓ საქართველო და ევროინტეგრაცია (25 მსმენელი);
    - ✓ საქართველო და ევროპასთან ასოცირება (29 მსმენელი);
    - ✓ ფინანსების მართვის პრინციპები კერძო კომპანიებში (25 მსმენელი);
    - ✓ საჯარო ფინანსების მართვის საფუძვლები (25 მსმენელი);
    - ✓ ფინანსური პროგრამირება და პოლიტიკა (25 მსმენელი);
    - ✓ ფისკალური პოლიტიკის ანალიზი (28 მსმენელი);
    - ✓ IT აუდიტი (50 მსმენელი);
    - ✓ გორდეღერის დემოკრატიული მმართველობის კოლეჯის სასწავლო პროგრამის გაცნობის მიზნით ჩატარდა შეხვედრა პროგრამის კონკურსანტებთან (35 მსმენელი);
    - ✓ ლიდერობა და მართვა (32 მსმენელი);
    - ✓ სტრატეგიული კომუნიკაცია (28 მსმენელი);
    - ✓ ფინანსების მოძიების გზები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შუა აზიაში (ჩინეთი, იაპონია, ავღანეთი, პაკისტანი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) (50 მსმენელი);
    - ✓ ფინანსური მართვა და კონტროლი (47 მსმენელი);
    - ✓ მაკროეკონომეტრიკული პროგნოზირება და ანალიზი (28 მსმენელი);
    - ✓ ელექტრონული ბიუჯეტირება (13 მსმენელი);
    - ✓ გარიგების შეფასება (8 მსმენელი).

4.21 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

- საანგარიშო პერიოდში სასწავლო ცენტრში განხორციელდა გრძელვადიანი სასწავლო პროგრამები (წინა საროტაციო პროგრამა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში როტაციის

მსურველი თანამშრომლებისათვის და დიპლომატების კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამა), მოკლევადიანი სასწავლო კურსები/სემინარები, საჯარო ლექციები და უცხო ენის შემსწავლელი კურსები, ასევე, ელჩებისთვის მოწყობილი ბრიფინგები სხვადასხვა თემატიკაზე.

#### 4.22 საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 12)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში გაიხსნა ახალი სასწავლო კლასები (სანავიგაციო ხიდურისა და გემბანის საწყისი ცნებების აუდიტორია; მარლენსის (MARLINS) აღიარებული ტესტირების/სერტიფიკაციის ცენტრი);
- დასრულდა ლაბორატორიების სარემონტო სამუშაოები, სადაც განლაგდა საზეინკლო ლაბორატორია. აკადემიის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრში განახლდა კონდიციონერების/სავინტილაციო სისტემა და შეძენილ იქნა სასწავლო აღჭურვილობა;
- ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა ფიზიკისა და საზეინკლო ლაბორატორიული აღჭურვილობა;
- საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად განახლებულია სასწავლო ტრენაჟერის (ECDIS)-ის პროგრამული უზრუნველყოფა;
- მილენიუმის საგრანტო პროექტის ფარგლებში შესყიდულ იქნა და დამონტაჟდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მეთევზე-მეზღვაური და ამწე კრანის ოპერატორი) განსახორციელებლად საჭირო სიმულატორები და კომპიუტერული ტექნიკა. გარდა ამისა, საშემდგომლო საამქრო აღიწურვა პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის საჭირო დანადგარებით და შედეგების სიმულატორით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ აკადემიას უსასყიდლოს გადმოეცა მცურავი გემი სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის;
- მიმდინარეობდა სამუშაოები დაინტერესებულ მხარეებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან აკადემიის სტუდენტების პრაქტიკა/დასაქმების საკითხებზე.

#### 5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

##### 5.1 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გამოცხადდა 1 463 აუქციონი, საიდანაც შედგა 956 აუქციონი, ჩაიშალა 510 აუქციონი და შეწყდა 14 აუქციონი;
- საანგარიშო წლის განმავლობაში სსიპ-იუსტიციის სახლის 19 ფილიალის მეშვეობით სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საქმიანობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 4 659 განცხადება;

- შეიქმნა სახელმწიფო ქონების ერთიანი მართვის სისტემის (SPMS) სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სატესტო ვერსია და მიმდინარეობდა ტესტირების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების/მოთხოვნების ანალიზი და ასევე, მათი შესწორების/დახვეწის პროცესი;
- მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით. დასაქმებულთა დიდმა ნაწილმა გაიარა სხვადასხვა ტიპის, საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული ტრენინგები, მათ შორის გერმანიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ტრენინგი „სახელმწიფო საწარმოთა რესტრუქტურირება და საპრივატიზებოდ მომზადება“;
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესი. საწარმოების მინიმიზაციის მიმართულებით დასრულდა 9 გაკოტრების საქმისწარმოება, დასრულდა 1 საწარმოს პრივატიზების პროცესი, განხორციელდა 11 საწარმოს შერწყმა და კონტროლის პალატის მიერ მოწოდებული სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოთა სია შემცირდა 9 საწარმოთი;
- მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული 1 086 საკითხზე (დადებითად გადაწყდა 964 საკითხი და უარყოფითად - 122);
- 211 უძრავი ქონება გადაეცა სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ხოლო 998 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცა თანხმობა 291 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2 255 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, ხოლო 238 უძრავი ქონება საკუთრებაში - 213 ეკომიგრანტ ოჯახს;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის უძრავი ქონებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 90 ბენეფიციარისთვის 25.6 მლნ ლარის ჯამური ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა;
- განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, „სოფლიდან გაუსვლელად“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში გავრცელდა 84 600 ბუკლეტი;
- ქართული ჩაის პროგრამის ფარგლებში 11 ბენეფიციარს გადაეცა 31 ქონება დროებით სარგებლობაში;
- მიმდინარეობდა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია;
- სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში რეგიონებში აღმოჩენილი ქონებიდან სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდა 51 7013ა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი (ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ქონების 8%) და 12 6483ა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ქონების 79%);
- შეფასებულ იქნა პრივატიზებისათვის მომზადებული 4 572 ობიექტი;
- მიმდინარეობდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოების დაფინანსება;
- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის/დაცვის ღონისძიებები;

## 5.2 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - აწარმოე საქართველოში

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ იქნა 162 პროექტი კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე (162 ბენეფიციარი), საიდანაც საბანკო სესხის კომპონენტით მხარდაჭერილ იქნა 138 პროექტი (138 ბენეფიციარი), ხოლო ლიზინგის კომპონენტით - 24 პროექტი (24 ბენეფიციარი), ინდუსტრიული კომპონენტით მხარდაჭერილ იქნა 64 პროექტი (64 ბენეფიციარი) და სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით - 22 პროექტი (22 ბენეფიციარი);
  - ✓ აღნიშნული პროექტების განმახორციელებელ კომპანიებისათვის კომერციული ბანკებიდან დამტკიცებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 197.9 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 392.9 მლნ ლარს;
  - ✓ პროგრამის აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში მომზადებულ იქნა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ემსახურება პროექტის ბენეფიციართათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდილ შესაძლებლობას. აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით ჩატარდა რეგიონალური შეხვედრები საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან;
  - ✓ გაფორმდა საერთაშორისო ბრენდის გამოყენების, ე.წ. ფრანჩაიზის, ხელშეკრულება „Holiday Inn“-თან;
  - ✓ პროგრამის ტექნიკური დახმარების კომპონენტის ფარგლებში:
    - სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები ბენეფიციარების მხრიდან გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე;
    - განხორციელდა ქართველ მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომელიც მოიცავდა გერმანიაში ვიზიტს, ტრენინგებს და ინდივიდუალურ შეხვედრებს გერმანიაში მოქმედ კომპანიებთან. ღონისძიების ფარგლებში ქართველ მეწარმეებს (კვების პროდუქტების, ღვინის წარმოების, სოფლის მეურნეობის, ფარმაცევტული და ტექსტილის მწარმოებელი კომპანიებიდან) ეძლევათ გერმანელი კერძო მეწარმეთა სამუშაო პირობების გაცნობის საშუალება და მათთვის საინტერესო კომპანიებთან კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა სამომავლო თანამშრომლობის მიზნით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 2018 წლისთვის კანდიდატები;
  - ✓ პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში:
    - გამოცხადდა ბიზნეს-იდეების კონკურსი. სააგენტომ გამართა რეგიონული შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან პროგრამის გაცნობის მიზნით. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობისათვის შემოსული 20 029 განაცხადიდან შემდეგ ეტაპზე გადავიდა 7 372 განმცხადებლის 4 376 პროექტი, რომელთაგან 5 694-მა ავტორმა გაიარა ზოგადი მეწარმეობის ტრენინგი;
    - ბიზნეს გეგმების კონკურსზე დარეგისტრირდა 3 690 პროექტი და მიმდინარეობდა გამარჯვებულ ბენეფიციართა გამოვლენის ეტაპი. სააგენტო ინტენსიურად ახორციელებდა აღნიშნული პროცესის მონიტორინგს;
    - მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარებისათვის განხორციელდა მარკეტინგული მომსახურება, რომელიც ითვალისწინებდა პროგრამის ბენეფიციარების მიერ წარმოებული პროდუქტების ბრენდინგს და მარკეტინგულად შეფუთვას, პროდუქტისა თუ სერვისისათვის შესაბამისი სარეალიზაციო არხების მოძიებას და პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისათვის სათანადო სასწავლო კურსების ორგანიზებას;
  - ✓ პროგრამის კინონდუსტრიის წახალისების კომპონენტის ფარგლებში:
    - „AFCI Location and Finance Show 2017“-ზე (ლოს-ანჯელესი) კინოპროდიუსერებისათვის გაიმართა „გადაიღე საქართველოში“ პროგრამის წარდგენა. აღნიშნული ღონისძიებისათვის დაიბეჭდა ე.წ. „Location Book“, რომელშიც მოცემულია საქართველოს



სხვადასხვა ადგილები თანდართული ინფორმაციით. ჩატარდა შეხვედრები ამერიკულ სტუდიებთან და დამოუკიდებელ კინომწარმოებლებთან. მიმდინარეობდა მუშაობა კინონდუსტრიაში მოღვაწე გარკვეული პირების ტექნიკური კუთხით კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე. „გადაიღე საქართველოში“ კომპონენტს შეემატა დამატებით ოთხი პროექტი („NEGATIVE NUMBERS“, „SONU KE TITU KI SWEETY“, „GIRLS ON THE SUN“ და „DADDY’S GIRL“);

- კინოგადაღების დაზღვევის მიზნით ჩატარდა გაცნობითი ხასიათის სემინარი კინონდუსტრიაში მოღვაწე პირთათვის და ორგანიზება გაეწია საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის ვიზიტს საქართველოში. გარდა ამისა, საქართველოს პოტენციალის შესასწავლად, სექტემბერში ჩამოვიდნენ ცნობილი ამერიკელი ლოკაციის მენეჯერები და პროდიუსერები, რომლებმაც ერთი კვირის განმავლობაში დაათვალიერეს რამოდენიმე ლოკაცია (ბათუმი, წყალტუბო, ჭიათურა, თბილისი, ყაზბეგი, დავით გარეჯი და რუსთავი);
- ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში:
  - ✓ საქსპორტო პროცედურებსა და სპეციფიკებზე კონსულტაცია გაეწია 120-ზე მეტ ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიასა და ფიზიკურ პირს. სააგენტოს დახმარებით 53-მა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა 6 საერთაშორისო გამოფენაში (4 საკვები პროდუქტების გამოფენა („Gulfood 2017“, „Anuga 2017“, „Foodex Japan 2017“ და „HOFEX 2017“), საერთაშორისო ტყავის პროდუქტების გამოფენა „LINEAPELLE 2017“ და საერთაშორისო გამოფენა (მომავლის ენერჯია „EXPO 2017 KAZAKHSTAN“);
  - ✓ სააგენტოს ორგანიზებით 40-მდე ქართული კომპანია დაესწრო საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო გამოფენას CIFIT (საქართველო წარსდგა საპატიო სტუმარის სტატუსით);
  - ✓ სააგენტოს ორგანიზებით დაიგეგმა და ჩატარდა 2 საერთაშორისო კონფერენცია (კვლევითი მიმართულებით „BIG DATA WORLD 2017“ და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით „GO TO BERLIN“) და ერთი სავაჭრო მისია ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ყაზახეთში;
  - ✓ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სააგენტომ კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად შეიმუშავა „ექსპორტის მენეჯერის სასერტიფიკატო კურსი“, რომლის მიხედვით გადამზადდა 20-მდე კომპანიის 23 თანამშრომელი;
- მოდის ინდუსტრიის ხელშეწყობის მიზნით, თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში, სააგენტომ უმასპინძლა საერთაშორისო მყიდველებს (ე.წ „ბაიერებს“). გარდა ამისა მერსედეს ბენცის მოდის კვირეულის ფარგლებში სააგენტომ ორგანიზება გაუწია კონფერენციას, რომელსაც ატარებდა საერთაშორისო გაყიდვების კომპანია „Lambert + Associates“;

ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით, გაიმართა შეხვედრები და კონსულტაცია გაეწია (ინფორმაციის მიწოდება სტატისტიკის, კანონმდებლობის, გადასახადებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და კერძო ორგანიზაციებთან) 500-მდე პოტენციურ ინვესტორსა და ბიზნეს დელეგაციას (შეხვედრები ასევე მოიცავდა „aftercare“-ს მიმართულებას). გარდა ამისა, საინვესტიციო მიმართულებით სააგენტომ მონაწილეობა მიიღო 11 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებაში საინვესტიციო პოტენციალის და შესაძლებლობების წარმოჩენის მიზნით. საინვესტიციო მიმართულების ხელშეწყობისათვის დაიწყო 7 ახალი საინვესტიციო პროექტის განხორციელება.

### 5.3 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა გადამხდელთა მომსახურება, მოძრავი სერვის-ცენტრის „RS CAR“-ის საშუალებით, საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული სერვისის საშუალებით მომსახურების მიწოდება განხორციელდა 36 დისლოკაციაზე. სხვადასხვა ტიპის სერვისებით ისარგებლა 7 739 მეწარმე-სუბიექტმა;
- სსიპ - შემოსავლების სამსახურმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე, შეიმუშავა „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია“, რომლის მიზანია აამაღლოს გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი გადახდევინების მაჩვენებელი;
- შემოწმების პროცესის გამჭვირვალობის მიზნით შექმნილია გადასახადის გადამხდელის ვებ-გვერდზე ჩანართი „აუდიტის გვერდი“. რაც საშუალებას აძლევს გადამხდელს გაეცნოს მასზე გამოცემულ შემოწმების ბრძანებასთან დაკავშირებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციას და ამ გვერდიდან განახორციელოს მიმოწერა აუდიტორთან, ხოლო აუდიტორს მიეცა შესაძლებლობა განახორციელოს მიმოწერა გადამხდელთან;
- მომზადდა ტრენინგის თემების ნუსხა და აუდიტორებში ჩატარდა გამოკითხვა ტრენინგების საჭიროებათა გამოსავლენად. განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა მიხედვით დაიგეგმა ტრენინგები. ყველა აუდიტორს სისტემატურად უტარდება ინსტრუქციული სწავლება აღნიშნულ საკითხებში;
- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „წითელი ხიდი“, „ყაზბეგი“, „სადახლო“ და „სარფი“ დამონტაჟდა ტექნიკური საშუალებები - ა/მ ნომრის წამკითხველი კამერა და მონიტორი. აღნიშნულით მოხდება ავტომობილის იდენტიფიცირება, რომელიც გადაადგილებს წინასწარ დეკლარირებულ საქონელს, მათი პრიორიტეტული წესით გამშვების მიზნით. მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მიმართულებით;
- დასრულდა საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“ დაწყებული NUCTECHMB1215HS მოდელის სტაციონარული რენტგენის სკანერის მშენებლობა/დამონტაჟება;
- გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის - კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, ამოქმედდა საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული/გადასაადგილებელი ტვირთების უსაფრთხოების კონტროლის ერთობლივი დანაყოფი;
- ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტის „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“ ფარგლებში, სგპ „წითელ ხიდზე“ მიმდინარეობდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები;
- ამოქმედდა „ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის“ (CIB) მესამე ფაზა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია საბაჟო გამშვები პუნქტების „წითელი ხიდის“ და „სადახლო-საავტომობილოს“ აღჭურვა. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საბაჟო გამშვები პუნქტებისათვის შესაბამისი ინვენტარის შექმნა;
- შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში შეიქმნა ფიზიკური პირის დეკლარაციის მოდული, რომელიც ძირითად შემთხვევებში ჩაანაცვლებს მატერიალურ ფორმას, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საბაჟო კონტროლი და აღრიცხვიანობა, შემცირდება დეკლარაციის შევსებისათვის საჭირო დრო, დაიზოგება ოქმის დასაბეჭდად საჭირო ადმინისტრაციული ხარჯები;
- განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები საქონლის გაფორმების გამარტივების, ჯარიმების ლიბერალიზაციის და ოპტიმიზაციის მიმართულებით. უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განაცხადის მატერიალური ფორმა შეიცვალა ელექტრონულით. თიზ-ის საწარმოში საქონლის დოკუმენტური წესით აღრიცხვას ჩაანაცვლებს ელექტრონული აღრიცხვა;
- ამოქმედდა სპეციალური ავტოსადგომების (ე.წ. TIR პარკების) რიგის ელექტრონული მართვის სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგა საზღვარზე ავტომობილების რიგები და გაუმჯობესდა საბაჟო გამშვები პუნქტების გამტარუნარიანობა;

- მომზადდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც გადასახადის გადამხდელს ექნებათ საშუალება, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდის გამოყენებით, გადააგზავნონ/მიიღონ წერილები სხვადასხვა უწყებებიდან;
- ქ. გუანჯოუში (ჩინეთი), ჩინეთის საბაჟო ადმინისტრაციის ორგანიზებით, გაიმართა საბაჟო სემინარი ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხებზე. სემინარზე განხილულ იქნა ვაჭრობის ხელშეწყობის ისეთი საკითხები როგორცაა: „ერთი სარტყელი ერთი გზის“ ინიციატივა; ახალი ევრაზიული კონტინენტალური ეკონომიკური დერეფნის წახალისების მიზნით საბაჟო ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული ზომები; საბაჟო რისკების მართვა და ინოვაცია; უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის სისტემა; საბაჟო დაზვერვის ტექნოლოგიები; საბაჟოს საინფორმაციო ტექნოლოგიები; საბაჟო მოსაკრებელი; ინოვაციები მენეჯმენტში და სხვა. აღნიშნულ სემინარში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის, ესტონეთის, ირანის, ერაყის, ლატვიის, ლიტვის, მოლდოვას, სომხეთის, სირიის და უკრაინის საბაჟო ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია და გამოცდილება საბაჟო სფეროში ვაჭრობის ხელშეწყობის კუთხით უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

#### 5.4 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტს წარედგინა და დამტკიცებულ იქნა „საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი და „საქართველოს 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტი;
- შემუშავდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018-2021 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად;
- მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს 2016 წლის წლიური და საქართველოს 2017 წლის I კვარტლის, 6 თვის და 9 თვის შესრულების ანგარიშები; მომზადდა 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის დოკუმენტი და დანართის სახით დაემატა საქართველოს 2017 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;
- მომზადდა და დამტკიცდა „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ეტაპობრივად წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში;
- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები;
- საქართველოს მთავრობას წარედგინა ინფორმაცია 2018-2021 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- „საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების

წლიური ანგარიში წარედგინა მთავრობას. წლიურ ანგარიშთან ერთად გაგზავნილ იქნა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ასევე მომზადდა და საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა“;

- საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროექტის ფარგლებში პროგრამული ბიუჯეტირებისა და სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების ხელშეწყობის კუთხით. სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები გაუმჯობესებულია, შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას და მათ მიერ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს. გაიმართა შეხვედრები სამინისტროების 2017-2020 წლების პროგრამული ბიუჯეტის განსახილველად. შეხვედრები მონაწილეობდნენ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტები, რომლებიც დახმარებას უწევდნენ სამინისტროებს პროგრამული ბიუჯეტის დახვეწაში, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (მათ შორის, შესაბამისი სამინისტროების კურატორები) და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები.
- 2017 წლის აპრილში წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ახალ 3 წლიან პროგრამაზე, რომელიც დაეფუძნა საქართველოს მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის შესაბამისად შემუშავებულ მაკრო-ფისკალურ ჩარჩოს და ითვალისწინებს 285 მლნ აშშ დოლარის საბიუჯეტო დახმარების გამოყოფას, პროგრამით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესრულების შესაბამისად. აღნიშნული თანხები მიიმართება საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკების ფარგლებში შეჯერებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის ფისკალურ გეგმებს საშუალოვადიან პერიოდში და სრულად ასახავს საქართველოს მთავრობის მიზნებს დაჩქარდეს და მეტი რესურსი მიიმართოს ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ტურისტული და სატრანზიტო პოტენციალის შემდგომ განვითარებას. ამავდროულად, პროგრამა ითვალისწინებს საგადასახადო კუთხით მიმდინარე რეფორმების შედეგებს, როგორცაა მოგების გადასახადის რეფორმა. პროგრამა ასახავს ზემოაღნიშნული ღონისძიებების გასატარებლად აუცილებელ მაკომპენსირებელ ღონისძიებებს, მათ შორის ადმინისტრაციული ხარჯების მაქსიმალურ შეზღუდვას და ითვალისწინებს სტრუქტურული რეფორმების მთელ ციკლს, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას და უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის ეფექტიანობის ზრდას; წარმატებით დასრულდა პროგრამის ფარგლებში პირველი შეფასება.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში მომზადდა ანგარიში საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შესახებ, რომელსაც თან ახლავს საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე;
- მომზადდა და გამოიცა წიგნი „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“, რომელშიც აღწერილია ევროკავშირთან 10 წლიანი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე;
- ევროკავშირის მხარდაჭერით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები ქ. თბილისში და რეგიონებში (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ბორჯომი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ სამოქალაქო სექტორთან ფისკალური მართვის ძირითადი პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. განხილულ იქნა საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მისი თავსებადობა ევროკავშირის

პრაქტიკასთან, ასევე ამ მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები;

- კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის ხელშეწყობისა და საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავების გზით სახელმწიფო ფინანსების გამოყენების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა „საინვესტიციო პროექტების მართვის“ ტრენინგი კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების განმახორციელებლებისთვის და შემფასებლებისთვის. ტრენინგს ეწვებოდნენ პილოტი მუნიციპალიტეტების (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. თბილისი, ქ. გარდაბანი, ქ. ფოთი), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე, ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა, განიხილეს საინვესტიციო პროექტების მართვის ძირითადი პრინციპები, ჩატარებული ტრენინგების შედეგები და მომავალი თანამშრომლობის გაგრძელების გზები;
- საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევით, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ მომზადებული გზამკვლევი ორ ენაზე (ქართული და ინგლისური) ბეჭდური სახით გამოიცა. გაიმართა აღნიშნული გზამკვლევის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის, დონორი ორგანიზაციების, ასევე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები. გზამკვლევის ორივე ვარიანტი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე;
- მომზადდა 2018 წლის ბიუჯეტის გზამკვლევი და მოკლე ბროშურა 2018 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე;
- ღია ბიუჯეტის კვლევის 2017 წლის შეფასებით საქართველომ 82 ქულით (Open Budget Index) მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის და მოექცა სრულიად გამჭვირვალე მოწინავე ქვეყნების (ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი და ნორვეგია) ჯგუფში;
- საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ყირგიზეთის რესპუბლიკასთან. ხელი მოეწერა საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას;
- მიმდინარეობდა ბიუჯეტის შემოსულობების მონიტორინგი. კერძოდ, მზადდება ყოველთვიური და ყოველდღიური ინფორმაციები გადასახადების, სხვა შემოსავლების, ფინანსური და არაფინანსური აქტივების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ყოველი თვის დასრულების შემდეგ ხორციელდება მოსალოდნელი წლიური შემოსავლების პროგნოზების ანალიზი;
- ყოველთვიურად მზადდება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე თავსდება ანალიტიკური და ინფორმაციული მასალა, ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ;
- „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში აისახა სამუშაო ჯგუფის წევრების, მსოფლიო ბანკის (World Bank) და სხვა დაინტერესებული მხარეების შენიშვნები და გადაგზავნილ იქნა საქართველოს პარლამენტში და დამტკიცდა მისში. შეიქმნა კანონით გათვალისწინებული სსიპ „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო“;
- შემუშავდა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის გარე შეფასების სახელმძღვანელოს პირველადი ვარიანტი;
- სახელმწიფო ვალი აკმაყოფილებს ვალის მდგრადობის ძირითად ინდიკატორებს. სამინისტროს ვებ-გვერდზე ყოველთვიურად ქვეყნდება ინფორმაცია სახელმწიფო ვალის მდგომარეობისა და საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ;
- საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან - „Standard &

Poor's“, „Fitch“ და „Moody's. 2017 წლის ბოლოსთვის საქართველოს Standard & Poor's და Fitch-ის შეფასებით „BB- სტაბილური“ რეიტინგი აქვს მინიჭებული. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის შეფასებით კი „Ba2 სტაბილური“. Moody's -მა გააუმჯობესა შეფასება Ba3-დან Ba2-მდე, რაც არის პირველი გაუმჯობესება 2010 წლის შემდეგ;

- გრძელდებოდა მოლაპარაკებები დონორებთან/განვითარების პარტნიორებთან განსაზღვრული პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების მიზნით შეღავათიანი ფინანსური რესურსის მისაღებად. თითოეული სესხის ფინანსური პარამეტრების შერჩევა ხდება ისე, რომ მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელის ხელსაყრელი მაჩვენებლები. 2017 წლის განმავლობაში გაფორმდა 39 ხელშეკრულება, მათ შორის: 15 სასესხო, 2 საგრანტო, 4 ქვესასესხო და 18 სხვა სახის;
- ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების 54 აუქციონი, გამოშვებული იყო 1 488.0 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გაზრდისა და საჯარო ფინანსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზის განხორციელების მიზნით, საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაემატა ახალი ანგარიშგებების ფორმები. გარდა ამისა, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციების გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, მუდმივად ხდება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენება;
- IPSAS სტანდარტების სამოქმედო გეგმით (2017-2020) გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები. ამასთან, აღნიშნული ტექნიკური დახმარების ფარგლებში, უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადდა IPSAS სტანდარტების შესაბამისობის ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. სახაზინო სამსახურის მიერ მომზადდა ტრენინგ-პროგრამა 2017 წლიდან დანერგილ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში. აღნიშნულ სტანდარტებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადება განსაზღვრულია 2018 წელს. ასევე, განისაზღვრა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში რეფორმის განხორციელების პერიოდულობა და ძირითადი მიმართულებები;
- გაიმართა შეხვედრა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და კომპანია ბლუმბერგის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის ფარგლებში ბლუმბერგის წარმომადგენლებმა სახაზინო სამსახურის წარმომადგენლებს გააცნეს კომერციულ ბანკებში ფულადი სახსრების განთავსების მოდულის ფუნქციონალი. აღნიშნული მოდულის გამოყენებით, სახაზინო სამსახურმა, კომერციულ ბანკებთან ერთად, დეპოზიტების განთავსებასთან დაკავშირებით ჩატარა სატესტო რეჟიმში აუქციონები;
- სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხაზინამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან და კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესი“.

## 5.5 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მომზადდა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის/მაჩვენებლების ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტები, რომელებიც მოიცავს: ზოგად ეკონომიკურ მიმოხილვას, მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკისა და პოტენციური დონის შეფასებას, ქვეყნის წინაშე არსებული რისკებისა და

შესაძლებლობების შეფასებას, ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირებასა და ანალიზს;

- მომზადდა კანონის პროექტი „საჯარო-კერძო თანამშრომლობის“ შესახებ, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ და განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტს;
- „ბიზნეს სახლის“ პროექტში ჩართულ მხარეებთან ერთად განხორციელდა სახელმწიფო სერვისების ანალიზი და შემუშავდა აღნიშნული სერვისების გაციფროვნების და ერთიან პორტალზე ინტეგრირების გეგმა;
- ეკონომიკური მმართველობის რეფორმის ფარგლებში შემუშავდა ინტერაქციული პორტალის „You.gov.ge“ კონცეფცია და განხორციელდა მისი სატესტო რეჟიმში გაშვება. აღნიშნული პორტალი წარმოადგენს პლატფორმას, რომლის საშუალებითაც ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების შემუშავების პროცესში;
- განხორციელდა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის ინდიკატორებზე კითხვარების (ბიზნესის დაწყება, ქონების რეგისტრაცია, მცირე აქციონერთა უფლებების დაცვა და მშენებლობის ნებართვა) შევსება;
- მომზადდა ბროშურა „საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2012-2016 წლები“, განახლდა ბროშურა „საქართველო მსოფლიო რეიტინგებში“ და აგრეთვე, მომზადდა 2012-2017 წლების ანგარიში, სადაც თემატურად არის მოცემული საქართველოს გაუმჯობესებული პოზიციები და შეფასებები სხვადასხვა რეიტინგებში;
- მომზადდა პრეზენტაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე: „საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2012-2017 წლები“, რომელშიც თემატურად შეფასდა საქართველოს პოზიციები რეიტინგების ინდიკატორებსა და კომპონენტებში; „გლობალური კონკურენტუნარიანობის 2017-2018 წლების ინდექსის“ და Fraser Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგების ინდიკატორებსა და კომპონენტებზე;
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ პროექტზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასების ანგარიში;
- მომზადდა შრომის ბაზრის ყოველწლიური ანალიზი, რომელიც მოიცავს დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს (მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში). ჩატარდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა“ სამინისტროს მიერ მომზადებული მეთოდოლოგიური ჩარჩოსა და კითხვარის მიხედვით. დაიდო ხელშეკრულება სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან კვლევითი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით (ითვალისწინებს სავსე სამუშაოების შესრულებას, მონაცემთა ბაზის ფორმირებასა და ანგარიშის მომზადებას). მომზადდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდის ახალი ლოგო, რომლის მიზანს წარმოადგენს სისტემის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება.
- მიმდინარეობდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2016-2020 წლების) სამოქმედო გეგმით 2016-2017 წლებისათვის განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების კოორდინაცია/მონიტორინგი და მის საფუძველზე მომზადდა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ 2017 წლის წლიური ანგარიში და წარედგინა საქართველოს მთავრობას. გარდა ამისა, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- მომზადდა კანონის პროექტი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ და წარედგინა პარლამენტს, შემდგომში კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვის მიზნით;
- მიმდინარეობდა მუშაობა კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშემწყობ ინიციატივებზე. შემუშავდა საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონმდებლობის პირველადი ვერსია. კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფინანსური ინსტრუმენტების საგადასახადო დაბეგვრის სამართლიანი

რეჟიმის და ადმინისტრირების გამარტივების კუთხით მიმდინარეობდა საკანონმდებლო ცვლილების შემუშავება შესაბამის უწყებებთან ერთად;

- მომზადდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის (DCFTA) 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. მომზადდა და დამტკიცდა DCFTA-ის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და აგრეთვე, DCFTA-ის განხორციელების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ქ. თბილისში გაიმართა ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მე-4 სხდომა. სადაც, ევროპულმა მხარემ დადებითად შეაფასა DCFTA-ის იმპლემენტაციის მიზნით საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები;
- მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის DCFTA-ს შესახებ პრაქტიკული, საკანონმდებლო სახის და სხვა საჭირო ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდების მიზნით შეიქმნა ვებგვერდი [www.dcfta.gov.ge](http://www.dcfta.gov.ge) (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და გამართა მისი პრეზენტაცია;
- რატიფიცირებულ იქნა:
  - ✓ პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენცია (ძალაში შევიდა 2017 წლის მაისიდან), რომელიც საქართველოს აძლევს საშუალებას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, ურთიერთ ვაჭრობისას დიაგონალური კუმულაციის პრინციპით, ისარგებლოს კონვენციის იმ წევრ ქვეყნებთან, ვისთანაც აქვს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება;
  - ✓ საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. 2017 წლის სექტემბრიდან შეთანხმება ძალაში შევიდა ისლანდიასა და ნორვეგიასთან, რის შედეგად საქართველოს დამატებით გაეხსნა 5.6 მილიონიანი თავისუფალი ვაჭრობის მქონე საექსპორტო ბაზარი;
  - ✓ საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რის შედეგად საქართველოს დამატებით გაეხსნა 1.4 მილიარდიანი თავისუფალი ვაჭრობის მქონე საექსპორტო ბაზარი;
  - ✓ საქართველო-თურქეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში დიაგონალური კუმულაციის შესახებ ცვლილებების შეტანის გადაწყვეტილება. DCFTA-ში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდგომ შესაძლებელი იქნება დიაგონალური კუმულაციის განხორციელება საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის, რაც დამატებით იმპულსს მისცემს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას;
- მიმდინარეობდა პროცედურები საქართველო-ჰონკონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით. შეთანხმების ამოქმედების შემდგომ საქართველოს გაეხსნება 7.3 მილიონიანი თავისუფალი ვაჭრობის მქონე სამომხმარებლო ბაზარი;
- მომზადდა ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზანშეწონილობის ერთობლივი კვლევა;
- მომზადდა ანალიზი როგორც საგარეო ვაჭრობის კომპონენტების (ექსპორტ-იმპორტი), ასევე სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების მიხედვით და გამოიკვეთა ერქსპორტის განვითარების დადებითი ტენდენციები;
- სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის ორმხრივი სამართლებრივი ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი შეთანხმებების პროექტებზე: „გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ (შვეიცარიასთან), „ინვესტიციების ხელშეწყობა და დაცვა“ (უნგრეთი და იტალია), „სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“ (სერბეთი), „ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“ (ხორვატია), „კანადასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“;
- მომზადდა „საქართველოს მთავრობასა და მექსიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობის შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და მექსიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“;



- მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი შეთანხმებების პროექტებზე: „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“;
- ხელი მოეწერა შემდეგ შეთანხმებებს: „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და უნგრეთის ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს შორის ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ მემორანდუმს“, „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ერთობლივი მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის დაფუძნების შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და უნგრეთის ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს“; „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების კომისიის ჩამოყალიბების შესახებ დეკლარაციას“, „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი შეთანხმებების პროექტებზე: „საქართველოსა და უნგრეთს შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ“, „საქართველოსა და იტალიას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ“, „კანადასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და მექსიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივი ხელშეწყობის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და მექსიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“, „საქართველოსა და ბელარუსს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“, „საქართველოსა და ყაზახეთს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“, საქართველოსა და ყირგიზეთს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ; „საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის სტრანდარტების, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის სტრანდარტების, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სტრანდარტების, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- გაიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მორიგი სხდომები 8 ქვეყანასთან: ლატვია, ავსტრია, ჩეხეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, მოლდოვა, თურქმენეთი და ყაზახეთი.
- გაიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის ორმხრივი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ორი სხდომა ბელარუსთან.

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და განვითარების პროექტის ფარგლებში ინვესტორის მიერ წარმოდგენილი პორტის გენერალური გეგმის განხილვის მიზნით გაიმართა სამთავრობო კომისიის სხდომები;
- ქ. ბათუმში გაიმართა საერთაშორისო საზღვაო კონფერენცია „Black Sea Stakeholder Conference“;
- ინიცირებულ იქნა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები შემდეგი საერთაშორისო კონვენციების საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარების მიზნით: „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“ ათენის კონვენცია; „საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის“ შესახებ საერთაშორისო კონვენცია; „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ“ 2001 წლის კონვენცია და „სატვირთო მარკის შესახებ 1966 წლის საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებული 1988 წლის პროტოკოლი“;
- 2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები ორმხრივი საზღვაო შეთანხმებების გაფორმების მიზნით შემდეგ ქვეყნებთან: ეგვიპტე, იტალია, კატარი, დიდი ბრიტანეთი და სინგაპური;
- სამართლებრივი ექსპერტიზა ჩატარდა შემდეგ ნორმატიულ აქტებს: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ პროექტს, „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს, „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების“ პროექტს, „ნავსადგურის წესების დამტკიცების შესახებ“ პროექტს, „საქართველოს ბალასტური წყლის მართვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ პროექტს და სხვა;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის განხორციელების ხელშეწყობის პროექტის, (საქართველოში ლოგისტიკის დარგის განვითარების კომპონენტის) ფარგლებში, ცნობილმა გერმანულმა კომპანია „Dornier Consulting International“-მა მოამზადა საქართველოში 2 თანამედროვე ლოგისტიკური ცენტრის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად შეირჩა ორი საუკეთესო ლოკაცია (აღმოსავლეთ საქართველოში სოფელ კუმისთან და ქუთაისის აეროპორტის მიმდებარედ) და მომზადდა თითოეული ლოგისტიკის ცენტრის კონცეპტუალური დიზაინი, ბიზნეს მოდელი, გაკეთდა ბაზრის ანალიზი, სოციალური და გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ოპერირების ოპტიმალური მოდელი, დასაქმებულთა რაოდენობა და საჭირო კვალიფიკაცია. გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა ინვესტორის შესარჩევად თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობის მიზნით;
- ქ. აშხაბადში, ავღანეთის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის კონფერენციის (RECCA-VII) ფარგლებში მოეწერა ხელი სატრანზიტო და სატრანსპორტო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (ლაპის ლაზულის მარშრუტის შეთანხმება);
- დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების პირველი ეტაპი „ბალტიის ზღვა - შავი ზღვა - კასპიის ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის შესახებ“ შეთანხმების პროექტზე და შენიშვნები/წინადადებები შეთანხმების პროექტის მიმართ გადაეგზავნა უკრაინულ მხარეს;
- გაიმართა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიების შეხვედრები (ავსტრია, ჩეხეთი, საბერძნეთი და ინდოეთი);
- საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთის, ავღანეთისა და თურქმენეთის საელჩოების ორგანიზებით ქ. ვაშინგტონში გამართა მეორე ყოველწლიური რეგიონალური სატრანსპორტო ფორუმი „Trans Caspian East-West Transit Corridor“, რომელიც მიზნად ისახავდა აზიასა და ევროპაში მოღვაწე მსხვილი ამერიკული კომპანიებისათვის ახალი სატრანზიტო მარშრუტის შეთავაზებას და რეგიონის პოტენციალის გაცნობას. აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელმა;

- ქ. თბილისში გაიმართა CAREC-ის ტრანსპორტის სექტორის საკოორდინაციო კომიტეტის შეხვედრა, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა CAREC-ის დერეფნებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის: საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია, სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარების სტრატეგია და საჰაერო მიმოსვლის განვითარების საკითხები;
- მომზადდა სომხეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო მარშრუტების კონკურენტუნარიანობის ანალიზი და შესწავლილ იქნა ერევანი-გუგუთი/ნინოწმინდა/სადახლო-ლარსი-მოსკოვის საავტომობილო და ერევანი-სადახლო-ფოთი-კავკაზი-მოსკოვის სარკინიგზო/საბორნე მარშრუტების გადაზიდვების სტატისტიკა, ღირებულება და ხანგრძლივობა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ევროკომისიის ორგანიზებით ქ. ბრიუსელში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრანსპორტის პანელის მე-13 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სატრანსპორტო ქსელის ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელში (TEN-T – Trans-European Transport Network) არსებული პროექტები, სამომავლოდ ახალი პროექტების განხილვის შესაძლებლობები და აგრეთვე, რეგიონში საგზაო უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის საკითხი. გარდა ამისა, მონაწილეობა იქნა მიღებული ევროკომისიის ორგანიზებით ქ. ტალინში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრანსპორტის მინისტრიალში;
- ქ. თბილისში გაიმართა საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის სფეროში საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მხარეებს შორის ერთობლივი კომისიის მორიგი მე-7 სხდომა, სადაც მხარეებმა მთელ რიგ საკითხებზე მიაღწიეს შეთანხმებას და კონკრეტულ ვადებში დასახეს პრობლემების მოგვარების ღონისძიებები;
- შემუშავდა საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმების (ADR) იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით დამტკიცდა აღნიშნული ტვირთების გადაზიდვაში მძღოლების სპეციალური მომზადების სასწავლო პროგრამები და ასევე, მიმდინარეობდა გეგმით გათვალისწინებული სხვა სამუშაოები;
- შვეიცარულ კომპანია „SGS Societe Generale da Surveillance SA“-სთან გაფორმდა კონტრაქტი საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების საკითხებში საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიზნით;
- გაიმართა: საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული საგზაო უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომისიის სამი სხდომა, სადაც განხილულ იქნა 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საკითხები; საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის სფეროში საქართველოსა და ბელარუსის მხარეებს შორის ერთობლივი კომისიის მორიგი სხდომა, სადაც განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის ორგანიზებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები;
- დასრულდა „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმების პროექტზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და გადაეგზავნა ჩინეთის მხარეს;
- „იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის არასაპროექტო გრანტის შესახებ“ 2015 წლის 10 მარტს გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში გამოცხადდა ტენდერი იაპონური წარმოების მსუბუქი ავტომობილების შესყიდვის მიზნით. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან („Mitsubishi Corporation-თან“) გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე განხორციელდა 96 ერთეული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვა (მათ შორის: 45 ერთეული Mitsubishi Outlander (ახალი თაობის ჰიბრიდის ტიპის (Plug-in Hybrid) ავტომობილი) და 51 ერთეული - Mitsubishi I-Miev (ელექტრო ავტომობილი)) და მათი გადაცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის;
- ქ. აშხაბადში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“;
- ქ. თბილისში საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის სფეროში საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხარეებს შორის გამართულ ერთობლივი კომისიის მორიგ სხდომაზე მხარეებმა

განხილეს ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის სფეროში თანამშრომლობის საკითხები, ხოლო საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკის მხარეებს შორის გამართულ ერთობლივ კომისიის მორიგ სხდომაზე - ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების საკითხები;

- კომპანია SGS-ის ანგარიშის საფუძველზე მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები“ დამტკიცების თაობაზე.
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, 2009/40/EC ევროდირექტივის საქართველოში იმპლემენტაციის მიზნით, მომზადდა მთავრობის დადგენილების პროექტი „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც განსაზღვრავს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ერთიან ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ნორმატიულ ბაზას.
- სარკინიგზო ტრანსპორტის საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა:
  - ✓ „პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ კონვენციის“ ტექსტის მიღების საერთაშორისო კონფერენციის მეორე სესია (ქ. ვარშავა);
  - ✓ ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს 26-ე სხდომა (ქ. თბილისი), რომლის ფარგლებშიც განხილული იყო პროექტთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები;
  - ✓ სამხრეთი შეხვედრები ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტთან დაკავშირებით (ქ. ყარსში და ქ. თბილისში), რომლის მთავარ მიზნებს წარმოადგენდა ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი დამაკავშირებელი სარკინიგზო მონაკვეთის პროექტის რეალიზაციის პროგრესი;
- საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გაფორმდა „საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების“ მემორანდუმი, რომელიც ქართულ მხარეს აძლევს ინდოეთის უმსხვილეს საერთაშორისო აეროპორტებში რეგულარული ფრენების განხორციელების შესაძლებლობას (დელი, მუმბაი, გოა, ჩენაი, ჰაიდერაბადი და ბენგალურუ);
- საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა: „საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება“; „საქართველოს მთავრობასა და ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმება, რომლის მიხედვით ავიასაწარმოებს ეძლევათ საშუალება დამოუკიდებლად განსაზღვრონ ტარიფები და ტევადობა, ფრენების სიხშირე და საჰაერო მიმოსვლა ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ პუნქტებს შორის, საიდანაც ხორციელდება/შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლა;
- დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები „საქართველოს მთავრობასა და საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების პროექტებზე;
- რელიეფისა და დაბრკოლებების ელექტრონული მონაცემების დანერგვის მიზნით შემუშავდა აღნიშნული გეგმის დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენილ იქნა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციაში განხორციელებული ცვლილებები (50-ე და 56-ე მუხლები) შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების უზრუნველყოფისა და შემდგომი მიერთების მიზნით. საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა აღნიშნული ცვლილებების რატიფიცირება;
- რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების დანართში შეტანილ იქნა ცვლილებები ქართული ავიაგადამზიდველებისათვის დანიშნული პუნქტების რაოდენობის გაზრდის მიზნით;

- მომზადდა „საქართველოს მთავრობასა და ისლანდიის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმება და გაიგზავნა კანონმდებლობით დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გასავლელად;
- დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები „საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების პროექტზე;
- მომზადდა ვრცელი ინფორმაცია ფრანგული და ინდური ავიაკომპანიებისათვის საქართველოსა და საფრანგეთს შორის და აგრეთვე, ინდოეთსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის დაწყების მიზნით;
- გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს საავიაციო ხელისუფლებასა და ტუნისის საავიაციო ხელისუფლებას შორის, რომელიც ითვალისწინებს ძირითად პირობებს რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწყებისათვის;
- „საჰაერო მიმოსვლის ლიბერალიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად თურქეთის მხარის ინიციატივით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელმოწერილ საჰაერო ტრანსპორტის დარგში შეთანხმების ცვლილებების ოქმის პროექტი, რომლის მიხედვით ორივე ქვეყნის ავიასაწარმოებს ეძლევათ საშუალება გააფორმონ მარკეტინგული შეთანხმებები (ბლოკ ადგილები, ზიარი კოდის გამოყენება ან სხვა კომერციული შეთანხმებები). პროექტზე დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები;
- დასრულდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და ძალაში შევიდა საქართველოს საჰაერო კოდექსის ცვლილების პროექტი, რომელიც განპირობებული იყო სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მიერ სსიპ-სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში 2013 წელს ჩატარებული ყოვლისმომცველი აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრით, საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით და ასევე, კოდექსის „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციასთან და მის დანართებთან შესაბამისობაში მოყვანით;
- შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დახმარებით განხორციელდა საბინაო სექტორის ბაზრის შეფასება საქართველოში. განხორციელდა პროექტის პირველი ფაზით გათვალისწინებული საცხოვრისი სექტორის ანალიზი. შემუშავდა ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია (NEEAP);
- დანიის სამეფოს დაფინანსებითა და დანიური საკონსულტაციო კომპანია „Niras“-ს დახმარებით, მიმდინარეობდა „ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ ოთხწლიანი პროექტის განხორციელება. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის, ნორმატიული აქტების და სხვა დოკუმენტაციის ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან, რისი ვალდებულებაც საქართველოს მთავრობამ აიღო ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერით;
- ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4ENERGY-ის მე-3 კომპონენტის ფარგლებში შეიქმნა კანონპროექტი „საქართველოს კანონი „შენობების ენერგოეფექტურობის“ შესახებ“;
- ევროკოდების თარგმნის სარედაქციო კოლეგიის მიერ მიმდინარეობდა შემდეგი ევროკოდების თარგმნა/რედაქტირების სამუშაოები: ევროკოდი 3 EN 1993 - „ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება“, ევროკოდი 8 EN 1998-1 - „სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“ (ნაწილი 1: ზოგადი წესები, სეისმური ზემოქმედებები და წესები შენობებისათვის მეორე რედაქტირებული ვერსია) და ევროკოდი 8 EN 1998-2 - „სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“ (ნაწილი 2: ხიდები“. მეორე რედაქტირებული ვერსია);
- ჩატარდა „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“-ს 52 სხდომა, სადაც განხილულ იქნა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტები (გარდა თბილისის

მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) და პროექტები სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე (ჯამში 1013 პროექტი);

- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა გეგმარებითი დავალებები ბაკურიანის, ბახმაროს, ურევი-შეკვეთილის და გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიებზე და მის საფუძველზე კომპანიების მიერ შემუშავებულ იქნა ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციები;
- დასრულდა მუშაობა იყალთოს ხევისა და ბახმაროს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციებზე;
- დასრულდა და საქართველოს მთავრობის სხდომაზე წარსადგენად მზადდება ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია;
- დასრულდა პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციაზე: 4 მუნიციპალიტეტისათვის (მესტია, ახმეტა, ონი, ამბროლაური, 2 დასახლებისათვის (ზემო ალვანი და ქვემო ალვანი) და 28 სოფლისათვის (ჭოლაში, არცხელი, ზარდალში, ლახირი, მაჯვდიერი, მურშველი, ჯაბეში, ჟამუში, ღვებრა, ჩვაბიანი, ცალდაში, ომალო, დართლო, ფარსმა, გირევი, დოჭუ, ჯვარბოსელი, შენაქო, დიკლო, ინდურთა, ეთელთა, უწერა, მრავალძალი, კურორტი შოვი, ნიკორწმინდა, ჭრებალო, წესი და შაორის ტურისტულ - სარეკრეაციო კომპლექსი).
- უმსხვილეს საერთაშორისო საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენაზე „China International Fair for Investment & Trade“ (ქ. სიამენი), სადაც საქართველო მიწვეული იყო საპატიო ქვეყნის სტატუსით, დამსწრე აუდიტორიას წარედგინა ინფორმაცია საქართველოს ბიზნეს-კლიმატის, საინვესტიციო და სავაჭრო შესაძლებლობების შესახებ. გამოფენის ფარგლებში გაიმართა მაღალი დონის სამთავრობო შეხვედრები, ორმხრივი სესიები კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის და ბევრი სხვადასხვა ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების გაღრმავებას;
- დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა საინვესტიციო კატალოგი „Georgia - Investment Opportunities 2017“, რომელშიც თავმოყრილია კერძო და სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები. გარდა ამისა, კატალოგი შეიცავს ინფორმაციას ინვესტიციების წახალისების შესახებ, სახელმწიფოს ინიციატივებზე და მსხვილ საპრივატიზაციო ობიექტებზე;
- მომზადდა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ტურიზმისა და წარმოების მიმართულებით, რომლის წარდგენა გაიმართა ქ. რომში გამართულ საქართველო-იტალიის ბიზნეს ფორუმზე. გარდა ამისა, კომპანია „ბიას“ მიერ ორგანიზებულ ბიზნეს ფორუმისათვის „საქართველოს ეკონომიკა: პერსპექტივები და გამოწვევები“ მომზადდა ზოგადი პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ;
- ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების/საინვესტიციო ფონდების შეხვედრები (ქ. თბილისში) ბიზნეს-ასოციაცია „მედეფ ინტერნეიშენალის“ ბიზნეს-დელეგაციასთან (25 ფრანგული კომპანია), სადაც ფრანგულ მხარეს წარედგინა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ;
- ჩატარდა საქართველო-უნგრეთის ბიზნეს ფორუმი, რომელსაც ესწრებოდა 180-მდე სტუმარი საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, საჯარო და კერძო სექტორის წრეებიდან. აღნიშნული ფორუმისათვის მომზადდა პრეზენტაციები საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და პროექტების შესახებ;
- ქ. ერევანში გამართულ სომხეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმზე (ოფიციალურ პირებთან ერთად ესწრებოდა 200-მდე სომხური და 30-მდე ქართული კომპანია) მონაწილეებს წარედგინა პრეზენტაციები საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და პროექტების შესახებ;
- ქ. თბილისში ჩატარდა ქართულ-იტალიური ბიზნეს ფორუმი, სადაც იტალიურ მხარეს წარედგინა პრეზენტაციები და საინვესტიციო პროექტები ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის და წარმოების შესახებ. ფორუმის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შესაბამისი სამინისტროებისა და სახელმწიფო სააგენტოების წარმომადგენლებთან და აგრეთვე, ორმხრივი გაცნობითი ხასიათის შეხვედრები იტალიურ კომპანიებსა და მათ პოტენციურ ქართველ პარტნიორებს შორის;
- გაიმართა შეხვედრები 80-ზე მეტ ინვესტორთან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;

- ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ღონისძიება „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელიც ხელს შეუწყობს აბრეშუმის გზის ფარგლებში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ტრანსპორტის, ვაჭრობის, კომუნიკაციების, ენერგეტიკის სფეროებში და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის გაცნობაში. ღონისძიებას დაესწრო 2000-მდე სტუმარი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის არაერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელი პირველი პირი, საერთაშორისო ორგანიზაციების და კერძო სექტორის ხელმძღვანელი პირები.
- შესწავლილ და დამუშავებულ იქნა ელექტრონული კომერციის შესახებ ევროკავშირის დირექტივა (2000/31/EC) და ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა. აღნიშნულზე დაყრდნობით და ასევე, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის (G4G)“ დახმარებით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“. კანონპროექტი განსახილველად მიეწოდა საჯარო უწყებებს, განხორციელდა მიღებული შენიშვნების დამუშავება და მიმდინარეობდა კანონპროექტის დახვეწის სამუშაოები. კერძო და საჯარო სექტორთან მოეწყო კანონის პროექტის პრეზენტაცია და დეტალური განხილვა;
- EBRD-სა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში საკონსულტაციო კომპანიის მიერ, ფოსტის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროპულ სტანდარტებთან მისადაგების მიზნით, განხორციელდა საფოსტო სფეროში არსებული სიტუაციის ანალიზი, განისაზღვრა ფოსტის პოლიტიკის მიმართულებები და მიმდინარეობდა კანონის პროექტის გადახედვა/მოდიფიკაცია. აღნიშნული საგრანტო დახმარების მე-4 ფაზის ფარგლებში, ევროპელი ექსპერტის ჩართულობით, ჩატარდა „ფოსტის შესახებ“ კანონპროექტის პრეზენტაცია/საჯარო განხილვა. მომზადდა აღნიშნული კანონპროექტის თანმდევი კანონპროექტები. კანონპროექტი „ფოსტის შესახებ“ განსახილველად და დასკვნისთვის გაეგზავნა ევროკომისიას;
- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული ევროდირექტივების (პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა (2002/58/EC); ავტორიზაციის შესახებ დირექტივა (2002/20/EC); დაშვების შესახებ დირექტივა (2002/19/EC) ჩარჩო დირექტივა (2009/140/EC); რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ გადაწყვეტილება (676/2002/EC)) შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების კანონპროექტის შემუშავებაზე;
- ევროკომისიისა და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ პროექტის EU4Digital მიმართულების განვითარების მიზნით, დაიწყო მუშაობა საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე;
- მიმდინარეობდა „თუშეთის სათემო ინტერნეტიზაციის“ პროექტის განხორციელება (ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდა თუშეთის 24 სოფლისა და 4 ხეობისათვის), რომელიც დადებით ზეგავლენას მოახდენს თუშეთის შემდგომ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებით კი თუშეთის ტურისტული პოტენციალის გაზრდაზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა ინტერნეტ მმართველობის „GeoIGF TBILISI“ ფორუმის საორგანიზაციო საკითხებზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა „თბილისის აბრეშუმის გზის“ ფორუმის საორგანიზაციო და ასევე, ორი პანელის Digital Connectivity და eCommerce საორგანიზაციო და განსახილველ საკითხებზე;
- ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ახალი საინფორმაციო სივრცის ფორმირების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ყველა დაინტერესებულ მხარესთან (მათ შორის აზერბაიჯანთან, თურქეთთან, ირანთან, ინდოეთთან, ყაზახეთთან, თურქმენეთთან, ყირგიზეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან);
- აზია-წყნარი ოკეანის საინფორმაციო სუპერ მაგისტრალის (IP-IS) ფორმირების UNESCAP-ის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ირანთან მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე,

საქართველოს ტერიტორიის გავლით საერთაშორისო საფოსტო გზავნილების ტრანზიტულად გაცვლის შესახებ;

- თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ქვეყნის ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო ქსელების განვითარების/ფუნქციონირების, მათი გლობალურ ქსელებში ინტეგრირების უზრუნველყოფისათვის მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) და ევროპული ქვეყნების ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციათა კონფერენციის (CEPT)) მუშაობაში.
- დასრულდა მუშაობა ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტის შემუშავებაზე, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის, ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის, ბაკურიანისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის და აგრეთვე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - ნიკორწმინდა, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციების შემუშავებაზე;
- დასრულდა მუშაობა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, იყალთოს ხევის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებაზე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით დამტკიცდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები და თვითმმართველი თემის - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, იყალთოს ხევის განაშენიანების რეგულირების გეგმა;
- მიმდინარეობდა მუშაობა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის, ქ. თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, ქ. თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის და უშგულის თემის სოფლების (ჭიბიანის, ჩვიბიანის, მურყმელისა და ჩაჟაშის) განაშენიანების რეგულირების გეგმებისა და ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შემუშავებაზე და დაიწყო პირველი ეტაპის სამუშაოების განხორციელება;
- განხორციელდა საქართველოს მამულებით მგზავრთა საჯარო გადაყვანა, რამაც განაპირობა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოს, როგორც ტურისტული რეგიონის, ცნობადობის გაზრდა.

5.6 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04) პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - დასრულდა ახალ ტექნოლოგიაზე (HTML, Angular JS) გადაწერილი შემოსულობების, გადასახდელებისა და ადმინისტრირების მოდულების ტესტირება და დანერგვა. იურიდიული პირების ანგარიშგების სისტემას (eGLE) დაემატა ახალი სავალიდაციო და ანალიტიკური ფუნქციონალი. შემუშავდა და გაეშვა ნორმატიული აქტების ცვლილებების აღრიცხვის ახალი ფუნქციონალი, რომლის შედეგადაც უზრუნველყოფილ იქნა ცვლილებების ისტორიის სრულყოფილი ადმინისტრირება. მიზნობრივი გრანტების გეგმის ცვლილების პროცესს დაემატა სახაზინო ვალდებულებებთან კონტროლის მექანიზმი. ახალ ტექნოლოგიაზე გადაიწერა კონსოლიდაციის მოდული. მოხდა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის ადაპტირება არასტანდარტულ შემთხვევებთან, რომლებიც შესაძლოა წამოიქმნას კანონში ცვლილებების დროს. მიზნობრივი გრანტის ცვლილების ცნობებს დაემატა ახალი სავალიდაციო ფუნქციონალი. გაფართოვდა დინამიური ანგარიშგების დოკუმენტების შექმნის ფუნქციონალი. სისტემას დაემატა გენერირებული



ანგარიშგების დოკუმენტების ისტორიასა და სტატისტიკასთან წვდომის ფუნქციონალი, რაც ერთხელ გენერირებულ ანგარიშგების დოკუმენტთან სწრაფად და მარტივად წვდომის შესაძლებლობას იძლევა. განხორციელდა თვითმმართველი ქალაქისა და თემის გაერთიანების სახელმწიფო რეფორმის შესაბამისი ცვლილებების მხარდაჭერი სამუშაოები, რის ფარგლებშიც უზრუნველყოფილ იქნა ცვლილებების ისტორიისა და წლებს შორის კავშირების შენარჩუნება. პრობლემების აღმოფხვრისა და დახვეწის მიზნით მიმდინარეობდა eDMS სისტემასთან საინტეგრაციო მოდულის ტექნიკური ანალიზი. დაიწყო კონფიგურაციის მოდულის რეორგანიზაციის სამუშაოები.

- eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - ფუნქციონალური ცვლილებების მხრივ განხორციელდა 5-მდე ცვლილება (გადავადებული მოთხოვნების აღდგენის ლოგიკა, მობრუნებული დავალების რეგისტრაციის ლოგიკა, დასამოწმებელი მოთხოვნების ასახვის ლოგიკა და სხვა). დამატებული კონტროლისა და ვალიდაციების მხრივ განხორციელდა 10-მდე ცვლილება (მოთხოვნების დამუშავება და სახელფასო უწყისის გენერაცია, ნორმატივების არსებობის კონტროლი, მოთხოვნების დამუშავების პროცესი და სხვა). დაემატა 20-მდე ანგარიშგება (ფაქტიური ხარჯების შესახებ, დეტალური მუხლების მიხედვით, ხაზინაში მიღებული ან/და დამტკიცებული სახელფასო პაკეტების შესახებ, ბიუჯეტის გადასახდელები, თანადაფინანსება და კრედიტები და სხვა). განხორციელდა სისტემის მიგრაცია ანგულარ ტექნოლოგიაზე, შეიცვალა სერვისები და დაემატა ახალი მოდულები. შესრულდა ხარჯებისთვის ბუღალტრული დარიცხვის დამატებისათვის სამუშაოები. გაეშვა ინვოისის რეფორმის პირველი (ხარჯების) ეტაპი. დაემატა ახალი მოდულები ხაზინის ელექტრონული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში. რეფორმის შესაბამისად, შეცვლილია ელექტრონული ხაზინის სერვისები. შემოსავლების ელექტრონულ სერვისში დაემატა შემოსავლების სამსახურის ბაზიდან სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურების და სპეც. ანგარიშ-ფაქტურების ხაზინის ბაზაში გადაცემის საშუალება;
- eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - პროცესების ოპტიმიზაცია და რეფაქტორინგი ჩაუტარდა სისტემის 10-მდე მოდულს (ცვლილებების ისტორია, პროექტების სტრუქტურა, ფასიანი ქაღალდები, დონორები და სხვა). შემუშავდა ახალი მოდულები, დაემატა სერვისები, დაინერგა ტესტ-სცენარები და ჩატარდა სამიგრაციო სამუშაოები (ჩამორიცხვების და ტრანშების მოდულები, DMNAT მონაცემები, SDR გაცვლითი კურსი და სხვა);
- eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - დაემატა და/ან გაუმჯობესდა სისტემის 10-მდე კომპონენტი და კლასიფიკატორი (თანამდებობების ისტორიის ასახვა, თანამდებობრივი რანგირება, სამუშაოს აღწერილობა და სხვა). ჩატარდა სისტემის ლოკალიზაცია, საინტეგრაციო სამუშაოების პირველი ეტაპი და მეორე ეტაპები და Silverlight ვერსია ჩანაცვლდა Angular ვერსიით;
- eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - ჩატარდა სრული ფუნქციონალური განახლება (Silverlight ჩანაცვლდა Angular-ით). შემუშავდა და დამტკიცდა ახალი, მსხვილი მოდულის (კომუნიკატორი) ანალიტიკური აღწერა და ტექნიკური დავალება, რის შესაბამისადაც, მსვლელობა მიეცა მოდულის შემუშავებას. განახლდა სისტემის 10-მდე სხვადასხვა კომპონენტი და სამი საინტეგრაციო სერვისი;
- eAuction ელექტრონული აუქციონი - განხორციელდა 80-მდე კომპონენტის ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 50-მდე მოდული. სისტემას დაემატა ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა, სერვისები, ახალი გვერდები, ფუნქციონალი (ვაჭრობის სერვისის ტერა ბანკთან, მიღება-ჩაბარების აქტის განთავსება, საბანკო გარანტიების ჩამოჭრა, უცხოურ ვალუტაში ფასის მითითების შეზღუდვა, გაფართოებული ძიება და სხვა). მომზადდა და ჩანაცვლდა რეალური და სატესტო მონაცემთა ბაზები. შემუშავდა და Android და iOS პლატფორმებზე განთავსდა სისტემის მობილური აპლიკაცია. შემუშავდა და/ან მხარდაჭერილია 20-მდე ახალი და/ან არსებული ვებგვერდისა და პორტალის დიზაინი. ჩატარდა მარკირების, ბანერების შემუშავების და სხვა სახის სამუშაოები;
- eGMC - საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა - დარეგისტრირდა 7 805 ექსპონატი ფონდებისა და კოლექციების მიხედვით. განხორციელდა ექსპონატის პასპორტის რეგისტრაციის ბარათის ოპტიმიზაცია. განხორციელდა ახალი საჯარო სისტემის ინიცირება, რომელიც

განკუთვნილი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. სისტემა დაინერგა 21 მუზეუმში, მომხმარებელთა რაოდენობა 80 ერთეული.

- შეიქმნა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების რეგისტრაციის სისტემა. რეგისტრაციის სისტემაში ფიქსირდება პირადი / ფირმის მონაცემები, ინფორმაცია სამუშაო ადგილის და აუდიტორულ გარიგებებში მონაწილეობის შესახებ, ინფორმაცია სერტიფიცირებისა და პროფესიულ ორგანიზაციაში წევრობის შესახებ, პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ა.შ. სისტემას აქვს სტატისტიკის მოდული, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. პორტალზე დღეისათვის დარეგისტრირდა 804 მომხმარებელი (აუდიტორი და აუდიტორული ფირმა). რეგისტრაციის პროცესის გავლის შემდეგ მათგან 649-ს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა მიანიჭა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის სტატუსი. სისტემას დაემატა დაზღვევის მოდული, რომელიც გამოიყენება პროფესიულ დაზღვევასთან დაკავშირებული კრიტიკული ინფორმაციის გადასამოწმებლად. ფიზიკური პირების და იურიდიული პირების იდენტიფიკაციის მიზნით სისტემაში გამოყენებულია სამოქალაქო და სამეწარმეო რეესტრთან არსებული სერვისები. სისტემას დაემატა განგრძობითი განათლების მოდული, რომლის საშუალებითაც აუდიტორები აფიქსირებენ მათ მიერ გავლილი განგრძობითი განათლების კურსის სახელწოდებას, ხანგრძლივობას და პროფესიულ ორგანიზაციას ან ფირმას, რომელშიც ჩატარდა ეს კურსი. აუდიტორული ფირმების რეგისტრაციის სისტემას დაემატა გარიგებების მოდული, რომლის საშუალებითაც აუდიტორული ფირმის წარმომადგენელი ასახავს ამომწურავ ინფორმაციას თითოეული გარიგების შესახებ. ადმინისტრირების მოდულს დაემატა შეტყობინებების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სისტემის ადმინისტრირების ჯგუფის წევრებსა და აუდიტორული ფირმების წარმომადგენლებს ან აუდიტორებს შორის. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის პორტალს დაემატა განგრძობითი განათლების რეესტრი და ტრენინგების/სემინარების რეგისტრაციისა და მართვის მოდული. სისტემას დაემატა საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მოიცავს ორ ახალ მოდულს:

- ✓ პროვაიდერების მოდული, რომლის საშუალებითაც პროგრამების პროვაიდერებს საშუალება აქვთ დაარეგისტრონ ახალი პროგრამები;
- ✓ უნივერსიტეტის მოდული, რომლის საშუალებითაც ქართულ უნივერსიტეტებს შეუძლიათ პროვაიდერის მიერ რეგისტრირებულ პროგრამებზე საკუთარი თანამშრომლების რეგისტრაცია.

- ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:
  - ✓ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 31 ორგანიზაცია, 1000 მომხმარებელი;
  - ✓ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა eHRMS – 66 ორგანიზაცია, 149 მომხმარებელი;
  - ✓ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა eTreasury – 840 მომხმარებელი;
  - ✓ ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა eBudget - 42 მომხმარებელი.
- გაწეულია 44 870 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument – 23 206, eTreasury – 17 500, eHRMS – 2 053, სხვა სისტემები - 2 111. სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა 4 531 ტექნიკური გამოძახების შესრულება და შესაბამისი მომსახურების გაწევა.

## 5.7 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- განხორციელდა: სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება; სტატისტიკური და მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავება; სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, განხორციელება, მართვა და ადმინისტრირება; სამსახურის მართვის, სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოების საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

## 5.8 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- დაიგეგმა და განხორციელდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის, ასევე, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნეს სექტორში და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და დამთავრებული მშენებლობის შესახებ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია, მიმდინარე დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოება, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში, კერძო და სახელმწიფო სექტორში, სამუშაო ძალის გამოკვლევა, შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება, სიღარიბის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლების გაანგარიშება; შინამეურნეობებში ინოვაციური აქტივობის და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევა; ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სტატისტიკის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება; უცხოელ ვიზიტორთა კვლევისა და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევების ჩატარება, მონაცემთა დამუშავება და გამოქვეყნება; საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება; წყალმომარაგებელი საწარმოების გამოკვლევა.

## 5.9 სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 56 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

- კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, სამსახურში შემოსული ინფორმაციის ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, სამსახურის მიერ გამოვლინდა და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სავარაუდო შემთხვევებზე 147 საქმე გადაეცა შესაბამის სამართალდამცავ უწყებებს;
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე ევროკავშირის (მეოთხე) დირექტივის (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council), აგრეთვე, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეგთო) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის სტამბულის ანტი-კორუფციული სამოქმედო გეგმის და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადდა კანონპროექტი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე ევროკავშირის (მეოთხე) დირექტივის (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council) და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების მოთხოვნების შემდგომი იმპლემენტაციის მიზნით სამსახურის მიერ მომზადდა კანონის პროექტი „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;
- კანონმდებლობის მოთხოვნების განმარტების მიზნით, საანგარიშო წლის მანძილზე, გაიმართა ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები ფინანსური სექტორის, მათ შორის, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების წარმომადგენლებისათვის;
- საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და ზედამხედველ ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან.

#### 5.10 სსიპ - კონკურენციის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - კონკურენციის სააგენტო

- სააგენტოში მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 6 საქმის მოკვლევა (დასრულდა 5);
- შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, გაცემულ იქნა 10 რეკომენდაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მიმართ;
- მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 5 ბაზრის მონიტორინგი;
- კონკურენციის სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესაფასებლად 2 შეტყობინება და 1 განცხადება გასაცემი სახელმწიფო დახმარების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის დასადგენად;
- სააგენტოში წარმოდგენილი 6 განცხადება/საჩივარი არ იქნა განხილული კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დაუცველობისა და ხარვეზის შეუვსებლობის და/ან სათანადო დაუსაბუთებლობის საფუძველით;
- მიმდინარეობდა შეტყობინებების განხილვები მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხთან დაკავშირებით და აგრეთვე, განცხადებების განხილვა განხორციელებული კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარების თაობაზე;
- მონაწილეობა იქნა მიღებული 18 სასამართლო დავაში სააგენტოს მიერ მიღებულ 8 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა 12 სემინარი/კონფერენცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით;
- სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, განხორციელდა 30- მდე ღონისძიება (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ), რასაც მოჰყვა თანამშრომელთა უმრავლესობის გადამზადება;
- სააგენტოში მიმდინარეობდა 2017 წელს წარმოდგენილი 1 საჩივრის მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლა, მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

## 5.11 სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ IFC-სთან (International Finance Corporation) ერთად ჩატარა IT და BPO (ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი) სექტორების ახალი კვლევა, რომლის ფარგლებშიც შედგა 45 შეხვედრა საქართველოში მოღვაწე კომპანიებთან, სახელმწიფო და დონორ ორგანიზაციებთან. კვლევის მიხედვით მომზადდა სექტორების განვითარების სტრატეგია, ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია და რეკომენდაციები მთავრობისთვის სექტორში არსებული პრობლემების მოგვარების გზების შესახებ;
  - ✓ განახლდა საინვესტიციო პრეზენტაციები: „7 Main Questions about Investing in Georgia“, „Logistics“, „Hospitality & Real Estate“, „Manufacturing“, „Agriculture“, „Investment Opportunities in Apparel and Textile industry of Georgia“ და „Seaside properties for hospitality development in Georgia“;
  - ✓ საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ გამართა შეხვედრები და გაუწია კონსულტაციები (ინფორმაციის მიწოდება სტატისტიკის, კანონმდებლობის, გადასახადებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და კერძო ორგანიზაციებთან) უცხოელ პოტენციურ ინვესტორებსა და ბიზნეს დელეგაციებს;
- პროგრამა „Aftercare“-ს ფარგლებში გაიმართა შეხვედრები და გაეწია დაეხმარა საქართველოში მოღვაწე უცხოელ ინვესტორებს, მათ შორის:
  - ✓ კომპანია „GVI Saguramo Gardens“-ს საგურამოში ვილების, სასტუმროს და გასართობი უძრავი ქონების კომპლექსის მოწყობასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების მოგვარებაში (მათ შორის სამშენებლო ნებართვის აღება);
  - ✓ სილამაზის ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანია შპს „აპტოს“, საქართველოში მასალების სასტერილიზაციოდ ეთილენ ოქსიდის იმპორტთან დაკავშირებით, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ჯანდაცვის მიერ დადგენილი წესების დაცვისა და პროცედურების შეთანხმების შემთხვევაში;
  - ✓ ინვესტორ Ingo Schlutius-ს, ბახმაროში სათხილამურო ტურიზმის ახალი ე.წ. „Free Ride“ მიმართულების განვითარებისათვის, მიწის შეძენის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებში;
  - ✓ შპს „GEOFIBRE“-ს საქართველოში ძაფებისა და ნაჭრების წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებით;
  - ✓ საქართველოში 2012 წლიდან მოქმედ „არიკ ჯგუფს“ (ახორციელებს პროექტებს სოფლის მეურნეობის, საკვები ინდუსტრიის და ტურიზმის მიმართულებით), კომპანიის სასოფლო სამეურნეო მიწასთან ელექტროენერჯის ხაზის მიღვანასთან დაკავშირებულ საკითხებში;
- საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმების ორგანიზებასა და პრეზენტაციების გამართვაში. მათ შორის:
  - ✓ შვეიცარიის ქალაქ დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და ასევე, იორდანიაში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონულ ფორუმის მზადებაში;
  - ✓ მცხეთა-მთიანეთის ბიზნეს ფორუმისა და სლოვენის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში გამართულ ბიზნეს ფორუმის ორგანიზებაში, სადაც გაკეთდა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის, კლიმატისა და შესაძლებლობების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N300 დადგენილების შესაბამისად განხორციელდა სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ლიკვიდაცია. „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს კანონის საფუძველზე სააგენტოს უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის

იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში. აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სააგენტოს 2002-2016 წლების დოკუმენტაციის (მასალის) დამუშავება-სისტემატიზაცია და საჭიროების შემთხვევაში - დაარქივება/განადგურება;
- ✓ ბალანსზე რიცხული ქონებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაცია და სალიკვიდაციო ბალანსის შედგენა.

## 5.12 სსიპ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 52 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ჩატარდა 17 ბიზნეს-ფორუმი როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ (თურქეთი, იტალია, უკრაინა, ჩეხეთი, სომხეთი), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1 507-მა კომპანიამ. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ბიზნეს-სუბიექტებს შორის კავშირების დამყარების მიზნით;
- გაიმართა რეგიონული შეხვედრები საქართველოს მასშტაბით (21 შეხვედრა), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 500-მდე მცირე და საშუალო მეწარმემ;
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ უმასპინძლა 4 ბიზნეს-დელეგაციის ვიზიტს (ვალონია-ბელგიის სამეფოდან, ჩელიაბინკის ოლქიდან (რუსეთი), აბრეშუმის გზის საერთაშორისო ვაჭრობის დელეგაციას ჩინეთიდან, ბელგიის სამეფოს ბიზნეს-დელეგაციას);
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გახსნა წარმომადგენლობა ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში;
- საჯარო-კერძო დიალოგის ფარგლებში პალატამ ორგანიზება გაუწია 3 შეხვედრას ბიზნეს-სექტორსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის.
- მიმდინარეობდა რიგი სერვისების დახვეწის პროცესი (მ.შ. ელექტრონული პლატფორმის დანერგვით) სერვისების მაქსიმალურად გამარტივების მიზნით.

## 5.13 ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 23 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

- გაიმართა წინასწარი შეხვედრები აუდიტორულ ფირმებთან ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის განხილვასთან დაკავშირებით;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს აუდიტის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ფორუმის (IFIAR) სრულუფლებიანი წევრის სტატუსი მიენიჭა, რაც იძლევა გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის უფლებას;
- განხორციელდა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტების (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS)); „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS for SMEs) ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღების მიზნით, თარგმნისა და გავრცელების/გამოქვეყნების (რეპროდუცირება) უფლების შესყიდვისთან დაკავშირებული

ლონისძიებები, კერძოდ: მოლაპარაკებების წარმოება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სადამფუძნებლო კორპორაციასთან (INTERNATIONAL FINANCIAL REPORTING STANDARDS FOUNDATION CORPORATION), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან;

- სამსახურის, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის (IFRS Foundation) შეთანხმების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის (IFRS Foundation) ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი გახდა ბაფ-ის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ფას სტანდარტები;
- მოხდა ანგარიშგების პორტალის გრაფიკული და ფუნქციონალური დიზაინის გაცნობა ეროვნული ბანკისთვის, სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისთვის, სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის, საქართველოს საფონდო ბირჟისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შემდგომი თანამშრომლობის მიზნით;
- დამტკიცდა პროფესიული სერტიფიცირების გამარტივებული წესი;
- ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების სამსახურისთვის მიწოდებასა და სამსახურის მიერ მათ გასაჯაროებას ანგარიშგების პორტალის მეშვეობით;
- დამტკიცდა „სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის, მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების, ანგარიშგების პორტალის სტრუქტურისა და მომხმარებელთა რეგისტრაციის წესი“, რომელშიც დეტალურად არის მოცემული სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის სამსახურისთვის ელექტრონულად წარდგენის პროცესი და ასევე, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესები;
- აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 445 აუდიტორი და 243 აუდიტორული ფირმა;
- ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ჩატარდა 17 აუდიტორულ ფირმას;
- ამუშავდა ანგარიშგებების წარდგენის ჩანართი და ანგარიშგებების გასაჯაროების ვებგვერდი ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)), რომელზეც განთავსდა სუბიექტების მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები;
- ამოქმედდა ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის ვებგვერდის შესაბამისი ჩანართი ([www.eservices.rs.ge](http://www.eservices.rs.ge));
- გაიმართა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის გამიზნული 14 ღონისძიება;
- სამსახურის მიერ ითაგმნა და სამოქმედოდ იქნა შემოღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განახლებული ვერსია (IFRS 2017).

#### 5.14 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

- დაიწყო ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მესამე ეტაპის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც:
  - ✓ ე.წ. „Framework Contract“ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მხარდაჭერა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემებში“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემების ძირითადი პროცესების იდენტიფიცირება, მიმდინარეობს პროცესების დეტალური სქემების შემუშავება და შეთანხმება;
  - ✓ გაიმართა CIB მეორე ეტაპის ტექნიკური დახმარების პროექტის „სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“ დახურვის კონფერენცია;
- CIB პროექტის მეორე ეტაპის თანადაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს მიერ შესყიდულ იქნა შემდეგი აღჭურვილობა:
  - ✓ რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილება - მულტიფუნქციური აკუსტიკური კალიბრატორი; ხმაურმზომის მიკროფონთან და გამაძლიერებელთან ერთად ტემპერატურისა და ტენიანობის მზომი;
  - ✓ ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონური განყოფილება - პირველადი კონდუქტომეტრული ჯონსის უჯრედი, თერმოსტატი; ლაბორატორიული კონდუქტომეტრი ელექტროდებთან კომპლექტში;
  - ✓ თერმომეტრიისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილება - 3 ერთეული ეტალონური თერმომეტრი, წინაღობის სენსორი.
- მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური ანალიზი/მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდინარეობდა ეტალონების მზადყოფნასთან და შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, შუალედური შემოწმება და ა.შ;
- ქ. თბილისში და ქ. ბათუმში მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდა ცნობიერების ამაღლების სემინარი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში, სადაც მონაწილეობდნენ მოწვეული ევროპელი ექსპერტები;
- CIB პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში GeoSTM-ისა და CEN-CENELEC მენეჯმენტის ცენტრის წარმომადგენლების მიერ გაიმართა სემინარი „EU-Georgia Connecting Community-The Role of Standardization“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებმა;
- ქ. პარიზში ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროში (BIPM) ინსტიტუციური განვითარებისა და ცოდნის გადაცემის პროგრამის (Capacity Building & Knowledge Transfer Programme (CB&KT)) ფარგლებში ჩატარდა სწავლების კურსი „Sound beginning in the CIPM MRA“. სასწავლო კურსში მონაწილეობდა 24 სპეციალისტი 21 ქვეყნის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტებიდან. სააგენტოს ელექტროგაზომვების განყოფილების თანამშრომელმა, როგორც მიწვეულმა გამომსვლელმა გაუზიარა საქართველოს გამოცდილება ელექტროგაზომვების შედარებებში მონაწილეობისა და მათი კოორდინირების, ასევე პილოტი ლაბორატორიის ფუნქციის შესრულების თაობაზე.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების ორგანიზებით დაინტერესებული პირებისათვის, ლაბორატორიისა და ბიზნეს-ოპერატორების, სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 2 სემინარი თემაზე „სასწორებისა და საწონების გამოყენება ლაბორატორიებში, ძირითადი პრინციპები, მომსახურება და ხარისხის უზრუნველყოფა“;



- მონაწილეობა იქნა მიიღებული სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN/CENELEC) და სტანდარტიზაციის სართაშორისო ორგანიზაციის (ISO) გენერალურ ასაბლევში (გაიმართა ქ. ედინბურგი და ქ. ბერლინში შესაბამისად);
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო:
  - ✓ მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის (COOMET) საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაში (გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში (PTB)), სადაც საქართველოს წარმომადგენელმა COOMET-ის საპრეზიდენტო საბჭოს მხრიდან მიიღო შემოთავაზება COOMET-ის ხარისხის მენეჯმენტის სისტემების საკითხებში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე;
  - ✓ მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციების EURAMET და COOMET-ის ერთობლივ სემინარში „ინოვაციისა და კვლევის ევროპულ მეტროლოგიურ პროგრამაში (EMPIR) COOMET წევრი მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ“ (გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში PTB);
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის შეხვედრებში/სხდომებში: TC 1.2 „აკუსტიკა, ულტრაბგერა, ვიბრაცია“ (ქ. ვილნიუსი); TC 1.6 „მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდეები“ (ქ. მინსკი); TC 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ (ქ. მინსკი, BelgIM) და აგრეთვე, „TK 1.10 „ტემპერატურა და თბოფიზიკა“ (ქ. სარაევო), სადაც განხილული იქნა საკითხები მიმდინარე საერთაშორისო საკვანძო შედარებების შესახებ;
- სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ISO-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „Developing National Standardization Strategies“. გარდა ამისა, სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ შემდეგ „ონლაინ“ (Webinar) ტრენინგებში: „A guide through the CEN and CENELEC tool to notify the adoption of European Standards“; „A guide through the CEN and CENELEC tool to access European Standards“ და „Projex-Online Download Cart“;
- ტემპერატურული გაზომვების ეტალონური ლაბორატორიის სპეციალისტმა მონაწილეობა მიიღო სამხრეთ კორეის მეტროლოგიის ინსტიტუტისა KRISS და გლობალური მეტროლოგიის აკადემიის (GMA) მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თერმომეტრიისა და ტენიანობის საკითხებზე;
- საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგი: „Preparing for ISO 9001:2015 Quality Management System Course“ (ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ Lloyd's Register-ის საერთაშორისო სერტიფიკატები); „ISO 9001:2015 Internal Auditor Course“ (ტრენინგის წარმატებით გავლისათვის სტანდარტების დეპარტამენტის 7 თანამშრომელს გადაეცა Lloyd's Register-ის საერთაშორისო სერტიფიკატები);
- სტანდარტების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები: „სტანდარტიზაციის სფეროში სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია“ და „ტექნიკური კომიტეტის ჩამოყალიბების თავისებურებები საგზაო ტრანსპორტის სფეროში და ჰარმონიზებული სტანდარტები როლი“;
- ტვინინგ პროექტის (Support to Georgian National Agency for Standards and Metrology for further implementation of the EU-Georgia DCFTA requirements) ფარგლებში ევროპელი ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგი „Gap Analysis and the Action plan for Capacity of standardisation department“;
- პროექტის „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირის შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“ ფარგლებში სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში არსებული ევროპული კანონმდებლობის შესახებ ჩატარდა:
  - ✓ ტრენინგები თემაზე „ევროკავშირის კანონმდებლობა საკანონმდებლო მეტროლოგიის სფეროში“ გაზომვის საშუალებების დირექტივაზე MID და არა ავტომატური საწონი საშუალებების დირექტივაზე NAWI;
  - ✓ ტრენინგი „ევროკავშირის რეგულაცია 1025/2012 სტანდარტიზაციის სფეროში“, მის გამოყენებასა და გავლენაზე GEOSTM-ისათვის;

- ✓ ტვინინგ პროექტის ფარგლებში ევროპელი ექსპერტების მიერ ტრენინგების საჭიროების შეფასება, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში;
- ✓ გამოვლენილი პრიორიტეტების შესაბამისად მეტროლოგიის სფეროში ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით: წნევა, ელექტროგაზომვები, სიგრძის გაზომვები და აკუსტიკური გაზომვები;
- CIB ტექნიკური დახმარების პროექტის და ტვინინგ პროექტის ფარგლებში:
  - ✓ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ ლაბორატორიებში ევროპელი ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარები/ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით: გეომეტრია - კიდურა საზომების დაკალიბრება და ორმხრივი შედარებების ორგანიზება; ხარჯი - აირის ხარჯის მზომი სტენდის ექსპლუატაცია, დაკალიბრება/დამოწმება; მასა - დიდი მასების კომპარატორის ექსპლუატაცია. ექსპერტთან ერთად განყოფილებამ ჩაატარა დიდი მასის სასწორების დამოწმება/დაკალიბრება; დრო და სიხშირე - წამზომების დაკალიბრება, მიკვლევადობის საკითხები დროისა და სიხშირის გაზომვებში, აკუსტიკური გაზომვები; ელექტრობა - მაღალი წინაღობების და ცვლადი დენის სიმძლავრის და ენერჯის გაზომვები; ძალის გაზომვების სფეროში დაკალიბრების პროცედურა, ტენიანობა - დაკალიბრებისა და ორმხრივი შედარებების ორგანიზების საკითხები, ფოტომეტრია და რადიომეტრია;
  - ✓ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების თანამშრომლებმა სტაჟირება გაიარეს ევროპის მეტროლოგიის ინსტიტუტებში (ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში, და ბოსნია და ჰერცეგოვინას მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტი) გაზომვების შემდეგი მიმართულებებით: გეომეტრიული გაზომვები, მცირე მოცულობები, ძალა, აირის ხარჯის გაზომვები, დიდი მასები, წნევა, აკუსტიკა დრო და სიხშირე;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული მეტროლოგიის ეტალონურ განყოფილების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს ბირთვული და რადიაციული სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სემინარში „ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;
- მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების თანამშრომლები გერმანელ ექსპერტთან ერთად იმყოფებოდნენ სომხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში მასის (სასწორების დაკალიბრება) ახალი ლაბორატორიის შექმნის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ მიკვლევადი იქნება GEOSTM-ის მასის ლაბორატორიასთან;
- დიდი მასების ლაბორატორიაში დამონტაჟდა 1000კგ–მდე საწონების დასაკალიბრებელი კომპარატორი და მომსახურება გაეწია მცირე მასების ლაბორატორიის კომპარატორებს. ყველა კომპარატორი შემოწმდა სტაბილურობაზე (Sp);
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური განყოფილება 11 ქვეყნის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობდა საერთაშორისო შედარებებში „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი“;
- ელექტრო გაზომვების ეტალონური განყოფილება მონაწილეობდა COOMET-ის პროექტის ელექტრული სიმძლავრის ერთეულის ეროვნული ეტალონების საკვანძო შედარებებში;
- საქართველოს მასშტაბით დაინტერესებული აკრედიტებული საკალიბრო ლაბორატორიებისათვის ელექტრო გაზომვების ეტალონური განყოფილების ორგანიზებით (წამყვანი/პილოტი ლაბორატორია) მიმდინარეობდა შედარებები „ვოლტმეტრის დაკალიბრება უშუალო შედარების მეთოდით ცვლადი ძაბვის (0-500)ვ დიაპაზონში“.
- წნევის გაზომვების ლაბორატორიამ ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობა მიიღო ორმხრივ შედარებაში (წნევის დიაპაზონი (0-7) მეგაპა აბს. და (0-2) მეგაპა ნარჩენი წნევა). გარდა ამისა, ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტსა და საქართველოს მეტროლოგიის ინსტიტუტს შორის ჩატარდა ორმხრივი შედარები გეომეტრიული გაზომვების (10 ბ/კ კიდურა საზომის) დაკალიბრების სფეროში. ჩატარებული გაზომვების დადებითი შედეგების საფუძველზე ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ მომზადდა შედეგების ანგარიში და გაიცა შესაბამისი სერტიფიკატი;

- გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა და გაფორმდა „100 მმ-მდე ნომინალური სიგრძის ბრტყელპარალელური კიდურა საზომების დაკალიბრების პროცედურა“ და ასევე, მომზადდა მასალები „სიგრძის ეტალონი გაზომვათა დიაპაზონისათვის 0,5–100 მმ“ ეტალონისათვის საქართველოს სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონების რეესტრში შეტანის მიზნით. განყოფილების მიერ მოდერნიზებულ იქნა ლაზერული მანძილზომების დასაკალიბრებელი სამუშაო ადგილი, რის შედეგად საკონტროლო ბაზის გაზომვის დიაპაზონი გაიზარდა 0-10 მ-დან 0-20 მ-დე და შესაბამისად მანძილზომების დაკალიბრების შედეგების საიმედოობა;
- მეტროლოგიის ინსტიტუტის მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი თემებზე „დგუშიანი მოწყობილობების (პიპეტები, დისპენსერები და ა.შ) დაკალიბრება და განუსაზღვრელობის გამოთვლა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“ და სტაჟირება გერმანიის საკალიბრო ლაბორატორიაში ZMK თემაზე „მცირე მოცულობის გაზომვის საშუალებების დაკალიბრება“. გარდა ამისა, აღნიშნული განყოფილების წარმომადგენლებმა გერმანელ ექსპერტთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ ტრენინგში „პიპეტებისა და სასწორების გამოყენება საგამოცდო ლაბორატორიებში – ძირითადი პრინციპები, მომსახურება და ხარისხის უზრუნველყოფა“;
- რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აუსტიკის ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა წინადადებები შემდეგ მთავრობის დადგენილების პროექტებზე: „ხმაურის მიერ შექმნილი რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“ და „საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“;
- დარეგისტრირდა დაკანონებული გაზომვის საშუალების 24 ტიპი. განხორციელდა 165 580 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება (286 ელექტრო მრიცხველი, 123 305 აირის მრიცხველი და 41 989 წყლის მრიცხველი);
- შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს სტანდარტების პროგრამის“ მეორე ნაწილი. სააგენტოსთან არსებული სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტებთან შეთანხმებით განისაზღვრა წლის განმავლობაში ქართულ ენაზე სათარგმნი საერთაშორისო/ევროპული სტანდარტები. ტექნიკურ კომიტეტებს შესაბამისი სფეროების მიხედვით განსახილველად გადაეცა სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები;
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა ISO 19011:2011 - „Guidelines for auditing management systems“ ქართულენოვანი ვერსია;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულ იქნა შემდეგი სტანდარტები: სსტ 81:2016 - „მახტები ნახშირის. მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი“; სსტ 82:2016 - „ჰაერის დაყოფის პროდუქტების წარმოება და მომსახურება. მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი“; სსტ 83:2016 - „ამიაკის სამაცივრო დანადგარების მოწყობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების მოთხოვნები“ და სსტ 84:2016 - „კარიერები. მოთხოვნები უსაფრთხოებისადმი“;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) სამდივნოში გაიგზავნა 5 ნოტიფიკაცია საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიეწოდათ საქართველოს მიერ ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების 17 სრული ტექსტი;
- საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ საქართველოში მოქმედ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 360 ნოტიფიკაცია;

- საქართველოს სტანდარტად მიღებულ იქნა ევროკავშირის 1999/5/EC და 2014/34/EU დირექტივებთან ჰარმონიზებული სტანდარტები;
- საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა სულ 2 157 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო/იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) - 48; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 2 105; სსტ (საქართველოს სტანდარტი) - 4;
- სტანდარტების დეპარტამენტის მიერ გაიცა სულ 343 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 103; გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) - 82; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 33; სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) - 1; სსტ (საქართველოს სტანდარტი) - 117; სხვა ქვეყნის სტანდარტი - 1; სტანდარტიზაციის სხვა დოკუმენტები - 6;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO 9001 შესაბამისად დანერგვისათვის მიმდინარეობდა შესაბამისი დოკუმენტების მომზადება;
- განახლდა საქართველოს ქართულენოვანი და ახალი მიდგომის, ევროპულ დირექტივებთან ჰარმონიზებული, სტანდარტების კატალოგი;

#### 5.15 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საველე სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების დამუშავება და მათი გეომონაცემთა ბაზასთან მიბმა. აღწერის საბოლოო შედეგების სტრუქტურითა და გამოქვეყნება.

#### 5.16 აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

- აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ, აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად გაიცა 84 აკრედიტაციის მოწმობა, მათ შორის: ინსპექტირების ორგანო - 41 (სამშენებლო სფეროს ინსპექტირების ორგანო - 16, დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი - 9 და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ინსპექტირების ორგანო - 16); საგამოცდო ლაბორატორია - 34; საკალიბრებელი ლაბორატორია - 4; პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 2; პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 3;
- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა დარღვევის გამო აკრედიტაცია შეუჩერდა 16 შესაბამისობის შემფასებელ პირს: საგამოცდო ლაბორატორია - 10, საკალიბრებელი ლაბორატორია - 2, პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 1, ინსპექტირების ორგანო - 3;
- აკრედიტაციის სფერო შეუმცირდა 8 შესაბამისობის შემფასებელ პირს: ინსპექტირების ორგანო - 5 და საგამოცდო ლაბორატორია 3;
- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად გეგმური მონიტორინგი გაიარა 133 აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა: საკალიბრებელი ლაბორატორია - 5; ინსპექტირების ორგანო - 42; საგამოცდო ლაბორატორია 78; პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 4; სამედიცინო ლაბორატორია - 3; პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 1;
- დამატებით სფეროში აკრედიტაცია გაიარა 25-მა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა: ინსპექტირების ორგანო - 13; საგამოცდო ლაბორატორია -10; საკალიბრებელი ლაბორატორია - 1

და სამედიცინო ლაბორატორია - 1. ერთმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა ვერ შეძლო აკრედიტაციის მიღება;

- EA-ს (ევროპული აკრედიტაციის) EA MAC (მრავალმხრივი შეთანხმების) კომიტეტმა 2016 წელს აკრედიტაციის ცენტრში განხორციელებული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელი მოეწერა საქართველოში გაცემული აკრედიტაციის შედეგების აღიარების შეთანხმებაზე (EA BLA). აღნიშნული შეთანხმება გაფორმდა სლოვენიაში გამართულ EA-ს გენერალურ ასამბლეაზე. შეთანხმება გავრცელდება აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ აკრედიტებულ შემდეგ სფეროებში: გამოცდები და დაკალიბრება (ISO/IEC 17025), პროდუქტის სერტიფიკაცია (ISO/IEC 17065), პერსონალის სერტიფიკაცია (ISO/IEC 17024) და ინსპექტირება (ISO/IEC 17020);
- აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები განაგრძობენ მონაწილეობას EA-ს ყოველწლიური ლაბორატორიული, ინსპექტირების, მრავალმხრივი შეთანხმებისა და სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტების და EA-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში;
- დასრულდა ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური გაძლიერების (CIB) „საქართველოში აკრედიტაციის სისტემის შემდგომი მხარდაჭერა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის თანახმად“ პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა:
  - ✓ ტრენინგები საერთაშორისო სტანდარტების შესახებ შემდეგ სფეროებში: სსტ ისო/იეკ 17020, სსტ ისო/იეკ 17043, სსტ ისო/იეკ 17021 და ისო/იეკ 17024; გაზომვების განუსაზღვრელობის; აკრედიტაციის მოქნილი სფეროს (Flexible Scope) და სურსათის უვნებლობის სფეროში - ნიმუშის აღების საკითხებზე. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებმა, აკრედიტირებული ორგანოების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა ადმინისტრაციულმა პირებმა;
  - ✓ 2 საკვალიფიკაციო ტესტირება: ტესტირება სამშენებლო მასალების გამოცდაში და ტესტირება დამიწების კონტურის წინაღობის განსაზღვრაში;
- ევროპის CIB-ის პროექტის ფარგლებში აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ AENOR-ში (ესპანეთის სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის ასოციაცია), ENAC-ში (ესპანეთის აკრედიტაციის სერვისი) და UKAS-ში (დიდი ბრიტანეთის აკრედიტაციის სერვისი), სადაც დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს ზემოთ აღნიშნული ცენტრების მიერ განხორციელებულ შეფასებებში;
- ევროპული აკრედიტაციის მიერ გაცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, აკრედიტაციის კლიენტთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებში შეტანილ იქნა ცვლილებები. დაიწყო აკრედიტაციების განხორციელება შემდეგი ახალი მიმართულებებით: „შესაბამისობის შეფასება. ზოგადი მოთხოვნები საკვალიფიკაციო ტესტირებისათვის“ (სსტ ისო/იეკ 17043:2010/2016) და „შესაბამისობის შეფასება. მოთხოვნები ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ მენეჯმენტის სისტემების აუდიტსა და სერტიფიკაციას“ (განახლებული სსტ ისო/იეკ 17021-1:2015/2016);
- შვეიცარიულმა კომპანია „Société Générale de Surveillance SA (SGS)“-მა, რომელიც კონსულტაციას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, წარმოადგინა პირველი და მე-2 ანგარიში. პირველი ანგარიში ეხება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მოთხოვნების განსაზღვრას და აგრეთვე, პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციას. მე-2 ანგარიში მოიცავს SGS კვლევას, მონაცემებსა და ინფორმაციის შეჯამებას/ანალიზს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების პარკების ზომის, ადგილმდებარეობის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების თავისებურებების თაობაზე.

## 6. ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

### 6.2 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ პროექტის ფარგლებში, ამომრჩევლის ინფორმირებულობის მიზნით თითოეულ მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად იმართებოდა გასვლითი შეხვედრები;
- ჩატარდა ტრენინგები: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის პოტენციური მონაწილე პარტიების წარმომადგენელთა და მათ მიერ საარჩევნო კომისიებში დასანიშნი პოტენციური კომისიის წევრებისთვის; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისთვის; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის; საარჩევნო საკითხებზე რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის; საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთათვის;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის განისაზღვრა საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის ძირითადი მიმართულებები ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების, არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების მიმართულებით.
- ცესკომ, საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES), ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის, საქართველოში საფრანგეთისა და შვეიცარიის საელჩოების თანადაფინანსებით, გამართა სამუშაო შეხვედრა რაიონული, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებთან.
- საოლქო საარჩევნო კომისიებს განესაზღვრათ დაფინანსების ოდენობები და კანონით დადგენილ ვადაში ჩაირიცხა საოლქო საარჩევნო კომისიების ანგარიშებზე;
- ჩატარდა წინასაარჩევნო მოსამზადებელი სამუშაოები. განხორციელდა სხვადასხვა საქმიანობები: ნაწილობრივ განახლდა საარჩევნო ყუთები, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შეძენილ იქნა უნიფორმები, დამზადდა საარჩევნო უბნების აბრები, დაიბეჭდა ამომრჩევლის საინფორმაციო სტიკერი; კენჭისყრის დღისთვის შეძენილ იქნა საარჩევნო უბნებისთვის კარტირეები, მარკირების სითხე, საიდენტიფიკაციო ბეჯები, საბეჭდი ქაღალდი ოლქებისთვის, ბიულეტენისთვის ოფსეტური ქაღალდი და სპეციალური კონვერტები, დეტექტორები, ელემენტები, საარჩევნო სახაზავი რეგისტრატორებისთვის და სხვა;
- შემოწმდა და ტექნიკურად გაიმართა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო ასლგადამღები მანქანები და სკანერები; ცესკოსა და ოლქებს შორის ინფორმაციის მიმოცვლისა და არჩევნების შედეგების შეუფერხებლად გამოქვეყნებისთვის მაქსიმალურად გაიზარდა ინტერნეტის მოწოდების სიჩქარე;
- დაიბეჭდა ეთიკის კოდექსი და განახლებული საარჩევნო კოდექსი ორ ენაზე;
- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით დაფინანსდა 13 კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები;
- ჩატარდა საქართველოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის და თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის და თვითმმართველი თემების: ყაზბეგის, ხაშურის, ბორჯომის, ოზურგეთისა და მარტვილის მერების არჩევნების მეორე ტური. 12 თვის მდგომარეობით 2017 წლის არჩევნების ორივე ტურის ხარჯებმა შეადგინა 38.0 მლნ ლარამდე.

### 6.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი

- 2017 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა 102 აუდიტის ჩატარება, მათ შორის: 81 ფინანსური/შესაბამისობის აუდიტი, 19 ეფექტიანობის აუდიტი და 2 IT აუდიტი.
- 2017 წლის მდგომარეობით ჩატარდა 75 ფინანსური/შესაბამისობის, 2 IT აუდიტი და 11 ეფექტიანობის აუდიტი;
- აშშ მთავრობის საანგარიშგებო ოფისის (US GAO) ექსპერტების მიერ გადამზადდა 11 თანამშრომელი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიმართულებით.;
- აუდიტის მართვის სისტემაში (AMS) მიმდინარეობდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის დანერგვა და დახვეწა. სამსახურის მიერ აუდიტების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანალიტიკურ ვებ პორტალ - ბიუჯეტის მონიტორზე ([www.budgetmonitor.ge](http://www.budgetmonitor.ge)). განახლდა რეკომენდაციების შემუშავების მეთოდოლოგია;
- აუდიტის მართვის სისტემის მიმართულებით ჩატარებული ტრენინგების შედეგად გადამზადდა 170 თანამშრომელი (წლიური აუდიტორული გეგმის შედგენა, ფინანსური აუდიტის მიმართულება, სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზის მიმართულება, ეფექტიანობის აუდიტის მიმართულება და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი);
- 2017 წელს აუდიტის მართვის სისტემის ტრენინგ მოდულში განხორციელდა 16 ფინანსური აუდიტის ტესტირება, საიდანაც 4 სრულად აკმაყოფილებს ხარისხის ყველა სტანდარტს;
- მიმდინარეობდა ბიუჯეტის მონიტორის საოპერაციო სახელმძღვანელოს მომზადება. ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს პარლამენტში გაიმართა ვებპლატფორმის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, საჯარო ფინანსების მართვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლები;
- საჯარო ფინანსების მართვის საერთაშორისო კონსორციუმის (ICGFM) სასწავლო კონფერენციაზე წარადგენილ იქნა სას-ის ვებპლატფორმა - ბიუჯეტის მონიტორი. ბიუჯეტის მონიტორის შესახებ პრეზენტაციები გაიმართა საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში;
- დასრულდა 2 კომბინირებული აუდიტი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის ჯგუფის ჩართულობით. მომზადდა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია;
- GIZ-ის მიერ ორგანიზებული სემინარის ფარგლებში, მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა 10 სემინარი, სადაც დეტალურად გაეცნენ ბიუჯეტის მონიტორს;
- სას-მა წარმატებით შეასრულა OGP-ის ფარგლებში აღებულ ვალდებულებები, რომელთა შორის ერთ-ერთი ბიუჯეტის მონიტორის შექმნა და განვითარებაა;
- საქართველოს პარლამენტში გაიგზავნა 95 ანგარიში.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა, საქართველოს პარლამენტის კომიტეტის და პლენარულ სხდომაზე წარადგინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“.
- მოეწყო სას-ის 2016 წლის საქმიანობის ანგარიშის საკომიტეტო და პლენარული განხილვები საქართველოს პარლამენტში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულ აუდიტის ანგარიშების განმხილველ სამუშაო ჯგუფთან განიხილულ იქნა 2 აუდიტის ანგარიში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო დონორების მიერ (EU/UNDP, WFD, NDI, USAID/GGI) ორგანიზებულ პარლამენტის წევრების საორიენტაციო პროგრამაში;

- GIZ-ის ორგანიზებით გაიმართა სემინარი (საკანონმდებლო ჩარჩო, სას-ის დამოუკიდებლობა და მანდატი, ეფექტიანობის აუდიტების მნიშვნელობა, პარლამენტთან თანამშრომლობა, საჯარო მმართველობაში არსებული გამოწვევები, პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგი, დამოუკიდებელი ფისკალური ანალიზი და ბიუჯეტის მონიტორი) მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისათვის;
- ამუშავდა ელექტრონული დეკლარირების პროგრამა -[www.monitoring.sao.ge](http://www.monitoring.sao.ge) პოლიტიკური პარტიების ფინანსების გამჭვირვალობის გასაზრდელად;
- აუდიტის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და სანიმუშო პრაქტიკის გაზიარების მიზნით SNAO- სთან არსებული მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა 6 სამუშაო შეხვედრა.

#### 6.4 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე და 30' მუხლების შესაბამისად, მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა (დაფინანსდა 22 კვალიფიციური პოლიტიკური პარტია) და ასევე, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსება;
- საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 14.3 მლნ ლარამდე;
- გამოცხადებული საგრანტო კონკურსების საფუძველზე შეირჩა და დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი 46 საგრანტო პროექტი.

#### 6.5 საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით, მონაწილეობა იქნა მიღებული:
  - ✓ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების ცენტრის (ZIP) მიერ არჩევნებზე გრძელვადიანი დამკვირვებლებისათვის ორგანიზებულ სასწავლო კურსში;
  - ✓ დამკვირვებელთა და არჩევნებში ჩართულ მხარეთა ინფორმაციული უზრუნველყოფის შესახებ, გრძელვადიან დამკვირვებელთა მე-8 საერთაშორისო ტრენინგში;
  - ✓ ტრენინგ-პროგრამაში, რომლის მიზანი იყო ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებთან დაკავშირებით არსებული შესაძლებლობების გაზიარება და განვითარება.

6.6 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)



პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

- მომზადდა და დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016 წლის პროგრესის ანგარიშის პროექტი, განახლებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები ყველა მიმართულებით;
- მომზადდა ერთიანი ანგარიში, რომელიც მოიცავს მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების 2016 წლის ზოგადი და კონკრეტული პირობების შესრულების დამადასტურებელ ინფორმაციასა და შესაბამის მასალებს. აღნიშნული ანგარიში წარედგინა ევროკავშირის დელეგაციას. აგრეთვე, მომზადდა ამავე ფინანსური შეთანხმებით გათვალისწინებული 2017 წლის ინდიკატორების 9 თვის მდგომარეობით შესრულების შუალედური ანგარიში;
- განახლდა ანტიკორუფციული სტრატეგია და დამტკიცდა 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა, იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობით შემუშავებული ტრენინგგეგმა სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის;
- გაიმართა „ღია მმართველობა - საქართველოს“ ფორუმის 5 სამუშაო შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი იქნა „ღია მმართველობა - საქართველოს“ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების საბოლოო ანგარიში და 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში;
- შემუშავდა „ღია მმართველობა - საქართველოს“ საქართველოს თავმჯდომარეობის სტრატეგია და წარედგინა იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართულ „OGP“-ის ღონისძიებაზე. საქართველო „OGP“-ის თავმჯდომარე 2017 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე იქნება;
- მომზადდა სახელმწიფოთა პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზი მოქალაქეობის მიღების წესისა და პროცედურის შესახებ;
- განხორციელდა კანონშემოქმედებითი საქმიანობის ყოველწლიური გეგმით განსაზღვრული და სხვა სახის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ასევე, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული ყველა საკანონმდებლო აქტის პროექტის, საქართველოს მთავრობისა და სხვა ცალკეული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზა და არსებითი დახმარება გაეწია სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მათ საქმიანობასთან დაკავშირებით ცალკეული საკანონმდებლო აქტის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტების შესწორების, მათი შინაარსის თაობაზე რეკომენდაციების მიწოდებისა და სამართლებრივი კონსულტაციების სახით;
- საქმიანობა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:
  - ✓ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან სამუშაო რეჟიმის ფორმატში წარიმართა და დასრულდა მუშაობა „სტამბოლის კონვენციიდან“ გამომდინარე ფართომასშტაბიან საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე;
  - ✓ ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების ასახვის მიზნით გრძელდებოდა მუშაობა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე და მისგან გამომდინარე კანონპროექტებზე, ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე;
  - ✓ გრძელდებოდა მუშაობა აღსრულების კოდექსის ახალ პროექტზე ამ სფეროს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით, მუშაობა საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული და საგადასახადო კოლეგიების/პალატების შექმნის კონცეფციაზე და ამ მიზნით დონორებთან/პოტენციურ დონორებთან კოორდინაციაზე;
  - ✓ მედიაციის სფეროს განვითარებისა და მედიაციის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს

ფარგლებში, მიმდინარეობდა მუშაობა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე და მისგან გამომდინარე კანონპროექტებზე;

- ✓ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოდერნიზაციის და მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით „GIZ“-ის მხარდაჭერით და იუსტიციის სამინისტროსა და ამ სფეროში მოღვაწე პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების ჩართულობით მიმდინარეობდა მუშაობა ადმინისტრაციული სამართლის რეფორმაზე;
  - ✓ გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობით მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის გადახედვაზე ამ სფეროს ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
  - ✓ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ კანონმდებლობის სრულყოფისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს 2006 წლის კონვენციასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
  - ✓ მიმდინარეობდა მუშაობა „შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამრღვევ პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე;
  - ✓ ხელშეკრულებათა ექსპერტიზის მიმართულებით რეაგირება განხორციელდა 602 მომართვაზე/წერილზე (როგორც საერთაშორისო, ისე კერძო ხასიათის ხელშეკრულების პროექტები), ხოლო სასამართლო წარმომადგენლობისა და ადმინისტრაციული საჩივრების მიმართულებით – 21 ადმინისტრაციულ საჩივარზე.
- სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა შემდეგი ხელშეკრულებების პროექტებსა და საკითხებს:
    - საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულება:
      - ✓ რეადმისიის შეთანხმებების პროექტები (საქართველოსა და ისლანდიას, საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას, საქართველოსა და მალტას რესპუბლიკას, საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას, საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის);
      - ✓ გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთადიარებისა და დაცვის თაობაზე წარმოდგენილი შეთანხმებების პროექტები (საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას, საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას, საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას, საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის);
      - ✓ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, ინვესტიციების ხელშეწყობის, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის, კონფიდენციალობისა და ინფორმაციული გარანტიის, ტრანზიტისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის („ლაპის ლაზული“), საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის, ტურიზმის სფეროში თანამშრომლობისა და საჰაერო მიმოსვლის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებები;
      - ✓ „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტრანსსასაზღვრო ზონაში ერთობლივი პროექტის მდინარე კურა/მტკვარზე მშენებლობის თაობაზე“ ხელშეკრულების პროექტი;
      - ✓ „ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუტის დაარსების შესახებ“ შეთანხმების პროექტი;
      - ✓ „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის სახელით გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას შორის პროექტზე პასუხისმგებლიანი თევზჭერისა და მდგრადი აკვაკულტურის უზრუნველყოფის ტექნიკური დახმარება (GFCM) 2017-2020 შუალედური სტრატეგიის კონტექსტში“ შეთანხმების პროექტი;
      - ✓ „ინდოეთის არქეოლოგიური ზედამხედველობის სამსახურს ნიუ-დელი და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის წმინდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების გამოფენის შესახებ“ შეთანხმების პროექტი;

- ✓ „საქართველოს მთავრობასა და გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციას შორის ძირითადი თანამშრომლობის შეთანხმების“ პროექტი;
- ✓ „ევროპის სოციალური ქარტიის“ რიგი მუხლების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათი სავალდებულოდ აღიარების მიზნით;
- ✓ „ტრანსსასაზღვრო წყალსადინარებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ 1992 წლის კონვენციის წყლისა და ჯანმრთელობის შესახებ“ ოქმის სამართლებრივი ექსპერტიზა;
- ✓ „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის 50-ე (ა) და 56-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის თაობაზე ოქმები;
- ✓ „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმის“ პროექტი;
- ✓ „საერთაშორისო სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფნის დაფუძნების თაობაზე სპარსეთის ყურე – შავი ზღვა“ შეთანხმების პროექტი;
- ✓ „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ შეთანხმების (“TRIPS”) ცვლილების ოქმი;
- ✓ სამართლებრივი დასკვნა „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ“ შეთანხმების XVII-C და XVII-D დანართებში ცვლილების შეტანის შესახებ გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის გადაწყვეტილების პროექტის თაობაზე.

• კერძო სამართლის მიმართულეზა:

- ✓ საქართველოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (ADB, IBRD, KfW, Unicredit Bank Austria, EIB, AIIB, EBRD, AFD) გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულებების პროექტებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში მონაწილეობა და ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- ✓ საქართველოს მთავრობასა და ინვესტორებს შორის ელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტები (მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი პროექტის, როგორც არის მდინარე ნენსკრაზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურის პროექტი და ფოთის პორტის აკვატორიაში, გემზე განთავსებული 216.68 მგვტ დადგმული სიმძლავრის თბოელექტროსადგურის იმპლემენტაციის ხელშეკრულება), სულ 135 პროექტი;
- ✓ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ (მათ შორის, აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის გაუმჯობესების პროექტსა და შიდასახელმწიფოებრივი გზების პროექტებთან დაკავშირებით) გასაფორმებელი „FIDIC“ ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და სამართლებრივი რისკების შეფასება; საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმდინარე დავის ფარგლებში (ტოდინი) კონსულტაციებისა და სამართლებრივი დახმარების გაწევა და ისეთი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების პროექტების ექსპერტიზა, როგორც არის ჩრდილოეთის კორიდორის მოდერნიზაციის პროექტი (ბაგრატაშენის ხიდის პროექტირება და მშენებლობა), ასევე, ქუთაისის შემოვლითი გზის მონაკვეთისა და ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა;
- ✓ სხვადასხვა საკითხზე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და სამართლებრივი რისკების შეფასება;
- ✓ სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და ინვესტიციების განხორციელების ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და სამართლებრივი რისკების შეფასება;
- ✓ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების (სამინისტროების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო კომპანიების მიერ გასაფორმებელი სხვადასხვა სახის ხელშეკრულების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და სამართლებრივი რისკების შეფასება.

- მომზადდა სამართლებრივი დასკვნები სხვადასხვა კონვენციასთან საქართველოს შეერთების საკითხთან დაკავშირებით:
  - ✓ „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე სასამართლო და სასამართლოს გარეშე დოკუმენტების საზღვარგარეთ ჩაბარების შესახებ“ ჰააგის 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენცია;
  - ✓ „სამოქალაქო ან კომერციულ საქმეებზე მტკიცებულებათა საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ“ ჰააგის 1970 წლის 18 მარტის კონვენცია;
  - ✓ „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ“ 2001 წლის კონვენცია;
  - ✓ „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“ ათენის კონვენცია;
  - ✓ „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ (შესწორებული რედაქციით)“ კიოტოს კონვენცია;
  - ✓ „ევროპის ფარმაკოპეის შემუშავების კონვენცია“.
- სტრასბურგის სასამართლოში მთავრობის პოზიციის წარდგენის მიზნით დამუშავდა 121 საქმე, რის შედეგადაც 59 საქმეზე გაიგზავნა მთავრობის პოზიცია საქმის დასაშვებობასა და არსებით მხარეზე, 57 საქმეზე – მთავრობის დამატებითი მოსაზრებები, მათ შორის, კომენტარები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, ხოლო 5 საქმეზე გაიგზავნა შეთავაზება საჩივრის მორიგებით დასრულების თაობაზე;
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო საბოლოო რეზოლუციები და აღსრულებულად გამოაცხადა საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი 13 საქმის განხილვა, რითაც დაადასტურა, რომ ევროპული სასამართლოს მიერ ამ საქმეებში დადგენილი დარღვევები საბოლოოდ აღმოიფხვრა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების შედეგად;
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში წარდგენილი იქნა აღსრულების სამოქმედო გეგმა/ანგარიში ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ 37 საქმეზე, რომლებიც მოიცავდა აღსრულების მიზნით, სახელმწიფოს მიერ გატარებულ ინდივიდუალურ და კომპლექსურ ზოგად ღონისძიებებს;
- საქართველოს პარლამენტს წარედგინა ანგარიშები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ჰააგის სასამართლო) I წინასასამართლო პალატის 2016 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისს წარედგინა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფარგლებში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, განხორციელდა შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები სასამართლოს მიერ მოწოდებული თხოვნების შესრულების და გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით. შემუშავდა და ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შორის“ შეთანხმება;
- ევროსასამართლოს პრევენციული სამართლის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობით მომავალი იურისტების დაინტერესების მიზნით გამოცხადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმიტირებული პროცესის შესარჩევი კონკურსი. ტესტირების შედეგად მეორე ეტაპზე გადავიდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 17 გუნდი (51 სტუდენტი). ინგლისურ ენაზე წარდგენილი პოზიციების შემოწმების შედეგად, ფინალში გადავიდა 2 გუნდი, გამარჯვებულ გუნდის ორმა საუკეთესო მონაწილემ სტაჟირება გაიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტში. პროექტი იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და „ELSA საქართველოს“ ინიციატივით ხორციელდებოდა;
- ევროკავშირის სამართლის წყაროებთან დაახლოების მიზნით შემუშავებულ ნორმატიული აქტების პროექტებზე მომზადდა შესაბამისობის ანალიზი. გაცემული დასკვნების რაოდენობა: საქართველოს კანონის პროექტებზე – 29, ხოლო მთავრობის დადგენილების პროექტებზე – 48;
- სოციალური პარტნიორობის სამხრეთი კომისიის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხორციელდა ევროკავშირის სამართლებრივი აქტების საფუძველზე შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების

ანალიზი/განხილვა. მომზადდა დასკვნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტის ევროკავშირის სამართალთან შესაბამისობის თაობაზე; ასევე, რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობის 2000/43/EC, 2000/78/EC და 2006/54/EC დირექტივებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ხოლო 2004/113/EC დირექტივის შესრულების მიზნით შემუშავდა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი;

- აქტიურად მიმდინარეობდა ორმხრივი საინვესტიციო და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების შემუშავებისა და მოლაპარაკებების პროცესი: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ტექსტის შესაბამისი ნაწილების საბოლოო შესწორება და ხელმოსაწერად მომზადება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონგ-კონგის ადმინისტრაციულ რეგიონსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ტექსტის საბოლოო ვერსია), ყატარის სახელმწიფოსთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ტექსტის საბოლოო შესწორება, უნგრეთთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების ტექსტზე მუშაობა, არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გასაფორმებლად, ზეპირი მოლაპარაკებების რაუნდი და ტექსტზე მუშაობის დასრულება ბელარუსის რესპუბლიკასთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, იაპონიასთან ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით გამართული კონსულტაციები;
- კონსულტაცია გაეწია საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული უწყებების მიერ დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შესაძლო სამომავლო დავების რისკების ანალიზთან დაკავშირებით;
- წამებასთან ბრძოლის ფარგლებში ეუთო-ს წარედგინა ანგარიში საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე. ანგარიშგება განხორციელდა, აგრეთვე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით წარმართული საქმიანობების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ამერიკის საელჩოს სახელმწიფო დეპარტამენტისადმი;
- საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრასთან დაკავშირებით მომზადდა საქართველოს და თურქეთის იუსტიციის სამინისტროებსა, ასევე, თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, ზღვაოსნობისა და კომუნიკაციის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმები. დოკუმენტს ხელი მოეწერა სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოზე;
- საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასა (IOM) და საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან თანამშრომლობით გაიმართა ანტიწარკობილი კვირეული. კვირეულის ფარგლებში შედგა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებსა და მოსწავლეებთან (თბილისსა და 4 რეგიონში), გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ნარკომანიასთან ბრძოლის თანამედროვე გამოწვევები“;
- მიღებულ იქნა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების/დაკავების 8 ახალი საქმე, ხოლო არსებულ მიმდინარე 9 საქმიდან, 2 საქმეზე საქართველოს ცენტრალურმა ორგანომ ითანამშრომლა საბერძნეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებთან, ხოლო თითო საქმეზე – თურქეთის რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკის, უკრაინის, იტალიის რესპუბლიკისა და ესპანეთის სამეფოს ცენტრალურ ორგანოებთან. 6 საქმეზე დასრულდა მუშაობა და დაკავებული ბავშვები დაბრუნდნენ საქართველოში, თურქეთის რესპუბლიკაში, ესტონეთსა და დიდ ბრიტანეთში;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთობლივი ძალისხმევით „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ჰააგის 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილება/დაკავების საერთაშორისო საქმეებზე მიმართვიანობის (რეფერირებისა) და აღსრულების პროცედურები; შემუშავდა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილება/დაკავების საერთაშორისო საქმეებზე სარეკომენდაციო სახელმძღვანელო; შემუშავდა ტრენინგმოდული ჰააგის 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციის საკითხებზე;

- ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს, როგორც მაკოორდინირებელი ორგანოს, საქმიანობის ფარგლებში მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელიც ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სასჯელებს მარიხუანისა და მცენარე კანაფის შეძენაზე, შენახვაზე, გადაზიდვაზე, გადაგზავნაზე ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებაზე, ასევე, ახლებურად განისაზღვრა მარიხუანის დიდი და მცენარე კანაფის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები;
- უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფების ფარგლებში შემუშავდა ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დებულების პროექტი, სტრუქტურა და წევრთა არჩევის წესი, ასევე, მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადდა კანონპროექტი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილების ფარგლებში ახლებურად განისაზღვრა 8 ნარკოტიკული საშუალების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები;
- მომზადდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობების შესრულების ანგარიში;
- გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზებული დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსიაზე შემუშავდა შენიშვნები და რეკომენდაციები და წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შემუშავდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა და მომზადდა „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“ 1954 წლის ჰააგის კონვენციისა და მისი ორი დამატებითი ოქმის შესრულების ანგარიში;
- ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადდა 2015-2016 წლების ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; ასევე, პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით შემუშავდა და დამტკიცდა ახალი – 2017-2018 წლების, წამებასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში დამუშავდა ტრეფიკინგის საქმეებთან დაკავშირებული ერთიანი მონაცემთა ბაზა; შემუშავდა და გამოქვეყნდა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის 2015-2016 წლების შესრულების ორწლიანი ანგარიში; მომზადდა ანგარიში მონობის თანამედროვე ფორმების, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე; შემუშავდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ერთიანი საინფორმაციო გეგმა, რომლის საფუძველზე ხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები; ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნომ მიგრაციის სამთავრობო კომისიაში წარადგინა ანგარიში მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2017 წელს განხორციელებული საქმიანობების შესახებ; მომზადდა ანგარიში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მიერ 2016 წელს საქართველოს მიმართ გამოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში მომზადდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ 2016 წლის შესრულების ანგარიში;
- მომზადდა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ 2017 წელს განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში და შემუშავდა 2018 წლის სამოქმედო გეგმა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით;

- „უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩოკონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე მესამე ციკლის მონიტორინგის ფარგლებში სახელმწიფო ანგარიშის შედგენის მიზნით მომზადდა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში 2012 წლიდან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში.

6.7 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

- საარქივო მომსახურება შეუფერხებლად მიეწოდებოდა მოქალაქეებს, სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციულ ორგანიზაციებს. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების, გამოცდილების გაზიარების, ასევე, ეროვნულ არქივში დაცული მასალის პოპულარიზაციის მიზნით ეროვნულ არქივს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა უცხოელ კოლეგებსა და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- გამოიცა სამეცნიერო შინაარსის წიგნები, მათ შორის: „მარო თარხნიშვილის მოგონებები“, „ნიკო ბურის დღიური“, „საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება“, „ომის დღეები გივი ღამბაშიძის მოგონებები რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ“, „ისტორიის ფურცლები, ქუთაისის ცენტრალური არქივი“; მზადდებოდა წიგნები: „ღიღის მოგონებები“, „ესტატე მირიანაშვილი“, „ნოე რამიშვილის წიგნი-ალბომი“ და „1921 წლის 17 მარტის ქუთაისის მოლაპარაკების სტენოგრამა“. დაიწყო მუშაობა „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მეორე ტომსა და ძველნაბეჭდი ქართული წიგნების აღწერაზე. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან ერთად მომზადდა ალბომი „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“;
- ჩატარდა იაპონელი მეცნიერის, ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტის პროფესორ ჰიროტაკე მადეას საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული წყაროების მნიშვნელობა გვიანი შუა საუკუნეების ისტორიის კვლევაში“ და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების უფროსის - ჯილიან ევისონის, საჯარო ლექცია თემაზე: „უორდროპების კოლექცია - „ქართული ხელნაწერები და ძველნაბეჭდი წიგნები“;
- გაგრძელდა 2015 წელს დაწყებული პროექტი „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომლის ფარგლებშიც მცხეთის, დუშეთის, კასპის, გორის, რუსთავისა და თბილისის 74 საჯარო სკოლაში მოეწყო პრეზენტაციები;
- პირველად მოეწყო „ღია კარი“, რაც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის დოკუმენტების საცავებისა და იქ დაცული დოკუმენტების დათვალიერების შესაძლებლობას გულისხმობს;
- გაიმართა გამოფენა „აკაკი შანიძე – 130“, „ქართული ძველნაბეჭდი წიგნები“, „დღესასწაული“, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, „ისტორიის ფურცლები“, „თბილისი - ურბანული ცვლილებები“, „კოტე მიქაბერიძე“, „რეპრესიები საქართველოში“, „ქართული სახარება – პალიმფსესტი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში“. სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის პროგრამების მონაწილეებისთვის საგამოფენო დარბაზში შედგა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიება. სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა ღია ჩვენებები: „დაზვის გარეშე წიგნის აკინძვა“ და „ხელნაწერის მინიატურის შექმნა“;
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრთან მათი სპექტაკლების აუდიო-ვიდეოჩანაწერების შექმნის შესახებ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;
- გრძელდებოდა პროექტი „ქართული ზღაპრები – აუდიოვიდეოჩანაწერები“. ათეულობით წლის წინ ჩაწერილ ზღაპრებს ქართული კინოსა და თეატრის ცნობილი თანამედროვე მსახიობების მიერ წაკითხული 30-ზე მეტი ჩანაწერი დაემატა;

- სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა 22 126 ქაღალდისა და 48 ეტრატის ფურცელს, 1196 ფოტოპოზიტივს, 16 რუკას, 86 ტექნიკურ ნახაზს, 5 აფიშას, 136 გაზეთს, 1 წიგნსა და სხვა საარქივო მასალას;
- შეძენილ იქნა ეთნომუსიკოლოგ კახი როსებაშვილის ხალხური სიმღერების პირადი არქივი, ისტორიკოს ილია ტაბაღუას პირადი წარმოშობის ფონდი და მოქალაქე გურამ გუნდიაშვილის საკუთრებაში არსებული უნიკალური ფოტომასალა, რომელიც მოიცავს კადრებს კინოფილმებიდან და გადასაღები მოედნებიდან (მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი), მოქალაქე ალექსანდრე თარხნიშვილის საკუთრებაში არსებული უნიკალური ფოტოკოლექცია, რომელშიც ასახულია ისრაელ-საქართველოს 26-საუკუნოვანი იუბილის დღეები და სხვ (1970-1990 წწ.);
- „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით მომზადდა 181.8 ათას წერილზე მეტი;
- „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის“ საპილოტო პროექტის ფარგლებში შეიქმნა საპილოტო ერთეულებში საკომლო წიგნების ელექტრონულ მონაცემთა ერთიანი ბაზა. აღნიშნულ ბაზაში სრულად შეტანილ იქნა 11 ადმინისტრაციული ერთეულის (ჯიშითი, არხილოსკალო, ზარიძეები, ვედიდკარი, ლახამულა, საგურამო, მანგლისი, მზისგული, სალხინო, არბოშიკი, კარალეთი) საკომლო წიგნების მონაცემები;
- გრძელდებოდა მუშაობა ეროვნული საარქივო ფონდის ციფრულ მატარებლებზე გადატანისა და ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის მიმართულებით, რაც საშუალებას იძლევა, არ დაზიანდეს საარქივო დოკუმენტის დედანი ხშირი გამოყენებით და შენარჩუნდეს მისი პირველადი სახე;
- დასკანირდა ეროვნული საარქივო ფონდის 290 ათას გვერდზე მეტი, მიმდინარეობდა ელექტრონულად შენახული ფაილების აწყობა-დამუშავება, ტექნიკური და შინაარსობრივი შემოწმება;
- სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საფონდო მასალიდან ციფრულ მატარებლებზე გადატანილ იქნა 1 800 ათასი ფაილი, მათ შორის, ფართოფორმატიანი რუკები – 44 246 ერთეული, ხოლო სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საფონდო მასალიდან ციფრულ მატარებლებზე გადატანილ იქნა 2 396 ათასი ფაილი;
- ელექტრონულად შენახული იქნა 7 207 ერთეული ფოტოდოკუმენტი, 500 ერთეული კინოდოკუმენტი და 388 ფონოდოკუმენტი;
- წარმატებით შესრულდა გეგმური დავალებები ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის დარგში: დოკუმენტების რესტავრაციის გეგმა შესრულდა 149%-ით, საქმეთა შეკვრის – 218%-ით, ქაღალდისფუძიანი დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების – 230%-ით. გადაჭარბებით შესრულდა მმართველობითი, პირადი შემადგენლობისა და კინოფოტოფონოდოკუმენტების აღწერის, აუდიოვიზუალური დოკუმენტების ანაწერების გადამუშავებისა და კატალოგიზაციის გეგმური დავალებები;
- ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების უკეთეს პირობებში შენახვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით:
  - ✓ განხორციელდა 2 ტერიტორიული ორგანოს (ჭიათურისა და საჩხერის) ცენტრალიზაცია;
  - ✓ დასრულდა რუსთაველი ქვემო ქართლის რეგიონული არქივის შენობის სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა ქუთაისის ცენტრალური არქივის სამშენებლო სამუშაოები, შესრულდა სამუშაოების 95%;
  - ✓ დასრულდა ქ. თბილისში ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობის ფოიეს, მოქალაქეთა მისაღებისა და სამკითხველო დარბაზის სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოები, ასევე, ქ. თბილისში ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ძველი კინოდარბაზისა და მეორე სართულზე მისთვის განკუთვნილი დამხმარე ფართის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო და დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისი პროექტი;



- ✓ დასრულდა გურიის რეგიონული არქივის ფასადის სარეაბილიტაციო, ხონისა და ჩხოროწყუს ადგილობრივი წარმომადგენლობის სარემონტო, ასევე, ქ. თბილისში საისტორიო ცენტრალური არქივის სარდაფისა და მიმდებარედ სახანძრო აუზის კაპიტალური რემონტის, გათბობა-გაგრილების დანადგარისათვის ხმის ჩამხშობი ეკრანის მოწყობისა და ეზოში კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები.

## 6.8 სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 53 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

• იურიდიული დახმარების სამსახურმა წარმოებაში მიიღო 13 878 საქმე. აქედან 10 759 საქმე (77%) განეკუთვნებოდა სისხლის სამართლის დარგს, 2 317 საქმე (17%) - სამოქალაქო სამართლის დარგს, 802 საქმე (6%) კი ადმინისტრაციულ სამართალს. 2017 წელს ბენეფიციარებს გაეწიათ კონსულტაცია 29 395 საკითხზე, შედგენილი დოკუმენტების რაოდენობა 2 530-ია.

• იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი გაფართოვდა. საანგარიშო წლის იანვრიდან სამსახურს დაევალა ტუბერკულოზით დაავადებულ იმ პირთა სავალდებულო დაცვა, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს არანებაყოფლობითი იზოლაციის საკითხს. გარდა ამისა, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სამსახური ვალდებული გახდა არამხოლოდ ოჯახში ძალადობის, არამედ ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებსაც გაუწიოს უფასო იურიდიული დახმარება. დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ინიცირებული ცვლილებები საქართველოს კანონში „იურიდიული დახმარების შესახებ“. კანონპროექტის საბოლოო დამტკიცების შედეგად, 2018 წლიდან, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობას შეძლებს ძალადობის მსხვერპლი ნებისმიერი ბენეფიციარი, გადახდისუნარიანობის მიუხედავად – აქამდე ეს მომსახურება მხოლოდ გადახდისუნაროებზე ვრცელდებოდა. ამასთან, იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდება უძრავ ნივთებთან და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ დავებზე, რაც ათასობით მოქალაქეს მატერიალური პირობების დაცვის შესაძლებლობას მისცემს.

• გაუმჯობესდა იურიდიული დახმარების სამსახურის ინფრასტრუქტურა: საანგარიშო პერიოდში გაიხსნა ადმინისტრაციის ახალი ოფისი. გარდა ამისა, ახალ, კეთილმოწყობილ ოფისში გადავიდა აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო, დასრულების სტადიაშია სარემონტო სამუშაოები იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის და ფოთის ბიუროს ოფისებში, ხოლო რუსთვის ბიუროს ოფისის სარემონტო სამუშაოები შესრულებულია ნაწილობრივ.

• განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ 32 ტრენინგში (მათ შორის, დისტანციური სასწავლო პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის შემდეგ თემებზე: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები (დაესწრო იურიდიული დახმარების სამსახურის 60-მდე ადვოკატი), ადვოკატთა პროფესიული ეთიკა (დაესწრო 181-ზე მეტი საზოგადოებრივი ადვოკატი). ევროკავშირისა და გაეროს ხელშეწყობით, სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის ჩატარდა 10 ტრენინგი სამოქალაქო, ვალდებულებითი და სამეწარმეო სამართლის თემებზე. INL-ის ხელშეწყობით, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატები დაესწრნენ ოთხდღიან კურსს თემაზე „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევები“. სამსახურის ადვოკატები დაესწრნენ სამდღიან ტრენინგს დევნილთა სამართლის საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზებული იყო დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ. ივლისის თვეში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგების ციკლი, USAID-ის პროგრამის PROLOG-ის დაფინანსებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ და ჩატარდა შვიდი ტრენინგი. გარდა, ამისა გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაფინანსებით სექტემბერსა და

ოქტომბერში ჩატარდა სამი ტრენინგი თემაზე – „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, სამართლებრივი მექანიზმები და იმპლემენტაციის ასპექტები“. 2017 წელს, საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციამ (სიფა) იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის ჩატარა 10 (ათი) ტრენინგი, რომელიც მიეძღვნა სამოქალაქო საპროცესო სამართლის, ვალდებულებითი სამართლის და სამეწარმეო სამართლის თემებს;

- საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარების ბიუროებმა განაგრძეს გასვლითი კონსულტაციებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. სულ განხორციელდა 170-ზე მეტი სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: 25 სემინარი საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლასა და უმაღლესი განათლების დაწესებულებაში; 21 ვიზიტი დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან გაიმართა 28 შეხვედრა, სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონულ განყოფილებებში – 5 შეხვედრა. 63 შეხვედრა გაიმართა ოჯახში ძალადობის საკითხებზე (მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში), ხოლო 11 შეხვედრა ქალთა უფლებების დაცვის თემაზე. დამატებით, სამსახურის იურისტებმა ჯამში 28 რადიო და სატელევიზიო გადაცემაში მიიღეს მონაწილეობა, ასევე გამართეს პრესკონფერენციებიც; ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით, 2017 წელს განახლდა და გაუმჯობესდა ახალი ვებგვერდი. იგი ხელმისაწვდომი გახდა საანგარიშო წლის ბოლოს. სამენოვანი ვებგვერდი ადაპტირებულია მხედველობის არმქონე და ნაკლებადმხედველი პირებისათვის. მასზე განთავსებულია სამსახურთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სამართლებრივი დოკუმენტები, ანგარიშები, სტატისტიკა და ა.შ. ასევე, ხელმისაწვდომია ინფორმაცია აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

#### 6.9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- განხორციელდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი;
- შემუშავებულ იქნა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის, თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის, ბავშვის უფლებების ცენტრისა და სახალხო დამცველის აპარატში არსებული პროექტების უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარდა შესაბამისი მონიტორინგები;
- განხორციელდა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;
- მხარდაჭერილ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრებისა (ბავშვის უფლებათა ცენტრი, ტოლერანტობის ცენტრი) და საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობა;
- განხორციელდა სამოქალაქო განათლების მიზნით საჯარო დებატების ორგანიზება, საინფორმაციო ბიულეტენების, სოციალური რეკლამის დამზადება და მედიასაშუალებებში განთავსება, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა, ადამიანის უფლებათა თემებზე პუბლიკაციის გამოცემა და გავრცელება;
- მიმდინარეობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადებების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება, შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

- განხილულ იქნა საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე, კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებები და საჩივრები;
- შესრულდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციები;
- მიმდინარეობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციაზე მონიტორინგი;
- მიწოდებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
- სათამაშოების უსაფრთხოების, სასმელი წყლისა და სანიტარულ - ჰიგიენური პირობების, სკოლებში გენდერული პარიტეტის დაცვისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ ჩატარდა 4 კვლევა.

#### 6.10 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

- მომხმარებლებთან უკუკავშირის აღრიცხვის, აღწერისა და მათთან გადაუდებელი კომუნიკაციის დამყარების მიზნით გამოვლინდა სპეციალური სატესტო პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზები და მათი აღმოფხვრის თაობაზე შემუშავდა წინადადებები. მიმდინარეობდა პროგრამული უზრუნველყოფის განახლების და მომხმარებლის ხმის მატერიალური აპლიკაციების ელექტრონული აპლიკაციებით ჩანაცვლების წინამოსამზადებელი სამუშაოები;
- „მომხმარებლის ხმის“ პროექტის ფარგლებში მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, მომზადდა კვარტალური ანგარიშები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მომხმარებელთა დამოკიდებულებების განსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოყენება;
- შემუშავდა და დამტკიცდა მომსახურების ხარისხის სტანდარტის განახლებული დოკუმენტი, სადაც მოცემულია როგორც იუსტიციის სახლის ფილიალების, ისე სატელეფონო ცენტრის მომსახურების სტანდარტი;
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განახლდა „პროგრამული ხარვეზების დაფიქსირების ინსტრუქცია“, რიგის მართვის სისტემაში შევიდა შესაბამისი პროგრამული ცვლილებები;
- დასრულდა იუსტიციის სახლის ფილიალებსა და სატელეფონო ცენტრში „იდუმალი მომხმარებლის კვლევის“ პირველი და მეორე ტალღა, კვლევის ორივე ტალღის ფარგლებში ჯამური შეფასების მაჩვენებელი შეადგენს 95,60%-ს. შემუშავდა კვლევის განახლებული ინსტრუმენტი, განხორციელდა პარამეტრებისათვის წონების მინიჭება და დაინერგა კვლევის ახალი მეთოდოლოგია, რაც იძლევა ობიექტური და სანდო შედეგების მიღების შესაძლებლობას. კვლევის მეორე ტალღისათვის კითხვარს დაემატა თანამშრომელთა კომპეტენციისა და სერვისის მიწოდების ხარისხის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი სხვა პარამეტრები, შემუშავდა „იდუმალი მომხმარებლის“ კვლევის დასრულების შემდგომ კომპანიის მიერ წარმოსადგენი საბოლოო ანგარიშის ახალი ფორმა, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი პარამეტრები, რომელთა დარღვევასაც ყველაზე ხშირად აქვს ადგილი მომხმარებლის მომსახურების პროცესში;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:
  - ✓ ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომლებისთვის – „იდუმალი მყიდველის კვლევის მეთოდოლოგია“ (4 თანამშრომელი);
  - ✓ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელთათვის – „ადამიანური კაპიტალის მართვა“ (7 თანამშრომელი);

- ✓ იუსტიციის სახლის ფილიალებისა და სატელეფონო ცენტრის 80-მდე თანამშრომლისთვის - სპეციალურად იუსტიციის სახლისათვის შემუშავებული ტრენინგპროგრამა „თვითმენეჯმენტი“ და „ეფექტიანი მომსახურების სტანდარტები“, ხოლო 95 თანამშრომლისთვის - „კომუნიკაციის ფსიქოტექნოლოგიების“ ტრენინგი;
- ✓ ინსტრუქტორებისათვის - „ტრენერთა ტრენინგი“ (41 თანამშრომელი);
- ✓ სხვადასხვა ფილიალისა და სატელეფონო ცენტრის თანამშრომლებისათვის (107 თანამშრომელი) - ტრენინგი „ეფექტიანი მომსახურება და კომუნიკაცია“;
- ✓ ტრენინგი „MS Excel“ (25 თანამშრომელი);
- ✓ ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის (52 თანამშრომელი) - ტრენინგი თემაზე: „ხარისხის მართვა“ და „პროცესების შიდა აუდიტი - ISO 19011:2010“;
- ✓ ოთხი ფილიალის (მარნეული, ფოთი, ზუგდიდი, ახალციხე) 50-მდე თანამშრომლისათვის ტრენინგი რუსულ ენაში, ხოლო ადმინისტრაციის, სატელეფონო ცენტრის, ბათუმისა და ბორჯომის ფილიალების 90-მდე თანამშრომლისათვის – რუსულ და ინგლისურ ენებში;
- ✓ შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებისათვის სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგები: „შიდა აუდიტის ძირითადი კურსი“ და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (4 თანამშრომელი), ასევე, სასერტიფიკაციო პროგრამა „საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურება“ (2 თანამშრომელი);
- ✓ საუკეთესო შეფასების მქონე 231 თანამშრომლისათვის - „გუნდური შეჭიდულობის“ ტრენინგი, ასევე, ადმინისტრაციის თანამშრომლების, ფილიალების მენეჯერებისა და თბილისის იუსტიციის სახლის სექტორის კოორდინატორებისათვის (11 თანამშრომელი) – „გუნდური შეჭიდულობის“ და „გუნდური მუშაობის“ ღონისძიებები;
- ✓ ცენტრალურ აპარატში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ პირებისათვის ტრენინგი თემაზე „სტრატეგიული მართვა“ (12 თანამშრომელი) და „ოპერაციების მართვა“ (10 თანამშრომელი);
- ✓ თბილისისა და ბათუმის ფილიალების თანამშრომლებისათვის (50 თანამშრომელი) ტრენინგი „თვითმენეჯმენტი“, თბილისისა და ქუთაისის ფილიალების თანამშრომლებისათვის (45 თანამშრომელი) – „ემოციური ინტელექტის“ ტრენინგი;
- ✓ ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის (16 თანამშრომელი) მიზნის სწორად დასახვისა და მართვის უნარების განვითარების კუთხით - ტრენინგი „NLP და ქოუჩინგი“;
- ✓ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლებისათვის (4 თანამშრომელი) - ტრენინგი „ბუღალტრული აღრიცხვის და წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადების კურსი სსბასს-ის სტანდარტების შესაბამისად“.

- თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ უკუკავშირის მიღების, დასაქმებულთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების დაგეგმვის ხელშეწყობის, დასაქმებულთა სტაბილური კარიერული განვითარების მიზნით დაინერგა იუსტიციის სახლის ფილიალებისა და სატელეფონო ცენტრის თანამშრომელთა შეფასებისა და კარიერული განვითარების სისტემები;
- მიმდინარეობდა პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემაზე მორიგი აქციის პიარკამპანია და „დოკუმენტების ამნისტიის“ შესახებ მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა. იუსტიციის სახლის წინა ხაზის საშუალებით ხორციელდებოდა ევროპაში უვიზო მიმოსვლის საინფორმაციო კამპანია ბეჭდური მასალის დარიგების გზით;
- ევროპის დღეებისთვის შეიქმნა და საგამოფენო ზონაში განთავსდა სპეციალური პავილიონი, სადაც იუსტიციის სახლის ოპერატორები ევროპაში უვიზო მიმოსვლისთვის აუცილებელი ბიომეტრიული პასპორტის თაობაზე მოსახლეობისთვის აქტუალურ კითხვებს პასუხობდნენ. კამპანია განხორციელდა თბილისში, ოზურგეთში, ზუგდიდსა და თელავში;
- დაიგეგმა და მიმდინარეობდა ჯასთდრაივის ონლაინკამპანია სოციალური ქსელის საშუალებით; მომზადდა 40-ზე მეტი საინფორმაციო ბანერი ონლაინმედიისთვის; განახლდა იუსტიციის სახლის საიმიჯო ბროშურა;

- დაინერგა და გაშუქდა ეკომიგრანტებისთვის განკუთვნილი სერვისები, სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს სერვისი „ცნობა ნასამართლობის შესახებ“. ამ დრომდე ახალი სერვისით უკვე ისარგებლა 10 300-მდე მომხმარებელმა, ასევე, დაინერგა უძრავი ქონების დაზღვევის სერვისი;
- თბილისის იუსტიციის სახლი სრულად ადაპტირდა მხედველობადაქვეითებული და უსინათლო მომხმარებლისთვის. ასევე, ადაპტირებულ იქნა იუსტიციის სახლის ოფიციალური ვებგვერდი მხედველობადაქვეითებული და უსინათლო მომხმარებლისთვის დადგენილი სტანდარტების მიხედვით;
- მიმდინარეობდა პროექტი „კეთილი იყოს შენი მობრძანება“. აღნიშნული პროექტით უკვე ისარგებლა 2 090-მა სოციალურად დაუცველმა ოჯახმა. განხორციელდა დამატებით 2 500 სასაჩუქრე ნაკრების შესყიდვა შესაბამის ბრენდირებულ ჩანთებთან ერთად;
- მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლებული დიზაინის შექმნა;
- დასრულდა თბილისის იუსტიციის სახლში სასარგებლო ფართის გაზრდის მიზნით ანტრესოლების მოწყობის სამუშაოები; თბილისის ფილიალში არსებული UPS-ებისთვის მოეწყო ოთახი;
- აღმოფხვრილ იქნა იუსტიციის სახლის ყაზბეგის ფილიალში არსებული ხარვეზები; მიმდინარეობდა ახალქალაქის ფილიალის სამშენებლო სამუშაოები (მოეწყო შიდა ტიხრები, იატაკზე მოეწყო ჰიდროიზოლაცია და შესრულდა მოჭიმვის სამუშაოები, ფასადზე მოეწყო ალუმინის კომპოზიტური პანელი, ნაწილობრივ დასრულდა ელექტრო და წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები). მარტვილის და ხონის ფილიალებისთვის განხორციელდა მიწაზე სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ჩატარდა სამშენებლო მოედნის გეოლოგიური კვლევა, ხონის ფილიალისთვის - მშენებლობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის ექსპერტიზა. სენაკის ფილიალისთვის განხორციელდა მხოლოდ მიწაზე სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ხონისა და ქარელის ფილიალებისათვის - მშენებლობის პროექტის არქიტექტურული ნაწილის ექსპერტიზა, ხოლო, ონის ფილიალში - უწყვეტი კვების წყაროს შექმნა-მონტაჟი;
- დასრულდა ბათუმის იუსტიციის სახლის ფასადზე დეკორატიული განათების აღდგენითი სამუშაოები, ქუთაისის ფილიალში შეიცვალა UPS აკუმულატორები და განახლდა ელექტროფარების სისტემა, გურჯაანის ფილიალში გაკეთდა აივნების ჰიდროიზოლაცია, მოხდა ფასადის ნაწილის დემონტაჟი, კედლების ჰიდროიზოლაცია და ფილების ხელახლა მონტაჟი, ზუგდიდის ფილიალში განხორციელდა შლაგბაუმის მონტაჟი; თბილისის, ზუგდიდის და ახალციხის ფილიალებში შეიცვალა დაზიანებული მინები; თბილისის ფილიალში დაიბურა შენობის ცენტრალური ფასადი;
- თბილისის ფილიალში დასრულდა ღიობების ჩახურვისა და D ბლოკის გადახურვის სამუშაოები, გაგრილების სისტემის რეაბილიტაციის II ეტაპი, შუქგაუმტარი ფარდა-ჯალუზების მონტაჟი; თბილისის ფილიალის გარე პერიმეტრზე არსებული ქოთნები შეიფუთა ფიბრობეტონის დეკორატიული ფილებით, დაიხაზა „Just Drive“-ს ტერიტორია; განხორციელდა თბილისის იუსტიციის სახლის სახურავზე წყალშემკრები სისტემის მოწყობა და სახურავის 11 პეტალის აზომვითი სამუშაოები; რუსთავის, ახალციხისა და ზუგდიდის ფილიალებში - შემინვის სამუშაოები; შეკეთდა თბილისის ფილიალში დამონტაჟებული მეტეოსადგური და მესტიის ფილიალში ფასადის დეკორატიული განათება.

#### 6.11 მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- შემუშავდა სავლე-ტექნიკური სპეციფიკაციის სახელმძღვანელო, რომელიც განსაზღვრავს სავლე აზომვითი/ავგემვითი სამუშაოების საფუძველზე საკადასტრო მონაცემების მაღალი სიზუსტით შექმნის, შეგროვების, წარმოების და გამოქვეყნების წესს; შეიქმნა ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს სავლე სამუშაოებისა და რეგისტრაციის ხარისხის დონის შეფასებას და კონტროლის ეფექტური მეთოდების შემუშავებას;

- დაბა მანგლისში ჩატარდა მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტო პროექტის ფორუმი, რომლის ფარგლებშიც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაძლო სარგებლის თაობაზე და რეგიონული ფასილიტატორების მიერ განხორციელდა 37 სარეგისტრაციო ბლოკის მოსახლეობასთან შეხვედრა. ჯამში, 300-ზე მეტ მოსახლეს მიეწოდა ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- საპილოტო პროექტის „მანგლისი“ ფარგლებში აზომილი იქნა 3 661 მიწის ნაკვეთი, დამზადდა 700-მდე აზომვითი ნახაზი. ხორციელდებოდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აზომვა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიება-დამუშავება;
- დასრულდა ჯიმიტისა და მზისგულის არელების უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება;
- საპილოტო პროექტი დაიწყო კახეთის ორ სოფელში (ჯიმიტი და მზისგული). აიზომა 3 858 მიწის ნაკვეთი, დამუშავდა უფლების დამდგენი დოკუმენტები და დაიწყო საკუთრების უფლების რეგისტრაცია. პროექტის ფარგლებში დარეგისტრირდა 1 382 მიწის ნაკვეთი. საპილოტო პროექტი, ასევე, დაიწყო არხილოსკალოსა და არბოშიკში. აზომილია 2 232 მიწის ნაკვეთი, მომზადებულია 250-ზე მეტი აზომვითი ნახაზი.

## 6.12 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

- შემუშავდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის ასოცირების შეთანხმების ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც გაშვებულია და ფუნქციონირებს რეალურ რეჟიმში;
- მოქალაქის პორტალზე ტექნიკურად რეალიზებული იქნა სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ნასამართლეობის ცნობის სერვისი, მუნიციპალიტეტების სერვისები, რეგისტრაციის მისამართის ცვლილების სერვისი, გარემოს დაცვის ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ნებრთვებისა და ანგარიშგების სერვისები და ასევე, სამეწარმეო რეესტრის 3 სერვისი:
  - ✓ ამონაწერის მომზადება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
  - ✓ რეგისტრირებულ მონაცემებში ტექნიკური ხარვეზის შესწორება;
  - ✓ ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- პორტალზე შეიცვალა მოქალაქის რეგისტრაციის მისამართის ცვლილების პროცედურა (ტექნიკური სამუშაოები დასრულდა და მიმდინარეობდა ტესტირების პროცესი) და დაიწყო „my.gov.ge“-ს ფუნქციონალის სრულად ახალი ვერსიის ტექნიკური რეალიზაციის პროცესი;
- განხორციელდა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის და მონიტორინგის სისტემის ცვლილებები; დაინტეგრირდა თანამდებობის პირთა შესახებ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - საქართველოს სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის, სსიპ - შემოსავლების სამსახურისა და სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემებიდან ინფორმაციის ავტომატური მოთხოვნის სერვისები;
- სსიპ - იუსტიციის სახლისთვის შეიქმნა ოპერატორების ერთიანი სამუშაო სისტემა, სადაც რეალიზებულია სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ნასამართლეობის ცნობის სერვისი; ტექნიკურად რეალიზებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკომიგრანტების 6 სერვისი;
- „ბიზნესსახლის“ პროექტის ფარგლებში აღწერილი იქნა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს 10 სერვისი და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 1 სერვისის ბიზნესპროცესი. დასრულდა 2 სერვისის („აწარმოე

საქართველოში“) ტექნიკური რეალიზაცია. მიმდინარეობდა თბილისის მერიისა და „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ სერვისების ინტეგრაციისათვის ბიზნესპროცესის აღწერა;

- კრიტიკული ინფორმაციული სისტემების 14 სუბიექტში ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემასთან დაკავშირებული 55 შეხვედრა (აქედან 15 შეხვედრა ეხებოდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებას, 4 შეხვედრა დაკავშირებული იყო ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის განხილვასთან, 5 შეხვედრა - უსაფრთხოების მართვის სისტემის მიდგომასთან და 31 შეხვედრა შედგა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის პროექტის ფარგლებში);
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შპს „საქაერონავიგაცია“ და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტი. აუდიტის პროექტი მიმდინარეობდა სსიპ - 112-ში. გარდა ამისა, ინფორმაციული უსაფრთხოების ტრენინგების მიერ ჩატარდა ტრენინგები (ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი, დანერგვა, აუდიტი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებისათვის; რისკების მართვა გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის; ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი შიდა აუდიტორებისათვის);
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 200-ზე მეტ თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგი ე.წ. ფიშინგმეილის/შეტყვის (კიბერშეტყვების ნაირსახეობა, რომელიც მიზნად ისახავს პირადი მონაცემების უკანონოდ დაუფლებას) თაობაზე;
- შემუშავდა სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, ყოველდღიურ რეჟიმში შემოწმდეს საქართველოს კიბერსივრცეში განთავსებული ვებგვერდების სისუსტეები. შემოწმდა 492 საჯარო სექტორის და 40 კერძო სექტორის კუთვნილი ვებგვერდი;
- ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარდა კიბერსაფარჯიშოები 12 ქვეყნისთვის, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სპეციალური ინფრასტრუქტურა და სავარჯიშოები;
- განხორციელდა 17 ვებაპლიკაციის შედარებით ტესტირებები:
  - ✓ სსიპ „სმართ ლოჯისტიკის“ 11 ვებაპლიკაციაზე;
  - ✓ სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ 1 ვებაპლიკაციაზე;
  - ✓ სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ 1 ვებაპლიკაციაზე;
  - ✓ სსიპ „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“ 1 ვებაპლიკაციაზე;
  - ✓ სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ 3 ვებაპლიკაციაზე, ასევე, შემოწმდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობილობების კონფიგურაციები.
- განახლდა ინციდენტებზე მენეჯმენტის ავტომატიზირებული სისტემა და შეიქმნა სახელმძღვანელო კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის, თუ როგორ უნდა იმუშაონ აღნიშნულ სისტემაში;
- სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა „CERT.GOV.GE“-მ რეაგირება მოახდინა 930 ინციდენტზე, რომლებიც საქართველოს კიბერსივრცეში დაფიქსირდა.

## 6.13 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
- ინსპექტორის აპარატის მიერ კონსულტაცია გაწეულ იქნა საჯარო და კერძო პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე (გაიცა 4 808 კონსულტაცია); 270 დავალება და რეკომენდაცია გაიცა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისათვის მონაცემთა დაცვის

უზრუნველსაყოფად სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გატარების მიზნით; განხილულ იქნა და რეაგირება განხორციელდა 240 მოქალაქის განცხადებაზე;

- განხორციელდა 186 ორგანიზაციის შემოწმება (ინსპექტირება),—განცხადებების განხილვისა და ინსპექტირებების განხორციელების შედეგად გამოვლინდა 274 სამართალდარღვევის ფაქტი, დაჯარიმდა 145 ორგანიზაცია, 53 ორგანიზაციას მიეცა გაფრთხილება, 11 შემთხვევაში დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს;
- ჩატარდა საქართველოს სახელით დასადები 31 საერთაშორისო შეთანხმებების ექსპერტიზა და მომზადდა შესაბამისი დასკვნები/ რეკომენდაციები. ასევე, განხილულ იქნა სხვა სახელმწიფოში მონაცემთა გადაცემის შესახებ 6 განცხადება;
- ელექტრონულ კატალოგში შეტანილი იქნა საჯარო და კერძო ორგანიზაციის 1 214 ფაილური სისტემის კატალოგი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე აპარატის მიერ ჩატარდა 40 ტრენინგი 1 000-ზე მეტი საჯარო მოსამსახურის, კერძო სექტორის წარმომადგენლის, ჟურნალისტის, სტუდენტის და სხვა დაინტერესებული პირის მონაწილეობით;
- ინსპექტორის აპარატმა უმასპინძლა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პერსონალური მონაცემების დაცვის საზედამხედველო ორგანოების გაერთიანების (CEEDPA) ყოველწლიურ შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლები და ევროპის საბჭოს ექსპერტები;
- ევროპის საბჭოს ექსპერტებთან და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა მედიისათვის პერსონალური მონაცემების დაცვის სახელმძღვანელოს შექმნაზე;
- მომზადდა რეკომენდაციები სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ – სკოლებისთვის და მოსწავლეებისა და მშობლებისათვის; აგრეთვე შემუშავდა რეკომენდაციის ტექსტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ. გარდა ამისა, მომზადდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გზამკვლევი დამწყები ბიზნესისთვის;

#### 6.15 საარჩევნო ინსტიტუციის განვითარებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით, ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები, სულ დარეგისტრირდა - 5 337 მსურველი, გამოცდა წარმატებით ჩააბარა - 430 მონაწილემ (ქალი - 306, კაცი - 124), რომლებსაც ადგილზე გადაეცათ სერტიფიკატები;
- 10 სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სასწავლო ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში;
- „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ პროექტის ფარგლებში 68 მუნიციპალიტეტში განლაგებულ 93 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეების მომზადების მიზნით, გადამზადდა 44 ტრენერი (ToT). სწავლების კურსი ითვალისწინებდა შემდეგ თემებს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა, არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი, არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები. სწავლება გაიარა 1 645-მა მოსწავლემ, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები;



- ჩატარდა „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ ორ ეტაპად. აღნიშნული პროექტისთვის გადამზადდა 84 ტრენერი, პროექტი განხორციელდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში. სულ დარეგისტრირდა 6 138 მსურველი, ხოლო ტრენინგს დაესწრო 5 243 მონაწილე;
- ჩატარდა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებისთვის სამართლებრივ საკითხებზე: კენჭისყრის დღეს განცხადება/საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება საოლქო საარჩევნო კომისიაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადება, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკა. ტრენინგი ჩატარდა 4 ეტაპად 7 ჯგუფისთვის.

6.16 სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

- სამსახურის მიერ დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისათვის რეგისტრირებულია ექვსი ახალი საბროკერო კომპანია, მათ შორის შპს „Global Insurance Broker“; შპს „დიჯილაბი“, შპს „აი ბი სი ჯორჯია“ და სხვა;
- სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიები, დაზღვევის (მათ შორის სიცოცხლის დაზღვევის) გაიცა სამ კომპანიაზე – სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“, სს „ რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“ და სს „ჰუალინდ დაზღვევა“;
- სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული 2016 წლის მეოთხე კვარტლის, 2016 წლის წლიური, 2017 წლის 11 თვის ყოველთვიური და 2017 წლის პირველი მეორე და მესამე კვარტლების ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები. გამოვლენილი იქნა დარღვევის 205 ფაქტი, სანქციის სახით გამოყენებული იქნა ფულადი დაჯარიმების ფორმა და წერილობითი გაფრთხილება; გასვლითი შემოწმება ჩატარდა სამ კომპანიაში;
- სამსახურმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს კონკურენციის სააგენტოსთან, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ ანგარიშგებების და აუდიტის დასკვნების წარდგენის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით;
- სამსახურის მიერ მიღებული და შემოწმებული იქნა რიგით მეორე (2016 წლის მეორე ნახევარი წლის ამსახველი) და რიგით მესამე (2017 წლის პირველი ნახევარი წლის ამსახველი) სადაზღვევო ორგანიზაციების და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების ფორმები. ფორმების დამუშავების შედეგად, დისტანციურად შეფასდა კონკრეტულ სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლთან მიმართებით არსებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, ასევე მათი შიდა კონტროლის სისტემის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან; ადგილზე ინსპექტირების გზით შემოწმებულია 6 სადაზღვევო კომპანია; 4 სადაზღვევო კომპანიის მიმართ სამსახურმა გამოიყენა ფულადი ჯარიმა, ხოლო დანარჩენ ორ სადაზღვევო კომპანიასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება ჯერ არ დასრულებულა;
- სადაზღვევო ბროკერების სარეგისტრაციო რეესტრში რეგისტრირებულია 21 სადაზღვევო ბროკერი, ხოლო 5 საბროკერო კომპანიას გაუუქმდა სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაცია;

- რეგისტრირებულია 4 არსახელმწიფო საკენსიო სქემა, რომელთაგან 3 სქემის დამფუძნებელი წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია, ხოლო ერთი სქემის დამფუძნებელია არამზღვეველი იურიდიული პირის მიერ საკუთარი დასაქმებულებისათვის;
- ლიცენზირებულია 17 სადაზღვევო კომპანია.

#### 6.18 ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სმართ ლოჯიკი

- სრული IT სერვისების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა 13 ორგანიზაციასთან. სერვისების პირველადი დანერგვა განხორციელდა 2 მუნიციპალურ ორგანოში: ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების გამგეობაში. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან სრული IT სერვისების მიწოდებასთან ერთად, ხელშეკრულება გაფორმდა ვებგვერდების ჰოსტინგის სერვისის მიწოდებაზეც, შპს „ფინასთან“ ვირტუალური სერვერებით მომსახურების, ასევე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებულ ხელშეკრულებას სრულ IT სერვისზე დამატა ხელშეკრულება ვირტუალური სერვერებით მომსახურების მიწოდებაზე;
- დაიგეგმა და განხორციელდა მონაცემთა შემნახველი მასივისა და ქსელური მარშრუტიზატორების ჩანაცვლების, ასევე, მათი საკონფიგურაციო სამუშაოები ძირითად სასერვეროში, ხოლო ჩანაცვლებული მოწყობილობები განთავსდა სარეზერვო სასერვეროში; განახლდა ბათუმის სარეზერვო სასერვეროში არსებული ინფრასტრუქტურა და ჩატარდა საკონფიგურაციო სამუშაოები; განხორციელდა მომხმარებელთა „Microsoft Exchange 2010“-დან „Microsoft Exchange 2016“-ზე მიგრაცია; შემუშავდა ახალი ინტრანეტი იუსტიციის სამინისტროსათვის; დაიწერა მოდული და შემუშავდა ახალი პორტალი მომხმარებელთა მონაცემების განახლებისათვის ერთიან კორპორატიულ მონაცემთა ბაზაში. შემუშავდა ინტერნეტთან წვდომის ახალი ინფრასტრუქტურა და განხორციელდა მომხმარებელთა ეტაპობრივი მიგრაცია. განხორციელდა ობიექტების შემნახველი მასივის განახლების პროექტი და მოხდა მისი ტესტირების გარემოდან რეალურ გარემოში გადატანა;
- თანამედროვე IT ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნის მიზნით გარკვეული ტექნიკური სამუშაოები (კომპიუტერული მოწყობილობების ქსელური და სისტემური გამართვა) განხორციელდა ტექნოპარკის თბილისის, ზუგდიდის, ჭოპორტის, ხარაგაულის და ბაღდათის ოფისებში, გორის მერიაში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს თბილისის, ყვარლის, ბოლნისის, მცხეთის, ხაშურის, ახალციხის, წყალტუბოს, ოზურგეთის და ზუგდიდის ოფისებში;
- სახელმწიფო ქლაუდის (დრუბლოვანი ტექნოლოგიის) ინფრასტრუქტურაში განთავსდა ვირტუალური სერვერები როგორც ახალი, ისე არსებული მომსახურების მიმღები ორგანიზაციებისათვის და აღნიშნული ინფრასტრუქტურით სარგებლობის საკითხებზე აქტიური მოლაპარაკებები წარმოებდა პოტენციურ მომხმარებლებთან;
- სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით დასრულდა „Just Drive“-ს მეორე ვერსიაზე მუშაობა (გადატანილი იქნა რეალურ გარემოში), სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული პროგრამის მეორე ვერსიის ძირითადი მოდულები (დაიწყო ტესტირების პროცესი) და შეტყობინებების სისტემის შექმნა რუსთავის მერიისათვის, დაიწერა განრიდების პროგრამების საქმისწარმოების სისტემის შექმნისათვის საჭირო დოკუმენტაცია და ტექნიკური მოთხოვნები. დასრულდა ასევე, ეკონომიკის სამინისტროს ორმხრივი ურთიერთობების პორტალის სხვა სამინისტროებში დანერგვის და შესაბამისი ცვლილებებისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარების პროცესი და იუსტიციის სახლის ონლაინ დახმარების პროგრამის „SmartChat“ შექმნა;

- სათავო ოფისის მშენებლობის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება შემსრულებელ კომპანიასთან. დასრულდა სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაოები და მიმდინარეობდა საპირკვლის მოწყობის სამუშაოები.

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

7.1 განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- მიმდინარეობდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა. საკუთრებაში ბინები გადაეცა 1 694 ოჯახს;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით:
  - ✓ მიმდინარეობდა რეაბილიტირებულ შენობებსა და ახალაშენებულ კორპუსებში ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის, წყლის, სანიაღვრე და სავენტილაციო სისტემების მიერთება-მოწყობის და სახურავის გადახურვის სამუშაოები;
  - ✓ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 612 საცხოვრებელი სახლი.
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 9 ბინის გამოსყიდვა;
- ქ. თბილისის მერიასთან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 191 ობიექტს;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 7 149 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 1 302 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე);
- დასრულდა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა ქ. გორში მოსკოვის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე, I ეტაპის მშენებლობა ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში და I და II ეტაპის მშენებლობა ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7-ში, ხოლო მიმდინარეობდა II ეტაპის მშენებლობა ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ. N53-ში და III ეტაპის მშენებლობა ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7-ში, ასევე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა ქ. წყალტუბოში, სოფ. გვიშტიბში და ქ. მცხეთაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე;
- დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა: ქ. ქუთაისში - შმიდტის ქ. ნაკვეთ N2-სა და ნაკვეთ N3-ზე, დ. აღმაშენებლის გამზირი, N112/1, N112/2 და N112/3, ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. N7-ის ე-1 და ე-2 ბლოკებში, გლდანის მე-5 მ/რ-ში და ახლადაშენებულ კორპუსებში ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“;
- გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 813 ოჯახი (ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7-ში - 144 ოჯახი, გორის რაიონის მუნიციპალიტეტში - 509 ოჯახი, ქ. ქუთაისში - 160 ოჯახი);
- დასრულდა შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები: ქ. გორში, ცხინვალის გზაკეცილის მე-3 კმ-ზე მდებარე შენობა N1, ქ. თბილისში თბილისის ზღვის მიმდებარედ, კადეტთა

კორპუსის N5 მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტში, ქ. ბორჯომში, მესხეთის ქ. N33ა-ში მდებარე სანატორიუმ „ბორჯომი“-ის წყლისა და კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, წყალტუბოში, სოფ. ხომულში მდებარე შენობის (ერისთავის ქუჩის გაგრძელება N16, ყოფ. საავადმყოფოს შენობა), ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოქტომბერში, ყოფ. პროფტექნიკუმის შენობის (ავხაზეთის საჯარო სკოლა, სახურავებისა და სარინების მოწყობის სამუშაოები, ასევე, ერედვისა და თიღვის მუნიციპალიტეტებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის, გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში გადაცემული კოტეჯების იატაკების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები;

- მიმდინარეობდა ქ. სამტრედიის რესპუბლიკის ქ. N86-ში (ყოფ. საავადმყოფოს შენობა, სამი კორპუსი) მდებარე შენობების სარეაბილიტაციო და ასევე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მდებარე კორპუსი N5-ის ღია აივნების გადახურვისა და კორპუსი N6-ის საძირკვლის გამაგრება-გაძლიერების, შიდა სარემონტო და ეზოს კეთილმოწყობის, ერედვისა და თიღვის მუნიციპალიტეტებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთათვის, გრძელვადიანი განსახლების ფარგლებში გადაცემული კოტეჯების იატაკების აღდგენა რეაბილიტაციის, ქ. წალკაში, იოანიდის ქ. N38-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტის სახურავისა და დაზიანებული კარ-ფანჯრების სარეაბილიტაციო და დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის მიმდებარე მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტზე (შვიდსართულიანი კორპუსი) ლიფტის მოწყობის სამუშაოები;
- იპოთეკური ვალდებულების მქონე 164 დევნილ ოჯახს გაეწია ფულადი (სესხის დაფარვა) დახმარება.

7.2 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
  - ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები
- სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შეძენილ იქნა 94 საცხოვრებელი სახლი. ასევე, სტიქიით დაზარალებული 16 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საკომპენსაციო თანხით (თითოეულ ოჯახზე 50,0 ათასი ლარის ოდენობით);
  - „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში 6 არასამთავრობო ორგანიზაციაზე გაიცა გრანტები (სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა, საცხოვრისით დროებით უზრუნველყოფა). დაფინანსდა 100 სოციალური პროექტი, ასევე, სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იქნა 53 ბენეფიციარი და დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფილი იქნა 13 დაბრუნებული მიგრანტი;
  - ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა. აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 36 პირს, ლტოლვილის სტატუსი - 53 პირს, ხოლო თავშესაფრის (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი) მინიჭებაზე უარი განეცხადა 403 პირს. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ ვადის დარღვევის გამო საქმის არსებით განხილვაზე უარი ეთქვა 14 პირს, საქმის ხელახლა განხილვაზე - 37 პირს, საქმის წარმოება პირადი

განცხადების საფუძველზე შეწყდა 201 პირზე, ხოლო პროცედურებზე გამოუცხადებლობის გამო - 27 პირზე;

- რეპატრიანტის სტატუსი მიენიჭა 465 რეპატრიანტის სტატუსის მამიებელ პირს, შესაბამისი პროცედურების გავლით დამუშავდა მათი დოკუმენტაცია და მომზადდა რეპატრიანტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობები.

7.3 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 21 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და მისი აპარატი მართავდა შეხვედრებს და მჭიდროდ თანამშრომლობდა პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, იმართებოდა ორმხრივი შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ეუთოს, ევროსაბჭოს და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან;
- ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 4 რაუნდი. აქტიური მონაწილეობა იქნა მიღებული ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფში, რომელშიც განიხილება ისეთი ჰუმანიტარული საკითხები, როგორც არის გამყოფ ხაზებზე რუსი სამხედროების მიერ ხელოვნური ბარიკადების აღმართვის შედეგად მოსახლეობისათვის წარმოქმნილი მძიმე ჰუმანიტარული და სოციალური გამოწვევები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით გალის მოსახლეობის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტები, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი მონაწილეობას იღებდა ერგნეთსა და გალში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში (ერგნეთში ჩატარდა 11, ხოლო გალში - 10 შეხვედრა). აღნიშნულ ფორმატში განიხილება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევების, მათ შორის უკანონო დაკავებების ფაქტები, პატიმართა გათავისუფლების, კერძო საკუთრების ხელყოფასთან, სარწყავი და სასმელი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რაეგირების მექანიზმის მუშაობის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან;
- მიმდინარეობდა უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების სამხრევი ფორმატის მუშაობა (თბილისი, მოსკოვი, ცხინვალი). ფორმატში შუამავლის როლს ასრულებს წითელი ჯვარი;
- აპარატი აქტიურად იყო ჩართული რუსეთის ე.წ. სასაზღვრო ძალების მიერ მავთულხლართების გავლებისა და ღობეების აღმართვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისა და საერთაშორისო რეაგირების მობილიზებაში;
- მიღებულ იქნა მონაწილეობა „კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების სოციალურ ეკონომიკური განვითარების“ სტრატეგიის მომზადებაში;
- იმართებოდა შეხვედრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სოფლების მოსახლეობასთან;

- აპარატის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის და ცალკეულ კომიტეტების მიერ ორგანიზებულ დისკუსიებსა და შეხვედრებში;
- აპარატის თანამშრომლები მონაწილეობდნენ ქალთა უფლებების დამცველ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადებულ შეხვედრებში;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებდა ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიითა და 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;
- მომზადდა და სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიას წარედგინა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და 2017 წლის სამოქმედო გეგმა;
- გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება;
- ქ. ახალქალაქისა და ქ. ნინოწმინდის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები განათლების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ;
- ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაიმართა სახელმწიფო მინისტრის შეხვედრა მარნეულის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლებთან;
- ქ. ახალქალაქში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან, თემის ლიდერებთან და ახალგაზრდებთან ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ;
- ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარედგინა 2016 წლის ანგარიში;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ერთობლივი ინიციატივის - „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გენდერული თანასწორობის მობილური ჯგუფი ჩამოყალიბდა;
- უწყებათა შორის კომისიის მუშაობის ფარგლებში განხილულ იქნა სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების, აფხაზური ენის და ეთნიკური უმცირესობებისთვის, მათ შორის მცირერიცხოვანი ჯგუფების წარმომადგენელთათვის მშობლიურ ენაზე ხარისხიანი სწავლების საკითხები, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე პროგრამები და პროექტები;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ქ. მცხეთაში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც დასაჩუქრდა ესეების კონკურსის „ქართული ენა - გზა ჩემი წარმატებისაკენ“ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 4 გამარჯვებული მოსწავლე;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით და სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, გამართა „საზაფხულო ბანაკი 2017“ ბათუმში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გალისა და ახალგორის რაიონების სკოლების მოსწავლეებმა. საზაფხულო ბანაკის მიზანი იყო საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის, ასევე საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის, სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდებისთვის;
- ქ. ახალციხეში, რაბათის ციხეზე მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი“ გაიმართა. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებულ ფოლკლორულ კონცერტში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების ფოლკლორული კოლექტივები მონაწილეობდნენ;

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ახალგაზრდები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან დაესწრნენ ქ.თბილისში, რაგბიში მსოფლიო ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალურ თამაშს;
- გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ქ. ახალქალაქში, სადაც განხილულ იქნა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის კუთხით სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მხარდაჭერით ქ. ახალქალაქში, სომხურ ეპარქიაში, სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი გაიხსნა;
- გაიმართა „1+4“ სტაჟირების საპილოტე პროგრამის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს სტაჟირების საპილოტე პროგრამაში მონაწილეობისათვის სერტიფიკატები გადაეცა;
- ქ. რუსთავში გაიმართა მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი“;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა წლის განმავლობაში მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა აქტორის (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების) მიერ დაგეგმილ და გამართულ ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, საინფორმაციო შეხვედრა და სხვა).

#### 7.4 დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 34 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
- „მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ პროგრამის ფარგლებში გაიცა 976 სასოფლო-სამეურნეო გრანტი. დაფინანსდა და კეთილმოეწყო 48 საბავშვო ბაღი მთელი საქართველოს მასშტაბით;
- ჩატარდა 4 საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც:
  - ✓ ჩატარდა 10-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა კოდაში, ზუგდიდში, შავშვების, წეროვანის და კოპიტნარის დევნილთა ჩასახლებაში;
  - ✓ 6000-ზე მეტ დევნილ ოჯახს პირადად გააცნეს მოხალისეებმა სამოქმედო გეგმაში შესული საარსებო წყაროების პროგრამები;
  - ✓ ჩატარდა 2 საარსებო წყაროების ფორუმი;
  - ✓ გაიგზავნა 200 000 - მდე მოკლე ტექსტური შეტყობინება დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის, მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის, დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის და სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საშემოდგომო რეგისტრაციის დაწყების შესახებ;
  - ✓ დაიბეჭდა დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ საინფორმაციო მასალები (ფლაერები - 5 000 ცალი და პლაკატები - 100 ცალი), ამავე პროგრამის ბენეფიციართა განაცხადის ფორმა (3000 ცალი), 20 000 საინფორმაციო ბროშურა საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ და ასევე, გავრცელდა სააგენტოს მუშაობის შესახებ ორწლიანი ანგარიში;
  - ✓ კარდაკარის პრინციპით, გავრცელდა ინფორმაცია სააგენტოს პროგრამის შესახებ მარნეულის, გორის, ხაშურის, ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში.
- „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად, შედგა

უწყებათაშორისი კომიტეტის ორი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები;

- „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მზავრობის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა 155 განმცხადებელი, ხოლო უარი ეთქვა 6 განმცხადებელს კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო.

7.5 იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი - 25 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
- დასრულდა რამდენიმე გარდამავალ ხელშეკრულებაზე საბოლოო ანგარსწორება.

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

8.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
  - ✓ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
  - ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.
  - ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
  - ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი
  - ✓ ა(აიპ) - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი
- სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, საქართველოში ჩატარდა სხვადასხვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები (მათ შორის ღონისძიებების ნაწილი ჩატარდა Check in Georgia-ს ფარგლებში), კერძოდ:
    - ✓ ფუტსალში ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ტურნირი და მთავარი რაუნდის მატჩები;
    - ✓ კიკბოქსინგის საერთაშორისო ტურნირი „კოლხეთის თასი“ K-1 დისციპლინაში;
    - ✓ დევისის თასი ჩოგბურთში ევრო/აფრიკული ზონის II ჯგუფის მატჩები (საქართველო - ფინეთი);
    - ✓ საერთაშორისო ტურნირი კრივში „დკდ თასი“ ჭაბუკებს შორის;
    - ✓ ძიუდოს გრანპრი (მოპოვებულ იქნა 3 - ოქროს, 1 - ვერცხლის და 2 - ბრინჯაოს პრიზი);
    - ✓ TCR International Series - საერთაშორისო ჩემპიონატი ავტორბოლაში;
    - ✓ მსოფლიოს 2019 წლის ქალთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შესარჩევი რაუნდი ფეხბურთში, თბილისი;
    - ✓ ევროპის ჩემპიონატები სუმოში, უშუში, ჯომარდობაში და ფარიკაობაში;
    - ✓ რაგბის 20 - წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი;
    - ✓ ფრენბურთში ქალებს შორის ევროლიგის B ჯგუფის შეხვედრები;
    - ✓ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში, თბილისი
    - ✓ მსოფლიო თასი ჭადრაკში, თბილისი.
    - ✓ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ქალთა შორის ფრენბურთში, თბილისი;
    - ✓ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ფეხბურთში, თბილისი, გორი;



✓ ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში.

- საქართველოს 20 - წლამდე კალათბურთელთა ნაკრები გუნდი მოხვდა ევროპა ლიგის 2016 -2017 წლების რეგულარული ჩემპიონატის ოთხ საუკეთესო გუნდს შორის;
- ქართველმა მოკრივეებმა პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 22 წლამდელოთა შორის ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვეს 1 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი;
- ქართველ რაგბისტთა ნაკრებმა „ერთა თასზე“ მოიპოვა მეორე ადგილი;
- პირველად ქართველმა სპორტსმენებმა ოლიმპიურ სახეობებში დიდებს შორის მოიპოვეს 4 ოქროს მედალი.
- სულ სპორტის 64 სახეობაში დაფინანსდა 250 - მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 360-მდე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, მონაწილეობა იქნა მიღებული 320 - მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში. სპორტის ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველმა სპორტსმენებმა 2017 წელს მოიპოვეს 885 მედალი, მათ შორის 290 ოქრო, 239 ვერცხლი და 356 ბრინჯაო.
- სპორტის პოლიტიკისა და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა:
  - ✓ დაბა ბაკურიანში მეცხრე ტრადიციული სამთო - სათხილამურო ტურნირი „ლადოს თასი“ და ტრადიციული ზამთრის სათხილამურო სტუდენტური უნივერსიადა;
  - ✓ „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2017“;
- კახეთში საქველმოქმედო საერთაშორისო მსოფლიო რბენა (World Run) (პროექტი საქართველოში Check in Georgia-ს ფარგლებში განხორციელდა. ღონისძიებაში ჩაერთო ხუთი ათასი მონაწილე);
- სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ლისის ტბაზე მოეწყო მასობრივი სპორტული ღონისძიება (ღონისძიებაში მონაწილეობდა 3.0 ათასამდე პირი);
- ქვეყნის მასშტაბით, სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამი სპორტის სასახლის მშენებლობა (ბათუმი, გორი, თელავი), რაგბისა და ფეხბურთის სახეობების განვითარების მიზნით თბილისში - 7, ხოლო ქუთაისში - 3 სტანდარტული მოედნის მშენებლობა, მათ შორის 6 ბუნებრივი და 4 ხელოვნური საფარით;
- პროგრამის „იცხოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა“ ფარგლებში 10 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობების კომპლექტი.
- სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრში“ რიცხული 150 სპორტსმენი, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები და კანდიდატები უზრუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;
- სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმმა“ უმასპინძლა 3 200 - მდე ქართველ და უცხოელ ვიზიტორს, მოეწყო ღირშესანიშნავ სპორტული თარიღებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენები და ღონისძიებები სპორტის დამსახურებულ მოღვაწეთა მონაწილეობით;
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია სამ სამაგისტრო პროგრამაზე (მწვრთნელი სპორტის სახეობებში, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, სპორტის მენეჯმენტი), რის საფუძველზეც უნივერსიტეტს 2017 - 2018 სასწავლო წლის დაწყებიდან დაემატა მე-4 სასწავლო კურსი. სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა 160 ერთეულით.
- „აქტიური სპორტი ყველა სკოლას“ პროექტის ფარგლებში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო - სასწავლო უნივერსიტეტში გადამზადდა თბილისისა და რეგიონების 20 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგები. ამავე თანამშრომლობის ფარგლებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული ფედერაციების მიერ შეიმუშავებულ იქნა ფიზიკური აღზრდის პედაგოგების სპორტის შესაბამის სახეობაში გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები, რომელიც საშუალებას აძლევს სკოლებს თავიანთ ბაზაზე დანერგონ ყველაზე მოთხოვნიანი სპორტის სახეობები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჯამში ხუთ გუნდურ სპორტის სახეობაში (ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი) გადამზადება გაიარა 3 000 - მდე პედაგოგმა;

- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯში სასწავლო პროცესის პარალელურად ჩატარდა საგაზაფხულო მისაღები გამოცდები. ყველა სპეციალობის სტუდენტებმა გაიარეს პრაქტიკული სასწავლო კურსი.
- „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში მონაწილე გუნდების (სახელმწიფო და კერძო კლუბები, სამოყვარულო ლიგა, სულ 85 სუბიექტი) საბაზისო, მასობრივი და სხვადასხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებები.

8.2 ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები;

- განხორციელდა: თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, პროექტი თანამედროვე ხელოვნების გალერეა, თბილისის ჯაზ-ფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის ფესტივალი, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, საერთაშორისო ქრისტიანული ფილმების ფესტივალი „წმ. ანდრეას ჯვარი“, თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი.
- კავკასიის თანამედროვე მუსიკის დაჯილდოვება „ფენიქსი“, „ელექტრონავტი“, თანამედროვე მუსიკის საღამოები, თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი და პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი ბორჯომში, საბავშვო ფილმების ფესტივალი „ოქროს პეპელა“, დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „CineDoc“, ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო“, თბილისის საერთაშორისო ფოტოფესტივალი, თბილისის მოდის კვირეული, თბილისის მერსედეს ბენცის მოდის კვირეული, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თბილისის საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი, თანამედროვე ცეკვის სამხრეთ კავკასიური ფესტივალი თბილისში, კომედიის ფესტივალი, ქართველი ხელოვანის მიერ დიდ ბრიტანეთში ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები, ქ. არჰუსში (დანია) პოსტერების მუზეუმის მიერ ორგანიზებულ გამოფენაში „What is Europe?“ ხელოვნების სასახლეში დაცული ქართული აფიშების კოლექციის წარდგენა, ქ. როკიში (ლიტვა) „Liberty Bridges“ პროექტი, საქართველოს ეროვნულ გალერეაში გამოფენა „კარლო კაჭარავა დღეს“, ბელარუსის კულტურის დღეები საქართველოში, თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, ქართული კინომემკვიდრეობის 11 ფილმის დაბრუნება.
- 
- „გერმანია-საქართველოს წელი 2017“ პროექტის ფარგლებში: პროექტი „საქართველო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე“, SOFA კინოაგენტების სკოლა, „ეკლიფსი“, გერმანიის საერთაშორისო ფესტივალში Young Euro Classic 2017 გიორგი მიქაძის, ლიზი რამიშვილის და ანსამბლ „ბასიანის“ კონცერტი, გამოფენა „Pop-up chess palace“, ფოტოგამოფენის პრეზენტაცია „გერმანელი კოლონისტები საქართველოში 1817-2017“ (გერმანია), ურბან სკეჩინგის გამოფენა შტუტგარტში, „გერმანია-საქართველოს წელი 2017“ ფარგლებში გამოფენა გერმანულ-ქართული ვებ არქივი, სევიკო sevoco ქორეოგრაფიული დადგმა.
- 
- 
- მონაწილეობა იქნა მიღებული: ვენეციის 57-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენაში (ვენეციის ბიენალე, საქართველოს ეროვნული პავილიონით) და ვენეციის 57-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენის პარალელურ პროგრამის ახალგაზრდა ქართველი სტუდენტების მიერ გამართულ გამოფენაში „პერსონალური სტრუქტურები“, საპატიო სტუმრის სტატუსით საავტორო კითხვის ლიტერატურულ ფესტივალში, ბაქოში საერთაშორისო ფესტივალში „კავკასიური გაზაფხული“ (ლტოლვილ ბავშვთა

ფოკლორული ანსამბლები „ქორული“ და „სიონი“), ვენაში „ViennaPhotoBookFestival“-ში (გალერეა „კონტინერი“), ავსტრიაში ვენის გამოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტში ვიდეო-არტის სემინარში, საფრანგეთში ფრანსუა შნაიდერის ფონდის მიერ ორგანიზებულ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების კონკურსში „talents contemporains“, ისრაელში საფირის კოლეჯის შემოქმედებით სივრცეში გამართულ პროექტში „მეზობლობა“ – HDI – Hotel De Inmigrants, სტამბოლში საერთაშორისო ვორკშოპსა და კონფერენციაში „ჩაის გემო“, ედინბურგის ფესტივალში, საფრანგეთში ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალში (ქართული ანიმაციური ფილმი „ჯიბის კაცი“), ზალცბურგის მუსიკოსთა საერთაშორისო ფორუმში, პარიზის საერთაშორისო სახელოვნებო რეზიდენციაში „სიტე დე ზარ“ და ლოკარნოში „Starsvoices International Song Contest“;

- ჩატარდა: სსიპ - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული თეატრის შენობის სარეაბილიტაციო ფიზიკური სამუშაოები და სცენის, დარბაზის აღჭურვის ტექნიკური პროექტის მომზადების საწყისი ეტაპის სამუშაოები; სსიპ - ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია და სცენისა და დარბაზის აღჭურვა; სსიპ - მწერალთა სახლის რეაბილიტაცია; სსიპ - კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის განათების სისტემების რეაბილიტაცია, სცენის პლანშეტის იატაკის საფარისა და დანადგარების მონტაჟი; სსიპ - მიხეილ შენგელიას სახელობის მედიცინის ისტორიის მუზეუმის შენობის გათბობა-გაგრილების-ვენტილაციის სისტემების მოწყობა; სსიპ - თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის შენობის გათბობის სისტემის მონტაჟი და სახურავის შეკეთება; სსიპ - ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტირება, სცენის, დარბაზის ტექნიკური აღჭურვა და განათება-გახმოვანების სისტემის მოწყობა; სსიპ - ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის ფასადის და ფოიეს სარეაბილიტაციო სამუშაოები; სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობის რეაბილიტაციის მე-3 ეტაპის სამუშაოების ნაწილი; სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეისთვის ტრანსფორმატორის შექმნა და შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმისათვის საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები; სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სსიპ - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტროენერჯის ახალი სიმძლავრეების რეგისტრაცია და ტრანსფორმატორის შექმნა-დამონტაჟება; სსიპ - ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა/ლოკაციის მოძიება.

• გაიმართა:

- ✓ კონკურსები „ახალი დრამატურგია - „ახალი ქართული პიესა“ და ლიტერატურულ პრემია „ლიტერა“, „წერო“, ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის მე-7 საერთაშორისო კონკურსი და პიანისტთა თბილისის მე-6 საერთაშორისო კონკურსი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალი;
- ✓ თბილისის თეატრების გასტროლები უცხოეთში;
- ✓ ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალი; თბილისის წიგნის მე-19 საერთაშორისო ფესტივალი; მ. თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი; მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში, ბაროკოს ეპოქის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი;
- ✓ საქართველოს ყრუთა კავშირის პროექტი „ჟესტური სამყარო“; შშმ პირთა ინტეგრირებული კონცერტები, გამოფენები, დადგმები; საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა შემოქმედებითი ღონისძიებები (გამოფენა, კონცერტი, საღამო);
- ✓ სსიპ - ეროვნული მუსიკალური ცენტრის კონცერტები „სიმფონიური ორმაზათები“;

- ✓ გამოფენა „გაზაფხულის ცოცხალი ფერები“; პროექტი „ერთჯერადი გამოყენების ვაუჩერი საქართველოს ბიბლიოთეკებისთვის“, ჯაზის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისის მერიის ბიგ-ბენდის 20 წლის იუბილე, პროექტი „ილია ჭავჭავაძე - 180“, ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმი;
  - ✓ ოსკარზე წარდგენილი ა. ურუშაძის ფილმის „საშიში დედა“ სარეკლამო კომპანია, პროექტები „კინო სკოლაში“ და „საქართველოს“ „მატიანე“;
  - ✓ ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი „არტისტერიუმი“.
- გამოცემა:
    - ✓ ჟურნალების „თეატრი და ცხოვრება“ 6 ნომერი და „მუსიკა“ 6 ნომერი, „არილი“, „საუნჯე“ და „დილა“ 12-12 ნომერი; ჟურნალის „კულტურა პლუსის“ 4 ნომერი;
    - ✓ ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“-ს კლავირი და წიგნი „ვაინახური ზღაპრები“;
    - ✓ ალბომები „შოთა ყავლაშვილი“ და „გიორგი შხვაცაბაია“, „ქსოვილი საქართველოდან“, საიუბილეო კრებული „ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ოთარ მეღვინეთუხუცესი - ნილაზის მიღმა“, „პეტრე ოცხელი“, „ვერიკო“, „თენგიზ არჩვაძე“ მონოგრაფია „კოტე მიქაბერიძე“, მხატვრების - ალ. ბანძელაძე, ალ. ბაჟბეუქ მელიქოვი, გიგო გაბაშვილი, შალვა ძნელაძე, მირიან შველიძე და კატალოგის „გივი თოიძე“ ბეჭდვისათვის, და სხვა. წიგნები „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს ლიტერატურის შედეგრი“, წიგნი -ალბომი „ილია ხელოვნებაში“;
  - ჩატარდა: ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“; საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა რეგიონალური კონკურსი; კავკაზ ჯაზ ფესტივალი; „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“; ფოთის რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი; ბათუმის მუსიკალური ფესტივალი; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“; ფესტივალი „არტგენი“; ხალიჩების ფესტივალი ახალციხეში; ფესტივალი „ღამის სერენადები“; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“; საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი BIAFF; „წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალი“; ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „Fest I Nova“; კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“ და პროექტი „ცოცხალი წიგნები“;
  - ხელი შეეწყო: ოტია იოსელიანის საკვირაო სკოლისა და დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირებას; „კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში შშმ პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზამკვლევი 2017-2018“ პროექტის გახმოვანებასა და კომპაქტ-დისკზე ჩაწერას;
  - ხელი მოეწერა შემდეგ დოკუმენტებს:
    - ✓ „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2018 – 2020 წლებისთვის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ პროგრამა“;
    - ✓ „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მოლდოვას რესპუბლიკის გამთლების, კულტურისა და კვლევის სამინისტროს შორის კულტურული თანამშრომლობის პროგრამა 2018 – 2021“;
    - ✓ „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბელორუსიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში შეთანხმება“;
    - ✓ „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ესტონეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2017-2020 წლებისთვის კულტურული თანამშრომლობის შესახებ პროგრამა“;
    - ✓ „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამა 2017- 2021“.
  - მიმდინარეობდა შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურები თანამშრომლობის 32 დოკუმენტზე.

- სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო 30-მდე საერთაშორისო ღონისძიებაში საქართველოსა და საზღვარგარეთ.
- კულტურის საჯარო დაფინანსების ალტერნატიული მოდელის შემუშავების მიზნით და ევროკავშირის ექსპერტის ვიზიტების ფარგლებში განხორციელდა 40-მდე შეხვედრა, როგორც სამინისტროში და ასევე სხვადასხვა საჯარო, კერძო და არასამთავრობო სტრუქტურებთან;
- დოკუმენტის „კულტურის და სახელოვნებო განათლება საქართველოში“ შემუშავების პროცესის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტთან გაიმართა 7-მდე სამუშაო შეხვედრა-კონსულტაცია;
- მომზადდა სხვადასხვა შინაარსის ანგარიშები, პრეზენტაციები, გაიმართა 3 რეგიონული ტრენინგი კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიანი რეგიონული სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის ქუთაისში, მცხეთასა და ამბროლაურში. ტრენინგებში სულ მონაწილეობა მიიღო 21- მა მუნიციპალიტეტმა;
- შემუშავდა და დამტკიცდა „კულტურის სტრატეგიის უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა 2017-2018“ და „კულტურის სტრატეგიის შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმა 2017-2018“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა პრიორიტეტულად შემდეგი მიმართულებები:
  - ✓ კულტურის მმართველობის გაუმჯობესება;
  - ✓ განათლება და ცნობიერების ამაღლება;
  - ✓ კულტურაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
  - ✓ შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება.
- 2018 წლის კულტურის სტრატეგიის განხორციელების რეგიონული მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, სამინისტროში გაიმართა ერთი გაფართოებული შეხვედრა. სულ გაიმართა 8 შეხვედრა 181 მონაწილით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა -17, სამცხე-ჯავახეთი -15, შიდა ქართლი - 13, იმერეთი- 46, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 26, გურია - 15, სამეგრელო - ზემოსვანეთი- 26, მცხეთა-მთიანეთი -23). შეხვედრებზე რეგიონებს გაეწიათ კონსულტაცია სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესთან და ვადებთან დაკავშირებით.
- სამინისტროს მიერ მომზადდა „საზოგადოების კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზამკვლევი“. ასევე, კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის 2017-2018 წწ სამოქმედო გეგმაში განხორციელდა ცვლილების შეტანა, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ებისათვის ინფრასტრუქტურის ადაპტირების პრიორიტეტულად განსაზღვრის მოთხოვნის გათვალისწინებით;
- მომზადდა და შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა კულტურისა და სპორტის მინისტრის საჯარო ანგარიში/პრეზენტაცია „კულტურის სტრატეგია“- 2025-ის განხორციელების პირველი წლის შედეგების შესახებ.
- საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად შემუშავდა „კულტურული დიპლომატიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“;
- ჩატარდა კვლევა და მომზადდა დოკუმენტი: „სახელოვნებო და კულტურის განათლება საქართველოში“.
- აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი კვლევები და რეკომენდაციები: „საშემსრულებლო ხელოვნების (თეატრი) სექტორის განვითარება საქართველოში“; „შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება საქართველოში“; „იუნესკოს ინდიკატორები განვითარებისთვის - საქართველოს ანგარიში“; „პროგრამა/კონკურსი მცხეთის კულტურული და შემოქმედებითი რესურსების განვითარება“;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პროგრამებთან (პროგრამა „შემოქმედებითი ევროპა“; ორგანიზაციები: „ENCATC“; „EUROPA NOSTRA“; „კულტურული მარშრუტების შესახებ ევროპის საბჭოს გაფართოებული წილობრივი შეთანხმება“ (EPA); ხელოვნების საბჭოებისა და კულტურის სააგენტოების საერთაშორისო ფედერაციის (IFACCA)) თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ფინანსური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

- სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების მე-7 საკონსულტაციო ფორუმში იტალიაში (ქ. ლუკა) რომლის ფარგლებში აღნიშნავდნენ კულტურული მარშრუტების პროგრამის 30 წლის იუბილეს. ასევე, გაიმართა ევროპის საბჭოს ღვინის მარშრუტის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები (სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორი ორგანიზაციების ღვინის მარშრუტების პრეზენტაცია, მათ შორის წარმოდგენილი იყო საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ღვინის მარშრუტი).
- საქართველო მიუერთდა ევროპის საბჭოს სერტიფიცირებულ ოთხ კულტურულ მარშრუტს:
  - ✓ „პრეისტორიული კლდის ხელოვნების მარშრუტი“ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
  - ✓ „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“ - ისრაელის სახლი საქართველოში;
  - ✓ „თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი“ - სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია იმერეთის რეგიონში;
  - ✓ „ღვინის მარშრუტი“ - ღვინის ტურიზმის ასოციაცია.
- მომზადდა ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო წიგნის „კულტურული მარშრუტების მართვა: თეორიიდან პრაქტიკამდე“ ქართულ ენაზე თარგმანი;
- დასრულდა კულტურული მარშრუტების შესახებ ვებ-გვერდის ([www.culturalroutes.gov.ge](http://www.culturalroutes.gov.ge)) მომზადება.
- რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდი“ და მის ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შემოქმედებითი საქართველო“, რომლის ორგანიზებით, სამხატვრო აკადემიაში ჩატარდა სტუდენტური სემინარი-კონცეფცია (ურბანლაბი). სემინარის ფარგლებში შემუშავდა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ახალი კონცეფცია და არქიტექტურული პროექტის მონახაზი.
- ჩატარდა შემოქმედებითი ინდუსტრიების უწყებათაშორისი კომისიის შეხვედრა და კერამიკის სემინარი. სემინარის ფარგლებში კომისიის წევრებმა თავად დაამზადეს კერამიკის პროდუქცია, რომელიც შემდგომში დაურიგდა უწყებათაშორისი კომისიაში წარმოდგენილ პირებს და სხვა.
- შემოქმედებითი ევროპის დესკმა საქართველოში გამართა: 100-მდე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა კულტურის, შემოქმედებითი და აუდიოვიზუალური სექტორის წარმომადგენლებთან; გაიმართა 4 საინფორმაციო შეხვედრა თბილისში (დამსწრეთა რ-ბა -105 ადამიანი); 1 საინფორმაციო შეხვედრა ბათუმში (დამსწრეთა რ-ბა - 35 ადამიანი); საინფორმაციო ტური 16 ქალაქში (დამსწრეთა რ-ბა 450 ადამიანი). გაიმართა შემაჯამებელი ღონისძიება „საქართველო შემოქმედებით ევროპაში“ რომლის ფარგლებშიც გაიმართა როგორც პრეზენტაცია პროგრამის შესახებ, ასევე წარმატებული პროექტების პრეზენტაციები და პანელ დისკუსიები (დამსწრეთა რ-ბა 93 ადამიანი).
- „შემოქმედებითი ევროპა“ 2017 წლის კულტურის ქვეპროგრამის - თანამშრომლობის პროექტების კონკურსის შედეგად დაფინანსდა ორი პროექტი ქართული ორგანიზაციების მონაწილეობით, კინოფესტივალებისა და ტრენინგების სქემებით.
- შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები მიმდინარეობდა შემდეგ დოკუმენტებზე: სამინისტროსა და სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმების, პროგრამებისა და მემორანდუმების შესახებ; იუნესკოს კონვენცია წყალქვეშა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ; მოპარული ან არალეგალურად ექსპორტირებული კულტურული ობიექტების შესახებ (UNIDROIT) კონვენცია;
- როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, მონაწილეობა იქნა მიღებული ოფიციალურ შეხვედრებსა და სხვადასხვა კომისიისა და კომიტეტების სხდომებში;
- წარმატებით განხორციელდა მოლაპარაკება ქართულ და ინდურ მხარეებს შორის წმინდა ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების საქართველოში დროებით ჩამობრძანებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს მხრიდან პასუხისმგებელ უწყებად წარმოდგენილ იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმი;

#### 8.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს მუზეუმები და სახლ - მუზეუმები
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

- მუზეუმების პოპულარიზაციისა და სამუზეუმო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის გააქტიურების მიზნით, მოეწყო გამოცემების პრეზენტაციები, შეხვედრები, გამოფენები, ჩატარდა საჯარო ლექციები ადგილობრივი და მოწვეული მეცნიერების მიერ, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, შემუშავდა და დაინერგა საგანმანათლებლო პროგრამები;
- მიმდინარეობდა სამუზეუმო კოლექციების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში ექსპონატების აღრიცხვა-სისტემატიზაცია, ასევე, ფონდების შევსება ახალი მასალებით, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები;
- მიმდინარეობდა საერთაშორისო კონვენციებით და UNESCO-ს აღებული ვალდებულებების შესრულება; „კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელება;

##### 8.4.1 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

- მუზეუმების მიერ მუზეუმების პოპულარიზაციისა და სამუზეუმო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის გააქტიურების მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, მოეწყო გამოცემების პრეზენტაციები, შეხვედრები, გამოფენები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები, ტრენინგები, საჯარო ლექციები ადგილობრივი და მოწვეული მეცნიერების მიერ, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა და დაინერგა საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ინკლუზიური და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის, მიმდინარეობს სამუზეუმო კოლექციების აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში ექსპონატების აღრიცხვა-სისტემატიზაცია, ფონდების შევსება ახალი მასალებით, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები, მოწესრიგდა მატერიალური ბაზები;
- საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის დანერგვის მიზნით, 14 სსიპ მუზეუმებისთვის შექმნილ იქნა ტექნიკა (კომპიუტერი, ფოტოაპარატი, მულტიფუნქციური პრინტერი, დიჯიპასი);
- მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით: კეთილმოეწყო სსიპ - მიხეილ შენგელიას სახ. საქართველოს მედიცინის ისტორიის მუზეუმის“ ეზო, მოხდა გაზის მილების რელოკაცია, მოეწყო სამკურნალო მცენარეთა ბაღი, მოწესრიგდა: სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, საკონფერენციო დარბაზის აღიჭურვა ინვენტარით, მოწესრიგდა სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლის“ ინფრასტრუქტურა (პირველ სართულზე სველი წერტილებისა და ვიზიტორთა სივრცის მოწყობა, მუზეუმის მაღაზიის გახსნა, ტექსტილის, ფოტო და სახვითი ხელოვნების ფონდების კარადებითა და მოძრავი სტელაჟებით აღჭურვა); მოწესრიგდა სსიპ - სმირნოვების მუზეუმში“- ელექტრო გაყვანილობა; “
- მომზადდა სსიპ - „ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის“ შენობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი;
- განახლდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის - გელათის მონასტრის არქიტექტურული ანსამბლის მართვის გეგმა;
- საქართველოს მასშტაბით ჩატარდა მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და აქცია „ღამე მუზეუმში“;

- გამოიცა „ქართული სამედიცინო ხელნაწერთა კატალოგი“;
- ჩატარდა „ICOM/CIDOC-ის საერთაშორისო კონფერენცია - „დოკუმენტაცია: წარსული, აწმომ, მომავალი...“; განხორციელდა საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის (egmc.gov.ge) დანერგვის პროექტის მეორე ეტაპი და ჰოსტინგი (23 მუზეუმში);
- მომზადდა კულტურულ მარშრუტების ვებ-გვერდი - www.culturalroutes.gov.ge, განხორციელდა ღონისძიებები აღნიშნული ელ. სისტემისა და ვებ-გვერდის ჰოსტინგისთვის; სარესტავრაციო-საონსერვაციო სამუშაოები ჩატარდა 300-ზე მეტ ექსპონატს.
- სსიპ – საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისათვის შექმნილ იქნა გათბობის ქვები;

#### 8.4.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

- მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემდეგი ძეგლების რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია: უჯარმის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია, ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი, უჯარმის ციხის რეაბილიტაციის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში N18 კოშკის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და უჯარმის კავეს გათბობა-ვენტილაციის, ელექტრომომარაგებისა და წყალგაყვანილობის სისტემის პროექტი; ნიკო ფიროსმანის მუზეუმის ადმინისტრაციული შენობის ინტერიერის რეაბილიტაციის პროექტი; ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის შენობის გათბობა-კონდიციონერებისა და ეზოს რეაბილიტაციის პროექტი; მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღია ტერასის რეაბილიტაციის პროექტი; თაბუკაშვილის ქ. N5, საგანმანათლებლო ცენტრის რეკონსტრუქციის (პანდუსის მოწყობა) ესკიზური პროექტი; კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის განვითარების კონცეფციის მომზადება; შოთა რუსთაველის მემორიალური კომპლექსის მოწყობის კონცეფცია ხერთვისის ციხის ქვედა გალავანში; ნაეკლესიარის კონსერვაციის პროექტი (ზემო მაჩხანა); მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრის რეაბილიტაციის პროექტი; ტაბაკინის სამრეკლოს რეაბილიტაციის პროექტი; საფარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მცირე რეაბილიტაციის პროექტი; აჭის დედათა მონასტრის სუბსტრუქციისა და გალავნის რეაბილიტაციის პროექტი; ვარძიაში 2017 წლის ინფრასტრუქტურული სამუშაოების პროექტი; გეგუთის სასახლის სამუზეუმო სივრცის მოწყობის პროექტი; სამვალის კონსერვაციის და მსუბუქი გადახურვის მოწყობის პროექტი; „ომუნეს ჯიხა“ (კოშკი) რეაბილიტაციის პროექტი; მცხეთის აკლდამის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი; ბაგინეთის არქეოლოგიური ობიექტების გადახურვის რეაბილიტაციის პროექტი; სოფ. შატილში N6 სახლზე არსებული დაზიანებული კედლის რეაბილიტაციის პროექტი; ოფრეთის ხიდის რეაბილიტაციის პროექტი (სოფ. ოფრეთი); ჯამბაკურ ორბელიანების სასახლის აივნების გამაგრების სქემა (სოფ. ლამისყანა); სოფ. გარიყულაში ინჟინერ ბოლგარსკის სახლ-აგარაკის კოშკის გამაგრების პროექტი; გუდაბერტყა-ციხიაგორა ნამოსახლარზე ღობისა და ბილიკების მოწყობის პროექტი; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაგანახლებაში არსებული კლდეში ნაკვეთი უდაბნოს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის აზომვა და ტოპოგრაფიული რუკა; ჭუბერის (ნენსკრას ხეობა) ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების ინვენტარიზაცია და კვლევა; სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონერების საპროექტო დოკუმენტაცია; ატენის სიონის დასავლეთი აფსიდის კედლის მხატვრობის საპროექტო კვლევა და დოკუმენტაცია; რკინის ბადისაგან სკულპტურების შექმნა (გრაკლიანი გორის ნამარხის ტერიტორიაზე იმდროინდელი ყოფის წარმოსახვის ვიზუალიზაცია, თანამედროვე ხელოვნების დახმარებით); ივრისპირეთში განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად გამოვლენილი კულტურული ფენების მთლიანი ტერიტორიის აზომვა და ტოპოგრაფიული რუკა; სიღნაღის მუნიციპალიტეტში წმინდა სტეფანე ხირსელის სახელობის სამონასტრო კომპლექსში 2017 წელს დაგეგმილი კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად მონასტრის ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური გადაღება და საბაზისო-საყრდენი დოკუმენტაცია; გრაკლიანის IV პავილიონის გადახურვის მოწყობის პროექტი; უფლისციხის კომპლექსის ადმინისტრაციული ნაწილის მცირე რეკონსტრუქციისა და დაცვის ოთახის მოწყობის პროექტი; ვარძიაში არსებული კოტეჯების რეკონსტრუქციის პროექტი; ბორჯომის



პარკში არსებული ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი; თისელის დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია (I ეტაპი); სათხის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია (I ეტაპი); ზემო სვანეთში მდებარე კომპლექსისა და მარჯულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის მულტიდისციპლინარული კვლევა - მონიტორინგისა და საკონსულტაციო მომსახურების IV ეტაპი; გრაკლიანის არქეოლოგიური მუზეუმის პროექტი; ბაგინეთის არქეოლოგიური ობიექტის ღობის მოწყობის პროექტი; გუდაბერტყა-ციხიაგორა, არქეოლოგიურ გათხრებზე გადახურვის მოწყობა; გელათის მონასტრის კედლის მხატვრობისა და მოზაიკის კვლევა, ფიქსაცია, ანაზომებისა და სააღრიცხვო ბარათების მომზადება; სოფელ შუაგანახლებაში არსებული კლდეში ნაკვეთი უდაბნოს ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი;

- მიმდინარეობდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება: ერისთავების სასახლის რეაბილიტაციის პროექტი; მამულაშვილის სახლისა და ბაღის რეაბილიტაციის პროექტი; სოფ. კავთისხევი, გ.შატბერაშვილის სახლის რეაბილიტაციის პროექტი; გელათის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე საყრდენი კედლის მოწყობის პროექტი; ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის სკანირებული მეთოდით ანაზომების მომზადება და ტოპო-გეოდეზიური გადაღების მომსახურების პროექტი; სოფელი ფცა, კოშკის რეაბილიტაციის პროექტი;
- დაიწყო უფლისციხის საშენი მასალის (კლდის) მდგომარეობის გეოლოგიური კვლევები (ტენიანობის მომატების/შემცირების შედეგად მასალის მდგრადობის კვლევა).
- დარგის ექსპერტებისა და ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შენიშვნების საფუძველზე მოხდა „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტის კორექტირება.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით დასრულდა 2017 წელს დაგეგმილი შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კონსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა: დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები მდ. ივრის ქვედა წელზე არსებული ნაქალაქარის შესწავლის მიზნით; სვერის ციხის არქეოლოგია; სოფ. ზიარის (ადგილი “ქოდალო”) ტერიტორიის არქეოლოგია; ციხესულორის არქეოლოგია; ძალისას არქეოლოგია; ხვამლის მთის არქეოლოგია; არმაზისხევის კომპლექსის არქეოლოგია; „დიდნაურის“ ნაქალაქარის არქეოლოგია; გრაკლიანი გორის არქეოლოგია; ვაშლობის ამაღლების ტაძრის არქეოლოგია; სოფ. ზემო მსხალგორის წმ. გიორგის სახელობის კომპლექსის ტერიტორიაზე ჩასატარებელი არქეოლოგია; დერჩის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები; მამკოდას ღვთისმშობლის შობის და წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებს შორის დამაკავშირებელი ბილიკის მოწყობა; გუდაბერტყა - ციხიაგორას ნამოსახლარზე ინფრასტრუქტურის მოწყობა; სოფ. სვენეთთან, გუდაბერტყის არქეოლოგია; ვარძიის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები; ელია თებუტიელის სახელობის მამათა მონასტრის ტაძრის მიმდებარედ არსებული შვეული კლდოვანი მასივის, დამრული ლოდებისაგან გაწმენდის სამუშაოები; ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობის გაწმენდა-კონსერვაცია; მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის ქვის კონსერვაციის სამუშაოები (IV ეტაპი); მცირე ჯვრის ტაძრის ქვის კონსერვაციის სამუშაოები (II ეტაპი); ანჩისხატის ეკლესიის (ინტერიერში ჩრდილოეთ კედლის) ქვის კონსერვაციის სამუშაოები; სოფ. ზემო მაჩხანში მდებარე ნაეკლესიარის კონსერვაცია; გეგუთის კომპლექსის საიტის მოწყობა; დოლოჰოპის სამნავიანი ბაზილიკის კონსერვაცია და წყალამრიდი სისტემის მოწყობა; საფარის სამონასტრო კომპლექსის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია (III ეტაპი); ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობის კვლევა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; ხუნწის ციხის არქეოლოგია. აჭარის ტერიტორიაზე უძველესი მეტალურგიული კერების არქეოლოგია; არადეთის ორგორის (დედოფლისგორას) არქეოლოგია; ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღია ტერასის რეაბილიტაცია; ატენის სიონის ქვის კონსერვაციის სამუშაოები; სოფ. საგურამოს აგურის საყდრის არქეოლოგია; სოფელ ლამისყანის ორბელიანების სასახლის აივნების დროებითი გამაგრების სამუშაოები; პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი); სვანური კომპლექსის, მარჯულების და სოფ. წვირმის მაცხოვრის

ფერისცვალების სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია; ფიტარეთის ტაძრის მცირე რეაბილიტაცია (I ეტაპი); უმგულის თემის სოფელ ჩვაბიანში მდებარე ჩარკვიანების საგვარეული კოშკის გაწმენდითი სამუშაოები; სოფელ ნიკორწმინდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია ( I ეტაპი); სოფ. შატილი N6 სახლის რეაბილიტაცია; ტოლანთსოფლის სკოლის შენობის რესტავრაცია - რეაბილიტაცია (I ეტაპი); სოფ. ოძისი, დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების I ეტაპი; ბაგინეთის არგეოლოგიური ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებული მცირე არქიტექტურული ობიექტების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები; ბაგინეთის არქეოლოგიური ობიექტის ღობის მოწყობის სამუშაოები; სოფელ მელაანის სამხრეთით მდებარე არქეოლოგიური ობიექტი - მელიდელე II-ის არქეოლოგიური სამუშაოები; სოფელ ენისელის აღდგომის სახელობის გუმბათიანი ეკლესიის დროებითი გადახურვის სამუშაოები; დაბა ჯვარი, „ომუნეს“ „ჯიხა“-ს (კოშკი) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგია; ბორის არქეოლოგია;

*UNESCO - ს კონვენციების ინპლემენტაცია და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება*

- წინასწარული ნუსხის განახლებისათვის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისათვის მომზადდა 2014-2016 წწ-ში განხორციელებული კვლევების შედეგები და სტატისტიკური ანალიზი;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზის საფუძველზე განხორციელდა უძრავი მემკვიდრეობის შესახებ მონაცემთა ანალიტიკური კვლევა.
- მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, ასევე მისი ოფიციალური მრჩეველი ორგანოების მიერ წარგზავნილ ექსპერტებთან და სამინისტროსთან ერთად განხორციელდა სამუშაო შეხვედრები ქვეყნის ეროვნული წინასწარული ნუსხის გასაახლებლად. შედეგად შეფასდა არსებული (2007 წლის) ნუსხა, გაიწერა რეკომენდაციები ნუსხის გასაახლებელი შემდგომი ქმედებებისათვის, და მომზადდა შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სამინისტროსა და საქართველოში იტალიის საელჩოს მხარდაჭერით უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის საინფორმაციო სივრცეში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ვარძია კლდეში ნაკვეთი კომპლექსი: კულტურული ლანდშაფტი, გეო-მემკვიდრეობა და ბუნებრივი საფრთხეები. კონფერენციის მთავარი ამოცანა იყო ეროვნული წინასწარული ნუსხის ერთერთი მნიშვნელოვანი ძეგლის - ვარძია-ხერთვისი-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული ქმედებების და შედეგების წარმოჩინება ფართო აუდიტორიის წინაშე; ასევე, საერთაშორისო ექსპერტებისგან რეკომენდაციების მიღება შედგომი ქმედებებისათვის როგორც ვარძია-ხერთვისი-ოლოდას ლანდშაფტის მომავალში სანომიციოდ, ასევე, ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით (კდლის გამაგრება, კედლის მხატვრობის კონსერვაცია და აშ.) მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციის ფარგლებში, ქართულ დარგობრივ ინსტიტუციებს და ჩართულ ორგანიზაციებს მიეცათ შესაძლებლობა გაეზიარებინად ის ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მსოფლიოში დაგროვდა ბუნებრივი მემკვიდრეობის სტრუქტურული სტაბილიზაციისა და მონიტორინგის, ასევე კულტურული ლანდშაფტების დაცვის მიმართულებით;
- მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე და კონვენციის სახელმძღვანელო პრინციპებით გაწერილი რეგულაციების შესაბამისად, მომზადდა მცხეთის ისტორიული ძეგლების საკონსერვაციო გეგმის საჭიროებების კვლევა და 2017 წლის 30 იანვარს წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს.
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მესამე შეფასებითი მისია, რომელიც მიემდგვნა ურბანულ საკითხებს ისტორიული ქალაქების რევიტალიზაცია-რეაბილიტაციის შესაძლებლობების კვლევას. კვლევისათვის შერჩეულ იქნა სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა მიდგომით განხორციელებული ჩარევები - თბილისის, სიღნაღის, თელავისა და დუშეთის მაგალითებზე. აღნიშნული კვლევა საფუძვლად დაედება საწვრთნელი პროგრამის ფარგლებში ურბანული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით კურიკულუმის მომზადებას.

- ICCROM-მა დაასრულა საკონსულტაციო მომსახურება და ეროვნულ სააგენტოს წარმოდგინა საქართველოს ისტორიული ქალაქების ურბანული განვითარების რეაბილიტაცია/რევიტალიზაციის შეფასებითი დოკუმენტი, რომელიც გახდება სახელმძღვანელო შემდგომში დასაგეგმი პროექტებისათვის და ასევე საფუძვლად დაედება უმაღლესი სასწავლო სკოლის ურბანული მეკვიდროების დაცვის მიმართულებით კურიკულუმის დახვეწა-განვითარებას.

*UNESCO -ს მიერ მოთხოვნილი ღონისძიებები:*

- მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარედგინა:
  - ✓ ბაგრატიისა და გელათის საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები: საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილების დოკუმენტი/დოსიე, გელათის მართვის გეგმა, საკონსერვაციო მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით ქვეყნის მიერ გადადგმული ნაბიჯების ანგარიში;
  - ✓ მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე: საკონსერვაციო მდგომარეობის შესახებ ანგარიში; საზღვრების მოდიფიკაციის დოკუმენტი შესაბამის ფორმატში კონსერვაციის გეგმის საჭიროებების ნუსხა და სარჩევი, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დამცავის ზონების პროექტი;
  - ✓ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მცხეთის ახალი არქეოლოგიური მუზეუმის პროექტი, ასევე განახლებული ინფორმაცია გელათის სამონასტრო კომპლექსზე მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებზე; მომზადდა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მიწათსარგებლობის განახლებული დოკუმენტაციის მოსამზადებლად იუნესკოს ექსპერტის ტექნიკური დავალება;
  - ✓ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან თანამშრომლობით მომზადდა წინასწარული ნუსხის ძეგლებზე განახლებული ინფორმაცია (ენგურის კაშხალი, ვარძია-ხერთვისი-ოლოდა და თუშეთის შესახებ);
- განხორციელდა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე დასასწრებად წინა მოსამზადებელი სამუშაოები; მათ შორის მომზადდა და გაიგზავნა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
- მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე, სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთობლივი ძალისხმევით, ეროვნული სააგენტოს სესიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობის შედეგად, გელათის მონასტერი დამოუკიდებელი ძეგლის სტატუსით დაბრუნდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. აღინიშნა ქვეყნის მიერ მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები; ქვეყანას აქვს ვალდებულება წარადგინოს პროგრეს რეპორტი გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე - 2020 წლის 1 თებერვლამდე და მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე 2018 წლის 1 თებერვლამდე.
- მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ექსპერტთან ერთად სამინისტროსა და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით განხორციელდა სამუშაო შეხვედრები, რომლის მიზანს წარმოადგენდა ტურიზმის სტრატეგიული მიზნების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან ჰარმონიზებას.
- განხორციელდა უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში სასწავლო ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში, ქართველ მონაწილეებს საშუალება მიეცათ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის აღმასრულებელ პირებთან, მის მრჩეველ ორგანოებთან დეტალურად განეხილათ მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ურბანული განვითარების საკითხები, ასევე, გამოცდილება გაეზიარებიათ პარიზის ნოტრდამის მართვის ჯგუფთან და იუნესკოში ვატიკანის წარმომადგენელთან. ვიზიტის შედეგად, მიღებული გამოცდილება ხელს შეუწყობს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის შემდგომ მართვას როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე.
- მომზადდა მცხეთის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებისათვის განმანსხვავებელი მანიშნების ესკიზური პროექტი, რომლის განხორციელებაც იგეგმება 2018 წელს.
- მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიის N41 COM 7A.20 გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზეც, გელათის სამონასტრო კომპლექსი გაფართოებული საზღვრებით დამოუკიდებლად

დაუბრუნდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხას, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება შეასრულოს რიგი იმ მოთხოვნებისა, რომლებიც უზრუნველყოფს გელათის მონასტრის, როგორც მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობისა და მონიტორინგის რეჟიმების გაუმჯობესებას, მოთხოვნილ გამოსასწორებელ ქმედებებს შორის არის გელათის მონასტრის კედლის მხატვრობისა და მოზაიკის შესახებ სრულფასოვანი დოკუმენტაციის მომზადება. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, 2017 წლის ოქტომბერ-დეკემბერში განხორციელდა გელათის კომპლექსში შემავალი ყველა ისტორიული ძეგლის ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის კვლევების - თანამედროვე მიდგომების საფუძველზე სამგანზომილებიანი სკანირების მეთოდით აღნუსხვა-დაზიანებათა ფიქსაცია, შესაბამისი ანაზომებისა და სააღრიცხვო ბარათის მომზადება, რომელიც აიტვირთა კულტურული მემკვიდრეობის ერთიან გეო-მონაცემთა სისტემაში.

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ ქ. ლისაბონის გრასას ეკლესიაში ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი XVIII საუკუნის პანოს რესტავრაცია განახორციელა. პანოს რესტავრაციის საჭიროების საკითხი, 2017 წელს, საქართველო - პორტუგალიას შორის მოლაპარაკების დროს დადგა დღის წესრიგში, რაც მისი მიმდევრობით საკონსერვაციო მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. 36 კვ მეტრი ფართობის პანოს რესტავრაციის შემდეგ, მის აბრაზე პორტუგალიური, ფრანგული და ინგლისურენოვანი წარწერის პარალელურად უკვე არსებობს ქართულენოვანი მინაწერიც, რომელიც პანოს რესტავრაციის პროცესის საქართველოს მთავრობის დახმარებით განხორციელებას მოწმობს. ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი პანო განსაკუთრებული ისტორიული და რელიგიური მნიშვნელობის ძეგლია ორივე ქვეყნისათვის. საქართველოსთვის, მისი რესტავრაცია მაღალი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული მნიშვნელობისაა და საქართველოსა და პორტუგალიას შორის არსებული მჭიდრო კავშირების გაღრმავებას უზრუნველყოფს.
- ეროვნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ევროსაბჭოს კულტურის, მემკვიდრეობის და ლანდშაფტების კომიტეტთან (CDCPP) სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში. თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია: ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ (ფარო, 2005) და ევროპის ლანდშაფტების კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობა, ასევე ევროპის საბჭოს სხვადასხვა თემატურ პროექტებში მონაწილეობის მიღება.
- სტრასბურგში (საფრანგეთი) ევროსაბჭოს მიერ ევროპის ლანდშაფტების კონვენციის ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე, ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ და წარდგენილ იქნა აღნიშნული კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ ეროვნული წლიური ანგარიში.
- ევროსაბჭოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ერთერთი მნიშვნელოვანი პროექტის COMUS -ის განხორციელების ხელშესაწყობად, რომელიც 2015-2017 წლის ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა, ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულად ჩართული იყო შერჩეული საპილოტე ქალაქების მიერ კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული სტრატეგიების შემუშავების ხელშესაწყობად;
- ეროვნული სააგენტოს თანაორგანიზებით სამინისტროში გაიმართა დონორთა კონფერენცია, სადაც როგორც პროექტის, ასევე ეროვნული სააგენტოსა და დუშეთისა და ჭიათურის თვითმმართველობების მიერ წარდგენილი და სხვადასხვა საელჩოებისა და სააქართველოში მოქმედი დონორი ორგანიზაციებისათვის გაცნობილ იქნა პროექტის შედეგები და მნიშვნელოვანება. პროექტის დასრულების შედეგად, მომზადდა შესაბამისი სამოქმედო გეგმები და შეთავაზებები ქალაქების მემკვიდრეობის რეაბილიტაციისათვის.
- ქ. ბრნოში (ჩეხეთი) ჩატარებული ევროპული ლანდშაფტების კონვენციის მე-19 კონფერენციის მუშაობაში, ეროვნული სააგენტო დელეგატების წინაშე წარსდგა ამ მიზნით შემუშავებული პრეზენტაციით - საქართველოს კულტურული ლანდშაფტები- შესაძლებლობები და გამოწვევები.
- საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ (ფარო, 2005) ევროპის საბჭოს ჩარჩო - კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლის ხელშესაწყობად, რომელიც მიმართულია სფეროში შესაბამისი ქმედებების დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესებში

საზოგადოების აქტიური ჩართულობისკენ, ევროპის საბჭოს მიერ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და თანა-მასპინძლობით, გაიმართა საერთაშორისო ვორშოვის ჩატარება (FARO CONVENTION LAB) თბილისსა და მაჩხაანში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი). ვორშოვის ფორმატში განხორციელდა როგორც ოფიციალური შეხვედრა, სადაც სამინისტროში ისტორიული ქალაქების მუნიციპალიტეტებისათვის, ასევე საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, ასევე დარგში მოქმედი არასამთავრობო როგანიზაციებისათვის, გაიმართა საინფორმაციო სახის ბრიფინგი - საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის ჩარჩო-კონვენციის შესახებ და მისი აღსრულების ინსტრუმენტებზე, ასევე, მაჩხაანში - პრაქტიკული ტიპის სამუშაოები - განხორციელების შესაძლებლობებზე.

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ, რომელიც განისაზღვრა ეროვნული ანგარიშების (HEREIN) მომზადებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციად, მონაწილეობა მიიღო პარიზის ევროსაბჭოს შტაბბინაში, სახელმწიფო მხარეების წარმომადგენლებისათვის გამართულ სამუშაო შეხვედრაში - ეროვნული ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიასთან და თემატური სამუშაო ჯგუფების შედგენასთან დაკავშირებით.
- საქართველო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების „პრეისტორიული კლდის ხელოვნების“ მარშრუტის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ქვეყნის სახელით, ევროპული უწყების წევრობის სტატუსი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიენიჭა. წევრობის კანდიდატის სახით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტის ფორუმზე ნოემბერში წარსდგა, რომელიც ესპანეთში ქ. ტრიგუეროსში ჩატარდა. „პრეისტორიული კლდის ხელოვნების“ მარშრუტში საქართველო თრიალეთის (პატარა ხრამი) პეტროგლიფების კომპლექსით არის წარდგენილი. ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების „პრეისტორიული კლდის ხელოვნების“ მარშრუტში გაწევრიანებით, საქართველო საერთაშორისო ტურიზმის ინტერესთა სფეროში კიდევ უფრო მეტი შინაარსობრიობით წარმოჩინდება, რაც შედეგად ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს.
- ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო არქეოლოგიური ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც საერთაშორისო პროფესიული საზოგადოების წინაშე წარადგინა ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსი, რომელიც ქართული მემკვიდრეობის გამორჩეულ ძეგლს წარმოადგენს. ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობილი მასშტაბური საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, ნოქალაქის არქეოლოგიური კომპლექსი საერთაშორისო სტანდარტის ტურისტული მიმზიდველობის ადგილად იქცევა და პესტუმის არქეოლოგიური ტურიზმის გამოფენაზე მისი წარდგენა მნიშვნელოვანწილად გაზრდის მის მიმართ საერთაშორისო დაინტერესებას. არქეოლოგიური ტურიზმის გამოფენა ყოველწლიურად იტალიის ისტორიულ ქალაქში პესტუმში მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ინსტიტუციების - UNESCO, UNWTO და ICCROM-ის ჩართულობით, 1998 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება და ქმნის უნიკალურ პლატფორმას გამორჩეული არქეოლოგიური ძეგლების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩინებისა და ტურისტულ მარშრუტებში ჩართვის ხელშეწყობად.
- მიმდინარეობდა ესტონელ ექსპერტებთან ერთად ენგურჰესის მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტების მომზადება, ამასთან მომზადდა ვიდეოფილმი „ენგურჰესი - მსოფლიო ატრაქცია“. ასევე, მიმდინარეობდა ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მიმდებარე ინფრასტრუქტურის განვითარების კომპლექსური პროექტის განხორციელება; მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარული ნუსხისთვის მომზადდა ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის ზოგადსაკაცობრიო უნივერსალური ღირებულების დასაბუთება და წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს კომენტარებისათვის.
- განხორციელდა ესტონელი ექსპერტის სამუშაო ვიზიტი ჭუათურაში, რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქის განვითარების გენგემის სტრატეგიის პირველადი რეკომენდაციების შემუშავებას და არსებული მდგომარეობის ანალიზს. მოეწყო შეხვედრები ადგილობრივ მმართველ ორგანოებთან. ასევე, მოხდა ჭიათურის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერება ქალაქის სამომავლო განვითარებისათვის, მათი ეფექტური გამოყენების პოტენციალის შეფასების მიზნით, მათ შორის ე.წ.

წერეთლის მადაროსა და მისი ინფრასტრუქტურის, პეროქსიდული მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის (ე.წ. პეროფი) და სხვა ობიექტების მონახულება; ვიზიტის შედეგად შემუშავდა პირველადი რეკომენდაციები.

- UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და Publishing for Development (PFD) - ის ერთობლივ ოფიციალურ ჟურნალ - World Heritage-ს 2017 წლის N85-ე გამოცემაში, რომლის მთავარ თემასაც თანამედროვე მემკვიდრეობა წარმოადგენდა, ეროვნული სააგენტოს მიერ სპეციალური სტატია გამოქვეყნდა. სტატია მიემდგვნა მეოცე საუკუნის საქართველოს გამორჩეულ ინდუსტრიულ ძეგლს - ენგურის თაღოვან კაშხალს.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის მრავალწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფმა განხორციელა ვიზიტი განხორციელებული პროექტების შესაჯამებლად და თანამშრომლობის მომავალი პერსპექტივების დასასახად. მისიის ფარგლებში, ასევე გაიწერა მიმდინარე თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა. გეგმის შესაბამისად მწერალთა სახლის დიდ დარბაზში, გაიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის საჯარო პრეზენტაცია - ყველა იმ სამთავრობო და უწყებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის, ვისაც შეხება აქვს კულტურული მემკვიდრეობის სექტორთან. პრეზენტაციაში მონაწილეობას მიიღეს ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის ხელმძღვანელმა პირებმა და პროექტის განვითარებაში მონაწილე ექსპერტებმა.
- გაიმართა ქართულ-ნორვეგიული სამუშაო შეხვედრები დარგობრივი სასწავლო ინსტიტუტების ჩართულობით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ისტორიული ქალაქების მართვის სახელმძღვანელო პრინციპებისა და სატრენინგო კურსის მოსამზადებლად, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ღონისძიების ფარგლებში ასევე განხორციელდა სავლელე გასვლა შერჩეულ საპილოტე ქალაქ - ჭიათურაში, საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის.
- მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ ხელი მოეწერა თურქეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამას, რომლის მნიშვნელოვან მიმართულებას თურქეთის ტერიტორიაზე ქართული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის საკითხები წარმოადგენს.
- თურქეთში, თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრთან ორმხრივი შეხვედრების გასამართად, ასევე ტაოკლარჯეთში მდებარე ქართული ძეგლების მდგომარეობის შესაფასებლად და კაბადოკიის მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელ პირებთან შესახვედრად, განხორციელდა ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი. ვიზიტის შედეგად და 2017 წლის მაისში გაფორმებული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა თანამშრომლობის შემდეგი ნაბიჯები. ვიზიტის შედეგების საფუძველზე, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის კედლის მხატვრობის რესტავრატორებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა პარხალის ტაძრის კედლის მხატვრობის მიმდინარე გაწმენდით სამუშაოებში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და უზრუნველყო სამუშაოების მაღალი ხარისხი.
- სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის გაფორმებული 2016-2018 წწ თანამშრომლობის პროგრამის საფუძველზე განხორციელდა ოფიციალური ვიზიტი სომხეთში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში თანამშრომლობის მიმდინარე საკითხების განსახილველად. შედეგად დაისახა თანამშრომლობის გაღრმავების შემდეგი ნაბიჯები, ქართველი სპეციალისტები მივილინებულ იქნენ სომხეთში მდებარე ქობაირის ტაძრის რეაბილიტაციის პროცესში მონიტორინგის მიზნით. სომხურმა მხარემ, ქართველი სპეციალისტების განსახილველად გააცნო და წარმოუდგინა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ძეგლების სარეაბილიტაციო პროექტები.
- ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობითა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, 2017 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა კვიპოსის სიძველეთა დეპარტამენტთან კვიპოსში არსებული ქართული ისტორიული კერების კვლევის მიმართულებით. კვიპოსის

რესპუბლიკასა და საქართველოს შორის მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობა ერთერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია ზიარი მემკვიდრეობის კვლევისა და შენარჩუნების მიმართულებით.

- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასთან კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის გადრეკების მიზნით, განხორციელდა სამუშაო ვიზიტი გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში (ბერლინი, კიოლნი, ბონი), სადაც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან სამუშაო შეხვედრის ფორმატში (გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გერმანიის კულტურის სამინისტრო, ქ. ბერლინის კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ბერლინის არქეოლოგიური ინსტიტუტი, გერმანული მემკვიდრეობის ფონდი, ბერლინის მუზეუმი, კიოლნის საკათედრო ტაძრის მართვის ჯგუფი, გერმანიის იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია. მსოფლიო მემკვიდრეობის ინდუსტრიული საიტის მართვის ჯგუფი და ა.შ) განხილულ იქნა თანამშრომლობის პერსპექტივები.
- ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავდა თრიალეთის ლუთერანული ეკლესიის გადახურვის პროექტი, რომლის ფიზიკური სამუშაოებიც, შემდგომში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა და დასრულდა;
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით დაიწყო და 2018 წელს დასრულდება ეროვნული სააგენტოს მიერ 2015-2016 წწ-ში განხორციელებული გერმანული მემკვიდრეობის ფართომასშტაბიანი ინვენტარიზაციის შედეგებზე დაფუძნებული სპეციალური სამენოვანი სამეცნიერო-პოპულარული გამოცემის მომზადება, რომელიც მიემდგვნა 2017-2018 წწ-ში იუნესკოს მხარდაჭერით გერმანიასთან 200 წლის ურთიერთობების საიუბილეოდ აღნიშვნას. პუბლიკაცია წარდგენილი იქნება ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე.
- 2017 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და პოლონეთის მხარეს შორის, საქართველოში პოლონეთის საელჩოს ძალისხმევით კულტურული მემკვიდრეობის სექტორში გააქტიურებული თანამშრომლობის შედეგად და პოლონეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალური მოწვევის საფუძველზე ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფმა განხორციელა ოფიციალური ვიზიტი ვარშავაში. ვიზიტის ფარგლებში, სააგენტოს წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს: პოლონეთის სეიმის, სენატის, კულტურის სამინისტროს, საზღვარგარეთ არსებული პოლონური მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის, მოძრავი და სამუზეუმო კოლექციების სააგენტოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, ასევე ვარშავის უნივერსიტეტისა და პოლონეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან. შედეგად დაისახა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ახალი პერსპექტივები, განისაზღვრა სამოქმედო გეგმა და სხვადასხვა მიმართულებით ექსპერტების გაცვლის შესაძლებლობები. თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებებით გააქტიურდა:
  - ✓ ხელი მოწერა ეროვნულ სააგენტოსა და ვარშავის უნივერსიტეტს შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს;
  - ✓ ეროვნული სააგენტოსა და პოლონეთის მხარის თანადაფინანსებით, ვარშავის და ქუთაისის უნივერსიტეტების ჩართულობით განხორციელდა პირველადი არქეოლოგიური დაზვერვები ქუთაისის ისტორიულ ცენტრში;
  - ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ქ. ლუბლინში პოლონეთის იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის, ლუბლინის მუზეუმისა და ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლის მუშაობაში.
  - ✓ პოლონეთის კულტურის სამინისტროს სამუშაო ჯგუფი საპასუხო ვიზიტით ეწვია ეროვნულ სააგენტოს. რომლის მიზანსაც წარმოადგენდა 2018 წელს დაგეგმილი ერთობლივი სამუშაოების, მათ შორის საქართველოში პოლონური მემკვიდრეობის კვლევის კომპლექსური და მრავალეტაპიანი პროგრამის დაწყების მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში სამუშაო შეხვედრები გაიმართა როგორც ეროვნულ სააგენტოში მათ შორის ეროვნული ასევე, საქართველოს ეროვნულ არქისა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში - იქ დაცული მასალების მოსაძიებლად.

- იტალიაში, ქალაქ ლუკაში, ჩატარდა ევროპის საბჭოს პროექტის - ევროპის კულტურული მარშრუტების მე-7 საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც დაესწრო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი.

*მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იმპლემენტაცია:*

- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით მიმდინარეობდა სამუშაო-საინფორმაციო შეხვედრები, საქართველოში იუნესკოს 2003 წლის კონვენციის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს „ქართულ ჭიდაობას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის კატეგორია მიენიჭა. „ქართული ჭიდაობის“ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ნომინირებისათვის მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია.
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს „ქართული პურობის ტრადიცია (ქართული სუფრა)“, „ლურჯი სუფრის დამზადების ტექნოლოგია და კულტურა“ და „ხალხური მედიცინა“;
- გრძელდება მუშაობა შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიასთან“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტზე, სამუშაო სათაურით „ქართული ხორბლის უნიკალური ჯიშები“.
- დასრულდა მოსწავლეთა ტრადიციული კონკურსის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომავის“ ნამუშევართა მიღება. კონკურსის თემაა „ტრადიციული თამაშობები“. მომზადდა უძველესი ხალხური თამაშობების კრებული.
- განხორციელდა სავლე სამუშაოები ქსნის ზედა წელის ხეობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოსავლენად. მოძიებულია სოფლების - იკოთის, მახარეთის, უკანუბნის, ჩიტანის, ხარბალის, სამეგურის, მოჭალიეთის, ძველი და ახალი კორინთას, ზოდუხის, ნახიდის, ბალაანის, ჭორჭოხის, დადიანეთის, მორბედაანის, ცხავატის, ბოლის, ახლოურთას, ქურთას, ყოჩიანთის, პავლიანის, წირქოლის, მიდელაანის, ალევისახალგორის მასალა. მიმდინარეობს მოპოვებული მონაცემების დამუშავება, მათი თემატური სისტემატიზაცია.
- ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ისტორიაში მომზადდა აკმ-ს ეროვნული ძეგლის „დედაენა - იაკობ გოგებაშვილისეული სწავლების მეთოდი“ მიხედვით პირველი კლასის სახელმძღვანელო;
- არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით მიმდინარეობს სამუშაო-საინფორმაციო შეხვედრები, საქართველოში იუნესკოს 2003 წლის კონვენციის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით.
- სააგენტო წარმოდგენილი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის საანგარიშო შეხვედრაში (ბულგარეთი, სოფია), სადაც დაიგეგმა 2017-2018წწ აქტივობები.
- საქართველოს მხარემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენაში „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“.
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ახალციხეში გამართულ ხალიჩების საერთაშორისო ფესტივალზე ქსნის ხეობის ფარდაგების ექსპოზიციის მოწყობაში;
- ჩატარდა ხალხური რეწვის ასოციაციასთან ერთად, კონკურსი წლის საუკეთესო შეგირდი; სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა „ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნის კონკურსი“.
- დასრულდა პროექტი „ვასურათებთ ქართულ ზღაპრებს“, რომლის ფარგლებში საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების 11 საჯარო სკოლაში ნაკლებად ცნობილი ქართული ზღაპრების მიხედვით, მოსწავლეებმა შექმნეს ზღაპრების გმირთა პორტრეტები, ილუსტრაციები. აღნიშნული მასალით გამოიცა ქართული ზღაპრების კრებული.



- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეხორბლეობის საცდელ კვლევით ცენტრთან ერთად გრძელდება მუშაობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტზე სამუშაო სათაურით „ქართული ხორბლის უნიკალური ჯიშები“.
- კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შევსება და განვითარება
- ეტაპობრივად მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ადგილზე შესწავლა – ფოტოფიქსაცია და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება (102 ობიექტი);
- განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 76 ძეგლის რეინვენტარიზაცია, რომლის დროსაც დაზუსტდა ძეგლის რეალური მისამართი და მოხდა არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- 121 ობიექტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, ხოლო 28 ობიექტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სტატუსი.
- ჯავახეთის მხარეში განხორციელებული ინვენტარიზაცია/რეინვენტარიზაციის შედეგად, მოხდა 128 ძეგლისა და ობიექტის შესწავლა/ფიქსაცია;

*კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გეოსაინფორმაციო სისტემების განვითარების (გის) მიმართულება.*

- კულტურული მემკვიდრეობის გის კომპლექსური მონაცემთა ბაზისა და გის პორტალის სრულყოფილი და შეუფერხებელი მუშაობისთვის გაფორმდა ხელშეკრულებები გეოსაინფორმაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განახლების შესყიდვის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის გის კომპლექსური მონაცემთა ბაზის და გის პორტალის განახლებისათვის. გრძელდება გის კომპლექსური მონაცემთა ბაზის შევსება/განახლების პროცესი. მიმდინარეობდა კულტურული მემკვიდრეობის გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზის ახალ სისტემაზე გადაყვანა, კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის საცავის და გის კომპლექსური მონაცემთა ბაზის ერთიან სისტემაში ინტეგრირება, საზოგადოებრივი გეოსაინფორმაციო პორტალის განახლება;
- მუდმივ რეჟიმში გრძელდება გის კომპლექსური მონაცემთა ბაზის შევსება/განახლების პროცესი.
- გრძელდება კულტურული მემკვიდრეობის არქივის მონაცემების დიგიტალიზაცია და მონაცემთა ბაზაში განთავსება.
- მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გის კომპლექსური მონაცემთა ბაზა და გის პორტალის მომხმარებლის სახელმძღვანელო.
- ერთიანი გის მონაცემთა ბაზის დანერგვისათვის ტრეინინგ პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც 2015-2017 წლების მანძილზე აქტიურად ხორციელდებოდა ტრეინინგები კულტურული მემკვიდრეობის ერთიან მონაცემთა ბაზასთან და გის პორტალთან მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების, მისი დათვალიერების, მოხმარების და შევსება/რედაქტირების კუთხით;
- გრძელდებოდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრის ერთიანი სტანდარტით შევსების პროცესი. ნუსხების განახლება ხორციელდება ყოველთვიურად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებ.საიტებზე [www.heritagesites.ge](http://www.heritagesites.ge) და [www.dataherita.ge](http://www.dataherita.ge).
- საქართველოს ეროვნული სივრცითი ინფორმაციული სისტემის განვითარების მიზნით და მონაცემთა გაცვლის მუდმივმოქმედი სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით მიმდინარეობდა თანამშრომლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, ასევე ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნის მიმართულებით.
- შეიქმნა სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი და მოხდა მისი განახლება.
- შესყიდულ იქნა მუდმივმოქმედი ტრეინინგ პლატფორმისათვის კომპიუტერული ტექნიკა და შესაბამისი ავეჯი;
- ნორვეგიაში, ქ. ოსლოში განხორციელდა სამუშაო ვიზიტი გეოინფორმაციული სისტემის მართვის საკითხებთან დაკავშირებით;

- საანგარიშო პერიოდში გამოიცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის მომხმარებლის გზამკვლევი.
- ერთიანი გის მონაცემთა ბაზის დანერგვისათვის საინფორმაციო სისტემების სამსახურის ინიციატივით შეიქმნა ტრენინგ პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც 2017 წლის მანძილზე აქტიურად ხორციელდებოდა ტრენინგები კულტურული მემკვიდრეობის ერთიან მონაცემთა ბაზასთან და გის პორტალთან მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების, მისი დათვალიერების, მოხმარების და შევსება/რედაქტირების კუთხით.
- შედგა კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის გაცნობითი პრეზენტაცია, ონლაინ რეჟიმში ჩვენებით.

*კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გადაღება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით*

- ეტაპობრივად ხორციელდება კვადროკოპტერის საშუალებით ძეგლების/ობიექტების და მათი არეალების აეროგადაღებების წარმოება და მიღებული მასალების დამუშავება, განხორციელდა უჯარმის კომპლექსის, გელათის სამონასტრო კომპლექსის, ბაგრატის ტაძრის, მცხეთის პიტიახშების რეზიდენციის, შატილის, კოშკის (სოფ.ჯვარი), სამთავისის სამონასტრო კომპლექსის, ატენის სიონის, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის, გრაკლიანის, მცხეთის ჯვრის, გრემის ნაქალაქარის, იყათოს კომპლექსის, ნეკრესის, ძველი შუამთის, სამშვილდის კომპლექსის და ნაქალაქარის, პირღებულის სამონასტრო კომპლექსის, ვარძიის, ხერთვისის ციხის, ვანის ქვაბების, თისელის, აწყურის ციხის და ტაძრის, ნოქალაქევის კომპლექსის ქვედა ტერასის და უფლისციხის აერო გადაღება და დამუშავებული მასალების ფაილ სერვერზე განთავსება.
- შპს „ჯეოლენდი“-ს თანამშრომლობის ფარგლებში მომზადდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ძეგლების აეროგადაღებები, კერძოდ: ლიკანის სასახლე, წმ. გიორგის ეკლესია (სოფ. დაბა), მწვანე მონასტერი, ტიმოთესუბნის მონასტერი და ქვაბისხევის ეკლესია.
- მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებისთვის შეძენილ იქნა ახალი კომპიუტერული ტექნიკა და ფოტოაპარატები.
- განხორციელდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ღობის მოწყობის სამუშაოები;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და თიბისი ბანკის დაფინანსებით რესტავრაცია ჩატარდა ნიკო ფიროსმანაშვილის ორ ნამუშევარს \_ „თამარ მეფე“ და „შოთა რუსთაველი“. მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ნიკო ფიროსმანის 12 ნამუშევარი და პაბლო პიკასოს ლითოგრაფია „ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტი“.
- სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამა სხვადასხვა სახის გასართობი აქტივობებით. პროექტში მონაწილეობა მიიღო 80-მდე სკოლის 1500-ზე მეტმა მოსწავლემ.
- გადაუდებელი სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ჩატარდა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ლ. გუდიაშვილის ოთხ გრაფიკულ ნამუშევარს „ესკიზები პიონერთა სასახლის მოსახატად“.

*გამოცემები*

- გამოიცა შემდეგი წიგნები: „არქეოლოგიური აღმოჩენების პირველადი დახმარება“; „ჭავჭავაძეები: კულტურა და ღირებულებები“; რ. გვერდწითელი, შრომები, I; „ვ. ჯობაძე, მასალები ორონტის ანტიოქიის დასავლეთით მდებარე ქართული მონასტრების შესწავლისათვის“; გზამკვლევი “უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი“

- დაიბეჭდა ფლავი - „დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი“;
- მომზადდა გამოსაცემად ჟურნალი - „მველი ხელოვნება “დღეს“; გამოცემების სერიიდან „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი“ და გზამკვლევი – “„ქუთაისი“; წიგნი - „ევროსაბჭოს სახელმძღვანელო კულტურული ძეგლის მენეჯმენტი - თეორიიდან პრაქტიკამდე“; 2016-2017 წლის საქართველოს კულტურული მემკვიდრების დაცვის ეროვნული სააგენტოს საანგარიშო კრებული, სამეცნიერო კონფერენციის კრებული - „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა IV“, „ალექსანდრე ყაზბეგი - 170“ - ღია ბარათების კომპლექტი და ტრიპლეტები – “მცხეთა“, “უფლისციხე“, “სამცხე-ჯავახეთი“, “გრემი“, “ვარძია“; ანოტირებული ფოტოალბომი ხევი; ფაჰრიე ბაირამის წიგნი - „მამაწმინდის“;
- უფლისციხის ვიზიტორთა ცენტრისათვის მომზადდა საინფორმაციო ხასიათის 360 გრადუსის ხედვის/გამოსახულების მქონე ვიდეორგოლი;
- დასრულდა წინასწარი მუშაობა ვრცელ მასალაზე გამოცემისთვის „ქართული ჩაცმულობა“, რომელიც ქართულ ტრადიციულ სამოსის კულტურას ეხება და სრულად მიმოიხილავს გვიანდელი შუასაუკუნეების ქართული და უცხოური წერილობით წყაროების, ნუმიზმატიკური და დოკუმენტური მასალის, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერების, ფრესკული მხატვრობისა და ნაქარგობის ნიმუშების საფუძველზე მცხოვრებ ქართველთა ტანსაცმელს.
- მიმდინარეობდა სამუშაოები ანოტირებულ ფოტო ალბომზე - „კავკასიის კარი - Porta Caucasus“.
- 2017 წელს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამუზეუმო ფონდების შევსებისა და გამდიდრების მიზნით სააგენტომ შეიძინა რარიტეტული გამოცემა – „დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის, მამული“, 1902 წ., ორტომეული: «Лесостроительный отчёт – Боржомское Имение Е. И. В. Великого Князя Михаила Николаевича», 1902 г. в და «Приложение къ лесостроительному отчету – Боржомское Имение Е. И.В. Великого Князя Михаила Николаевича», 1902 г.

*საგანმანათლებლო პროგრამები:*

- გაგრძელდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ და „კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს“;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, რეგიონიდან ჩამოსულ ბავშვებს ჩაუტარდათ სქველმოქმედო გაკვეთილი – „ფიროსმანი“.
- შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს გაიმართა პარა ორკესტრის კონცერტი, შშმ პირთა ნამუშევრების გამოფენა და ჩატარდა საქველმოქმედო გაკვეთილი – „ფიროსმანი“.
- შემუშავდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამა „დამწერლობა ქართული“;
- ქ. ფოთში ფაზისობასთან დაკავშირებით, ფოთის მუზეუმში ჩატარდა გაკვეთილი „რა არის მოზაიკა“;
- სომხეთის რესპუბლიკაში, მხითარ სებასტაქის სახელობის სასწავლო კომპლექსში ჩატარდა 3 გაკვეთილი - „მოხატული კერამიკა“; „რა არის მოზაიკა“; „ვხატავთ ფიროსმანს“.
- პოლონეთში, საქართველოს საელჩოში, ქართველი და პოლონელი ბავშვებისათვის ჩატარდა 4 გაკვეთილი - „ქართული კედლის მხატვრობა“, „რა არის მოზაიკა“, „ვხატავთ ფიროსმანს“;
- გაიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რიგით მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ და კონფერენცია „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“.
- მუზეუმის საერთაშორისო დღე 18 მაისი და აქცია „ღამე მუზეუმში“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებმა და მუზეუმ-ნაკრძალებმა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღნიშნეს.
- ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში (მირზაანი) გაიმართა საერთაშორისო ვორქშოფი, რომელშიც მონაწილეობდა 21 მხატვარი სხვადასხვა ქვეყნიდან: საქართველო, პოლონეთი, უკრაინა, კანადა, ბელორუსია, ბულგარეთი. ვორქშოფის ფარგლებში მოეწყო ამ პერიოდში შესრულებული ნამუშევრების გამოფენა. მათი ნაწილი საჩუქრად გადაეცა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო

მუზეუმს. ვორქშოფის ყველა მონაწილეს გადაეცა სააგენტოს გამოცემები და ვორქშოფში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესის გასააქტიურებლად საფუძველის ჩაყარა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ახალ პროექტის - „ემეგობრე მემკვიდრეობას“, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების კუთხით ბიზნეს სექტორთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა და კამპანიაში ფართო საზოგადოებრივი წრეების აქტიური ჩართვა. კლუბში პარტნიორებად სახელმწიფო ინსტიტუციების და კერძო სექტორის სხვადასხვა კომპანიების თანამშრომლებთან ერთად სამოქალაქო, პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლები ნებაყოფლობით გაწევრიანდებიან, რომელთა წლიური საწევრო შენატანები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სრულფასოვანი რეაბილიტაციისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს შექმნის. ფინანსური ფონდის მეშვეობით, კლუბი თანადაფინანსებას გაუწევს სახელმწიფოს მიერ შერჩეული პრიორიტეტული პროექტების განხორციელების პროცესს.

*კულტურულ მემკვიდრეობაზე მონიტორინგი, მედიამონიტორინგი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები ქვეყნის ფარგლებს გარეთ*

- კულტურულ მემკვიდრეობაზე მედიამონიტორინგის პროგრამა - კულტურის სფეროში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, ანალიზისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით, მიმდინარეობდა მედია-მონიტორინგი, რის ტექნიკურ შესაძლებლობასაც იძლევა საზოგადოებრივი აზრისა და კვლევის მარკეტინგის ინსტიტუტის (IPM) სპეციალური პროგრამა.
- სტრასბურგში ევროსაბჭოს მიერ გაიმართა კონფერენცია თემაზე: ევროპული კონვენცია ლანდშაფტების შესახებ (CEP-CDCPP), სადაც სააგენტოს მიერ მომზადებულ და წარდგენილ იქნა აღნიშნული კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ წლიური ანგარიში.
- ევროპის საბჭოს მიერ ქ. ბრნოში (ჩეხეთი) ჩატარებული ევროპული ლანდშაფტების კონვენციის მე-19 კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ეძღვნებოდა თემას: „ევროპული ლანდშაფტების კონვენციის იმპლემენტაცია ადგილობრივ დონეზე: ადგილობრივი დემოკრატია“ (The implementation of European Landscape Convention at local level: local democracy“) აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, რომელიც დელეგატების წინაშე წარსდგა ამ მიზნით შემუშავებული პრეზენტაციით - საქართველოს კულტურული ლანდშაფტები- შესაძლებლობები და გამოწვევები.
- ერასმუს პლიუსის პროგრამის საგრანტო დაფინანსების ფარგლებში მიმდინარე პროექტის „უმაღლესი სასწავლებლების ინტერდისციპლინარული რეფორმა ტურიზმის მენეჯმენტში და გეოინფორმაციული სისტემების სასწავლო კურსი“, სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს პროექტით გათვალისწინებული სწავლებები შვედეთის, ესპანეთის, იტალიის და საბერძნეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ფოტოგრაფიის, ლაზერული სკანირების და გის ტექნოლოგიების მიმართულებით.
- გერმანიის საელჩოს მიერ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა პროგრამა - გერმანულ კოლონისტთა არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში (კატალოგი); 2017 წელს დასრულდა გერმანული არქიტექტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია თბილისსა და გარდაბნის რაიონში, მოძიებული ინფორმაცია აიტვირთა სააგენტოს გის პორტალზე, მომზადდა სამენოვანი (ქართული, ინგლისური, გერმანული) კვლევა.

8.6. სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 712 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 418 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 32 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 293 მწვრთნელზე გაიცა დანამატი.

8.7. სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (55 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა: საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა, რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;
- მიმდინარეობდა თანამშრომლობა სხვადასხვა სახელმწიფო რელიგიურ ორგანიზაციებთან რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით;
- ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით დაფინანსდა ისლამური, იუდეური, რომაულ - კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებები.

8.8 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

- ჩატარდა კულტურის სტრატეგიის 2017-2018 წლების უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი.
- სამინისტროს არქივის ელექტრონული ბაზის შესაქმნელად მოხდა დასამუშავებელი საარქივო დოკუმენტაციის იდენტიფიცირება;
- საჭირო მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შესაქმნელად განხორციელდა ბაზრის კვლევა (ტექნიკა, პროგრამა).
- შერჩეული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის არასრულფასოვნების გამო 2017 წლის ნოემბერში აღნიშნული ჩანაცვლდა ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის პროგრამით;

8.9. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

- ჩატარდა სტაჟირების პროგრამა ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ცალკეულ სახელმწიფო უწყებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის;
- ყოველწლიურ რეგიონული კონცერტების ციკლის ფარგლებში ჩატარდა ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომლის მიზანია ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება;
- ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები უსინათლოთათვის „ლარის ამომცნობი“ აპლიკაციის შესაქმნელად;
- პროექტის „წიგნი ყველა სოფელს“ ფარგლებში განხორციელდა 10 000 წიგნის რეგიონებში განაწილება (ქვემო-ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთი);
- ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის, კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოეწყო კვლევის პრეზენტაცია „კარიერული კონსულტირების სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის“;
- „საქართველოს მოხალისე“ მოხალისეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში შეიქმნა 70 მოხალისეთა კლუბები, სადაც გაერთიანებულია 1 066 მოხალისე. კლუბის მიზანია გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა, საქველმოქმედო საქმიანობა, ფილმების ჩვენება, უცხო ენის კურსების გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია (სპორტული შეჯიბრებები, მარათონები), შშმ ბავშვების ინტეგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა. 2017 წელს განხორციელდა 508 ღონისძიება, სადაც ჩართული იყო 6 491 ახალგაზრდა, დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო მოხალისეები, სიგელი გადაეცა პროგრამაში მონაწილე ყველა მოხალისეს. პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს ვებსაიტი „მოხალისეთა ერთიანი ეროვნული ბაზა“ <http://volunteers.youth.gov.ge>
- „ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში შემუშავდა ახალი პროექტი „მეწარმეობის რეგიონული სკოლა“, რომლის მიზანია საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში (პანკისის ხეობა, გორი, ახალციხე და ზუგდიდი) მცხოვრები 17-29 წლის ახალგაზრდების სამეწარმეო და ინოვაციური კომპეტენციების, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი „საქართველოს თასი ლაშქრობაში“. პროექტის იდეა „ჯეოქეჩინგის“ (Geocaching) პრინციპზეა აგებული. გაიმართა 10 რეგიონული გუნდის შეჯიბრება და გამოვლენილ გამარჯვებული გუნდს (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) გადაეცა სპეციალური პრიზი - გარდამავალი თასი;
- განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ჩაატარა საგრანტო კონკურსი და დააფინანსა 39 პროექტი. ასევე, განხორციელდა ორი პროექტი: „ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისათვის“ - (მონაწილე 15 ახალგაზრდა) და „სოციალური საწარმო „მეგობარი“ (ბენეფიციარი 17-დან 30 წლამდე ასაკის 413 ახალგაზრდა);
- სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა ევროპის საინფორმაციო და საკონსულტაციო სააგენტოს დაფინანსებით განახორციელა EUth-ის 2016 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი „პოლიტიკის ახალგაზრდა მრჩეველები“. პროექტის 25 მონაწილე გადამზადდა სამოქალაქო და სამეწარმეო საქმიანობისთვის. ჩატარდა ტრენინგები ახალგაზრდულ პოლიტიკასთან, მოქალაქეთა ელექტრონულ ჩართულობასთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, პროექტების წერასთან და ადვოკატირებასთან დაკავშირებით.

- „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის ფარგლებში, მანავის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე განხორციელდა პროექტი „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“. პროგრამა მცირეკონტინგენტის სკოლებისა და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს სთავაზობდა დასვენებისა და არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას. 2017 წელს ბანაკი 8 ნაკადად განხორციელდა და უმასპინძლა 989 მონაწილეს.
- „მომავლის ბანაკის“ პროგრამა საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორ ლოკაციაზე (ანაკლია, შაორი). ანაკლიის და შაორის ბანაკებმა მიიღო 14 - 18 წლის მოსწავლეებს და 18 - 25 წლის სტუდენტებს საქართველოს ყველა რეგიონიდან. უზუნველყოფილ იქნა მონაწილეთა აქტიური დასვენება, კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ პროგრამებში ჩართულობა. საანგარიშო პერიოდში საბანაკე სერვისით ისარგებლა 3 108-მა ახალგაზრდამ.
- საგანგებო სიტუაციებში ქცევის და სახანძრო უსაფრთხოების წესების პროპაგანდის, კატასტროფის რისკის შემცირების, ასევე ზოგადი ფიზიკური განვითარების მიზნით, საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე (14 - 18 წლის მოზარდებისთვის) განხორციელდა პროექტი „მაშველთა კლუბი“ (30 ბენეფიციარი). თეორიული და პრაქტიკული სწავლების შემაჯამებელ ეტაპზე ქვეპროექტის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანში გამართულ ყოველწლიურ ტურნირში და მოიპოვეს გუნდური მეორე ადგილი;
- „ახალგაზრდული ფესტივალი 2017“ პროგრამის ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდული ეროვნული ცენტრის მიერ ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის და სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების, ჩართულობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით, განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები: „CYNC სპორტი ბარიერების გარეშე“, „CYNC ბიბლიოთეკა“, „შშმპ გამაჯანსაღებელი დარბაზი“, „სპორტული დარბაზები და ინტეგრირებული სახელობო წრეები“, „ინტელექტის დღე“, ლიტერატურული კონკურსი „ჩემი თავგადასავალი“, კონკურსი დამწყები მხატვრებისათვის; „ჩვენთვის და ჩვენთან ერთად (ჯანსაღი ცხოვრების წესის და მოხალისეობის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში, შშმ პირთა უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ადვოკატირება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება), „ცვლილებები თანასწორობისთვის“, „მშობელთა კლუბი“, „ეკობანაკი“.

8.10. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- სამინისტროსთან არსებულმა „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭომ“ (საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით), შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილა სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი, რის საფუძველზეც 56 სპორტული ორგანიზაცია დაფინანსება;
- განხორციელდა მონიტორინგი სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენების კვების, განთავსებისა და სავარჯიშო პირობების გაუმჯობესებასთან. სტანდარტები გათვლილია ინდივიდუალურად ყველა სპორტის სახეობისთვის და წარმოადგენს სპორტსმენების მზადების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობას;

- დაიხვეწა 2016 წელს დანერგილი სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებთან ოფიციალური დოკუმენტგაცვლის მოქნილ გამარტივებულ ფორმას. ელექტრონული სისტემა მინიმუმამდე ამცირებს პროგრამის ბენეფიციართა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებულ რისკებს;
- შეიქმნა სტატისტიკის ერთიანი ბაზა, რომელიც აერთიანებს მონაცემებს სპორტსმენების, სპორტული შედეგებისა და სპორტული ღონისძიებების შესახებ. პორტალზე, ასევე, ინტეგრირებულია სპორტული ობიექტების ერთიანი ბაზა, რომელიც აერთიანებს დეტალურ მონაცემებს მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული, ყველა ტიპისა და მოცულობის სპორტული ობიექტის შესახებ (ვებ-გვერდი მუშაობს სატესტო რეჟიმში და ინტენსიურად მიმდინარეობს ინფორმაციის შევსება);
- ჩატარდა სემინარი ანტი-დოპინგურ კანონმდებლობის თემაზე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და სპორტული ორგანიზაციების, ევროსაბჭოს სპორტული კონვენციების დეპარტამენტის და მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) წარმომადგენლების და სხვა ექსპერტების მონაწილეობით. სემინარის ფარგლებში შემუშავდა დოპინგსაწინააღმდეგო ნორმების პროექტი „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ასახვის მიზნით.

### 9.1 საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები);
- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო.

- საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა მუშაობას ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის, ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების, საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში მუშაობის, ეკონომიკური დიპლომატიის, ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ ინფორმირების მიმართულებით, ასევე, დიდი ყურადღება დაეთმო საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან მუშაობას, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. აღნიშნული პრიორიტეტების განსახორციელებლად, გასული წლის მანძილზე გაიმართა მრავალი მნიშვნელოვანი მაღალი დონის ოფიციალური თუ სამუშაო ორმხრივი ვიზიტები აშშ, ევროპის, მეზობელი, ახლო აღმოსავლეთის, აზიის ქვეყნებში. საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის, ნატოს, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გამართულ სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ღონისძიება.

#### 9.1.1 საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- მიმდინარეობდა მუშაობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხის საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში შენარჩუნებისთვის. რეგულარულად ხდებოდა პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება ოკუპირებულ რეგიონებში განვითარებულ უკანონო პროცესებზე, უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული



კუთხით შექმნილ მდგომარეობაზე, რუსეთის ოკუპაციის პოლიტიკის შედეგებზე, რაც გამოიხატება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სივრცეში ეტაპობრივ ინტეგრაციაში. სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტიური მუშაობით, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მუდმივად იმყოფებოდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმების მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდისა და დისკრიმინაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. სხვადასხვა ორმხრივ, თუ მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში ხაზი ესმებოდა რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების აუცილებლობას. რუსეთის ფედერაციისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები ასახული იქნა არაერთ განცხადებაში, რეზოლუციაში, დეკლარაციაში თუ ანგარიშში;

- ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 4 რაუნდი. საქართველო აყენებდა რუსეთის მიერ ძალის არგამოყენებისა და მის უზრუნველსაყოფად ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის აუცილებლობას ისევე, როგორც ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხზე შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებების მნიშვნელობას. თანათავმჯდომარეები, თანამოდერატორები და აშშ-ის წარმომადგენლები მუდმივად უსვამდნენ ხაზს ადგილზე არსებული რთული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული ვითარების გადაწყვეტის აუცილებლობას. გრძელდებოდა მუშაობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერებისა და მანდატის სრულად შესრულების უზრუნველსაყოფად. ინტენსიური იყო თანამშრომლობა მისიის წარმომადგენლებთან, საოკუპაციო ხაზთან ვითარების ესკალაციის პრევენციის მიზნით. მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა არალიარების პოლიტიკის შემდგომი განმტკიცების მიმართულებით. გრძელდებოდა ძალისხმევა ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშესაწყობად საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფისთვის;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით. საქართველოს მოქალაქეებისათვის შენგენის ზონაში ამოქმედდა უვიზო რეჟიმი. გაიმართა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ყოველწლიური დიალოგის მეათე შეხვედრა, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა და უსაფრთხოების საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის პირველი შეხვედრა;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ნატოში ინტეგრაციის კუთხით. შემუშავდა და ნატო-ს წარედგინა წლიური ეროვნული პროგრამა და თვითშეფასების დოკუმენტი. გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის 24 სხდომა, მათ შორის, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე. გაიმართა ნატო-ს სამხედრო კომიტეტის მეორე ვიზიტი საქართველოში. ნატო-ს დღეების ფარგლებში, ქ. თბილისში ჩატარდა ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი, ასევე გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია;
- სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კონფერენციებსა და ფორუმებში, რომლებზეც განიხილებოდა გლობალური უსაფრთხოების საკითხები: ტერორიზმი, რადიკალიზაცია, შეიარაღებაზე კონტროლი, განიარაღება, გაუვრცელებლობა, ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცება;
- მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა აშშ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების კუთხით. საქართველოს ვიზიტით ეწვია აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი. გაიმართა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის ვიზიტი საქართველოში. შედგა საგარეო საქმეთა მინისტრის 4 სამუშაო ვიზიტი აშშ-ში. საქართველოს ეწვია აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენლის შრომის საკითხთა დეპარტამენტის ოფისის დირექტორი და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიისა, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიუროს ოფიცერი. ასევე, საანგარიშო პერიოდში გაიმართა აშშ-საქართველო სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერჯეტიკის, დემოკრატიისა და მმართველობის და თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფების სხდომები. აშშ-ის მიერ მიღებული იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ, რომელიც სანქციებს უწყებს დამრღვევ ქვეყნებს და ხელს უწყობს საქართველოს არალიარების პოლიტიკის განმტკიცებას;

- ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცების კუთხით განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის 95-ზე მეტი ვიზიტი. კიდევ უფრო გააქტიურდა ევროპის სახელმწიფოებთან ორმხრივი პოლიტიკური დიალოგი, კონსულტაციები გაიმართა 14 ქვეყანასთან. აღნიშნული ვიზიტები და კონსულტაციები ემსახურებოდა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავებასა და განვითარებას. აქტიური დინამიკა იყო შენარჩუნებული ევროპის ლიდერ ქვეყნებთან - გერმანიასთან, საფრანგეთთან, იტალიასა და გაერთიანებულ სამეფოსთან;
- განხორციელდა 20-ზე მეტი ორმხრივი ვიზიტი მეზობელ ქვეყნებთან. მნიშვნელოვანი იყო ბათუმში საქართველოსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრების არაფორმალური შეხვედრა, თბილისში ჩატარებული საქართველო-თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს მეორე სხდომა. გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი თურქეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო თურქეთის ელჩების ყოველწლიურ შეხვედრა - „ამბასადორიალში“. ბაქოში გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სამხრეთი შეხვედრა და მის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან. გაიმართა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და სომხეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის ვიზიტები საქართველოში. ასევე, ჩატარდა პოლიტიკური კონსულტაციები ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის;
- ინტენსიურად მიმდინარეობდა ურთიერთობების გაღრმავება აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან. განხორციელდა 55-ზე მეტი ორმხრივი ვიზიტი, გაიმართა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები იაპონიასთან, თურქმენეთთან, ინდონეზიასთან, ახალ ზელანდიასთან, ავსტრალიასთან, ჩინეთთან, ბანგლადეშთან, ინდოეთთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, მონღოლეთთან;
- ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებთან განხორციელდა 40-ზე მეტი ორმხრივი ვიზიტი, გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები კატართან, მოზამბიკის რესპუბლიკასთან, ომანთან. აღნიშნული რეგიონის ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გასაღრმავების მიზნით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა იორდანისის ჰაშიმიტურ სამეფოში გამართულ „მკვდარი ზღვის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში“, ასევე აღსანიშნავია საქართველო-ირანის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მეექვსე სხდომა, თბილისისა და თელავში სამხრეთ აფრიკის ბიზნეს-დელეგაციის ვიზიტი;
- ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან გაიმართა 10-მდე ორმხრივი ვიზიტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვიზიტი კოსტა რიკასა და მექსიკის შეერთებულ შტატებში, ასევე, მონაწილეობის მიღება კოლუმბიაში წყნარი ოკეანის ალიანსის წევრი ქვეყნების მინისტრიალში;
- სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს, ეუთო-სა და გაერო-ს ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებული იქნა რეზოლუცია „თანამშრომლობა საქართველოსთან“. რეზოლუციის შესაბამისად, ჟენევაში გაიმართა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშის განხილვა;
- შედგა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოს მონიტორინგის თანამომხსენებლების და ევროპის საბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლების ვიზიტები საქართველოში. საანგარიშო პერიოდში წარდგენილი იქნა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მე-15 და მე-16 კონსოლიდირებული ანგარიშები „კონფლიქტი საქართველოში“. საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს 127-ე მინისტრიალში, რომელიც გაიმართა ქ. ნიქოზიაში;
- სუამ-ში საქართველოს თავმჯდომარეობის ხელშეწყობით დაიგეგმა და გაიმართა არაერთი მნიშვნელოვანი მაღალი დონის ღონისძიება. მათ შორის, მნიშვნელოვანი იყო ქ. თბილისში ჩატარებული სუამ-ის საიუბილეო მინისტრიალი, სადაც დაისახა ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების პერსპექტივები, საქართველოს თავმჯდომარეობის მიერ შემუშავებული დოკუმენტის „Chairmanship Vision Paper“ მიხედვით. საქართველოს თავმჯდომარეობის მიღწევებს შორის, ასევე აღსანიშნავია სუამ-ის წევრ ქვეყნებს შორის გააქტიურებული ურთიერთქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში და მიღებული ერთობლივი მხარდამჭერი განცხადებების

უპრეცედენტო რაოდენობა. ქ. ვენაში გამართულ სუამ-ის მინისტრიალზე ქართული მხარის ინიციატივითა და ხელშეწყობით დამტკიცდა „სუამ-ის დარგობრივი თანამშრომლობის გააქტიურების სამოქმედო გეგმა“;

- „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით დაიდო 80 საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთაგან ძალაში შევიდა 45 ხელშეკრულება და სავალდებულოდ აღიარებულ იქნა (ხელმოწერა, რატიფიკაცია, შეერთება, დამტკიცება) 35 ხელშეკრულება;
- საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან კოორდინაციითა და ქვეყნის შესაბამისი უწყებების ჩართულობით, კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყნის საინვესტიციო, საექსპორტო და ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციის, ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გაიმართა 30-ზე მეტი ბიზნეს-დელეგაციის ვიზიტი და ბიზნეს-ფორუმი 24 პარტნიორ ქვეყანასთან;
- საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელთა უმრავლესობაც მიეძღვნა საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წლის იუბილეს. სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელი, ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამას 2017-2021 წლებისთვის“. სამინისტროს მხარდაჭერით, ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები 6 თვით საქართველოში ჩამოაბრძანეს ინდოეთიდან. სამინისტრო ჩართული იყო საქართველოსთვის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსის გადაცემის ცერემონიაში. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ლონდონში, გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ ფარგლებში, გამართული ხალხთაშორისი ურთიერთობების პანელი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, დიასპორული ორგანიზაციების და ცალკეული თანამემამულეების ჩართულობით, შეიმუშავა პროგრამა „ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა“. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ერთმანეთთან და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) ერთად, შემუშავდა ვებ-პორტალის კონცეფცია და საკომუნიკაციო სტრატეგია. დიასპორული ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარების უზრუნველყოფის მხარდასაჭერისა და ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, შემუშავდა დიასპორული კალენდარი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება დიასპორაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ჩატარდა საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე შექმნილი „საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრი, ლევილის ქართული აკადემიის“, მმართველი საბჭოს 3 სხდომა;
- საკონსულო დეპარტამენტისა და საზღვარგარეთ არსებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები/საკონსულო დაწესებულებები აგრძელებდნენ მუშაობას საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით. ლეგალიზების მიზნით წარმოდგენილ იქნა 1842 დოკუმენტი. საკონსულო დეპარტამენტის ქოლ-ცენტრის მიერ სატელეფონო კონსულტაცია გაეწია 45 434 მოქალაქეს. e-VISA პორტალის მეშვეობით დარეგისტრირდა 29546 განაცხადი, რომელთა 14% უარყოფითად, ხოლო 85% დადებითად დასრულდა. საკონსულო დეპარტამენტმა 41 მეზღვაურის საკითხზე გაწია სამუშაო. მათ შორის, საქმე დასრულდა 37 მეზღვაურის შემთხვევაში.

9.1.2 საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველომ განახორციელა ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში.

### 9.1.3 საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და ორგანიზაციების დაკვეთით შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმება, ასევე - სინქრონული თარგმანი.

### 9.2 ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 20 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- მომზადდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2016 წლის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- შემუშავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ;
- შემუშავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტის შესრულების ნახევარი წლის ვრცელი და მოკლე ანგარიშები;
- გრძელდება მუშაობა, სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, ასოცირების შეთანხმების განხორციელების გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტების პროექტებზე შემდეგ სფეროებში: შრომის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, მართვის მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები;
- გრძელდება საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კოორდინაცია „ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის“ და „პარტნიორობა მობილობისთვის“ ფარგლებში;
- საანგარიშო პერიოდში, შედგა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტები ბელგიაში, ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში, პოლონეთში, ჰოლანდიასა და რუმინეთში. ვიზიტების ფარგლებში, გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან, პარლამენტარებთან, ასევე, სამეცნიერო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან;
- რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპაციის პირობებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების სხვა სტრუქტურებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

- ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის კუთხით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა შემდეგი კონკრეტული მიმართულებებით წარიმართა:
  - ✓ ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის კოორდინაცია;
  - ✓ 2017 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავება, იმპლემენტაციის კოორდინაცია და თვითშეფასების დოკუმენტის მომზადება;
  - ✓ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის მუშაობა;
  - ✓ ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ;
  - ✓ საზოგადოების ინფორმირება.
- მომზადდა ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის;
- მომზადდა ევროკავშირისა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმა;
- მომზადდა ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- მიმდინარეობს ევროკავშირი-საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე საინფორმაციო კამპანიის აქტიური განხორციელება, რომელიც მოიცავს საინფორმაციო ვიდეო რგოლებს (ტელევიზიებსა და რადიოებში), ბანერებს და პოსტერებს მეტრო სადგურებსა და სამარშრუტო ტაქსებში, ინფორმაციის განთავსებას ბეჭდურ და ონლაინ მედიასა და სოციალურ ქსელებში, კამპანიის ფარგლებში ტარდება შეხვედრები, ტრენინგები და სემინარები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან. ინფორმაცია ითარგმნება და ვრცელდება ქართულ და ეთნიკური უმცირესობების ენებზე (აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური და რუსული);
- აპარატი აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ასოციების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა“ დაგეგმვასა და განხორციელებაში. ამჟამად, მიმდინარეობს ევროკავშირი-საქართველოს საინფორმაციო კამპანია, რომელიც მოიცავს შეხვედრებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებთან, ბანერების განთავსებას დედაქალაქსა და რეგიონებში, კონკურსებისა და გამოფენების ჩატარებას, სოციალური მედიის მეშვეობით კამპანიის წარმოებასა და სხვა.
- საზოგადოების ინფორმირების კუთხით სახელმწიფო მინისტრის აპარატი „სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“-თან ერთად რეგულარულად მართავს სხვადასხვა ღონისძიებას, როგორც ალიანსისა და მასში მიმდინარე პროცესების, ასევე საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მიმდინარეობის შესახებ. ამასთანავე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს ნატო-ს სამოკავშირეო ოფისთან, ნატო-ს საკონტაქტო საელჩოსთან, არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან;
- გამოიცა საინფორმაციო ანალიტიკური ჟურნალის - „საქართველოს ევროპული გზა“ მე-11, მე-12 და მე-13 ნომრები;
- ქ. ბათუმში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ტრადიციულად გაიმართა მე-14 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა - რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტების, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს წრეების 400-ზე მეტმა წარმომადგენელმა;
- ხელი მოეწერა ევროკავშირის „სოფლის მეურნეობის და სოფლად განვითარების“ პროგრამის მე-3 ფაზას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსთვის ფინანსურ დახმარებას;
- ჩატარდა ინტენსიური კონსულტაციები, როგორც შესაბამის დარგობრივ სტრუქტურებთან, ასევე საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის და ევროკომისიის სხვადასხვა სამსახურებთან საქართველოსთვის ევროკავშირის 2017-2020 წლების დახმარების ერთიანი ჩარჩო პროგრამის (SSF) პრიორიტეტებთან დაკავშირებით, შედეგად განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:
  - ✓ ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა;

- ✓ მმართველობისა და ინსტიტუციური გაძლიერების რეფორმა;
- ✓ ენერგოეფექტურობა, რეგიონალური განვითარება, გარემო და კლიმატის ცვლილება;
- ✓ მობილობა და ხალხთა შორისი კონტაქტი (ვიზა ლებერალიზაციის კრიტერიუმების მხარდაჭერა, პროფესიული განათლება და ტრენინგები);
- ✓ ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ექსპერტული მხადრატერის უზრუნველყოფა.

## 10. სოფლის მეურნეობა

### 10.1 ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი 37 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით;
- აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;
- სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;
- კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გავლურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

#### 10.1.1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 37 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;

- ერთიანი აგროპროექტის პროგრამით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება.

#### 10.1.2 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის მიზანია მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. პროექტის ფარგლებში აგროკრედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, შეღავათიანი აგროკრედიტების პროექტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროექტი მოიცავს შემდეგ ფინანსურ პროდუქტებს: საბრუნავი საშუალებების კომპონენტი, ძირითადი საშუალებების კომპონენტი, შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტი სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში". აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებას შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

- ✓ საბრუნავი საშუალებების კომპონენტისთვის - 8%;
- ✓ ძირითადი საშუალებების კომპონენტისთვის - 11%;
- ✓ შეღავათიანი აგროლიზინგი - 12%;
- ✓ აწარმოე საქართველოში - 10% (სესხის გაცემიდან 24 თვის მანძილზე)

10.1.3 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 37 05 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
- „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N36 და „იაპონური გრანტის პროგრამა 2KR-ის ფარგლებში საპარტნიორო ფონდში დეპონირებული თანხების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2587 განკარგულებების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში 2017 წლის ვალდებულებების დაფარვა.

10.1.4 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 05 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევა განხორციელდა სადაზღვევო კომპანიების მიერ, ხოლო პროექტების მართვის სააგენტომ განახორციელა სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.1.5 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 37 05 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
- პროგრამის მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე პროექტის მიზანია ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება.

10.1.6 ქართული ჩაი (პროგრამული კოდი 37 05 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროგრამა ითვალისწინებს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსებას. ბენეფიციარის (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა) საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება 60%-ის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და იჯარით მიღებული ჩაის პლანტაცი(ებ)ზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება 70%-ის ოდენობით;
- პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები, საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცი(ებ)ის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება 80%-ის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და იჯარით მიღებული ჩაის პლანტაცი(ებ)ზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება 90% -ის ოდენობით;
- პროგრამით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა ჩაის პირველადი დამუშავების მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და ინვენტარი.

10.1.7 სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 37 05 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნით დაინტერესებული კომპანიებისათვის (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის) ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას; ფინანსური დახმარება ითვალისწინებს: შეღავათიან აგროკრედიტს/შეღავათიან აგროლიზინგს/სააგენტოს თანადაფინანსებას. პროექტი მოიცავს ორ კომპონენტს: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი.

10.2 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 07)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“;
- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“.

- წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა;
- ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების პროექტის (WB) ფარგლებში მიმდინარეობდა სამუშაოები 3 საირიგაციო ობიექტის რეაბილიტაციაზე.



- მოეწყო ხეხილის, ბოსტნეულის და კენკროვანი კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთები კახეთის, შიდა ქართლის, კახეთის, აჭარის და სამეგრელოს რეგიონებში, თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაუტარდათ ფერმერებს.
- გაცემულია მცირე და დიდი გრანტები (108 პირველადი წარმოებისათვის და 4 გადამამუშავებელი საწარმოსთვის);
- ძვერა-შერთულას საირიგაციო სისტემის შიდა ქსელების რეაბილიტაცია (ლოტი 3ა) დასრულდა, მიმდინარეობდა ამავე სისტემის შიდა ქსელების რეაბილიტაცია (ლოტი 3ბ) და ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებელი არხის რეაბილიტაცია. ასევე, მიმდინარეობს გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გამანაწილებელის არხის რეაბილიტაცია;
- დასრულდა სენაკისა (სოფლების: ძველი სენაკი, ბეთლემი და უშაფათი) და მარტვილის (სოფლების: ნაგვაზაო, ახედათი, ჯოლევი) მუნიციპალიტეტებში სოფლის გზებისა და ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- მომზადდა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის.

#### 10.2.1 სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შექმნა (პროგრამული კოდი 37 07 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში წყალსაცავების, სარწყავი, დამშრობი სისტემების და სარწყავი სისტემების ზონაში დამშრობი (საკოლექტორო) ქსელის რეაბილიტაცია, განხორციელდა შესაბამისი საინჟინრო კვლევების, პროექტირების, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ჩატარება;
- 2017 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სამუშაოები დასრულდა შემდეგ ობიექტებზე:

გორის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან მდებარე მერეთის თემის სოფლების: მერეთის, გუგუიანთკარის, ზარდიაანთკარისა და კოშკას სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის წყლის თვითდინებით და სტაციონალური სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები (მდინარე პატარა ლიახვის ნაკალაპოტარში გაიჭრა მიმდარველი არხი, რამაც უზრუნველყო კოშკასა და ნეკრულის არხისათვის წყალაღება, მოეწყო 4 ცალი ავანკამერა და თითოეულ ავანკამერაში დამონტაჟდა ორ-ორი ცალი აგრეგატი);
- ✓ საოკუპაციო ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელ ნიქოზთან სალთვისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის და ზემო ნიქოზის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები (გაიწმინდა და მოპირკეთდა სალთვისის მაგისტრალური არხი (პკ30+50-დან პკ39+50-მდე) სოფელ შაქშაქეთთან);
- ✓ ძვერა-შერთულას მაგისტრალური არხის გ-8 გამანაწილებლის რეაბილიტაცია (ჩატარდა გ-8 გამანაწილებლის წმენდა ხე-ბუჩქნარისა და ნატანისაგან);
- ✓ მეღვრევისის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის მაგისტრალურ არხზე დაერთების კვანძების, მეღვრევისის სათავე ნაგებობასთან სასაწყობე შენობისა და გარე განათების მოწყობა (მეღვრევისის სატუმბი სადგურიდან გამომავალ სადაწნეო მილსადენზე მოეწყო 2 ცალი წყალგამშვები ჭა, აგრეთვე აშენდა სასაწყობე სამეურნეო ნაგებობა ზომით 8:5 მ);
- ✓ არბო-დიცის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია (I და II ეტაჟი) (სატუმბ საადგურში მოეწყო ხიდური ამწე (ტალი) და ჩაიდო პლიეთილენის მილი).

კასპის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ნიაზის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის და მდინარე თეძამზე უკაშლო, გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობების მოწყობის სამუშაოები (მდინარე თეძამზე მოეწყო სათავე ნაგებობა, მაგისტრალურ არხს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, აგრეთვე მოეწყო ცალმხრივი წყალგამშვებები, შესრულდა დაზიანებული ფარების შეცვლა და აღდგა საექსპლუატაციო გზა);
- ✓ ქვემო ხანდაკი-ნიჩბისის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის (I ეტაპი) სამუშაოები (ჩატარდა სადგურის შენობის რეაბილიტაცია, შექმნილია 3 ცალი ტუმბო-აგრეგატი (დამონტაჟდა-2 ცალი, რეზერვშია-1 ცალი));
- ✓ კასპის მუნიციპალიტეტში კავთისხევის III აწევის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები.(IV ეტაპი) (ჩატარდა სატუმბი სადგურის შენობის რეაბილიტაცია, შექმნილია 3 ცალი ტუმბო-აგრეგატი (დამონტაჟდა-2 ცალი, რეზერვშია-1 ცალი) მოეწყო სარწყავი ქსელი);
- ✓ კავთისხევის მექანიკური მორწყვის III აწევის სატუმბი სადგურის გარე ელმომარაგების სამუშაოები (განხორციელდა სატუმბი სადგურის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა);
- ✓ ხანდაკი-სასირეთის-მეტეხის სატუმბი სადგურის გარე ელმომარაგების სამუშაოები (განხორციელდა სატუმბი სადგურის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა);
- ✓ ქვემო ხანდაკის სატუმბო სადგურის გარე ელმომარაგების სამუშაოები (განხორციელდა სატუმბი სადგურის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა);
- ✓ ხანდაკი-სასირეთი-მეტეხის სატუმბი სადგურის 10/6 ტრანსფორმატორის მოწყობა (დამონტაჟდა 1 ცალი ახალი ტრანსფორმატორი);

ქარელის მუნიციპალიტეტი:

- ✓ სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე პკ 236+40-დან პკ 243+80-მდე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების და აკვედუკის მოწყობის სამუშაოები (სკრა-ქარელის მაგისტრალური არხის (პკ236+40-დან პკ243+80-მდე) ძირზე და ფერდებზე მოეწყო მონოლითური ბეტონი);

ბოლნისის მუნიციპალიტეტი:

- ✓ სოფელ ქოლაგირთან, წერეთლის მაგისტრალურ არხზე წყალსაგდების კვანძის მოწყობა (სოფელ ქოლაგირთან მოეწყო წყალსაგდები კვანძი);

გარდაბნის მუნიციპალიტეტი:

- ✓ სიონის წყალსაცავის საექსპლუატაციო კოშკის და გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები (საექსპლუატაციო კოშკს, გვირაბს და საექსპლუატაციო სახლს ჩაუტარდა რეაბილიტაცია);
- ✓ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის მეორე რიგის გამანაწილებელ გ-6 -ის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ჩატარდა ამორტიზირებული, უვარგისი, ღარების დემონტაჟი და ახლის მონტაჟი, აგრეთვე ბეტონით მოისახა არხის კვეთის გარკვეულ მონაკვეთი);
- ✓ გარდაბნის სარწყავი სისტემის გ-9 გამანაწილებლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არხის გარკვეულ მონაკვეთებზე დალაგდა რკინა-ბეტონის ღარები, ხოლო არხის ძირზე და ფერდებზე მოეწყო ანაკრები რკინა-ბეტონის ფილა);

მარნეულის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის, მდინარე დებედაზე განთავსებული სათავე ნაგებობის სარეგულაციო ფარების და სამანქანო დარბაზის მექანიკური ნაწილის აღდგენა-შეკეთება (ჩატარდა სათავე ნაგებობის სარეგულაციო ფარებისა და სამანქანო დარბაზის მექანიკური ნაწილის აღდგენა-შეკეთება);

წალკის მუნიციპალიტეტი:

- ✓ სოფელ ავრანლო-გუმბათის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციის სამუშაოები (მდინარე ქციაზე მოეწყო სათავე ნაგებობა, ჩატარდა მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია და მოეწყო შიდასამეურნეო სარწყავი ქსელი);

ასპინძის მუნიციპალიტეტი:

- ✓ მდებარე სარო-ხიზაბავრას I და II აწევის სატუმბი სადგურების გარე ელმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები (შესრულდა ორივე სატუმბი სადგურის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა);
- ✓ სარო-ხიზაბავრას სარწყავი სისტემის, მაგისტრალური არხისა და I და II აწევის სატუმბი სადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტაცია ჩატარდა სოფელ ნიჩგორსა და სოფელ საროში არსებულ სატუმბი სადგურების შენობებს, დამონტაჟდა 4-4 ცალი ტუმბო-აგრეგატი, აგრეთვე, მეორე აწევის მაგისტრალურ არხზე, შესრულდა ძველი, უვარგისი ღარებისა და საყრდენების დემონტაჟი და ახლების მონტაჟი);

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი:

- ✓ დილისკა-პტენა ჩუნჩხას სატუმბი სადგურის სადაწმეო მილსადენის და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია ( I ეტაპი) (არსებულ სატუმბი სადგურის შენობას ჩატარდა სრული რეაბილიტაცია, გაიწმინდა წყალმიმღები კვანძი, შემოიღობა ტერიტორია, შეძენილია 4 ცალი ტუმბო-აგრეგატი (3 ცალი დამონტაჟებულია, 1ცალი რეზერვშია);
- ✓ ოკამის სატუმბი სადგურის სადაწმეო მილსადენის და სარწყავი ქსელის მოწყობის სამუშაოები ( I ეტაპი (სატუმბი სადგურის შენობის რეაბილიტაცია, გასუფთავდა წყალმიმღები, აღდგა კაშხალი, შემოიღობა ტერიტორია, შეძენილია 3 ცალი ტუმბო-აგრეგატი (2 ცალი დამონტაჟდა,1 ცალი რეზერვში));
- ✓ ოკამის სატუმბი სადგურის ელექტრო მომარაგების ქსელში ჩართვის სამუშაოები (სატუმბი სადგურის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა);

ახალციხის მუნიციპალიტეტი:

- ✓ სოფელ კლდეწნისის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია (არსებულ სატუმბი სადგურის შენობას ჩატარდა სრული რეაბილიტაცია, შეძენილია 4 ცალი ტუმბო-აგრეგატი (3 ცალი დამონტაჟებულია, 1 ცალი რეზერვშია). გაიწმინდა წყალმიმღები რეზერვუარი, აგრეთვე მაგისტრალურ არხზე განთავსებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს ჩატარდა რეაბილიტაცია);
- ✓ სოფელ კლდეწნისის სატუმბი სადგურის გარე ელმომარაგების სამუშაოები (სატუმბი სადგურის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა);
- ✓ მუგარეთის და გიორგიწმინდას სატუმბი სადგურის გარე ელ.მომარაგების სამუშაოები (ორივე სატუმბი სადგურის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა);

მცხეთის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთებზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების (უბანი-1) სამუშაოები (ლამი-მისაქციელის მაგისტრალურ არხზე (პკ00+0დან პკ6+65-მდე) ჩატარდა ტორკრეტირება და მოეწყო რკინა-ბეტონის ფილა);
- ✓ წეროვანის დევილთა დასახლების საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად წყალმიმყვანი მაგისტრალისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები (ჩატარდა საექსპლუატაციო კომპის, საუბნო სახლისა და გვირაბის რეაბილიტაცია);

#### გურჯაანის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის თვითდინებითი მორწყვის გ-40-ის და მისი II და სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია და წყალმიმღები ჯიშითის კოლექტორის მცენარეებისაგან გაწმენდის (I რიგი) სამუშაოები (ჩატარდა გ-40, გ-40-1-დან გ-40-7-ის ჩათვლით, გ-40-7-1-დან გ-40-7-5-ის ჩათვლით და ჯიშითის კოლექტორის რეაბილიტაცია, მიღებისა და ღარების მონტაჟი, ასევე ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია);
- ✓ სოფელ ბაკურციხის მექანიკური მორწყვის სისტემის I რიგის გამანაწილებლების მოწყობა, წვეთური სარწყავი სისტემის მოწყობის გათვალისწინებით (II ეტაპი) (მოეწყო პოლიეთილენის მილსადენი, წვეთოვანი სისტემის წყლით უზრუნველსაყოფად);
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-55 გამანაწილებლის რეაბილიტაცია (მოეწყო პოლიეთილენის მილსადენი);

#### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი:

- ✓ ზემო მაჩხაანი-არბოშიკი-მირზაანი-ოზაანის მექანიკური აწევის სატუმბი სადგურის სამშენებლო და წვეთოვანი სისტემით მორწყვის მილსადენის მოწყობის სამუშაოები (I ეტაპი) (სატუმბ სადგურს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, დამონტაჟდა 2 ცალი ტუმბო-აგრეგატი, მოეწყო სადაწნეო მილსადენი, გამანაწილებელი, დამცველი მილსადენი და ჰიდრანტები);
- ✓ სოფელ სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის წყალმიმღებისა და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები (ჩატარდა სატუმბი სადგურის შენობის რეაბილიტაცია, შეძენილია 3 ცალი ტუმბო-აგრეგატი (დამონტაჟდა-2ცალი, რეზერვშია-1ცალი), აგრეთვე შესრულდა სატუმბი სადგურისა და საყარაულო ჯიხურის ელექტრო ენერგით მომარაგება);
- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია, წყალმიმღები კვანძისა და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები (მოეწყო წყალაღების კვანძი, აშენდა სატუმბი სადგურის შენობა, შესრულდა შიდა ელ.მომარაგება და დამონტაჟდა 3 ცალი ტუმბო-აგრეგატი);

#### საგარეჯოს მუნიციპალიტეტი:

- ✓ ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის კაჭრეთის ფილტრაციული მონაკვეთის რეაბილიტაცია (გასუფთავდა არხის ფილტრაციული მონაკვეთი და დაბეტონდა აღნიშნული მონაკვეთის ფერდები და ძირი);

#### სიღნაღის მუნიციპალიტეტი:

- ✓ სოფელ ვაქირის მექანიკური მორწყვის სისტემის I რიგის გამანაწილებლების მოწყობა, წვეთური სარწყავი სისტემის მოწყობა (II ეტაპი) (მოეწყო რკინა-ბეტონის ჭები და პოლიეთილენის მილსადენი, წვეთოვანი სისტემის წყლით უზრუნველსაყოფად);
- ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხიდან, სოფ. ძველი ანაგის სატუმბო სადგურის, სადაწნეო და მეორე გამანაწილებელი მილსადენის და წვეთოვანის დაერთების კვანძების მოწყობის( მე-3 ეტაპი) სამუშაოები (მოეწყო პოლიეთილენის მილსადენი);

#### ბაღდათის მუნიციპალიტეტი:

- ✓ აფხანაურის სარწყავი სისტემის (250 ჰა), მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ მდინარე ხანისწყალზე მოეწყო წყალმიმღები კვანძი, ჩატარდა მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია, აგრეთვე მოეწყო შიდა სამეურნეო სარწყავი ქსელი;

#### ზესტაფონის მუნიციპალიტეტი:

- ✓ აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სათავე ნაგებობის კაშხლის გამრეცხი ფარების მექანიკური ნაწილის რეაბილიტაცია, გაიწმინდა მაგისტრალური არხი, დაზიანებული მონაკვეთები აღდგა მონოლითური ბეტონითა და ანაკრები რკინა-ბეტონის ფილებით, აგრეთვე ჩატარდა წყალგამშვები კვანძებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების (დიუკერი, ხიდი, მილხიდი) გამანაწილებელი არხებისა და მათზე მდებარე ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია);

საჩხერის მუნიციპალიტეტი:

- ✓ საჩხერის მუნიციპალიტეტში, ხოდაბუნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის (პკ 52+53 - პკ 59+00; პკ 60+30 - პკ 72+40 მდე) ღარებით მოპირკეთების, ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების და II რიგის გამანაწილებლებზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები (ხოდაბუნის მაგისტრალური არხის დამეწყრილ მონაკვეთზე ჩაიდო პლასმასის მილი, მაგისტრალური არხის კალაპოტში ჩაიდო რკინა-ბეტონის ღარები (285ცალი), მოეწყო წყალგამშვებები და აღსდგა შიდა ქსელი);

ხონის მუნიციპალიტეტი:

- ✓ „ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაციის“ სამუშაოები (ხიმინჯების თავზე მოეწყო რკინა-ბეტონის როსტვერკი და დაიდო ცვეთამდეგი ფილა, მოეწყო ახალი თევზსავალი, ჩატარდა წყალარიდების სამუშაოები და დამონტაჟდა ძაბვის ახალი კაბელი);

თიანეთის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ერწოს მასივის დამშრობის სისტემის მდ.აძიძის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები ნატანი გრუნტისაგან (II ეტაპი) პკ 0+00-დან პკ 60+00-მდე (მდინარე აძიძის კალაპოტის წმენდა ნატანისაგან);

აბაშის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ნოდელა-ცხენისწყლის მდინარეთაშორის მასივზე სოფელ ტყვირის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (ნაწილი) (დამშრობი სისტემა გაიწმინდა ნატანისაგან, ხე-ბუჩქნარისა და ეკალ-ბარდისაგან, მოეწყო 4 ცალი მილხიდი);
- ✓ ძველი აბაშის საკრებულოში დამშრობი მასივის რეაბილიტაცია (კოლექტორებისა და მილხიდების წმენდა ნატანისაგან);
- ✓ სოფელ პირველი მაისის საკრებულოში გაუწყინარის თემში არსებული დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია ( I ეტაპი) (კოლექტორებისა და მილხიდების წმენდა ნატანისაგან);
- ✓ „ანჯელის“ მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ კეთილარში (III რიგი) (დამშრობი სისტემა გაიწმინდა ნატანისაგან, ხე-ბუჩქნარისა და ეკალ-ბარდისაგან, მოეწყო 2 ცალი მილხიდი);

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფ.დარჩელის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია (I რიგის პირველი და მეორე ეტაპი) (დამშრობი სისტემა გაიწმინდა ნატანისაგან, ხე-ბუჩქნარისა და ეკალ-ბარდისაგან);

სენაკის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ცივა-ტეხურას მდინარეთაშორის მასივზე ახალსოფლის დამშრობი სისტემის (ნაწილი) სარეაბილიტაციო სამუშაოები (დამშრობი სისტემა გაიწმინდა ნატანისაგან, ხე-ბუჩქნარისა და

ეკალ-ბარდისაგან, აგრეთვე შესრულდა დაზიანებული მილხიდების დემონტაჟი და ახლის მონტაჟი);

ხოზის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფელ I მაისის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია (კოლექტორებისა და მილხიდების წმენდა ნატანისაგან);
- ✓ ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფელ ხამისკურის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია (დამშრობი სისტემა გაიწმინდა ნატანისაგან, ხე-ბუჩქნარისა და ეკალ-ბარდისაგან);

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი:

- ✓ მდინარე ფიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების(წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია კვ49+50 დან კვ 166+20-მდე II რიგი (გაიწმინდა მდინარის ბერმა ხე-ბუჩქნარისაგან, აგრეთვე გაიწმინდა კალაპოტი და ფერდები დანალექი გრუნტისაგან, მოეწყო 2 ცალი ახალი ხიდი);
- ✓ რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორის მასივზე, ნიგოეთის თემის სოფელ ჭყონაგორასა და სოფელ ნიგოეთის დამშრობი მასივის სარეაბილიტაციო (IV ეტაპი სახიდე გადასასვლელის მოწყობა) სამუშაოები (მოეწყო 1 ცალი სახიდე გადასასვლელი);

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი:

- ✓ რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორისო მასივზე სოფ. ნატანების დამშრობი სისტემის (სისტემის გარეთ დამშრობი მასივი) რეაბილიტაცია (I რიგი) (სისტემის წმენდა ნატანისაგან, მოსწორდა და გასუფთავდა ბერმა ხე-ბუჩქნარისაგან, აგრეთვე მოეწყო მილხიდები);

ქობულეთის მუნიციპალიტეტი:

- ✓ ქობულეთის დამშრობი სისტემის საუბნო სახლის გარე კომუნიკაციების მოწყობა (წყალმომარაგება, ელმომარაგება, გაზმომარაგება და სხვა) (საუბნო სახლის წყლით, ელექტრო ენერჯითა და გაზით უზრუნველყოფა).

• 2017 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ ობექტებზე:

- ✓ კასპის მუნიციპალიტეტში სოფლების ხანდაკის, სასირეთის და მეტეხის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის, სატუმბი სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ კასპის მუნიციპალიტეტში სოფლების ნიჩბისისა და ხანდაკის მექანიკური აწევის სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაციის (II ეტაპი) სამუშაოები;
- ✓ ტაშისკარის სარწყავი სისტემის გომი-აგარის მონაკვეთზე განშტოება 1-4 გამანაწილებლის მონაკვეთის (კვ102+13 დან კვ135+53-მდე) აღდგენა-რეაბილიტაციის (II რიგი) სამუშაოები;
- ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში ხრამ-არხის სარწყავი სისტემის დაზიანებული მაგისტრალური არხის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის აღდგენა-რეაბილიტაციის (II რიგი) სამუშაოები.
- ✓ გარდაბნის სარწყავი სისტემის გ-14 გამანაწილებლის სარეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ - 1 - გ - 8 გამანაწილებლების სარეაბილიტაციის სამუშაოები;

- ✓ სამთაწყარო - ფიროსმანის მაგისტრალური არხის და მასზე არსებული დაზიანებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ მამწვარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციის სამუშაოები (სამცხე ჯავახეთი);
- ✓ ყაურმა-მამწვარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია(სამცხე ჯავახეთი);
- ✓ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხისა და ტობანიერის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხების, I რიგის გამანაწილებლების, დამშრობი ღია სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელის და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთებზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები და მაგისტრალური არხის სწრაფმდენზე ჩამქრობი ჭის მოწყობა (II ეტაპი)
- ✓ ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის (წილკანის მონაკვეთი) ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები (500 მ)
- ✓ სოფელ სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგება;
- ✓ ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხიდან, სოფელ ძველი ანაგის სატუმბი სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობა;
- ✓ სოფელ ხუნწაში მარტილის მაგისტრალური კოლექტორის რეაბილიტაცია ( I ეტაპი);
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის პირველი რიგის გ-2 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ მდინარე ფიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების(წყალმიღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია პკ103+50-პკ166+20 l=6270მ (ბოლო მონაკვეთი) III ეტაპი;
- ✓ რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორის მასივზე, რიონის მარცხენა სანაპირო მასივზე, ნიგოეთის თემის სოელების ჭყონაგორის და ნიგოეთის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I, II და III ეტაპი);
- ✓ მერეკრძელა-კაპროვანის (შეკვეთილის) მასივის დამშრობის სისტემის მაგისტრალური წყალგამყვანი არხების და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ ანჯელის მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ კეთილარში (II რიგი);
- ✓ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სოფელ ვარდისუბნის N70 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფლების ციხე-სულორის და ამაღლების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;
- ✓ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სოფელ ოჟიოს N38 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან (პკ319+00) გამომავალი ვეჯინის ("წიწილა") გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ნატანები-ჩოლოქის მდინარეთაშორის მასივზე მიწათმოსარგებლეთა შიდასამეურნეო კვლების ორნატების გაწმენდის და დაზიანებული მილხიდების აღდგენის ღონისძიებები;
- ✓ „ზემო არხზე“ სოფელ სავანეთის I და II რიგის განანაწილებლების რეაბილიტაცია;
- ✓ ურბნისის სატუმბი სადგურის სარწყავი ქსელის მოდერნიზაცია-რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ ლაგოდების სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის რეაბილიტაცია პკ0+00-დან პკ5+15-მდე;
- ✓ „ანჯელის“ მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ კეთილარში (III რიგი);
- ✓ ერწოს მასივის დამშრობის სისტემის მდ.აძიძის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები ნატანი გრუნტისაგან (III და IV ეტაპი ) პკ 60+00-დან პკ 78+10-მდე;

- ✓ ხვითის სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის სამუშაოები;
  - ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარდაბნის სარწყავი სისტემის გ-9 ქვემო გამანაწილებლის კვ. 3+68-დან 15+25-მდე მონაკვეთის ნაწილობრივი რეაბილიტაცია;
  - ✓ დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისი განთიადის სარწყავი სისტემის გამხოლოების და შიდა ქსელის მოწესრიგების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში, აღმაშენებლის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია (I ეტაპი);
  - ✓ კაზრეთის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ხე-ბუჩქნარისგან და ლამისგან გაწმენდა, არხის აღდგენა-რეაბილიტაცია (I ეტაპი);
  - ✓ დოესის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;
  - ✓ იაკუბლოს წყალსაცავის კაშხლის კონსტრუქციული მდგრადობის და ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები;
  - ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია მდინარე ალაზანსა და ქვემო ალაზნის მაგისტრალურ არხს შორის ტერიტორიაზე III რიგი;
  - ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის (კვ396+21- კვ 910+20) დანალექისა და მცენარეულობისაგან გაწმენდა, მაგისტრალურ არხში წყლის საპროექტო ხარჯის წყლის ხარჯის გატარების უზრუნველსაყოფად;
  - ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში, აღმაშენებლის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია;
  - ✓ კაზრეთის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ხე-ბუჩქნარისგან და ლამისგან გაწმენდა, არხის აღდგენა-რეაბილიტაცია (II ეტაპი);
- სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შეძენა (კერძოდ: ტუმბო აგრეგატები და მისი მაკომპლექტებული ნაწილები, ენერგო მონიტორინგის სისტემა, საწვავის მობილური ავზები, ელექტრო ტელფერი, წყლის ტუმბო, ძრავა, ელექტრონული ჰიდრომეტრიული ხელსაწყო ობიექტზე მონტაჟით, მზომი ხელსაწყოები, საწვავის კონტროლის სპეციალური კომპლექტი (მონტაჟით), ცელი და მისი მაკომპლექტებული ნაწილები, საწვავზე მომუშავე შედუღების აპარატი, დამტვირთველი ექსკავატორი, ავტო ამწე, ტრაქტორის საწვეარა, ჩანგლიანი დამტვირთველი და სხვა) სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველსაყოფად.
  - შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებებისათვის, მექანიკური სატუმბი სადგურების და სხვა ჰოდროკვანძების ფუნქციონირებისათვის მოსახმარი ელექტროენერჯის ხარჯების, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების და კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

10.2.2 სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 37 07 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირების მიზნით მოსახმარი ელექტროენერჯის ხარჯების, სამელიორაციო დანიშნულების



ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების უზრუნველყოფა.

### 10.2.3 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (პროგრამული კოდი 37 07 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები: ზედა რუს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, „არაშენდას“ შტოს და პირველი რიგის გამანაწილებელ არხებზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა და რეაბილიტაცია ქარელის მუნიციპალიტეტში; ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის და სათავე ნაგებობის ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში; ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის ალგეთის წყალსაცავის კაშხლის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მონიტორინგის სისტემის აღდგენა, მაგისტრალური არხის, „ხაიშის“ და „მარაბდის“ მასივებზე წყალგამყვანი მილსადენების რეაბილიტაცია;
- განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება ალგეთის და სიონის კაშხლების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით.;
- შემუშავდა და დამტკიცდა ირიგაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რაც საქართველოს მელიორაციის ინსტიტუციონალური გაძლიერების ერთერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტია.

### 10.2.4 სოფლის მეურნეობის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD) (პროგრამული კოდი 37 07 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ძვერა-შერთულას საირიგაციო სისტემის შიდა ქსელების რეაბილიტაცია (ლოტი 3ა) დასრულებულდა, მიმდინარეობდა ამავე სისტემის შიდა ქსელების რეაბილიტაცია (ლოტი 3ბ) და ტირიფონის სარწყავი სისტემის გ-3 გამანაწილებელი არხის რეაბილიტაცია. ასევე მიმდინარეობდა გორის მუნიციპალიტეტში ტირიფონის სარწყავი სისტემის გამანაწილებელის არხის რეაბილიტაცია;
- დასრულდა სენაკისა (სოფლების: ძველი სენაკი, ბეთლემი და უშაფათი) და მარტვილის (სოფლების ნაგვაზაო, აბედათი, ჯოლევი) მუნიციპალიტეტებში სოფლის გზებისა და ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია; პროექტის ფარგლებში მოეწყო ხეხილის, ბოსტნეულის და კენკროვანი კულტურების სადემონტრაციო ნაკვეთები კახეთის, შიდა ქართლის, კახეთის, აჭარის და სამეგრელოს რეგიონებში. თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩატარდათ ფერმერებს.
- გაცემულია მცირე და დიდი გრანტები, კერძოდ: 108 პირველადი წარმოებისათვის და 4 გადამამუშავებელი საწარმოსთვის;
- მომზადდა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის საქტორისთვის.

### 10.2.5 ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO) (პროგრამული კოდი 37 07 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ლილო მარტყოფის არხის, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვედა მაგისტრალური არხის მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების, ზედა მაგისტრალური არხის, მეორე და მესამე რიგის გამანაწილებლების და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის აღდგენა- რეაბილიტაცია;
- პროექტის პირველი ფაზა - პროექტირების და კვლევების დაფინანსება მხარეების 50%-იანი თანამონაწილეობით.
- პროექტის მეორე ფაზა - ინფრასტრუქტურული სამუშაოები, საერთო ბიუჯეტის 35%-ის დაფინანსდება გრანტით, ხანგრძლივობა 5 წელი.

### 10.3 „მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“

- გაიმართა ქართული ღვინოპროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქართულმა ღვინის კომპანიამ. ჩატარდა მედია ტურები, ქართული ღვინის დღეები, სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები.
- განხორციელდა ლაბორატორიული კვლევები ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად.
- განხორციელდა საკადასტრო აქტივობები ახმეტის მუნიციპალიტეტში, მევენახეთა შესახებ ალფანუმერული (საანკეტო) ინფორმაციის შეკრება და მათი აღრიცხვა საპასპორტო, საკონტაქტო და ვენახების საკუთრებითი დოკუმენტების მიხედვით, ვენახების ფართობების და სხვა ატრიბუტების (ჯიშები, საძირეები, რწყვის არსებობა, ვენახების აგრონომიული მდგომარეობა და ა.შ.) აღრიცხვა;
- რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში გადამუშავდა 63,4 ათასი ტონა რქაწითელი, 54 ათასი ტონა საფერავი, 3,6 ათასი ტონა კახური მწვანე, და სხვადასხვა ჯიშის ყურძენი. რთველის პროცესში ჩართული იყო 230 კომპანია. ყურძენი კომპანიებს 15 ათასმა მევენახემ ჩააბარა. ყურძენის ფასის დადგენა მოხდა ხარისხისა და წარმომავლობის მიხედვით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე (რქაწითელის საშუალო ფასი 75-85 თეთრი, საფერავის საშუალო ფასი - 1.50-1.70 ლარი). ყურძენი თითქმის სრულად აითვისა კერძო სექტორმა.
- გამოქვეყნდა 2 პუბლიკაცია, მოლექულური მარკერებით შესწავლილი გენოტიპების რაოდენობა შეადგენს 70. შესრულებულ იქნა ლაბორატორიული მეთოდებით არქეოლოგიური მასალის (10 ერთეული) შემოწმება ღვინის ნაშთების არსებობაზე, რაც დაედო საფუძვლად მსოფლიოს უძველესი მეღვინეობის ნაშთების აღმოჩენას, რომელიც განისაზღვრა 8.000 წლით.

### 10.4 „სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედობა“ (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;

✓ სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“.

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
- ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების განხორციელება და ლაბორატორიული კვლევა;
- ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
- საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;
- პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;
- სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა.

#### 10.5. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;
- აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;
- სამინისტროს მიერ მონაწილეობა იქნა მიღებული: ქ. ბერლინში გამართულ სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეზღვეობის საერთაშორისო გამოფენაზე „მწვანე კვირული“, ქ. დუბაიში გამართულ აგრო სექტორის საერთაშორისო გამოფენაზე „GulFood 2017“, ქ. ბაქოში აგროსამრეწველო სექტორის მე-11 საერთაშორისო გამოფენაზე „Caspian Agro 2017“, ქ. მინსკში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე - „ბელაგრო 2017“, ქ. რიგაში გაიმართულ საერთაშორისო გამოფენაზე „Riga Food 2017“.

#### 10.5.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 37 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- შესაბამისი ღონისძიებები ჩატარდა აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის და შესაბამისი პროგრამების შემუშავების მიზნით, ასევე სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების სტრატეგიისა და დარგობრივი სამოქმედო გეგმის თაობაზე;

- მიმდინარეობდა მელიორაციის სფეროს განვითარების, მიწის რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის კონსერვაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;
- მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;
- მიმდინარეობდა განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საწევრო გადასახადის გადახდა.

#### 10.5.2 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (პროგრამული კოდი 37 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- შესაბამისი ღონისძიებები ჩატარდა რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობდა სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის გაცემულ იქნა დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციები, ორგანიზებულ და ჩატარებულ იქნა შესაბამისი ტრენინგები და სწავლებები;

#### 10.5.3 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.
- ქ. ბერლინში გაიმართა სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის საერთაშორისო გამოფენა „მწვანე კვირეული“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვიდმეტი ქართული კომპანიის პროდუქცია. სამინისტროს მხარდაჭერით წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო, დამზადდა ქართული ტრადიციული კერძები (ხაჭაპური, ხინკალი, ლობიანი, ჭვიშტარი, ფხალი);
- სამინისტრომ პირველად მიიღო მონაწილეობა ქ. დუბაიში გამართულ აგრო სექტორის საერთაშორისო გამოფენაზე „GulFood 2017“. საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო ცამეტი ქართული კომპანიის პროდუქცია.
- ქ. სტამბოლში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრების მეორე შეხვედრის ფარგლებში გაიმართა თურქეთის სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებული გამოფენა. აღნიშნულ ღონისძიებაზე მოხდა ქართული აგრო სასურსათო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო თერთმეტი ქართული კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია.
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაიმართა აგროსამრეწველო სექტორის მე-11 საერთაშორისო გამოფენა „Caspian Agro 2017“. სამინისტროს ორგანიზებით, ქართულ სტენდზე თერთმეტი ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი. გამოფენა „Caspian Agro“ რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია, სადაც წარმოდგენილა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი, ისე მსხვილი სადისტრიბუციო კომპანიები. გამოფენის ფარგლებში ჩატარდა

ექსპერტებთან შეხვედრები, დანადგარებისა და აღჭურვილობების საჩვენებელი გამოცდა და ინოვაციური ტენდენციების პრეზენტაციები;

- ქ. მინსკში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „ბელაგრო 2017“. წარმოდგენილი იყო რვა ქართული კომპანია;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, წარმოდგენილი იყო სახელმწიფო პროექტების ფარგლებში დაფინანსებული აგრარული მიმართულების საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცია: სხვადასხვა სახის თაფლი და თაფლის პროდუქტები, ღვინისა და ყველის ნაირსახეობა, ჩაი, ჩურჩხელა, ბადაგი, თხილი, დეკას ჩაი, სუბლიმირებული ხილი, ხილის ჩირი, მოცვი, სხვადასხვა სახის კომპოტი და წვენი, ჯემებისა და მურაბების ნაირსახეობა;
- ქ. რიგაში გაიმართა საერთაშორისო გამოფენა „Riga Food 2017“, სადაც სამინისტრომ მეორედ მიიღო მონაწილეობა. გამოფენის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია ლატვიის რესპუბლიკაში. გამოფენაზე მოეწყო ქართული კუთხე და წარმოდგენილ იქნა თოთხმეტი ქართული კომპანიის სხვადასხვა სახის პროდუქცია.
- ქ. თბილისში ვარდების მოედანზე ყველის ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე კომპანიამ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ტრადიციული, უძველესი რეცეპტებით დამზადებული ქართული ყველის სახეობები. ასევე, საქართველოში წარმოებული ევროპული, ბრენდირებული ყველის ანალოგები. ღონისძიების ფარგლებში, ყველის ოსტატებმა დამთვალიერებელს ყველის ამოყვანის მეთოდები, გააცნეს. ღონისძიების ფარგლებში, საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს ქართული ღვინისა და თაფლის მწარმოებელმა კომპანიებმაც.

#### 10.6 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება“ (პროგრამული კოდი 37 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

- შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით შეივსო სანაშენე ბირთვები ახალი ინდივიდებით, მიმდინარეობდა კვლევითი სამუშაოები;
- განხორციელდა კვლევითი სამუშაოები მრავალწლოვანი კულტურების მიმართულებით;
- დაირგო ხეხილის სხვადასხვა ჯიშის 5 000 საძირე და საკვირტე კალამი, ნარგაობები გამდიდრდა ახალი ჯიშებით. განისაზღვრა ჯიშ-საძირის საუკეთესო კომბინაციები;
- განხორციელდა ფენოლოგიური და ამპელოგრაფიული დაკვირვებები ვაზის ადგილობრივი უნიკალური საღვინე და სასუფრე მიმართულების ჯიშებზე;
- მიმდინარეობდა კვლევები ერთწლოვანი კულტურების მიმართულებით, ჩატარდა ჩითილების მცნობა.
- განხორციელდა ერთწლოვანი კულტურების ბიომეტრიული გამოკვლევები, ჩატარდა ფენოლოგიური დაკვირვებები, შეფასებულ იქნა მოსავალი;
- აგროსაინჟინრო კვლევის ფარგლებში იცდებოდა ჩაის სასხლავი მანქანა, შემუშავდა მრავალფუნქციური შესაძლებლობის აგრეგატი;
- თესლისა და სარგავი მასალების სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბების ფარგლებში შემოწმდა 44 სანერგე მეურნეობა;
- ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლის მიზნით აღებული და შესწავლილი იქნა ნიადაგის ნიმუშები;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევის ფარგლებში მიღებულია 100-ზე მეტი ჯიშის ყურძნისაგან ღვინის საკვლევი ნიმუშები. დამზადებულია სიდრისა და ვაშლის ძმრის ნიმუშები;

- მოძიებულ იქნა სასმელი წყლის, ანტიბიოტიკების ნარჩენების, სურსათში მძიმე მეტალების მონიტორინგის მასალები რისკის შეფასებისთვის.

## 10.7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 37 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

- მეფუტკრე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფა (ფუტკრის სკები, საწურები და სხვა);
- რძის მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე რძის საწარმოსთვის საჭირო თანამედროვე აღჭურვილობის გადაცემა;
- მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობების გადაცემა;
- კოოპერატივებში ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ჩართულობის სტიმულირება;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;
- კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა გაყიდვების მოწყობა.

## 11. სასამართლო სისტემა

### 11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00 –10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი;
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლო.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა 64 მოსამართლე, მათ შორის 25 მოქმედი მოსამართლე, 6 იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, 5 ყოფილი უზენაესი/საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე და 28 ყოფილი მოსამართლე;
- საბჭოს მიერ შეფასდა 141 გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე, აქედან 43 მოსამართლე გამწესდა უვადოდ;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სიტემის მეშვეობით გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც არეგულირებს საქმეთა განაწილების პრინციპს, სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას საქმის გადანაწილების პროცესში, მოსამართლეთა თანაბარ დატვირთულობას და სხვა საკითხებს. აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნა ელექტრონული

განაწილების პროგრამა, რომელიც გაეშვა სატესტო რეჟიმში რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო საანგარიშო წლის ბოლოს აღმნიშნული პროგრამა დაინერგა ყველა სასამართლოში;

- დასრულდა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, რუსთავის, ფოთისა და ბათუმის საქალაქო, ოზურგეთისა და ზესტაფონის რაიონული, ქობულეთის, ხონის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მაგისტრატი სასამართლოების და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარემონტო სამუშაოები;
- ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გასამართი პროცესების ჩატარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, განხორციელდა თელავის რაიონული სასამართლოს დამატებითი ფლიგელის მიშენების სამუშაოები;
- დასრულდა ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს სამშენებლო სამუშაოები;
- დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ჩატარდა წალკის, ონისა და ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს შენობის გაზიფიკაციის სამუშაოები;
- განხორციელდა ქსელური მოწყობილობების, სასერვერო და შემნახველი სისტემების შექმნა/მონტაჟი. დამატებით 7 სასამართლო შენობაში დამონტაჟდა შენობის დაცვის სიგნალიზაციის მოწყობილობები;
- საერთო სასამართლოების არქივისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივის შენობებში დამონტაჟდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები;

## 12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

### 12.1 დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

- განხორციელდა GPS მოწყობილობების დაყენება სააგენტოს კუთვნილ 92 ავტომანქანაზე;
- წყლის დონის კონტროლისათვის შექმნილ იქნა შესაბამისი სპეციფიური საზომი ხელსაწყო, რომელიც დამონტაჟებულ იქნა სოფელ ინჩხურში, მდინარე აბაშაზე;
- დასრულდა პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლისა და სათაფლიას აღკვეთილის ტერიტორიაზე ვიდეოსამეთვალყურეო, საგანგაშო, სასიგნალიზაციო და სხვა ელექტრო სამუშაოები. დასრულდა 254 პრომეთეს მღვიმის სანაოსნო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პრომეთეს მღვიმისთვის შესყიდულ იქნა 4 ერთეული ალუმინის ნავი;
- განხორციელდა სათაფლიის შუშის გადასახედის და მასთან მისასვლელი ბილიკის რეაბილიტაცია, აღდგა დიდთოვლობის გამო დაზიანებული პრომეთეს მღვიმის გამოსასვლელი, შეკეთდა მარტვილის გადასახედის მოაჯირი;
- კოლხეთის ეროვნული პარკის ჭურთხის უბანზე მოეწყო ჭაბურღილი;
- აღდგენილ იქნა ოკაცეს დაზიანებული კიდული ბილიკი და ქვებისაგან გაწმენდილი იქნა კლდოვანი ტერიტორია;
- განხორციელდა კინჩხას ჩანჩქერის ბუნების ძეგლის, ნავენახევის და საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლების ვიზიტორთა ცენტრისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები;
- აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციაში განხორციელდა იმერული მუხის აღდგენის სამუშაოები და ხვნა-თესვის სამუშაოები 10 ჰა-ზე;
- ჩატარდა ნემვის აღკვეთილის ინვენტარიზაცია და შემუშავდა კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის, აჯამეთის აღკვეთილის, მაჭახელას ეროვნული პარკის და ნემვის აღკვეთილის ტყის მართვის გეგმები;

- 9 ტერიტორიული ადმინისტრაციისათვის დამზადდა 16 კომპლექტი სახანძრო სტენდი შესაბამისი აღჭურვილობით;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ფერომონების საშუალებით განხორციელდა მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები.
- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში;
- დამზადდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქცია (საგამოფენო სტენდები, 360 გრადუსიანი პანორამული ვიდეო რგოლები, საინფორმაციო-სარეკლამო ბანერები, ლიფლეტები, ბუკლეტები, ინსტალაციები/პრომეთეს მღვიმე და სხვა);
- შესყიდულ იქნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტული რუკები, განახლდა სარეკლამო ბილბორდები იმერეთში, ყაზბეგსა და წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- გასულ წელთან შედარებით დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 30 %-ით და შეადგინა დაახლოებით 954.4 ათასი ვიზიტორი;
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისათვის შესყიდულ იქნა პიკაპის ტიპის ავტომანქანა, ხოლო კინტრიში-ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა აღიჭურვა ავეჯითა და ინვენტარით;
- მიმდინარეობდა ხარაგაულის ადმინისტრაციის ოფისის და ვიზიტორთა ცენტრის სარემონტო სამუშაოები, მარელისის სასტუმროს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ლაგოდეხის ადმინისტრაციის მიმდებარედ ავტოსადგომის, განათების სისტემისა და სამეთვალყურეო სისტემის მოწყობის სამუშაოები, თუშეთში ადმინისტრაციული შენობის სველი წერტილების რეაბილიტაცია-მშენებლობა, მტირალას ეროვნული პარკში ტურისტული თავშესაფრის რეაბილიტაცია, კაცობურის ტურისტული თავშესაფრის მშენებლობა, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის და კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ალგეთის და ყაზბეგის ეროვნული პარკების ადმინისტრაციული შენობების და ვიზიტორთა ცენტრების მშენებლობა;
- მუდმივად წარმოებდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი 20 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მიერ, სპეციალური წლიური გეგმების მიხედვით;
- მომზადდა ტექნიკური დავალება, შეირჩა საერთაშორისო ექსპერტი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და საკონსერვაციო ღონისძიებების კომპონენტის დაწყებისათვის, ჩატარდა საველე სამუშაოები დაცულ ტერიტორიებზე.
- ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის, კინტრიშის და ალგეთის დაცული ტერიტორიების შემუშავდა ტურიზმის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.
- დასრულდა ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დემარკაცია;
- გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდა ალგეთის ეროვნული პარკის, ყაზბეგის ეროვნული პარკის, კინტრიშის დაცული ტერიტორიების და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციების თანამშრომლების გაცნობითი ვიზიტი მარტვილისა და ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლებზე;
- გრძელდებოდა მონაცემთა ბაზის Triple I-ის შემუშავება;
- შემუშავდა სარეკომენდაციო დოკუმენტი „დაცული ტერიტორიების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესების ოპტიმიზაცია, დაცული ტერიტორიების ქონების მართვის გაუმჯობესება და მიღებული შემოსავლების ეფექტურად გადანაწილება“;
- განხორციელდა მყისიერი დაწყების მექანიზმების (QSM) მეორე ეტაპი ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისთვის (შატილის სახლების გადახურვა);
- დაიწყო ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის (FPA) კომპონენტის მესამე ციკლის ღონისძიებებისა და ინდივიდუალური საპროექტო წინადადებების (IPP) კომპონენტის განხორციელება სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემებში.



## 12.2 სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

- მიმდინარეობდა სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;
- მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა-განვითარებისათვის მიმდინარეობდა მერქნული რესურსის აუქციონის წესით რეალიზაციის მოდულის შემუშავება, სისტემის ადმინისტრირება, მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევა;
- გრძელდებოდა მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთში; ბზის კორომების გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით განხორციელდა შეწამვლის სამი ეტაპი მავნებლის - „ბზის ალურას“ განადგურების მიზნით გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში; განხორციელდა ტყის დროებითი სანერგეების მოწყობისა და მოვლის სამუშაოები. განხორციელდა 26 ტყის აღდგენის პროექტი (მათ შორის 9 ახალი, ხოლო 17 მიმდინარე) სამცხე-ჯავახეთში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში.
- ტყითსარგებლობის მიმართულებით განისაზღვრა სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის მასივებში მოსაწყობი (ახალი გზა) და სარეაბილიტაციო სატყეო-სამეურნეო გზების სავარაუდო მონაცემები, მომზადდა პროექტები 107.6 კმ-ზე; განხორციელდა სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია 73.3 კმ-ზე;
- შეძენილ იქნა 3 ერთეული მერქნული რესურსის გადასაზიდი სპეციალური მძიმე ტექნიკა (6x6).
- დამზადდა ხე-ტყე სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და იმერეთის რეგიონებში. სულ სპეციალური ჭრის (მ.შ. სანიტარული ჭრის) ფარგლებში დამზადდა 51.1 ათასი კმ მერქნული რესურსი, საიდანაც რეალიზებულ იქნა 22.5 ათასი კმ მერქნული რესურსი; პირდაპირი მიყიდვის წესით საჯარო სკოლებისათვის გადაცემული იქნა 17.9 ათასი კმ საშემე მერქნული რესურსი; სკოლებს პირდაპირი მიყიდვის წესით სააგენტოს მიერ გადაეცათ დასაწყობებული 9.8 ათასი კმ მერქნული რესურსი. ჯამში, 983 სკოლისათვის მიწოდებულია 27.7 ათასი კმ მერქნული რესურსი.
- მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია ტყეკაფები 480 944.62 კმ<sup>2</sup> ოდენობით. (მ. შ. I ხარისხის 29 114.62 კმ<sup>2</sup>, ხოლო II ხარისხის 451 830.00 კმ<sup>2</sup> მერქანი).
- ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემულია 474 548.22 კმ<sup>2</sup> ხე-ტყე (მ. შ. I ხარისხი 42 683.75 კმ<sup>2</sup>, II ხარისხი - 431 864.47 კმ<sup>2</sup>).
- სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭა 82 სუბიექტს;
- გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით, გამოიცა სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანება 2 265 კმ<sup>2</sup> I ხარისხის ხე-ტყის გაცემის შესახებ;
- მოსახლეობის, საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის გამოიყო 29 163 კმ<sup>2</sup> I ხარისხის და 22 466.5 კმ<sup>2</sup> II ხარისხის ხე-ტყე;
- საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ თაფლ-საჩინოს გადაეცა 200 კმ<sup>2</sup> I ხარისხის ხე-ტყე; ბორჯომის მუნიციპალიტეტს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით, გადაეცა სანიტარული ჭრის შედეგად მიღებული და დასაწყობებული 588.25 კმ<sup>2</sup> II ხარისხის ხე-ტყე; შ.პ.ს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს“ გადაეცა 150 კმ<sup>2</sup> II ხარისხის ხე-ტყე;

- გრძელვადიანი დანიშნულებით ტყითსარგებლობასთან დაკავშირებით განხილულ იქნა 130 განცხადება, ხელშეკრულება გაფორმდა 1 ერთეულ მიწის ნაკვეთზე;
- ტყის აღრიცხვის მიმართულებით დაზუსტდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სატყეო უბნების ფართობები და საზღვრები. განხორციელდა მერქნული რესურსის მარაგების დადგენა-დაზუსტება, მოინიშნა სპეციალური ჭრის ტყეკაფები;
- სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია:
  - ✓ 18 176 111 კვმ ფართობზე - სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის;
  - ✓ 891.6 ჰა ფართობზე - სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობისთვის;
  - ✓ 598.83 ჰა - ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღით სარგებლობის განხორციელებისთვის;
  - ✓ 112 411 ჰა - სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით;
  - ✓ 609.9 ჰა - ტყის ფონდიდან ამოსარიცხ ფართობზე.
- დაიგეგმა ინვენტარიზაციის სამუშაოები გურიის რეგიონში (ლანჩხუთი, ოზურგეთი) 33.3 ათას ჰა-ზე და ზესტაფონში 14.0 ათას ჰა-ზე; შესრულდა პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები.
- მომზადდა ტექნიკური დავალება რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ლენტეხის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდის 76 386 ჰა ინვენტარიზაციის მიზნით.
- სპეციალური ჭრის შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემის მიზნით გამოცხადდა 413 ელექტრონული აუქციონი საიდანაც შედგა 263. აუქციონის (18 469.274 კმ) საბოლოო ფასმა შეადგინა 4.2 მლნ ლარი.
- გამოვლენილ იქნა 3 482 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 2 596, სისხლის სამართლის - 231 ფაქტი, ხოლო 655 ფაქტზე დაიწერა საველე აქტი და გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 24.7 ათასი კმ, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ 3.5 მლნ ლარამდე;
- ტერიტორიული სატყეო სამსახურების მიერ დაიხურა 187 ტყეკაფი, ხოლო 2 წლის ვადის გასვლის გამო გაუქმდა 1 921 ტყეკაფი;
- შედგენილი და დამტკიცებული იქნა თელავი-ახმეტის სატყეო უბნის მადრაანის სატყეოში აკაციის პლანტაციის გაშენების პროექტი 20.0 ჰა ფართობზე.
- ტყის ეროვნული აღრიცხვის ეფექტიანი განხორციელების, ტყის მართვის დონის აღრიცხვის გაუმჯობესებულ განხორციელებასა და ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის დანერგვის მიზნით, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და შპს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის, პროგრამის - „ინტეგრირებული ბიომრავალფეროვნების მართვა“ სამხრეთ კავკასიის ფარგლებში.
- სატყეო სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის საკითხი ცალკე ღონისძიებად იქნა გამოყოფილი „2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში“ და მოიცავდა ტყესთან დაკავშირებულ ქმედებებს. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის“ მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, 2015-2017 წლებში მომზადდა პერიოდული და ასევე, წლიური ანგარიშები, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები.

### 12.3 გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- დეპარტამენტის ინიციატივით მომზადდა ცვლილებები სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში;
- დამტკიცდა რეგულირების ობიექტების 2017 წლის შემოწმებათა გეგმა, რომლის მიხედვით 2017 წელს დაიგეგმა 138 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების განხორციელება. საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 124 რეგულირების ობიექტი. სულ 2017 წელს განხორციელდა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 2 851 ინსპექტირება (გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა);
- განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 160 გემის ინსპექტირება ნარჩენების (მ.შ. იზოლირებული ბალასტური წყლების) აღრიცხვისა და უტილიზაციის, გამწმენდი დანადგარების მუშაობისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვის შემოწმების მიზნით;
- გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 11 663 ფაქტი, მ.შ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 11 133 ფაქტი, სისხლის სამართლის - 530 ფაქტი. სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 4.9 ლარზე მეტი, ხოლო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 9.0 მლნ ლარი;
- დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ შემოვიდა 11.0 ათასამდე ზარი, მათ შორის, 8.0 ათასი ინფორმაციული ხასიათის ზარი და 2.9 ათასი შეტყობინება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც მოხდა რეაგირება და კანონმდებლობით დადგენილი ზომების გატარება;
- მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონულ ჟურნალში) დაინერგა ახალი მოდულები „პროდუქტი“ და „ნარჩენი“, რომელთა მეშვეობით, სახერხი საამქროს ოპერატორები ონლაინ რეჟიმში (emoe.gov.ge) მრგვალი ხე-ტყის (მორების) მიღება-გადამამუშავების აღრიცხვის გარდა, ასევე განახორციელებენ გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტისა და ნარჩენის აღრიცხვა-გატანის პროცედურებს. საქართველოს ყველა რეგიონში საამქროების მფლობელებისა და ოპერატორებისთვის გაიმართა შეხვედრები და სასწავლო სემინარები;
- შემუშავდა და დაინერგა თევზჭერის მართვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიების ფარგლებში მოქმედი თევზსაჭერი მცურავი საშუალებები აღიჭურვა ელექტრონული მონიტორინგის სისტემებით; საქართველოს ყველა რეგიონში საამქროების მფლობელებისა და ოპერატორებისთვის გაიმართა შეხვედრები და სასწავლო სემინარები; შემუშავდა და ამოქმედდა ელექტრონული სისტემა - „ელექტრონული სარეწაო ჟურნალი“, რომლის მეშვეობით თევზჭერის ლიცენზიის მფლობელები უზრუნველყოფენ სარეწაო თევზჭერის აღრიცხვას ონლაინ-რეჟიმში;
- ქ. თბილისსა და რეგიონებში არსებული 23 ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებიდან განხორციელდა ნავთობპროდუქტების სათანადო სინჯების აღება/შემოწმება შერჩევითი წესით. კვლევის შედეგების შესაბამისად, ბენზინისა და დიზელის ყველა ნიმუშში გოგირდისა და ტყვიის შემცველობა, ასევე ოქტანური და ცეტანური რიცხვების მაჩვენებლები აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;
- დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დონორთა დახმარებით ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა თემებზე: „ქიმიური ნივთიერებებითა და ნარევებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის კოდექსი“, „ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობის შესახებ - „გამოვლენისა და კონფისკაციის შესაძლებლობების გაზრდა“, „GPS-ხელსაწყოების ეფექტურად გამოყენების სავლე და კამერალური სწავლება“, „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება“, „მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი საამქროების ელექტრონული სისტემის მართვა - პროდუქტის მოდულის დანერგვის საკითხები“, „სუბრეგიონალური სემინარი - სამრეწველო ავარიების პრევენციის საკითხები“, ქიმიური ინციდენტების რისკები, „ნიადაგის ხარისხის ნორმებთან დაკავშირებული მონაცემების

წარმოება/ინტერპრეტაცია“, „ზუთხისებრთა კონსერვაცია საქართველოში“ - სწავლება გაიარა 300 თანამშრომელმა;

- ბრაკონიერობის ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, მდინარეების კალაპოტებსა და ტყის მასივებში, მათთან მისასვლელ გზებსა და სხვა „ცხელ წერტილებში“ დამონტაჟდა 117 ფოტო-ვიდეო ხაფანგი;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარის მიმდებარე ტერიტორიაზე (ე.წ. ხოკოს უბანი) ხე-ტყის და სოციალური ხე-ტყიდან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის ტრანსპორტირების კონტროლის მიზნით, შეძენილ იქნა, აღიჭურვა და კამერებით მოეწყო საგუშაგო საოფისე კონტეინერი;
- დასრულდა დეპარტამენტის ტერიტორიული სამმართველოების საოფისე და ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა და კეთილმოწყობა ქ. ამბროლაურში, ქ. ახალციხესა და ქ. ბათუმში.

12.4 გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მიზნით, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, ევროპელი და ქართველი ექსპერტების მიერ შემუშავდა 2017-2021 წწ. გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის (NEAP-3) პროექტი;
- მიღებულ იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც სრულიად შეესაბამება როგორც ევროკავშირის დირექტივებს, ასევე ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციას (ესპოს კონვენცია), მის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმს და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციას (ორჰუსის კონვენცია);
- სამრეწველო გაფრქვევებისა და სამრეწველო დაბინძურების მიმართულებით ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მიზნით დაიწყო ევროკავშირის Twinning-ის პროექტი „ინდუსტრიული დაბინძურებისა და ინდუსტრიული საფრთხეების შესახებ ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დანერგვისა და განხორციელებისათვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება“;
- საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის, საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მიზნით შემუშავდა გეგმები, დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა;
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის, ასოცირების შესახებ შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის ვალდებულებების შესაბამისად, მომზადდა და საკოორდინაციო კომიტეტის მიერ მოწონებულ იქნა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის ქართულენოვანი საბოლოო ვერსია;
- დადგინდა ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული ნორმები, დაინერგა სტაციონარული წყაროების და მათი გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა. ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენციის და ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის ვალდებულებების შესაბამისად, ქვეყანაში ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარება შემცირებულია საბაზისო დონესთან მიმართებაში 20%-ით.
- მომზადდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის რეგულირების ზემოქმედების შეფასება (RIA), რომლის შედეგიც აისახა კანონპროექტში;
- ეროვნული სატყეო კონცეფციის დანერგვისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის 2017 წლის

სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, ტყის კოდექსის კანონპროექტი დაეგზავნა სამთავრობო უწყებებს. მიღებული შენიშვნები და კომენტარები აისახა დოკუმენტში. სახელმწიფო უწყებებთან გაიმართა დამატებითი კონსულტაციები. ტყის კოდექსი გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის;

- ეროვნული სატყეო კონცეფციის დანერგვის მიზნით შემუშავდა ტყის ეროვნული აღრიცხვის მეთოდოლოგია. დაიწყო სატყეო საქმის სპეციალისტის კურსების სწავლება ორ პროფესიულ სასწავლებელში;
- შემუშავდა და დაიწყო ევროკავშირის საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტი „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“;
- მიმდინარეობდა „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რეგულირების ზემოქმედების შეფასება;
- „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ კონვენციის (ბერნის კონვენცია) სამდივნოს წარდგინა 3 ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ტერიტორია დეზიგნირებისათვის, რომლებიც დამტკიცდა კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრაზე.
- გაიცა 97 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 23 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა; საქმიანობის განმახორციელებლებისთვის დადგინდა გონივრული ვადები დარღვეული პირობების შესრულების მიზნით.
- ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა და გაიცა დასკვნები შემდეგ საქმიანობებზე: ასფალტის წარმოება - 11; ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა - 2; ცემენტის წარმოება - 2; გვირაბის აგება - 1; ჰიდროელექტროსადგურის განთავსება - 13; მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა - 3; მაგისტრალური ნავთობსადენის გაყვანა - 1; მაღალი ძაბვის ეგზ - 16; ნარჩენების აღდგენა - 7; ნავსადგურის მოწყობა - 1; ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავების განთავსება - 6; ქიმიური მრეწველობა - 4; რკინიგზის აგება - 1; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები - 5; სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება - 5; სახიფათო ნარჩენების მართვა - 9; თბოელექტროსადგურის განთავსება - 2; ხიდის აგება - 8;
- გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობით მოეწყო სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიები და აღინიშნა შემდეგი გარემოსდაცვითი თარიღები: ტყის საერთაშორისო დღე, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე, დედამიწის საათი, დედამიწის საერთაშორისო დღე, ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო დღე, მტკვრის დაცვის დღე, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე, ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე, დღე - ავტომობილის გარეშე. ჩატარდა გარემოსდაცვითი საინფორმაციო ღონისძიება 26 მაისს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და მომზადდა ღონისძიების ვიდეორგოლი. კამპანია „დავასუფთაოთ საქართველო“-ს ფარგლებში ჩატარდა კონკურსი „სუფთა რეგიონი“.
- განხორციელდა გარემოსდაცვითი კამპანიები: „ნუ მოჭრი ბზას“ და „ნუ მოჭრი ნამძვს“, რომლის ფარგლებში ჩატარდა საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა სახის აქტივობები, შეიქმნა ვებ-გვერდი, გავრცელდა გიფები და ბანერები სამინისტროს Facebook-გვერდზე; დოკუმენტური მასალის გამოყენებით შეიქმნა ვიდეო-რგოლი ბრაკონიერობის თემატიკაზე;
- ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდებოდა გარემოსდაცვითი ინფორმაცია სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მეშვეობით.
- დაირგო მუხის, ნეკერჩხლის და ფიჭვის 150-მდე ნერგი ბორჯომში, თბილისის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა „ბაღის ფრინველთა საათი“, რომელშიც სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გალადანში მზრუნველობამოკლებულ ზავშვებთან ერთად დაირგო 40-მდე ტუიას, თელასა და კაკლის სახეობის ნერგი, სამინისტროს თანამშრომლებმა ველოსიპედისა და ფეხით სიარულის პოპულარიზაციის მიზნით მონაწილეობა მიიღეს ველორბოლაში;
- შიდა აუდიტორთა დღესთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტთან ერთად, ეროვნულ საშენ მეთუნეობაში ქარსაფარი ზოლი გაშენდა. აქციაში, ასევე, ჩართული იყო სხვადასხვა საჯარო დაწესებულებების აუდიტის დეპარტამენტების

## წარმომადგენლები;

### 12.5 ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

- ფიზიკური დაცვით, ცეცხლმაქრებით, წყალმომარაგებისა და ფიზიკური დაცულობის სისტემებით უზრუნველყოფილ იქნა სოფელ სააკაძესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორია და რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი;
- ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ (IAEA), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსთან ერთად, ქ. თბილისში ჩაატარა ტექნიკური შეხვედრა მაღალგამდიდრებული ურანის რეპატრიაციის პროგრამასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 ქვეყნის ასამდე წარმომადგენელმა;
- ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის (GEO/9/013) ფარგლებში მოწოდებული დანადგარის განთავსებისა და დამონტაჟების მიზნით, განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის (სოფ. სააკაძე) ტერიტორიაზე არსებული ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.
- ბირთვული და რადიაციული კანონმდებლობის გაცნობისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდათ სასწავლო კურსები (მ.შ. ქ. თბილისი, ქ. ბათუმი).
- აშშ-ს ბირთვული მარეგულირებელი კომისიის მხარდაჭერით განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებულ საცავში განთავსებული რადიოაქტიური ნარჩენებისა და რადიოაქტიური წყაროების (გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროების ჩათვლით) სრული ინვენტარიზაცია და უწყებრივ რეესტრში არსებულ მონაცემებთან შედარება. ასევე, აშშ-ს ბირთვული მარეგულირებელი კომისიის მხარდაჭერით სრულად გარემონტდა სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსათვის გადაცემული 400 კვმ საოფისე ფართი;
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და შვედეთის რადიაციულ მარეგულირებელ ორგანოს შორის, რაც ითვალისწინებს შვედეთის მხარის მიერ სააგენტოსთვის გამოცდილების გაზიარებას მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციებისა და რადიოაქტიური ნარჩენების მართვის მიმართულებით;
- განხორციელდა საქართველოს რამდენიმე რეგიონის (დაბა ანასეულის, სოფ. სააკაძეის ტერიტორია) რადიაციული ფონის გაზომვები და რადიონუკლიდების განსაზღვრა ნიადაგში;
- სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად შემუშავდა ელექტრონული ლიცენზირების სერვისი (ბიზნეს პორტალი), რომლის საშუალებითაც ლიცენზიის მაძიებლებს და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს საქართველოს ნებისმიერი ქალაქიდან ონლაინ რეჟიმში შეეძლებათ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მიღება, გაუქმება და მასში ცვლილების შეტანა ელექტრონული განცხადების საფუძველზე, თანდართულ სალიცენზიო დოკუმენტებთან ერთად. მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად შემუშავდა ასევე, რადიოაქტიური ნივთიერებების მიმოქცევასთან დაკავშირებული ნებართვების ელექტრონული პროგრამა, რომლის საშუალებით ნებართვის მაძიებლებს შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად, ერთი ფანჯრის პრინციპით, მიიღონ ნებართვა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის ფარგლებში. ასევე, შესაძლებელი გახდა სანებართვო მოსაკრებლის გადახდა ინტერნეტ და მობაილ ბანკების და ეგრედწოდებული ფეის ტერმინალების მეშვეობით;
- საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით 2017 წელს მიღებული იქნა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები;

- ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე გაიცა 59 ლიცენზია, გაუქმდა 22 ლიცენზია; ლიცენზიის მფლობელ 150 ობიექტს მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება; ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 144 ნებართვა. განხორციელდა 95 გეგმური და 12 არაგეგმური ინსპექტირება. გამოვლენილ დარღვევებზე შედგა 21 სამართალდარღვევის ოქმი; განხორციელდა რეაგირება 12 რადიაციულ ინციდენტზე.

12.6 გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

- საანგარიშო პერიოდში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტ „მოხალისე ლექტორის“ ფარგლებში, ცენტრისა და სამინისტროს სხვადასხვა უწყების თანამშრომლებმა, ასევე მოწვეულმა სტუმრებმა სკოლის მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისათვის და პედაგოგებისთვის ჩატარეს 38 ლექცია-სემინარი გარემოსდაცვით თემებზე: დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა და მართვა, ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, ორჰუსის კონვენცია, ტყის მდგრადი მართვა, ჭარბტენიანი ტერიტორიების მნიშვნელობა და სხვა. ასევე, გაიმართა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები. საინფორმაციო შეხვედრები და ლექცია/სემინარები მოისმინა 891 მოსწავლემ და სტუდენტმა, 217 პედაგოგმა/ლექტორმა;
- ცენტრთან თანამშრომლობით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასების) სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმებში ცვლილება შეიტანა. არსებული ცვლილებების მიხედვით, სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმებს დაემატა მდგრადი განვითარების პრინციპები, რის საფუძველზეც, აღნიშნული პრინციპები, 2017 წლიდან გამჭოლად აისახება დაწყებითი საფეხურის ყველა სახელმძღვანელოში. ჩატარდა შესაბამისი თემატური ტრენინგები, რომელიც სხვადასხვა საგნის სახელმძღვანელოს 75-მა პოტენციურმა ავტორმა და სახელმძღვანელოს 121-მა შემფასებელმა გაიარა.
- აღინიშნა გარემოსდაცვითი დღეები: ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის საერთაშორისო დღე, ტყის საერთაშორისო დღე, დედამიწის დღე, ბიომრავალფეროვნების დაცვის დღე, გარემოს დაცვის დღე და გვალვასა და გაუდაბნობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე, მწვანე მომხმარებლის საერთაშორისო დღე. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 3 000-ზე მეტმა ადამიანმა;
- ცენტრის მიერ შემუშავებული სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების სახელმძღვანელოს საქართველოს რეგიონებში დანერგვის მიზნით, საპილოტედ შეირჩა კახეთის რეგიონი, სადაც საანგარიშო პერიოდში გადამზადდა ქალაქ თელავის, ახმეტისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაგა-ბაღების 110 მეთოდისტი და აღმზრდელი;
- ჩატარდა სასწავლო კურსები: „რადიაციული უსაფრთხოების საკითხები სამედიცინო სფეროში“, „გარემოსდაცვითი მმართველი“, „ველური ბუნების დაცვა და კონსერვაცია“, „ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები“, „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ხელშეწყობა“, „ეკოსისტემური სერვისები და ურბანული განვითარება“, „ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობა“ და სხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 387 ადამიანმა;
- თანამშრომლების შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით, გადამზადდა სამინისტროს 296 თანამშრომელი.
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება - GIZ-ის მხარდაჭერით, შემუშავდა „განათლება მდგრადი განვითარებისათვის - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2022 წწ“ დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „თავისუფალი გაკვეთილების“ პროექტის

ფარგლებში, მიმდინარეობდა მუშობა სახელმძღვანელოზე, რომელიც მასწავლებელს თითოეულ გარემოსდაცვით თემაზე მიაწვდის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობის სხვადასხვა მაგალითს. შემუშავდა შემდეგი თავები: ეკოსისტემები, კლიმატის ცვლილება, ადამიანების ეკოლოგიური უფლებები, წყალი, ჰაერი, ნარჩენების მართვა, ბიომრავალფეროვნება, მდგრადი განვითარება, ნიადაგი, გაუდაბნობა, მიგრაცია, ურბანიზაცია და გარემოს დაცვა, ბუნებრივი კატასტროფები და რისკების მართვა;

- „მწვანე ჩაი მინისტრთან ერთად“ ინიციატივის ფარგლებში გაიმართა საჯარო შეხვედრები, რომელზედაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი დამსწრე აუდიტორიას განხორციელებული და სამომავლო გარემოსდაცვითი პროექტების შესახებ ესაუბრა;
- შემუშავდა „სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სექტორის ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (NAP).
- შემუშავდა საგანმანათლებლო მასალები: ველური ბუნების დაცვა და კონსერვაცია, რადიაციული უსაფრთხოების საკითხები სამედიცინო სფეროში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება (სახელმძღვანელო და ტესტები), თავისუფალი გაკვეთილები, გარემოსდაცვითი მართვა და გადაწყვეტილებები რიოს კონვენციების განხორციელების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის, ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა.
- ცენტრის მიერ მომზადდა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ გამოიცა ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტისა და გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინდიკატორების წინასწარი შერჩევა. განახლდა ბიოლოგიური მონიტორინგის ერთიანი სისტემის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და გრძელდება ინდიკატორების განახლების პროცესი.
- შეიქმნა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის საბაზისო პლატფორმა და გაეშვა სისტემის კლიმატის ცვლილების მოდული. შემუშავდა ბიომრავალფეროვნების და გაუდაბნობების მოდულის საბაზისო ფუნქციონალი. შეიქმნა საჯარო პორტალის პირველი სამუშაო ვერსია.
- შეიქმნა და ამოქმედდა ნარჩენების ელექტრონული რეესტრი და მონაცემთა ბაზა, სადაც ნარჩენების წარმომქნელმა კომპანიებმა სამუშაო რეჟიმში დაიწყეს მონაცემების შეყვანა.
- სისტემატურად ახლდებოდა ცენტრის ვებ გვერდზე (eiec.gov.ge) განთავსებული გარემოსდაცვითი საინფორმაციო ბაზა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ვებ რუკაზე დაემატა 91 ობიექტი;
- განახლდა მოხალისე ლექტორების ცნობარი, განთავსდა ინფორმაცია სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ. ვებ-გვერდს დაემატა 85-ზე მეტი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების მსურველი;
- შეიქმნა მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების ტესტირების ელექტრონული სისტემა;
- სამინისტროს კლიმატის ცვლილების სამსახურთან ერთად მიმდინარეობდა სისტემის საპილოტე მოდულის ფუნქციონალში მუშაობა და მორგება სამსახურის კონკრეტულ საჭიროებებზე, რაც გულისხმობს კლიმატის დარგში სხვადასხვა ინფორმაციის შეკრებას და მის ანალიტიკურ შეფასებას სისტემის მეშვეობით.
- ცენტრისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ერთობლივი პროექტის „ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვის“ ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები დედოფლისწყაროს, ახმეტის, გარდაბნისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში



ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ფერმერებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ნიადაგის დაცვის, ქარსაცავებისა და საძოვრების მართვის სფეროში არსებული სპეციფიკური პრობლემების დადგენის მიზნით. პროექტის ფარგლებში ქართულ და ინგლისურ ენებზე შემუშავდა და გავრცელდა საგანმანათლებლო ბუკლეტი „ნიადაგების დეგრადაცია და მის წინააღმდეგ ბმლის ღონისძიებები“;

- ცენტრის ორგანიზებითა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტის „მინამატას კონვენციის რატიფიცირებისა და მისი აღსრულების მიზნით საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განმტკიცება“ ფარგლებში, ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია ვერცხლისწყლის თემატიკაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა. კონფერენციაზე გამოვლინდა 4 გამარჯვებული. ამავე პროექტის მეორე ეტაპზე ჩატარდა ლექცია-სემინარები თბილისის, ახალციხის, ლაგოდეხის, რუსთავის, ოზურგეთის, ქუთაისის, ფოთისა და ქობულეთის სკოლის მოსწავლეებისთვის; გაიმართა ვერცხლისწყლის თემატიკაზე მოსწავლეთა ესეების კონკურსის გამარჯვებულებისა და მათი პედაგოგების დაჯილდოება. მოსწავლეთა კონკურსში წარმოდგენილი 74 ნამუშევრიდან დაჯილდოვდა 53 მოსწავლე და მასწავლებელი; ვერცხლისწყლის თემატიკაზე ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებსა და სემინარებს დაესწრო 238 ადამიანი, მათ შორის 203 მოსწავლე და 35 მასწავლებელი.
- ცენტრმა უმასპინძლა „ფაუნა და ფლორა ინთერნეიშენელისა“ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ერთობლივ ტრენინგს „ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობა და CITES კონვენცია“. ტრენინგსა და დისკუსიაში მონაწილეობა სხვადასხვა სექტორის 51 წარმომადგენელმა მიიღო;
- გაიმართა მწვანე კლიმატის ფონდის (GCF) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში მოწვეული იყო 14 ქვეყნის 42 წარმომადგენელი. ჯამში შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 97 ადამიანი.

## 12.7 ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა

- დაითესა 113 700 ცალი კონტეინერული დანაყოფის სახეობები: ფშატი, კვიპაროსი, აკაკი, ცაცხვი, სოჭი კავკასიური, სოჭი ლეგა, ელდარის ფიჭვი, მახვილნაყოფა იფანი, შავი ფიჭვი, აკაცია, კავკასიური ტუია, ხოლო ღია გრუნტში დაითესა ცაცხვი და კაკალი;
- კონტეინერებში დაითესა 10 000 ცალი მთის მუხა;
- ღია გრუნტში გაშენდა სკოლა-პლანტაციები: 1 580 - ჭადარი, 800 - ძელქვა, 4 120 - მარადმწვანე კვიდო;
- დამზადებულ იქნა 800 კგ ელდარის ფიჭვის გირჩი, მათი დამუშავების შემდეგ დამზადებული იქნა 25 კგ თესლი;
- აიჭრა ერთწლიანი 15 000 ცალი ვერხვის, 1 000 ცალი ტირიფის ყლორტები და დაფესვიანების მიზნით დაკალმდა კონტეინერში;
- 100 ცალი უხრავის ნერგი და 271 ცალი კოლხური ზუა კონტეინერიდან გადატანილ იქნა ქოთნებში, ასევე ქოთნებში გადაირგო 1 000 ცალი საპნის ხე, 500 ცალი კვიპაროსი და 500 ცალი ნუში. ღია გრუნტში გადაირგო კონტეინერებში დაფესვიანებული ვერხვის 1 400 ცალი, ტირიფის 2 000 ცალი და პავლონიას 40 ცალი ნერგი;

- ღია გრუნტის სანერგეებიდან ამოღებული იქნა და ქოთნებში გადაირგო მაღალი მთის ნეკერჩხალი, მინდვრის ნეკერჩხალი, ცხენის წაბლი, კავკასიური სოჭი, ვერცხლისფერი კვიპაროსი, ვერცხლისფერი ნამვი და კედარი, სულ 6 660 ცალი;
- წინა წლების სანერგეებს და სკოლა-პლანტაციებს ჩაუტარდათ მოვლითი სამუშაოები: განხორციელდა იფნის, ნუშის, საპნის ხის, წითელი ტყემალის, ბალლოჯის, მინდვრის ნეკერჩხლის, მაღალი ნეკერჩხლის, ჩვეულებრივი მთის კაკლის ნერგების კულტივაცია, გათოხვნა, გაფხვიერება, სულ 1,36 ჰა-ზე. ასევე 2,7 ჰა სკოლა-პლანტაციაში მოვლითი სამუშაოები ჩაუტარდა შემდეგ სახეობებს: ტუია, ელდარის ფიჭვი, კედარი, ჭადარი, თუთა, აკაკი, შავი ფიჭვი და კავკასიურ ფიჭვი;
- საჯარო მიზნებისათვის ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტებზე და სხვადასხვა ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გაიცა 13 500-ზე მეტი ნერგი და 179 000-ზე მეტი გამხმარი ნერგი (ფიჩხის სახით);
- საანგარიშო პერიოდში მეურნეობის მიერ რეალიზებული იქნა 61 400-ზე მეტი ნერგი;
- გამოყვანილ იქნა კაკალნაყოფიანების - მათ შორის კაკლისა და ნუშის საძირეები, განხორციელდა მცნობა (კაკალი - 15 000, ნუში - 50 000 ) მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ნამყენი კაკლისა და ნუშის ნერგი (კაკალი - 4 000 ცალი და ნუში - 18 000 ცალი) ამოღებულ იქნა ღია გრუნტიდან და შენახულ იქნა ტორფისა და სილის ნაზავში;
- გამოიჩეკა 722 ცალი კაკაბი და 105 ცალი ხოხობი, რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობა პროფილაქტიკის მიზნით;
- საკალმახეში მოეწყო ორი ხელოვნური ტბორი. აშენდა 8 ბეტონის აუზი. მდინარე სკინტავადან და ჩიხურადან მოეწყო წყალმიმღებები. დამონტაჟდა წყალგამტარი ფილტრი და გადასახური ბადე. ბეტონის აუზებში გადაყვანილ იქნა ნაკადულის კალმახის 2 200 ერთეული აღმოსავლეთის და 5 000 ერთეული დასავლეთის პოპულაციის ლიფსიტები, რომლებიც მიღებული იქნა ნაკადულის კალმახის გამრავლების პროგრამის ფარგლებში. 5 ბეტონის აუზში დროებით გადაყვანილ იქნა დასავლეთის პოპულაციის მდ. ჩიხურაში დაჭერილი 100-მდე სადედე კალმახი.
- სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ მეურნეობას გადასცა სათბობი ბრიკეტების საწარმოს მოწყობის, ბრიკეტების წარმოების და რეალიზაციისთვის საჭირო თანხები, ასევე მზა პროდუქცია და 350,052 კგმ ნედლეული, ხოლო ააიპ-მა „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები საქართველოდან“ საშენ მეურნეობას უსასყიდლოდ გადასცა მცირეფასიანი, გრძელვადიანი და არაფინანსური აქტივები. სატესტო რეჟიმში წარმოებული ბრიკეტებით მეურნეობამ ახმეტის რაიონის ორი სოფლის - ზემო და ქვემო ალვანის ბაგა-ბაღები მოამარაგა.
- შავნაბადას ტერიტორიის შემოგარენში შეგროვდა „წითელი ნუსხის“ სახეობის 2 კგ ძელქვის თესლი, კონტეინერებში დაითესა 1 500 ცალი ძელქვა და ბალამწარა; 18 200 ცალ იმერულ, პონტოსა და კოლხური მუხის, ლაფანის და ბალამწარას ნერგებს, 5 000 ცალ კოლხურ ბზას, 500 ცალ ძელქვას, 250 ცალ კოლხურ მუხას, 20 ცალ პონტოს მუხას, 100 ცალ წაბლს, 271 ცალ ბზას, 100 ცალ უხრავს და 100 ცალ კაკალს ჩაუტარდათ მოვლითი სამუშაოები. 1 000 კოლხური ბზა გადაირგო ქოთნებში. 1 000 ცალი ბზის 1 წლიანი ყლორტები დაფესვიანების მიზნით დაკალმდა.
- ღია გრუნტის და სკოლის სანერგეებში წაბლის, ჭალის მუხის, იმერული მუხის, ძელქვის, თალადუმის და უხრავის ნერგებს ჩაუტარდა მოვლითი სამუშაო: კულტივაცია, რიგების გამარგვლა, მორწყვა და სხვა.